XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და XVII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა იანიჩართა მიერ გადასახადების ამკრეფო მოვალეობის შესრულება. გადასახადების აკრეფა ომში მონაწილეობასთან შედარებით ყოველგვარ საფრთხეს მოკლებული, ხელსაყრელი და სარფიანი საქმე იყო. ისინი განუკითხავად დაპარპაშებდნენ სოფლებში და ძარცვავდნენ გლეხებს. მრავალი ჯანდონით საგვე იანიჩარი ქროამების საშუალებით ახერხებდა ინვალიდთა კატეგორიაში მოხვედრას და გადიდებულ ჯამაგირს იღებდა.

კორპუსის სიებში ირიცხებოდა ათიათასობით “მკვდარი სული”, რომელთა ჯამაგირს ან მათი მეორეულები იღებდნენ, ან სხვადასხვა პირებზე პყიდდნენ ჯამაგირის მიღების უფლებას. იანიჩართა უმაღლესი პოსტების დასაკავებლად ქროამების აღება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ამან გამოიწვია მეთაურთა კადრების გაუმართლებელი და გაუთავებელი გადაადგილება.

სულთნი უძლეური აღმოჩნდა იანიჩრო წინაშე. აუცილებელი გახდა საუკუნეების მანძილებზე საგანგებოდ გაწვრთნილ და დაგეშილ იანიჩართა არმიის რეიორგანიზაცია, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. იანიჩარები უარს აცხადებდნენ მათი კორპუსის ტრადიციული სამხედრო სტრუქტურის შეცვლასა და გადახალისებაზე. მაგალითდ სულთნა თსმან II-მ (1818-1822წწ.) ბრძოლისუნარიანობის გაზრდის მიზნით დაპირა თუ არა იანიჩართა კოპრპუსის რეიორგანიზაცია, ისინი დაუყოვნებლივ აჯანყდნენ. სულთანი და დიდვეზირი ამ გამოსვლების მსხვერპლი გახდნენ. უმაღლეს სამხედრო პირთა პეტემონიამ მალე დიდი საფოხე შეუქმნა სახელმწიფოს. არ წყდებოდა ფაშებისა და იანიჩართა მრავალრიცხვანი ამბოხებები. 1826 წლის 17 ივნისს სულთნა მაპუდ II-მ (1808-1839წწ.) ბრაძანებულება გასცა იანიჩრო კორპუსის გაუქმების შესახებ, რასაც მოჰკვა ასი ათასობით იანიჩარის, მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავების შეუბრალებელი ამოხვევა. სწორედ ეს წელი იოგლება ძლევამოსილ იანიჩართა კორპუსის ტრაგიკული აღსასრულის წლად.

#### ლიტერატურა:

1. გ. გაბაშვილი-“ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან” თბილისი. 1957
2. მ. სვანიძე - “ოსმალეთის ისტორია” (XIV-XVI სს.) თბილისი. 1999
3. გ.ვ. ფუთურიძე-“კოჩი-ბეი გორიჯელის “რისალე”, როგორც წყარო თურქ-ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის” თბილისი. 1952
4. გ.ვ. ფუთურიძე- “ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი” თბილისი. 1973
5. I. H. Uzunçarşılı- “Osmanlı Devleti Teşkilatından Kapıkulu Ocaklıları” –I- Ankara. 1943.

6. M.Z. Pakalın- "Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü"- 1956. İstanbul
7. А. С. Тверитинова. "Восстание Кара Язиджи - Дели Хасана В Турции". М.Л. 1946
8. А. С. Тверитинова. "Второй трактат Кошибея – Ученые записки Института Востоковедения". М.Л. 1953
9. А.Ф.Миллер–“Отоманская Империя”(Султанская Турция)–Москва.1941
10. А.Чемерзин- “Турция. Ее могущество и распадение –Том I. Москва. 1878
11. К.Э. Босворт- “Мусульманские династии”- Москва.1971
12. А. Лаврентьев- “Очерки вооруженных сил Европейских государств. “Турция”- “Военный сборник” - 1862
13. Гордлевский-“Внутреннее состояние Турции во второй половине XVII века”.Труды Института Востоковедения. Сб.№2. Москва.1940

**Irma Asatiani**

### **About the history of Yeniçeri troops**

#### **Abstract**

The Ottoman empire was really the military feudal state. Its highly advanced military government mechanism has served the Turkish Ottomans for centuries. Thus the Ottoman Sultans spent all their power, energies and attentions for establishment of the army which had the ability to battle and this ensured strict military discipline all the empire. Among the regular armies of Ottoman empire, Yeniçeri ( yeni, new ; çeri, army) was the most tough one. It was a well trained, Islamic fanaticism fed army .Yeniçeri troops were founded in time of II. Murat (1360-1389). However the date of its foundation was not precisely determined. By means of harsh discipline of Yeniçeri, Ottoman Sultans conquered many countries and were able to establish a very strong empire. In the course of time discipline in Yeniçeri troops.broke down. They did not consider that participating in war was not their own main task. They became more and more feudal elite.Their arbitrary acts had no limit. Certainly, Sultan had no confidence in such an army to fight with the neighbouring countries and to restore the order in the country.The army had to be renewed, however it was impossible. Yeniçeriler did not accept the renewal and the changing the traditional structure of military establishment. The rebels of Yeniçeris against Pashas threatened the disintegration of the state. In 1826, 17 June Sultan II. Murat (1808-1839) ordered the removal of Yeniçeri. Following this, hundred thousands of Yeniçeri soldiers and their families were massacred. That year is considered the date of the tragic end of Yeniçeri troops.

**Ирма Асатиани**

### **Из истории корпуса янычар**

#### **Резюме**

Османская империя, несомненно, являлась военно-феодальным государством. Очень развитый и гибкий военный аппарат на протяжении веков способствовал ведению непрерывных захватнических войн турок. Именно поэтому, всю свою силу, энергию и внимание турецкие султаны направляли на создание боеспособной армии и поддержание в империи строжайшей военной дисциплины.

В регулярной армии Османской империи особенно грозной силой являлись янычары (yeni - новый, çeri - армия). Воспитанные на идеях фундаментального ислама, прекрасно тренированные и вооружённые, янычары представляли основу пехотных войск. Корпус янычар был основан во время правления Мурада I (1360 - 1386). Благодаря строгой дисциплине и военным успехам янычар, турки – сельджуки покорили не одно государство, подготовив основу для создания могущественной империи.

Со временем янычары, став феодальной элитой, перестали считать своей основной обязанностью участие в военных действиях и дисциплина в их рядах ослабла. Своеволию янычар не было предела, и они, уже, не могли представлять опору для султана ни внутри страны, ни в военных действиях с соседними государствами. Требовалась срочная реорганизация армии, что являлось весьма трудно осуществимой задачей, так как янычары категорически отвергали любые изменения в традиционной

структуре армии, а их многочисленные восстания угрожали целостности страны. 18 июня 1826 года султан Махмуд II (1808 - 1839) издал приказ об упразднении корпуса янычар, положивший начало безжалостному истреблению сотен тысяч янычар и их семей. Именно эта дата считается трагическим концом существования корпуса янычар.

ო გ ზ ი ვ მ ა

ირმა ასათიანი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იანიჩართა კორპუსის ისტორიისათვის

ოსმალეთის იმპერია ჰეშმარიტად სამხედრო ფეოდალური სახელმწიფო იყო. მისი საკმაოდ დახევწილი, მოქნილი და უაღრესად განვითარებული სამხედრო აპარატი საუკუნეთა მანძილზე ემსახურებოდა ოურქ-ოსმალთა განუწყვეტელ დაპყრობითი ომების წარმოებას. სწორედ ამიტომ, ოსმალო-სულთნები მოედ თავიანთ ენერგიას, ძალასა და ყურადღებას ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნასა და მოედ იმპერიაში მკაფიო დისკიპლინის დამყარებას ანდომებდნენ.

ოსმალეთის იმპერიის რეგურალური ჯარის სახეობათა შორის განსაკუთრებით მრისხანება და ლას იანიჩარები (yeni- ახალი, ceri- ჯარი) წარმოადგენდა. ეს იყო კარგად გაწვრთნილი და მუსლიმური ფანატების სულისკვეთებით აღზრდილი ქვეითი ჯარი. იანიჩართა კორპუსი მურად I-ის (1360-1389) დროს ჩამოყალიბდა. თუმცა, მისი შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება. იანიჩარების მკაცრი სამხედრო დისციპლინის წყალობით ოსმალო სულთნებმა უამრავი სახელმწიფოს დამორჩილება და უძლიერესი იმპერიის შექმნა შეძლეს.

დროთა განმავლობაში იანიჩართა რიგებში დისციპლინა მოიშადა. ისინი სალაშქროდ გამოსვლას თავიანთ ძირითად მოვალეობად აღარ მიიჩნევდნენ. იანიჩარები თანდათან გაფეოდალებულ ელიტად იქცნენ. მათ ოვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. ბუნებრივია, ასეთი ჯარი სულთნის და-საყრდენი ვერ იქნებოდა, ვერც საკუთარ ქვეყნებში წესრიგის აღსადგენად და, ვერც მეზობელ ქვეყნებთან ომებში. საჯარო გახდა არმიის რეორგანიზაცია, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. იანიჩარები კატეგორიულად უარს აცხადებდნენ ტრადიციული სამხედრო სტრუქტურის შეცვლასა და გადახალისებაზე. ფაშებისა და იანიჩარების მრავალრიცხოვანი ამბოხებები დაშლით ემუქრებოდა სახელმწიფოს. 1826 წლის 17 ივნისს სელიმ მაჰმედ II-მ (1808-1839) ბრძანებულება გამოსცა იანიჩართა კორპუსის გაუქმების შესახებ, რასაც მოჰყვა 100 ათასობით იანიჩართა და მათი ოჯახების შეუბრალებელი ხოცვა ჟლეთა. სწორედ, ეს წელი ითვლება იანიჩართა კორპუსის ტრაგიკული აღსასრულის წლად.

## მეტყველების ფსიქოლინგვისტური ალექს

მეტყველების აღქმა (პერცეფცია) არის აზრის აღმოჩენის პროცესი, რომელიც სამეტყველო გამონათქვამების გარე ფორმაში ძევს. აღქმა ქვეცნობიერად არაშეცნობადია, როგორც ფორმის აღქმის აქტი. მეტყველება წარმოგვიდგება, როგორც განგრძობადი ხმოვანი (ბერი-ოთი) ნაკადი. მეტყველების აღქმის პროცესში მსმენელის უპირველესი ამოცანაა მეტყველების ნაკადის სეგმენტირება დისკრეტულ ერთეულებად და შემდგომ ამ ერთეულების იდენტიფიცირება. ამრიგად, მეტყველების აღქმა ერთმნიშვნელოვნად ეცუმნება აკუსტიკურ მონაცემებს, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

მეტყველების აღქმა (პერცეფცია) არის აზრის აღმოჩენის პროცესი, რომელიც სამეტყველო გამონათქვამების გარე ფორმაში ძევს. აღქმა ქვეცნობიერად არაშეცნობადია როგორც ფორმის აღქმის აქტი. ეს თითქმის ყოველთვის სემანტიკაზე გადასვლაა. სამეტყველო სიგნალების გადამუშავება ხდება თანმიმდევრულად. მეტყველების ფორმების აღქმა ითხოვს მისი აგების ლინგვისტური კანონზომიერების ცოდნას. წერილობითი მეტყველების აღქმა ხორციელდება თვალების ხტუნვითი მოძრაობით. თუკი სიტყვები შეცდომითა მოცემული, ისინი მაინც რეციპიენტისთვის ნაცნობ სიტყვებს გვაგონებს და ალიქტება როგორც ნაცნობი. თუკი სიტყვის მნიშვნელობა კონკურენციას უწევს სიტყვის ფორმას, წარმოიქმნება სირთულე კითხვის დროს. სიტყვის აღქმის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი პოლისემიურობა და ასევე ერთი და იმავე სემანტიკური ეფლის მქონე სიტყვები. ფრაზების აღქმისას რეციპიენტს სირთულე ექმნება იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მათი არაერთგაროვანი ინტერაქტიურია. რეციპიენტი მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომელ სინტაქსურ ფორმაშია წარმოდგენილი ფრაზა. მეტყველების აღქმისას ადამიანი გამონათქვმს უდებს სირთულიდან, თავისი ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე. აღქმისას შესაძლებელია საკუთარ ცნობიერებაში აღადგინო გამოტოვებული ფრაგმენტები. აღქმის პროცესში ადამიანი აქტიურია, ქმნის შემდგომი შინაარსის პიპოლებებს და ახდენს აზრობრივ ცვლილებებს. ტექსტის აღქმითი ფსიქოლინგვისტიკა ახლოსაა ბიბლიოფსიქოლოგიისთვის, რომელიც ნ.ა.ბუნაკინმა განავითარა.

მეტყველება წარმოგვიდგება როგორც განგრძობადი ხმოვანი (ბერი-ოთი) ნაკადი. მსმენელის პირველი ამოცანაა მოახდინოს ამ ნაკადის სეგმენტირება დისკრეტულ ერთეულებად და შემდგომ ამ ერთეულების გაიგოვება. შეიძლება ეს საკითხი ელემენტარულ დონეზე აიხსნას ფრაგმების იდენტიფიცირებით, მაგრამ იზოლირებული ფრაგმების იდენტიფიცირება საკმარისი არ არის განგრძობითი მეტყველების აღქმისათვის. საქმე გვაქვს შემდეგი სახის პრობლემებთან:

ეს არის განგრძობადი მეტყველების სისწრაფე. ის შეესაბამება წუთში 200 სიტყვის რითმს. მაშასადამე, მსმენელმა უნდა ამოიცნოს წამში 12-15 ფონემა. საშუალო მსმენელის უნარი კი-დევ უფრო მაღალია. აღქმა დეგრადაციას იწყებს წუთში მხოლოდ 300 სიტყვის ზემოთ.

ამას ემატება აკუსტიკური მონაცემების ვარიაცია: ერთი და იგივე ფრაზა, რომლის იდენტი-

ფიცირებაც ხდება, შეესაბამება ძალიან განსხვავებულ ხმოვან რეალიზაციებს მოლაპარაკის ასაკის, სქესის, წარმომავლობის მიხედვით, ასევე ხმამაღლა ლაპარაკობს ის თუ ხმადაბლა.

და ბოლოს მეტყველების ნაკლოვანი ხასიათი (lacune). სიტყვების (ფონემების) მნიშვნელოვანი პროპორცია წარმოითქმის არასრულყოფილად, ან სრულიად არა, მაგრამ მას ყველაზე ნაკლებად ეხება გაგება.

ამრიგად, რომ მეტყველების აღქმა უფრონება აკუსტიკურ მონაცემებს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება. ნიშნის ქვემოდან ზემო (bottom-up) ანალიზს ემატება ზემოდან ქვევით (top-down) ანალიზი: მსმენელი ახდენს იმის ანტიციპაციას, რაც მას ესმის, ხოლო აკუსტიკური მონაცემების ნაწილობრივ ანალიზს ახდენს მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაადასტუროს ან შეასწოროს ანტიციპაციები.

### ფონემების აღქმა

ცხადია, როცა გვესმის სიტყვა, გაგმებული ბეგრები ქმნიან განსხვავებული ფონემების თან-მიმდევრობას. ამგვარად, თუკი წარმოვიდგენო სიტყვას douter(ეჭვი)და დავყოფთ მას, შეიძლება მივიღოთ ოთხი განსხვავებული ბეგრა, რომლებიც შეესაბამება შემდეგ ფონემებს /d/, /u/, /t/, /e/. ეჭვგარეშეა, შეგვიძლია ერთი ფრაგმენტის იზოლირება, რომელიც შეესაბამება მარცვალს/დუ/. თუკი შევამცირებოთ პროგრესულად ჩაწერას, გვესმის ისევ ას ; შემდეგ როცა ქრება ხმოვანი, რჩება ბეგრა, რომელსაც არავითარი საერთო სამეტყველო ბეგრასთან არ აქვს: ეს იქნებოდა სწრაფი სტვენა, რომელიც ჩადის ქვევით. შეუძლებელია ბეგრის იზოლირება, რომელსაც შეესაბამება /d/. უფრო მეტიც: განვახორციელოთ იგივე ოპერაცია მარვცვალ /di/-ზე; როცა ხმოვანი /i/ მოჭრილია, ჯერ კიდევ სტვენა, თუმცა შემართვის უზაშია (ზევით მიდის). ზემოთქმული ადასტურებს, რომ ერთი ფონემა შეესაბამება ძალიან განსხვავებულ სტიმულებს. საპირისპიროდ ამისა, ერთსა და იმავე ფიზიკურმა სტიმულმა სხვადასხვა ფონემის აღქმის საშუალება შეიძლება მოგვცეს: მოკლე ბეგრის შეტანით 1440 სისშირეზე, რომელიც წინ უძღვის ხმოვან /a/-ს, ადვიქვამო, როგორც /pa/, ხოლო იგივე ბეგრას, რომელსაც მოსდევს /u/, ადვიქვამო როგორც /ku/.

### განგრძობითი მეტყველების აღქმა

მიღერმა და იზარმა (1963) ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ნათლად აჩვენეს ის როლი, რომელსაც თამაშობს ლინგვისტური წყობა მეტყველების აღქმაში. ექსპერიმენტი შემდეგ ში მდგრამარეობს: ინფორმაციებს მოასმენინეს სიტყვების ეპიზოდები; მათ თან სდევდა ხმაური, რომელიც აღნიშნულ მონაკვეთებს შედარებით ინტენსიურად ნიღბავდა და შემდეგ მათ მოითხოვეს იმის გამეორება, რაც გაიგონება. მიიღება ოთხი შემთხვევა :

-გრამატიკულად სწორი და სემანტიკურად მისაღები ფრაზები : Gallant gentlemen save distressed damsels;

-გრამატიკულად სწორი, მაგრამ სემანტიკურად მიუღებელი ფრაზები : Lighted gentlemen dissolve furious appraisals;

-მიღებული ეპიზოდები, რომლებიც შლის სიტყვათა წყობას I ტიპის ფრაზაში: Gentlemen gallant damsels distrested save;

-და ბოლოს, მიღებული ეპიზოდები შლის წყობას II ტიპის ფრაზაში: Gentlemen appraisals dissolve lighted furious.

პირველი ტიპის ფრაზების იდენტიფიცირება ყველაზე ადგილია მეოთხე ტიპის ფრაზებთან, რომლებშიც შეცდომების მაქსიმალური რაოდენობა იჩენს თავს; ხოლო მეორე და მესამე ტიპის ეპიზოდებში ჩანს შუამავალ შედეგები როგორც ჩანს, ერთი მხრივ, სინგაქსური სტრუქტურა და სემანტიკური კოჰერენცია, მეორე მხრივ, თამაშობს ფასილიტატორის როლს, რომელიც საშუალებას აძლევს მსმენელს მოახდინოს იმ ფონეტიკური ინფორმაციების რეკონსტრუქცია, რაც შენიდბულია ხმაურით.

აღნიშნულ რეკონსტრუქციას არ აქვს ცნობიერი მნიშვნელობა, რაზეც ნათლად მიუთითებს უორენის (Warren) ნაშრომები ფონემატიკურ რესტავრაციაზე. სუბიექტებს მოასმენინს ფრაზა, რომელშიც სიტყვა ნაწილობრივ დამახინჯებული იყო: ჩანაწერზე მოაჭრეს ფონემა ან

მარცვალი, რომელიც შეცვალეს ხმაურით (მაგალითად, სიტყვა legislature ხდება *legislature*, ან *le\*lature*). საქმე იმაშია, რომ ხმაური ზედ ედება სიტყვას და ლოკალიზებულია არასწორად. იგივე სტიმული აღიქმება კონტაქტის მიხედვით: „It was found that the \*eel was on the axle” (On s’aperçut que la \*eel était sur l’essieu), სუბიექტები იგებენ სხვადასხვანაირად სიტყვა „wheel” (roue); მაგრამ თუკი ჩავანაცვლებო „axle” (essieu) „orange”, მათ ესმიო „peel” (pelure); table –ით ესმიო „meal” (repas) და ა.შ.

იგივე პრობლემებ ვაწყდებით, როცა საქმე გვაქავს არასწორ წარმოთქმასთან. კულტურა და ჯაკიმიკა (Cole et Jakimik, 1978) ჩაატარეს ექსპერიმენტი, სადაც სუბიექტებს მოასმენინეს სიტყვები, რომლებშიც ზოგიერთი ფონემა ჩანაცვლებული იქნა ფონემებით და მათ თხევეს ამ შეცდომების დეტალებით. შედეგები განსხვავებული იყო იმის მიხედვით, შეცვლილი ფონემა სიტყვის თავში იყო თუ ბოლოში, საქმე ეხებოდა მახვილიან მარცვალს თუ უმახვილოს. ზოგადად, თუ წინასწარ ვიცით, რომ ფონემა დეფორმირებულია, მით უფრო შეუმნიერებელია დეფორმაცია; თუმცა თუკი მას აღმოვაჩენო, ეს სწრაფად მოხდება.

## ლექსიკური მიღვომარობა

სიტყვის ამოცნობა თუ წარმოქმნა აშკარად გულისხმობს, რომ ის ჩაწერილია მეხსიერებაში. სხვა სიტყვებით რომ ვოქვათ, ყოველი მოღაპარე პირი ფლობს შინაგან დექსიკას ანუ წარმოდგენების ერთობლიობას, რომელიც შეესაბამება საგუთარი ენის აღმნიშვნელ ერთეულებს. იგი წარმოდგენილია ლექსიკონის სახით, რომელშიც ლექსიკური ერთეულები საჭირო ინფორმაციას შეიცავენ, რათა მოხდეს შესაბამისი ერთეულის იდენტიფიცირება, გაგება და გამოყენება. თითოეულ ლექსიკურ ერთეულს (entree) უნდა ახასიათებდეს:

- სიტყვის ფონოლოგიური ფორმა (აკუსტიკური, არტიკულაციური და გრაფიკული);
  - მისი სინტაქსური და მორფოლოგიური თავისებურებები : კატეგორია (არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, და ა.შ.), სქესი, რიცხვი და ა.შ. რომელიც განსაზღვრავს ფრაზაში მისი გამოყენების შესაძლებლობას;
  - მისი მნიშვნელობა და სიტუაციის მიხედვით მისი გამოყენების პირობები (ფამილიარული სიტყვა, გულგარული და ა.შ.).

ბევრი მკვლევარი მუშაობდა შინაგანი ლექსიკის შესწავლის საკითხზე ; ლექსიკური მიღ-  
გომის შესწავლა უნდა პასუხობდეს ორი სახის შეკითხვებს:

ა) შინაგანი ლექსიკის ბუნება : რომელი ერთეულები ფიგურირებენ? როგორ არის ისინი დალაგებული და რა ურთიერთობაშია ერთმანეთოან ?

და ქოთლილებად უნდა ასევე დღიურზე განხორციელებულ არიცებების მიხის ?  
ლექსიკური მიღვომა არის სწრაფი პროცესი, რომელიც არაცნობიერად მიმდინარეობს, რისთვისაც ანალიზია საჭირო. ეს არის ლექსიკური გადაწყვეტილება, როდესაც ინდივიდმა სწრაფად უნდა გადაწყვიტოს წარმოდგენილი სტიმული სიტყვაა ოუ არა. შესაძლებელია ამგვარადვე მოხდეს სიტყვის იდენტიფიკაციაც: გავზომოთ დრო, რომელიც სიტყვის გასამეორებლად საჭიროა (ანუ მიწვდე მესესიერებაში მის ფონოლოგიურ წარმოდგენას), ან გავაანალიზოთ დაშვებული შეცდომები, როცა სტიმული წარმოდგენილია სწრაფად ან ნაწილობრივად შენიდბული. ასევე უნდა მოხდეს ფონემის, ან სიტყვის გარკვეული თვისების დატვირთვა.

## ორი ბაზისური ფენომენი

ორ მნიშვნელოვან ბაზისეურ ფენომენს წარმოადგენს სისტირის ეფექტი და სემანტიკური ჩართულობა (amorçage).

ენაში სიტყვების სხვადასხვა სისშირით გამოყენება ძალზედ არათანაბარია. ფსიქოლინგვისტიკის ადრეული ნაშრომები, შთაგონებულია ინფორმაციის ოცრით და ძირითადიდ

ეყრდნობა ენის სტატისტიკური მონაცემების თავისებურებებს; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენების ეს სიხშირე დამოკიდებულია სოციალურ, კულტურულ, პროფესიულ, საუბრისა თუ კითხვის ჩვეულ ტიპზე. შესაძლებელია განისაზღვროს მოცემული ენის მოლპარაკე პირთაოვის ვერაბლური გამოხატვის საშუალო სიხშირის იერარქია ჰომოგენურ კორპუსზე დაკვირვების შედეგად: ამგვარად, ზიპფის კანონის მიხედვით, დაღმავალი წყობის სიტყვების სიხშირე დაახლოებით მუდმივია, რაც შეესაბამება კოდის ოპტიმალურ წყობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გამოყენებული სიტყვები ყველაზე მოქნილია, თუმცა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ფენომენი ის არის, რომ სიტყვის სიხშირე უკავშირდება მისი მიღწევის სისტრაფეს.

მეორე საინტერესო ფენომენი სემანტიკური ჩართულობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვის მიღწევა მარტივია (და უფრო სწრაფიც) თუკი ამ სიტყვას წინ უსწრებს სხვა სიტყვას, რომელიც მას სემანტიკურად შეესაბამება. ევაქტი მაქსიმალური იქნება, როდესაც განმეორებას აქვს აღგილი.

ამრიგად, მეტყველების აღქმის პროცესში მსმენელის უპირველესი ამოცანაა მეტყველების ნაკადის სეგმენტირება დასკრეტულ ერთეულებად და შემდგომ ამ ერთეულების იდენტიფიცირება. მეტყველების აღქმა ერთმნიშვნელოვნად ეფუძნება აკუსტიკურ მონაცემებს, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

#### **ლიტერატურა:**

1. Anzieu Didier, - „Psychanalyse et langage”, - ISBN: 9782040188665, Pages: 232, Edition: 3e éd, Broché, Dunod, 2006
2. Baylon.C. - „Sociolinguistique”, Société, langue et discours, Paris, II éd. Nathan/VUEF, 2002
3. Caron, Jean, Precis de psycholinguistique, Quadrige/PUF, Paris, 1989
4. Lachaud, Ch., - „La psycholinguistique expérimentale”, Université de Genève. FPSE, Laboratoire de Psycholinguistique Expérimentale. Bd. du Pont d'Arve, 2008
5. Белянин, . В.П. „Психолингвистика” Флинт, М., 2004
6. Демьянков В.З., „Психолингвистика” // Краткий словарь когнитивных терминов / Кубрякова Е.С., Демьянков В.З. Демьянков В.З., Панкрац Ю.Г., Лузина Л.Г. Под общей редакцией Е.С. Кубряковой. М.: Филологический факультет МГУ им. М.В. Ломоносова, 1996. С.147-153.
7. Леонтьев, А.А. , „Основы психолингвистики”. М., 1997, с.16

**Qetevan gabunia, Gvanca Chanturia**

#### **Abstract**

Speech perception is of the discovery process of the opinion, which lies in the outer expressions. Perception is represented unconsciously as a form of perception act. Speech is represented as continuous speech sound (sound) stream. The first objective of the listener is the segmentation of the stream in discrete units and identification of these units. In conclusion we can say that speech perception is based on the acoustic data and thus is not limited.

**Кетеван გაბუნია, გვანცა ჭანტურია**

#### **Резюме**

Восприятие речи – процесс открытия мнения, который является одной из формой речи состоявшаяся во внешних выражениях. Восприятие бессознательно воспринимается как акт восприятия формы. Речь представляется как непрерывный поток звук речи. Первая цель этого потока сегментация дискретных единиц и идентификация этих единиц. В заключение можно сказать, что восприятие речи основана на акустических данных и, таким образом, не ограничивается.

## ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია

რეფერენციის განხილვისას თანამედროვე ლინგვისტიკაში ხშირად საუბრობენ რეფერენციისა და დეიქსისის ურთიერთკავშირზე, თუმცა არ აკონკრეტებენ ამ კავშირს იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს დეიქსისის სამი ძირითადი ტიპი – როლური დეიქსისი, დროის დეიქსისი და ადგილის დეიქსისი.

ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურისა და ამ სტრუქტურის ფარგლებში რეფერენციის ადგილზე მსჯელობა ქმნის იმის საფუძველს, რომ ახლებურად დავინახოთ ის ენობრივი ფენომენი, რომელსაც რეფერენციასთან დაკავშირებულ კატეგორიალურ ტრიადას ვუწოდებთ. ამ ტრიადის ფარგლებში რეფერენციას დეტერმინაციისა და დეიქსისის მიმართ მეტაკატეგორიალური სტატუსს „ვანიჭებოთ“.

ზემოთ სსენებულ სტატუსს რეფერენციას „ვანიჭებოთ“ წმინდა დედუქციური გზით, ანუ იმ შეხედულებათა მთელი კომპლექსიდან გამომდინარე, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკას შემუშავებული აქვს რეფერენციის ირგვლივ. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული კომპლექსის მიხედვით არსებობს არსებითი შინაგანი კავშირი, ერთის მხრივ, რეფერენციას, მეორეს მხრივ კი ორ დანარჩენ კატეგორიას შორის. სწორედ ამას ვგვლის ხმობობთ, როცა ვსაუბრობთ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის კავშირზე რეფერენციის მეტაკატეგორიალურ სტატუსთან.

ტექსტის დიქტორმიური ვერტიკალური სტრუქტურის გათვალისწინებით შემოგვაქვს თეზისი: დეიქსისი როგორც ტექსტობრივი ფენომენი სიმეტრიულად უკავშირდება ტექსტის როგორც თემატურ (ანუ რეფერენტულ), ისე კომპოზიციურ ასპექტებს, რაც შემდეგს ნიშნავს: დროისა და ადგილის დეიქსისი როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით უნდა მივაკუთვნოთ ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას, რადგან, როგორც ვიციო, ამ სტრუქტურის დერძად მოიაზრება ზმნა, დრო და ადგილი კი, პირველ რიგში უნდა უკავშირდებოდეს ზმნის მიერ გამოხატულ ხდომილებას. ამიტომ უნდა დავასკვნათ შემდეგი: როცა ლაპარაკია რეფერენციისა და დეიქსისის ურთიერთკავშირზე ეს კავშირი უნდა დაკონკრეტებულ იქნას შემდეგნაირად: რეფერენცია უშუალოდ უკავშირდება **როლურ დეიქსისს** და არა ადგილისა და დროის დეიქსისს, რომლებიც ასევე უშუალოდ უკავშირდებიან ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტი, რომ ზემოთ ფორმულირებული თეზისით ახლებური შუქი ეყინება არა მხოლოდ რეფერენციასა და დეიქსისს შორის არსებულ კავშირს, არამედ იმ კავშირსაც რომელიც არსებობს დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიებს შორის და, რაც მთავარია, გვეძლევა იმის საშუალება, რომ ერთის მხრივ შევინარჩუნოთ, მეორეს მხრივ კი ახლებურად გავაშუქროთ რეფერენციის მეტაკატეგორიალური სტატუსი.

როგორ უნდა იქნას დაკონკრეტებული ზემოთ ნათქვამი თუ რეფერენცია არსებითად უკავშირდება მხოლოდ **როდენი** დეიქსის? როგორ უნდა იქნას დანახული – იგულისხმება, რა თქმა უნდა, ტექსტის ფარგლებში – დეტერმინაციასა და როლურ დეიქსისს შორის ლოგიკურ-ფუნქციური კავშირი და ამ შემთხვევაში როგორ უნდა იქნას შინაარსობრივად დაკონკრეტებული რეფერენციის მეტა-კატეგორიალური სტრუქტურა ნომინალური კატეგორიალური ტრიადის ფარგლებში?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას კალავ უნდა დავუბრუნდეთ რეფერენციის თანამედროვე კონცეპტის იმ განხომილებებს, რომლის მიხედვითაც რეფერენტულობა როგორც ტექსტობრივი ფენომენი არსებითად უკავშირდება **სახელს** (ნომინალურ ჯგუფს). აქედან გამომდინარე, უნდა გაპეოდეს, ჩვენის აზრით, შემდეგი სამი დასკვნა:

1. როცა ვლაპარაკობთ **როდენი დეიქსისზე** და ამავე დროს სწორედ მას და არა დეიქსისის სხვა სახეობებს ვუკავშირებთ რეფერენციას, ამით აუცილებელი ხდება თვით როლური დეიქსისის **სინტაქსური ინტერარეტიცია**: როგორც ცნობილია, სახელის როლი წინადადებაში გაგებულია როგორც, პირველ რიგში ქვემდებარის, უფრო ფართო თვალსაზრისით კი, როგორც აქტანტის გამოხატვის როლი. ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ: იმდენად, რამდენადაც ტექსტის ანალიზისას საქმე გვაქს წინადადებასთან როგორც მეტად თუ ნაკლებად ავტონომიურ ერთეულთან, აუცილებელია რეფერენციის სინტაქსური ფუნქციის დაკავშირება წინადადების ამ წევრებთან;

2. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეფერენციის არსებითი დაკავშირება სახელთან ამავე დროს ნიშნავს მის ასევე არსებით დაკავშირებას ტექსტობრივად. მთავარია რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის კვლევა. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს რეფერენციის ამგვარი კვლევა, თუ გავიხსენებთ, რომ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ფარგლებში რეფერენცია უკავშირდება მის ოქმატურ განხომილებას? ჩვენი აზრით, ეს უნდა ნიშნავდეს, პირველ რიგში, იმ ლოგიკის გათვალისწინებას, რომლის მიხედვით თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში უმაღლესი ენობრივი დონის ერთეულად მიჩნეულია არა წინადადება, არამედ ტექსტი. მაგრამ, თუ ეს ასეა და თუ რეფერენციას, როგორც ეს ზემოთ ითქვა, ვუკავშირებთ მხოლოდ და მხოლოდ როლურ დეიქსისს, მაშინ რეფერენციაც ნარატიულ ტექსტში უნდა დავუკავშიროთ ისეთ ნარატოლოგიურ ცნებებს, როგორიცაა **პერსონა** და **პაციენსი** ცნებები. მიგვაჩნია, ერთის მხრივ, რომ ასე უნდა მოხდეს რეფერენციის იმ სინტაქსური ფუნქციის ტექსტობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც აღნიშნული იყო ზემოთ და რომელიც უკავშირდებოდა აქტანტის კონცეპტს, მეორეს მხრივ კი სწორედ ამგვარი ტრანსფორმაცია მოგვცემს იმ შინაგანი მიმართების გაგებასაც, რომლითაც რეფერენცია უკავშირდება ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას.

იმ მიზნით, რომ ნათლად და მკაფიოდ იქნას განმარტებული აგენსისა და პაციენსის ზემოთ გამოყენებული ცნებები აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ თანამედროვე ნარატიულოგიას. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ცნებები არსებითად უკავშირდება ნარატივის როგორც კონცეპტის თანამედროვე გაგებას. მოვიყვანოთ შესაბამისი ციტატა ნარატილოგის ისეთი წარმომადგენლის ნაშრომიდან როგორიცაა ვ. შმიდი: „ტერმინი მდგომარეობა (состояние) უნდა გავიგოთ როგორც ნიშან-თვისებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც დროის ამა თუ იმ მომენტში დამახასიათებელია ამა თუ იმ პერსონაჟისათვის ან გარე სიტუაციისათვის, თუ გამოხატული ნიშან-თვისებები განეკუთვნება ამა თუ იმ პერსონაჟის სულიერ სამყაროს საქმე გევქნება შინაგან მდგომარეობასთან ..... თუ მდგომარეობაში ცვლილების მიზეზს წარმოადგენს პერსონაჟი, მაშინ ვლაპარაკობთ საქციელზე (поступок) და მოქმედი პერსონაჟი სახელდება ისეთი უკვე უცხვებგადგმული ცნებით, როგორიცაა აგენსი; მაგრამ, თუ პერსონაჟი ხდება ცვლილების პასიური ობიექტი, მაშინ ამგვარ ცვლილებას ეწოდება მომხდარი ამბავი (происшествие), პერსონაჟი კი იწოდება პაციენსად“ (Шмид 2008:15).

ფაქტობრივად იგივეა ნათქვამი ა. კრუზის მიერ, რომელიც აგენსისა და პაციენსის შემდეგ

დეფინიციებს იძლევა: „აგენტი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების ჩამდენი, აქტიური მონაწილე ან გამომწვევია, ხოლო პაციენტი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების განმცდელი ან პასიური მონაწილე” (Cruse 2000);

3. ზემოთ უკვე ითქვა, რომ დეიქსისის სამი სახეობიდან რეფერენციის მოქმედების სფეროში უნდა მოაზრებულ იქნას მხოლოდ ერთი, სახელდობრ, როლური დეიქსისი. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის მიმართება ისეთ ნომინალურ კატეგორიასთან როგორიცაა **დეტერმინაციის** (არტიკლის) კატეგორია? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე შეიძლება გავცეო ერთნიშნა, მაგრამ ამავე დროს ანალიტიკური ოვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პასუხი. პასუხის ერთნიშნა ხსიათი გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებიდან: დეიქსისისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ვნახეთ, ერთნაირად უკავშირდება როგორც სახელს, ისე ზმნას, დეტერმინაცია წარმოადგენს მხოლოდ სახელთან დაკავშირებულ, ანუ ცალსახად ნომინალურ კატეგორიას და, შესაბამისად, მისი სინგაქსური ფუნქციაც უნდა უკავშირდებოდეს, პირველ რიგში, სახელის აქტანტურ ფუნქციებს. ამ დასკვნის მნიშვნელობა კი, რომელიც მას უნდა მიეწეროს ანალიტიკური ოვალსაზრისით, მდგომარეობს შემდეგში: ნარატიული ტექსტის ანალიზისას უნდა ვიმსჯელოთ – პირველ რიგში – არა „უბრალოდ“ ამა თუ იმ აქტანტის, არამედ აგენტისა და პაციენტის დეტერმინაციაზე ისე რომ, ერთის მხრივ შენარჩუნებული იქნეს არტიკლისთვის დამახასიათებელი ყველა შინაარსობრივი ნიუანსი, მაგრამ ამავე დროს მოხდეს ხსენებული კატეგორიის ფუნქციური ტრანსფორმირება ტექსტობრივ სფეროში.

როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ანალიზის შედეგად გამორკვეულ იქნა, რომ რეფერენციასთან როგორც ტექსტობრივ კატეგორიასთან მიმართებაში დეიქსისი განიცდის შინაგან ანუ სტრუქტურულ დიქტომიზაციას: როლური დეიქსისი მთლიანად აღმოჩნდა ტექსტის რეფერენტული განზომილების სფეროში, რაც პრინციპულად ადასტურებს ჩვენს მიერ გამოოქმედ თეორიულ პიპოთეზას ამ თრი კატეგორიის – რეფერენციისა და დეიქსისის – ურთიერთმიმართების თაობაზე: იმდენად, რამდენადაც როლური დეიქსისი უკავშირდება ტექსტის ოქმატურ სტრუქტურას და, შესაბამისად, თუ საქმე გვაქვს ნარატიულ ტექსტოან, ტექსტობრივ აგენტებისა და ტექსტობრივ პაციენტების, დეიქსისს უკავია სუბკატეგორიის სტატუსი რეფერენციასთან როგორც მეტაკატეგორიასთან მიმართებაში. მაგრამ იგივე მსჯელობამ დაგვანახა დეიქსისის ხსენებული დიქტომიზაციის თეორიული მნიშვნელობა როგორც ზოგადად ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის, ისე ამ სტრუქტურის ფარგლებში ნომინალურ (ანუ სახელთან დაკავშირებულ) და სამეტყველო-კომპოზიციურ (ანუ ვერბალურ) განზომილებებს შორის.

### ლიტერატურა

1. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004
2. Cruse A. *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press, 2000.
3. Арутюнова Н. Д. *Референция* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990
4. Виноградов В. *Деиксис* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва: 1990
5. Шмид В. *Нарратология*. Москва: ‘Языки Славянской Культуры’, 2008

Ketevan Dogonadze

**The Vertical structure of the Text and Reference as a Metacategory****Abstract**

As it is well-known the concept of reference as a textual phenomenon is closely related to noun (nominal group). The article discusses reference as a nominal category and advances a thesis according to which **reference** acts as a **metacategory** in the nominal categorical trio in which determination and deixis are considered as autonomous nominal categories.

Reference is related with one of the kinds of deixis – **role deixis** and in **narrative text** it is discussed in the connection of such narrative notions as **agent** and **patience**. We suppose that on one hand the syntactic function of reference, which is correlated with the concept of agent, is textually transformed; however, on the other hand this transformation helps us to understand the inner correlation which connects reference with the compositional structure of the text.

**ქեთევան დოლონაძე****ტექსტის გერტიკალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია****რეზუმე**

როგორც ცნობილია, რეფერენტულობა როგორც ტექსტობრივი ფენომენი არსებითად უკავშირდება **სახელს** (ნომინალურ ჯგუფს). სტატიაში საუბარია რეფერენციის როგორც ერთიან და ყოვლისმომცველ ნომინალურ კატეგორიზე და ოეზისზე, რომლის მიხედვით რეფერენცია მეტაკატეგორიალურ როლს ასრულებს ისეთ ნომინალურ კატეგორიალურ ტრიადაში, რომლის ფარგლებშიც დეტერმინაცია და დეიქსისი ავტონომიურ ნომინალურ კატეგორიებად განიხილება.

ვუკავშირებოთ რა რეფერენციას როლურ დეიქსისს, ნარატიულ ტექსტში მას (რეფერენციას) განვიხილავთ ისეთ ნარატოლოგიურ ცნებებთან კავშირში, როგორიცაა აგენციასა და პაციენციას ცნებები. მიგვაჩნია, რომ, ერთის მხრივ, ასე ხდება რეფერენციის იმ სინგრაქ्शური ფუნქციის ტექსტობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც აქტანტის კონცეპტს უკავშირდება, მეორეს მხრივ კი სწორედ ამგვარი ტრანსფორმაცია გვეხმარება იმ შინაგანი მიმართების გაგებაში, რომლითაც რეფერენცია ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას უკავშირდება.

Кетеван Догонадзе

**Вертикальная Структура Текста и Референция как Метакатегория****Резюме**

Как известно, референция как текстовое явление существенно связан с существительным (с номинальным группой). В статье рассказывается о референции как номинальной категории и выдвигается тезис который гласит, что референция играет метакатегорическую роль в номинальном категориальном триаде, где детерминация и деиксис рассматриваются как автономические номинальные категории.

Мы связываем референцию с ролевой деиксисом и в нарративном тексте обсуждаем ее в связи таких нарративных концептов как агенсъ и пациентъ. Мы считаем, что так происходит текстовая трансформация синтаксической функции референции, который связан с концептом актанта. Такая трансформация помогает понять то внутреннее отношение, которое связывает референцию с композиционной структурой текста.

## ფრანგულ ენაში გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის სინტაქტურ-პარალიგმატული საფუძველი

ფრანგულ ენაში ენობრივ ერთეულთა სინტაქტიკური და პარალიგმატული მიმართებები განსაზღვრავენ გრამატიკულ კატეგორიათა სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ფორმათა სისტემურ მნიშვნელობას.

ფრანგულ ენაში გრამატიკული კატეგორიების გამოყოფისას და მათი სემანტიკური შინაარსის დადგენისას მირითად როლს ასრულებს სინტაქტიკური და პარალიგმატული კავშირები. სინტაქტიკურ-პარალიგმატული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიზიაროთ მეცნიერთა მიერ დამუშავებული გრამატიკული კატეგორიების შემდეგი განმარტება: გრამატიკული კატეგორიები – ეს არის გარკვეული მეტყველების ნაწილის ურთიერთსაპირისი და ფორმალური ნიშნებითა და ფორმათა შინაარსით ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიები. გრამატიკული კატეგორიის აღნიშნული განმარტება დასაშვებს ხდის ანალიზის როგორც სემასიოლოგიურ (ფორმიდან შინაარსისაკენ, ფუნქციისაკენ), ასევე ონომასიოლოგიურ (შინაარსიდან, ფუნქციიდან გამოხატვის საშუალებებისაკენ) პრინციპს. გრამატიკულ ერთეულთა ფუნქციონირების ანალიზისადმი თრმებრივი მიღვიმა განპირობებულია ენობრივი ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმით (კარცევსკის მიხედვით) ე.ი. გამოხატვის პლანისა და შინაარსის პლანის ერთეულთა შორის იზომორფიზმის არარსებობით. გრამატიკული კატეგორიების გამოყოფისას სასურველია დავეყრდნოთ ფორმას ე.ი. უნდა დავეფუძნოთ ანალიზის სემასიოლოგიურ პრინციპს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი ეხება სიტყვაცვალებადი ტიპის კატეგორიებს, როგორიცაა ფრანგული სტრუქტური.

სადაო გრამატიკული კატეგორიების შემადგენელ გრამათა რაოდენობის საკითხი: მკვლევართა ერთი ნაწილი ემხრობა მხოლოდ ბინარული კატეგორიების არსებობას (შტელინგი), მეორე ნაწილი კი შესაძლებლად მიიჩნევს ისეთი კატეგორიების არსებობას, რომლებიც მოიცავს თრ წევრზე მეტს (კინოგრადივი).

როგორც ცნობილია, ფრანგული ენა უმთავრესად ხასიათდება ბინარული გრამატიკული კატეგორიებით: დეტერმინაციის, სქესის, რიცხვის კატეგორიები და ა.შ. ბინარულ გრამატიკულ კატეგორიებში ერთი წევრი მარკირებულია, მეორე კი – სუსტი, არამარკირებული. მარკირებულია ის წევრი, რომელსაც გააჩნია ფორმალური განმასხვავებელი ნიშანი; გამოხატვის ასექტში მარკირებული წევრი არამარკირებულთან შედარებით მეტ ნიშანს (ფონურ მასას) შეიცავს. ასევე მარკირებული წევრი უფრო ნაკლები სისშირით გამოიყენება, ვიდრე არამარკირებული წევრი. [ტოგებიუ 1969: 98-101]

გამოხატვის პლანისაგან განსხვავებით, შინაარსის პლანში გრამატიკული კატეგორიების განსაზღვრებასა და მარკირებულ/არამარკირებულ წევრთა განმარტებას შორის აღინიშნება არსებითი შეუთანხმებლობა. მათ მიხედვით მდგრადი და რომ ტრუბეცკოის მიერ ფონოლოგიისათვის შემოთავაზებული ოპოზიციების დახასიათება ეფუძნება მორფოლოგიური

კორელაციების განმარტებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფონოლოგიისა და გრამატიკის ერთეულებს შორის სრული იზომორფიზმი არ არსებობს: ფონემა ერთმხრივი ნიშანია, გრამატიკული ფორმა კი – ორმხრივი. ამიტომაც გრამატიკული კატეგორიების შესწავლისას საკმარისი არ არის ერთმანეთს დაუპირისპირო კორელაციური ფორმები (ან ფორმათა რიგები) ნიშანთა არსებობა/არარსებობის მიხედვით. აუცილებელია განვსაზღვროთ ის საერთო ნიშანი, რომელიც მათ აერთიანებს და, ამასთანავე, არ ცვლის რომელიმე წევრის მნიშვნელობას. ურთიერთსაპირისპირო გრამატიკა (ორმხრივი ერთეულები) ერთი და იგივე შინაარსი განპირობებულია ორი ფაქტორით: 1. ობიექტურ რეალობასთან მიმართებით და 2. მოსაუბრების პირთან ან პროტაგონისტთან (ადამიანური ფაქტორი) მიმართებით. ეს მომენტები ყოველთვის ფუნდამენტური იყო გრამატიკულ პრობლემათა გადაჭრისას.

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ორი მონაცესავე ცნება, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებს: ოპოზიცია, როგორც გრამატიკული კატეგორიების არსებობის საფუძველი და ოპოზიცია, როგორც ანალიზის, კვლევის მეთოდი. ზმნური პარადიგმის შიგნით ოპოზიციური მეთოდის საშუალებით შეგვიძლია ერთმანეთს დაუპირისპირო სიტყვათწარმოების, სიტყვათფორმის ნებისმიერი წყვილი, ოუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ ოპოზიციებიდან ნებისმიერი აწარმოებს გრამატიკულ კატეგორიას. გრამატიკული კატეგორიის გამოყოფისას მხედველობაში მიიღება მოცემული მეტყველების ნაწილის სისტემურ-სტრუქტურული ორგანიზაცია, ფორმალური საშუალებები და მოელი პარადიგმის გრამატიკული ფორმების ფუნქციები. ფორმალური ნიშნებით აღჭურვილი სიტყვათფორმების მნიშვნელობებისა და ამ ნიშნების არქონე, ანდა სხვა ნიშნების მქონე სიტყვათფორმების სისტემური ურთიერთდაპირისპირება წარმოქმნის გრამატიკული კატეგორიის არსეს, რომელიც განაპირობებს შიდაკლასობრივ პარადიგმას. ვინაიდან გრამატიკული ფორმები სისტემაში შეისწავლება, ამდენად ფორმალურ ნიშანთა არარსებობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი არსებობა: ნულოვანი ნიშნის მქონე ფორმა ფორმალური ნიშნის მქონე ფორმასთან დაპირისპირებისას აღჭურვილია ერთგვარი სახის ნიშნით, როგორც გამოხატვის, ასევე შინაარსის პლანში.

გრამატიკული კატეგორიების დახასიათება ასევე უნდა აქმაყოფილებდეს ორ შემდგომ პირობას: 1. მოცემულ მეტყველების ნაწილში შემაგალ სიტყვათა არსებული შემადგენლობა უკლებლივ ნაწილდება გრამატიკულ კატეგორიებში. 2. ოუკი ერთი და იმავე კატეგორიის ერთი და იგივე ფორმა გამოხატავს ორ ურთიერთგამომრიცხავ მნიშვნელობას, მაშინ არც ერთი მათგანი არ მიიჩნევა მოცემული გრამატიკული ფორმის არსის გამომხატველად. [შტელინგი 1996: 92]

ფრანგულ ენაში გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიურ წინაპირობას წარმოადგენს შემდეგი:

1. “ენისა” და “მეტყველების” ცნებათა გამიჯვნა;
2. ენის სისტემური წყობის დასაბუთება, როგორც ენობრივ ერთეულთა სინტაგმატური, პარადიგმატული და იერარქიული დამოკიდებულების გამოხატვა;
3. ენის გრამატიკული წყობის პარადიგმატული და სინტაგმატური ასპექტების ერთიანობა;
4. გრამატიკული ფორმის სისტემური (პარადიგმატული) მნიშვნელობის გამოვლენის კომპლექსური მეთოდიკა.

მართებულია, ენა განვიხილოთ, როგორც იმ ერთეულთა სისტემურ-სტრუქტურული ორგანიზაცია, რომლებიც გვხვდებიან სხვადასხვა იერარქიული დონის მიმართებებში (ფონემა, მორფემა, სიტყვა, მარტივი წინადადება, როული წინადადება) ანდა ერთი დონის სინტაგმატურ და პარადიგმატულ კავშირებში.

მეტყველება – ეს არის ენის რეალიზაცია კომუნიკაციისა და ადამიანის აზრობრივი მოქმედების პროცესში. ენა ფუნქციონირებს მეტყველებაში და მეტყველებით შეიცნობა, იგი ხორციელდება ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდთა მოელი კოლექტივის მეტყველებაში.

გრამატიკულ ერთეულთა სინტაგმატური და პარადიგმატური დამოკიდებულებები განსაზღვრავენ ენის გრამატიკული წყობის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ასპექტს ე.ი. გრამატიკულ ერთეულთა სისტემურ-სტრუქტურულ წყობასა და მათ ფუნქციონირებას. სინტაგმატიკა ხასიათდება სწორხაზოვანი თანამიმდევრულობით და არაერთგვაროვანი, მაგრამ

სირთულის ერთ საფეხურზე მდგომი ენობრივი ერთეულების კავშირებით ე.ი. ისეთი ელემენტებისა, რომლებიც ერთად არ იმყოფებიან სხვადასხვა იერარქიული დონის დამოკიდებულებებში. სინტაგმატიკურ პლანში მოცემულია ერთი დონის (მაგ. მორფემთა, მეტყველების ნაწილთა) სხვადასხვა კლასის სიტყვათა შორის არსებული კავშირები. გრამატიკული პარადიგმა გულისხმობს გრამატიკულ ერთეულთა ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებებს, თოთოეული მათგანის პოზიციას გრამატიკულ სისტემაში. პარადიგმატული ურთიერთობები გვიჩვენებს სირთულის ერთ საფეხურზე მყოფი, ძირითადად ერთგვაროვანი ელემენტების დამოკიდებულებებს. პარადიგმატიკა აერთიანებს იმ ელემენტებს, რომელთაც სინტაგმატიკურ შეუძლიათ ერთმანეთს ჩაენაცვლონ. გრამატიკული სისტემების სხვადასხვა დონებს შორის არსებობს იერარქიული ორგანიზაცია. გრამატიკულ მოვლენებში შეიძალოს სირთულის პარადიგმატული და კლასთაშორისი სინტაგმატური ურთიერთობების არსებობა გვიდასტურებს, რომ ისინი მიეკუთვნებიან ერთ დონეს.

პარადიგმატულ ურთიერთობები საფუძვლად უდევს გრამატიკული კატეგორიების შექმნას, მაგრამ კატეგორიალურ ფორმათა მნიშვნელობების იდენტიფიკაციისას მთავარ როლს თამაშობს სინტაგმატიკა ე.ი. მათი პარადიგმატული მნიშვნელობა განპირობებულია მათი ფუნქციონირებით სინტაგმატურ პლანში. მეტყველებისას სხვა კომპონენტებთან კომბინაციისას ურთიერთობას განსაზღვრავს არა მთლიანად გრამატიკული კატეგორია, არამედ კატეგორიის ესა თუ ის წევრი ე. ი. კატეგორიალური ფორმა.

ამგვარად, ფრანგულ ენაში ენობრივ ერთეულთა სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები განსაზღვრავენ მორფოლოგიურ ფორმათა სისტემურ მნიშვნელობასა და გრამატიკულ კატეგორიათა სტრუქტურას მეტყველების ნაწილის ფარგლებში. ონთოლოგიურ პლანში ენის სისტემაში ენობრივ ერთეულთა შორის არსებულმა სინტაგმატურმა და პარადიგმატულმა კავშირებმა განაპირობებს ლინგვისტიკაში სინტაგმატურ-პარადიგმატული ანალიზის გაჩენა, რომელიც მეტნაკლებად ამომწურავად ასახავს ენის სისტემურ ხასიათს.

#### ლიტერატურა:

1. Dubois, J. & al. *Dictionnaire de linguistique et des sciences du langage*, Larousse, 2013.
2. Mikus R.-F. *Les « Problèmes » de M. Benveniste et la théorie syntagmatique*. In: Revue belge de philologie et d'histoire. Tome 56, 1978.
3. Togeby K., *Structure immanente de la langue française* In: Langue française № 1, 1969.
4. Штелинг Д.А. *Грамматическая семантика английского языка*, Москва, 1996.

**Ekaterine Gachechiladze**

#### Syntagmatic-paradigmatic relations as a basis of defining grammatical categories in French Abstract

In French, paradigmatic relations are the basis of the construction of grammatical categories, but syntagmatics plays a major role (i.e. their paradigmatic value due to their operation in terms of syntagmatic) in identification of the values of the categorical forms. In speech, in combination with other components, relations are not only defined by the grammatical category as a whole, but by one or the other member of the categories, i.e., categorical form. Syntagmatic and paradigmatic relations determine the systemic importance of the morphological forms and structure of grammatical categories within the parts of speech. The existing system of language in terms of ontology, syntagmatic and paradigmatic relations between linguistic units resulted the emergence of linguistic syntagmatic-paradigmatic analysis, which describes systemic nature of language most exhaustively.

**Екатерине Гачечиладзе****Синтагматико-парадигматическая основа грамматических категорий во французском языке****Резюме**

В статье отмечается, что во французском языке парадигматические отношения лежат в основе построения грамматических категорий. Но в идентификации значений категориальных форм основную роль играет синтагматика, т.е. их парадигматическое значение обусловлено их функционированием в синтагматическом плане. В речевой цепи в комбинации с другими компонентами в определенные отношения вступает не грамматическая категория в целом, а тот или иной член категории, т.е. категориальная форма. Синтагматические и парадигматические отношения языковых единиц определяют системное значение морфологической формы и структуру грамматических категорий в пределах части речи. Существующие в системе языка в плане онтологии синтагматические и парадигматические связи между языковыми единицами обусловили возникновение в лингвистике синтагматико-парадигматического анализа, который наиболее исчерпывающе учитывает системный характер языка.

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

Darejan Dwali - Demetradse

ქუთაისი, საქართველო

## Suggestopädische Formen im DaF - Unterricht

სტატიაში განხილულია სუბეტოპედიის ფორმები უცხო ენის მეცადინეობაზე. სუბეტოპედია უკავშირდება ბულგარუელი თერაპევტისა და პედაგოგის გეორგ ლოზანოვის სახელს, რომელმაც ექსპერიმენტებით განავითარა სწავლის და დამახსოვრების მოძებულება. უნარი. მოცემულია სუბეტოპედიის მოქმედების ძირითადი ფაქტორები.

Die Suggestopädie ("to suggest"+Pädagogik) geht auf die Entwicklungen des bulgarischen Therapeuten und Pädagogen Georgi Lozanov zurück. In Experimenten entwickelte er eine Methode, die gesteigerte Lern - und Gedächtnisleistung versprach. Zwei Elemente spielen dabei eine tragende Rolle, Lernen unter Entspannung und Lernen durch Suggestion bzw. Desuggestion. Als "Superlearning" fand die Methode dann seit den 70er Jahren große Beachtung. Zunächst im Fremdsprachenunterricht angewandt, findet sie heute zunehmend Eingang in den Fachunterricht.

Die Suggestopädie wird heute als Kunstwort definiert, das sich aus dem englischen "to suggest" (anbieten) und "Pädagogik" zusammensetzt. Damit rückt weniger die Suggestion, sondern vielmehr der Angebotsaspekt der suggestopädischen Arbeits - und Unterrichtsmethode in den Mittelpunkt der Aufmerksamkeit. Das "Anbieten" ist heute das Schlüsselwort, das für viele Suggestopäden das Wesen der Methode beschreibt, den der suggestopädische Unterricht macht Schülern und Teilnehmern eine Vierzahl von Lernangeboten, um Lernfreude und das Lernen selbst positiv und effektiv zu gestalten.

### Wirkfaktoren der Suggestopädie

1. **Rhytmisierung** bezieht sich auf den gesamten Unterricht und betrifft den Wechsel von Anspannung und Entspannung, von aktiven und passiven Phasen sowie den Einsatz unterschiedlicher Sozialformen. Rhytmisierung sorgt für Abwechslung der Teilnehmer und damit für erhöhte Konzentrationsfähigkeit.

2. **Multisensorik** - Lernen mit allen Sinnen bedeutet das konsequente Aufbereiten aller Inhalte für alle Lerntypen und die Berücksichtigung der unterschiedlicher Lernstile. Ganzheitliches Lehren bedeutet den ganzen Menschen anzusprechen und einzubeziehen: Kopf, Herz und Bauch. Die Menschen lernen unterschiedlich und daher muss ein Lernstoff für alle Sinne aufbereitet werden.

3. **Gruppenprozess** werden durch den Einsatz wechselnder Sozialformen, durch gemeinsame Aktivitäten und spielerische Methoden gefördert und genutzt. Als Erfolgsfaktoren einer Gruppe kann man zwischen Kommunikation und Kommunion unterscheiden. Die Kommunikation dient dem Austausch, der in Kleingruppen - und Partnerarbeit stattfinden kann, Kommunion wird durch gemeinsames Erleben erzeugt: bei Spielen und Bewegungen, in Entspannung.

4. **Suggestion und Desuggestion** meint die mentale und psychische Vorbereitung und Öffnung der Lerner, den Abbau von Lernbarrieren, die Förderung von Selbstvertrauen und Freude am Lernen. Hierzu tragen auch Entspannungsübungen und eine angenehme Lernatmosphäre bei.

5. **Musik** in der Suggestopädie spielt eine wichtige Rolle, denn sie hat großen Einfluss auf die psychische Verfassung des Menschen. Sie hilft in einem entspannten Zustand zu kommen. Sie kann aber auch energetisieren oder einen Erinnerungsanker an bestimmte Lerninhalte darstellen.

#### **ლიტერატურა:**

1. Grötzebach C.: Spiele und Methoden für ein Training mit Herz und Verstand, Cabal, 2008
2. Zamyat M. Klein: Zauberwelt der Suggestopädie, 2010

**Darejan Dvali-Demetradze**

#### **Suggestopedia in Foreign Language Learning**

##### **Abstract**

Suggestopedia is connected with the name of a Bulgarian therapist and teacher Georgi Lozanov. By means of experiments he worked out a method which develops the skills of learning and remembering. In this method two elements are the most important: learning on the background of discharging and learning by the help of suggestion and desuggestion. This method was paid a great attention from the 70-ies of the last century.

The main methods of suggestopedia are rhythm, multi sensoral learning including all organs of perception, group work, suggestion, desuggestion and music.

The method of suggestopedia helps a language learner by the fact it gives him/her a relaxation and fills him/her with energy.

**Дареджан Двали-Деметрадзе**

#### **Формы сугестопедии при изучении иностранного языка**

##### **Резюме**

Сугестопедия связана с именем болгарского терапевта и педагога Георгия Лозанова, который посредством экспериментов разработал метод, развивающий способности изучения и запоминания. В этом методе основную роль играют два элемента: обучение на фоне снятия напряженности и обучение с помощью сугестии или десугестии. Метод сугестопедии в процессе изучения иностранного языка привлек к себе пристальное внимание с 70-х годов прошлого столетия.

Основные факторы действия сугестопедии - ритмичность, мультисенсорное обучение путем включения всех органов чувств, процесс групповой работы, сугестия, десугестия и музыка. Использование метода сугестопедии при изучении иностранного языка помогает обучаемому тем, что снимает у него напряженность и наполняет его энергией.

## სტილისტიკურად მარკირებული ერთეულების კომპინატორიკა მხატვრულ ტექსტში

ტექსტის შესწავლის ინტერესის ზრდასთან დაკავშირებით, განვითარება პპოვა სტილისტიკური მოვლენების სამეტყველო ასპექტების გამოკვლევებმა, კერძოდ, ლექსიკური ერთეულების სტილისტიკურმა ფუნქციონირებამ მხატვრულ ტექსტში. ჩვენი გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს სიტყვის სტილისტიკური ფუნქციონირება სუპერხაზოვანი კავშირების ჯაჭვში. სიტყვას, რომელიც სუპერხაზოვანი კავშირების ჯაჭვიდან შეიძენს ტექსტურ სტილისტიკურ ინფორმაციას, ეწოდება სტილისტიკურად მარკირებული ერთეული (სმ), ხოლო ოვით მოვლენას, სიტყვით მოიპოვო სტილისტიკური ინფორმაცია სუპერხაზოვანი კავშირების ხარჯზე-სტილისტიკური მარკირება(სმ). ეს ტერმინები ხშირად გვხდებიან ლინგვისტურ ლიტერატურაში, მაგრამ მკვლევართათვის მათში ჩადებული აზრი არაერთგვაროვანია. სმ განიხილავენ, როგორც რამე იმანტებურს ლექსიკურ ერთეულში, როგორც სტილისტიკური მნიშვნელობის სინონიმს [1;7] როგორც ლექსიკური ერთეულის პოზიტიურ სტილისტიკურ მნიშვნელობას, მის მომარაგებას განსაზღვრული იარღიყით, რომელიც მიუთითებს განსაზღვრულ ვიწრო სამეტყველო სფეროსადმი მის თანაფარდობაზე [6]; როგორც ექსპრესიულობის ნორმიდან გადახრას, ანუ როგორც სუფთა სამეტყველო განათლე- ბას. არსებობს შეხედულება, რომ მარკირებული ერთეულები არსებობენ ენის სემან- ტიკური სისტემის პერიფერიაზე და მათ- თვის დამახასიათებელია ემოციურობა და ექსპრესიულობა [4].

ჩვენი აზრი სტილისტიკურ მარკირებაზე ძირეულად განსხვავდება ზემოთ ჩამო- თვლი- ლი შეხედულებებისაგან. სმ განვიხილავთ, როგორც ტექსტში სიტყვის სუპერ- ხაზოვანი კავშირების ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილ მოვლენას. საკითხს ვიხილავთ მხატ- ვრული ტექსტის ბაზაზე და მასში სიტყვის ქცევის განსახილვებიდან, აუცილებელია შევ- ჩერდეთ მხატვრული ტექსტის ძირითად მახასიათებლებზე. სმე წარმოადგენს მხატვრული ტექსტის განუყრელ კუთვნილებას, სადაც ხაზოვანი დამოკიდებულების გვერდით არსებობს სუპერხაზოვანი დამოკიდებულების როტული სისტემა. მხატვრული ტექსტი მრავალმხრივია იმის შედეგად, რომ მას აქვს თავისი საერთოენობრიობიდან განსხვავებული სემანტიკური სტრუქტურა [5], კერძოდ, მხატ- ვრულ ტექსტში შეპირისპირდებიან სემანტიკური ერთეულები, რომლებიც პირველა- დი სტრუქტურის დონეზე შესაძლებელია არ გამოვლინდნენ ექვივალენტურებად. მხატვრულ სტრუქტურაში ეს ერთეულები შესაძლებელია აღმოჩნდნენ ურთი- ერთვა- რალების მდგრამარეობაში და განხილული იქნან მოცემული სისტემის ჩარჩოში, როგორც ექვივალენტურნი [5]. მხატვრულ ტექსტში საკუთარი სემანტიკური სტრუქტურის არსებობა განპირობებულია, იმით, რომ სიტყვის დახმარებით მთხოვბელი "გადაამუშავებს" სამყაროს, რისთვისაც სიტყვამ იმანტებურად უნდა გადალახოს სიტყვის მნიშვნელობა, უნ- და გახდეს სხვათა მიერ სამყაროს აღქმისა და სამყარო-სადმი ავტორის დამოკიდებულების გამოხატვულება [3]. ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დამატებითი და ინტე-

უნდა აღინიშვნოს, რომ არსებობენ სხვა შეხედულებანი სიტყვური ნიშნის ქცევაზე სამეტყველო ჯაჭვში. კონტექსტუალისტების თანახმად, სიტყვა თავის მნიშვნელობა იძენს მხოლოდ კონტექსტში: მოხმარება პირველადია, მნიშვნელობა არ გამოდის მისგან, ანუ მნიშვნელობა მოხმარების ექვივალენტურია. ლექსიკური მნიშვნელობა არაფერია სხვა, გარდა ხელოვნურად იზოლირებული კონტექსტუალური მნიშვნელობისა, ან მისი ხელოვნური პერიფრაზისა. ამ კონცეპციის ჩარჩოში მხოლოდ წინადადებას აქვს აზრი, სიტყვების მნიშვნელობა ნაწარმოებია წინადადების აზრიდან. დიამეტრალურად საწინააღმდეგოა შეხედულება მნიშვნელობაზე როგორც ხმოვან კომპლექსზე მდგრადად დამაგრებული უცვლელი კონცეპტი, ან პირდაპირი შეფარდებითი კავშირები გარე სამყაროსთან და გამოცდილებასთან. ასეთი მიღება-მით ნიშნების ნომინატიური ფუნქცია პიპერტონფირდება. შუალედური მდგრადულება უჭირავს შეხედულებას ისეთ საბაზო მნიშვნელობაზე, რომელიც ზღუდავს კონტექსტუალურ მნიშვნელობას “სიტყვებს რომ არ გააჩნდეთ მნიშვნელობები კონტექსტს გარეთ, შეუძლებელი გახდებოდა ლექსიკონის შედგენა” [9: 49].

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვური ნიშანი თრმბერივია: იგი – სისტემის ერთეული, რომელიც აფორმირებს მას როგორც ნიშანს და როგორც ერთეული, იგი ამავე დროს ფუნქციონირებს მეტყველებაში, ავლენს თავის სინტაგმურ ბუნებას. სიტყვა- თა სინტაგმური დამოკიდებულებანი წარმოქმნიან სისტემურ მნიშვნელობას და ამავ- დროულად სისტემის გადალახვით განუწყვეტლივ ქმნიან ახალ მნიშვნელობებს. მეტყველებაში მიმდინარეობს მრავალმნიშვნელიანობის მოქსნა და მნიშვნელობის შერჩევა, რომელიც აკმაყოფილებს კომუნიკაციურ და-ვალებას ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, სიტყვები მეტყველებაში უსათოოდ მდიდრდებიან ახალი მნიშვნელობებით და მიმდინარეობს დიალექტიკური ურთიერთზემოქმედება კონკრეტულისა და აბსტრაქტულისა, ერთეულისა და საერთოსი. ყველა ეს კანონმზომიერებანი დამახასიათებელია სიტყვისოვისაც მხატვრულ ლიტერატურაში, ამავდრო- ულად მას აქვს მიდრეკილება, მოახდინოს ზემოქმედება მხატვრული ტექსტის მთელ სისტემაზე. მნიშვნელობათა ურთიერთზემოქმედებას ტექსტის დამახასიათებელი ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა კომპოზიცია, ჩანაფიქრი ერთის მხრივ და პრაგმატიკა მეორეს მხრივ, გარდუვალად მივყავარო ლექსიკური ერთეულების სემანტიკაში კომბინატორულ პროცესებთან, მათი სემანტიკური სტრუქტურებისა და მოცულობის ცვლილებებთან, სიტყვაში მისი რამდენიმე ლექსიკონური

მნიშვნელო- ბის ერთდროულ რეალიზაციასთან, იმპლიციტურ მნიშვნელობასთან შეზრდას-თან.

მხატვრული ნაწარმოების ტექსტში სემანტიკური პროცესები მიმდინარეობენ არა მარტო ტექსტის ხაზოვანი გადანაწილების დონეზე, არამედ როული ზეხაზო- ვანი ურთიერთქმედების რეალიზაციის დროსაც. სწორედ ეს ზეხაზოვანი, სუპერხა- ზოვანი ურთიერთქმედებები წარმოშობები სმე. ეს ხაზოვანი შინაარსი ”პარალელუ- რია რომელიდაც სხვა შინაარსისა და ეს ”სხვა შინაარსი” ატარებს ძირითად ინფო- რმაციულ დატვირთვას, ხაზური შინაარსი კი თავის თავზე იღებს ფორმის ფუნ- ქციას, რომელშიც მოიქცევა ეს ინფორმაცია” [4: 57] ეს ზედხაზური, ანუ სუპერხა- ზოვანი მნიშვნელობა ვლინდება სუპერხაზოვანი ანალი- ზით. სუპერხაზოვანი ანალიზის მეთოდიკა დამუშავებული აქვს ი. გალპერინს. ამ მეთოდი- კის თანახმად სუპერხაზოვანი ანალიზი ეს არის ბეგრითი, მორფოლოგიური, ლექსიკური და სინტაქსური სიგნალების სინთეზი, მოპოვებული უბრალო დაკვირვებით შესაბამის ენობრივ დონეზე. სუპერხაზოვანი ანალიზი გვაძლევს ინფორმაციას ტექსტის კომპონენტების ხარის- ხისა და პოტენციური შესაძლებლობის შესახებ, რასაც მივყავარო მოცემული ენობრივი ერ- თგულის არსის გააზრებამდე და მის საერთო

პარადიგმულ დახასიათებამდე. სუპერხაზოვანი ანალიზი ითვალისწინებს გამონათ- ქა- მების მსხვილი მონაკვეთების ურთიერთკავშირისა და ურთიერთ ზემოქმედების განხილვის აუცილებლობას. ამ მეთოდში გათვალისწინებულია: განსაკუთრებული

კავშირები სინტაქსურ სტრუქტურებს შორის; სიტყვების კონტექსტუალური მნიშვნელო- ბები, გამოწვეული სიტყვების განსაკუთრებული შერწყმით და სტილისტიკური ხერხების ფუნქციებით; მრავალმიზვნელიანი სიტყვის ორი, ან მეტი მნიშვნელობის ერთდროული რე- ალიზაცია. ეს მეთოდი უზრუნველყოფს როგორც გამონათქვამის შინაარსის, ისე ავტორის ჩანაფიქრის უფრო დრომად გახსნას.

მოცემულ ნაშრომში გამოსაკვლევი სმე არსებობენ სუპერხაზოვანი კავშირების სისტემაში და ვლინდებიან სუპერხაზოვანი ანალიზის მეთოდით. სმ წარმოადგენს ისეთი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა აღემატება ნეიტრალური ბაზუ- რი ლექსიკური ერთეულის შინაარსს, არსებულს მისი ხაზოვანი გადანაწილების დონეზე. ორივე მნიშვნელობა არსე- ბობს პარალელურად, ამასთან ამ მნიშვნე- ლობების კომბინატორიკობის არსი მდგომარეობს მათ ურთიერთ კავშირში, ურთიერთ დამოკიდებულებაში და ურთიერთ განპირობებულობაში. კერძოდ: სმე წარმოიქმნება ნეიტრალურად ბაზური ლექსიკური ერთეულის ბაზაზე და სმე-ს მნიშვნელობა “მიბმულია” ამ ბაზური ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობაზე იმ აზრით, რომ უკანასკნელს იყენებს როგორც საკუთარი მნიშვნელობის ფორმირების წყაროდ. მაშასადამე, სმე არ წარმოადგენს ავტონომიურ ერთეულს. ბაზური ნეიტრა- ლური ლექსიკური ერთეუ- ლის მნიშვნელობა განიცდის ცვალებადობას სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით. მას- ში მიმდინარეობს განსაზღვრული სემანტიკური გარდაქმნა, რაც ქმნის საფუძველს მიენიჭოს ბაზურ ერთეულს სმ.

იმის გათვალისწინებით, რომ პარალელური მნიშვნელობები ობიექტურად არსებობენ და რეგისტრირდებიან ორ დონეზე - გამონათქვამის საკუთარი გადანაწილების დონეზე და სუპერხაზოვანი კავშირების სისტემაში, გვაძლევს საშუალებას ვისაცხოვო სინტაგმატიკაში ორ იარუსიანი სტრუქტურის არსებობის შესახებ. იარუსს სადაც აქტუალიზირდება უშუა- ლოდ მოცემული მნიშვნელობა, ვუწოდოთ საკუთრივ სინტაგმატიკური იარუსი, ხოლო იარუსს, სადაც აქტუალიზირდება სუპერხაზოვანი კავშირებით აღმოცენებული მნიშვნელობა, სუპერ- ხაზოვანი იარუსი. ტერმინი ”სტილისტიკური მარკირება” წარმოადგენს ადეკვატურს სუპერ- ხაზოვანი იარუსის სტილისტიკური მოვლენების ადსანიშნავად, რამდენადაც ეს მოვლენები ზუსტად მარკირდებიან, აღინიშნებიან, ანუ იძენენ სტილისტიკური ოვისების მარკერს. სმე წარმომქმნელი მექანიზმი მოქმედებს შემდეგი სქემით: მნიშვნელობის მისანიჭებლად ამოირ- ჩევა ობიექტის, ან სინამდვილის მოვლენის განსაზღვრული თვისება. მნიშვნელობის მინიჭება მიმდინარეობს სუპერხაზოვან იარუსზე, უკვე საკუთარ სინტაგმატიკურ იარუსზე არსებული ბაზური ლექსიკური ერთეულის გამოყენებით, რომლის სემანტიკური სტრუქტურა განიც- დის საჭირო სემანტიკურ ცვლილებებს, ზეხაზოვანი ურთიერთქმედების სარეალიზაციოდ და თვით სმე-დან საააქტუალიზაციოდ. სმე წარმოქმნა მხატვრულ ტექსტში განპირობებულია

ერთის მხრივ თვით ტექსტის მრავალმხრივობით და სიღრმით, მეორეს მხრივ სმე თვით ქმნის ტექსტის სიღრმეს და მრავალმხრივობას, რამდენადაც ორი მნიშვნელობის პარალელურად არსებობა სინტაგმატიკის ორ იარუსზე ერთი ბერითი კომპლექსის ჩარჩოში, შრეებად ყოფს ტექსტის მხარეებს, ზრდის ინფორმაციის მოცულობას. სმე სირთულის მაღალ ხარისხს წარმოშობს, უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი, რომ სმე აღწერს არა ექსპლიციტურად მოცემულს, არამედ აღმდგენ ჰიპოტეტურად მოცემულ რეფერენტს. მაშასადამე სმე სირთულე არის ის, რომ იგი ამჩნევს ახალ სემანტიკურ კონტენტებს და ამავდროულად გადართავს ბერით კომპლექსს, რომლის ჩარჩოშიც საკუთარ სინტაგმატიკურ იარუსზე არსებობს მნიშვნელობა ახალი ობიექტის დასა- ხელებაზე, მისგან გამომავალი ყველა სემანტიკო-სტილისტიკური ტრანსპოზიცი- ებით. ახალი რეფერენტი არ არის რაღაც განსხვავებული და გარედან შემოტანილი, იგი რეკონსტრუქტურდება მოცემულ ტექსტში აღწერილი ობიექტების სისტემიდან. სმე არსებობის ლინგვისტურ წინაპირობას წარმოადგენს სიტყვის უნარი მხატვრულ ტექსტში შევიდეს რამდენიმე კონტექსტურ სტრუქტურაში. სმე არსი მდგომარეობს მასში, რომ ერთი და იგივე შესიტყვება, ასევე ტექსტის ნაწყვეტები იცვლებიან, მიმდინარეობს სემების ოპისებური “არევა”. პოტენციალური სემები აქტუალიზირ- დებიან, იძენებ დიფერენციალური სემების სხვა, აქტიურ სტატუსს, იცვლება სემების ურთიერთშესამება. შედეგად აღმოცენდება სხვა, ახალი მნიშვნელობა, რომელიც შედის განსაზღვრულ ურთიერთშედებაში, როგორც ძველ, ადრინდელ მნიშვნელობასთან, ასევე გარშემო მყოფ სიტყვების მნიშვნელობებთან. ეს სიტყვები იწყებენ გამოყოფას ნეიტრალური ერთეულების ფონზე. ძლიერდებიან, კომუნიკაციურად გამოიყოფან, აზრობრივი მნიშვნელობის შედარებით მნიშვნელოვანი კომპონენტები და რედუცირდებიან ნაკლებად მნიშვნელოვანები. ტექსტში გამოყოფილ გაძლიერებულ ელემენტებს წარმოადგენს სტილისტიკურად ნიშნული ელემენტები და ბუნებრივია სმე. როგორც ცნობილია, პროცესმა, სადაც სიტყვა იძენს ტექსტში რომელიდაც განსაკუთრებულ “ამოზნექილ თვისებას”, ზოგიერთი ლინგვისტის ტერმინებში მიიღო სახელწოდება ”წარმყნება” ან “აქტუალიზაცია”, ენობრივი საშუალებების ისეთი გამოყენება, რომელიც თვითონ იპყრობს ყურადღებას და აღიქმება როგორც რაღაც არაჩვეულებრივი, ავტომატიზმის უნარ წარომეული, დავტომატიზირებული, მაგალითად ცოცხალი პრეტური მეტაფორა.

აქტუალიზაციის განსაზღვრისას ლინგვისტები გამოდიან პრობლემების ფსიქო- ლოგიური ასპექტიდან, კერძოდ იქიდან, რომ პოეტურ ენაში კომუნიკაციური ენისა- გან განსხვავებით, მკითხველის ყურადღება გადატანილია არა შინაარსზე, არამედ გადმოცემის ფორმაზე, თვით ენობრივ ფაქტზე, რომელიც ასეთი სახით აქტუალიზი- რდება. “წამოყენებისა” და “აქტუალიზაციის” ცნების საფუძველში ძევს ურთიერთ დაპირისპირება ტრადიციულად აღსანიშნისა და სიტუაციურად ადსანიშნისა. მოცე- მული მოვლენის ყველა ნიუანსებისა და განსხვავებულობის გასაგებად მხედველო- ბაში მისაღებია სწორედ მისი ეს მხარე. სმე-თან დამოკიდებულებით ავტომატიზირე- ბულ ელემენტებად გამოდიან საკუთრივ სინტაქტიკური იარუსის ერთეულები. აქტუალიზაციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ტექსტში ერთეულის გამოჩენისოანავე. ამ დროს მიზანშეწონილია ვისაუბროთ მნიშვნელობის აქტუალიზაციაზე საკუთრივ სინტაქტიკურ იარუსზე, ანუ ადგილი აქვს რეალურად მოცემულ კონტექსტშ- ალურ აქტუალიზაციას, თუმც აქტუალიზაცია მიმდინარეობს რაღაც დროის დაგვიანებით, რამდენადაც დამატებითი სტილისტიკური ინფორმაციის სიგნალების დამუშავება მიმდინარეობს უკვე მას შემდეგ, როდესაც ერთეული შეგხვდა ტექსტში, ტექსტის ნაწყვეტის(ან მთელი ტექსტის) რეტროსპექტიული შეფასების ბაზაზე. ეს აქტუალი- ზაცია არის სუპერხაზოვან იარუსზე. სუპერხაზოვან იარუსზე აქტუალიზირებული ერთეული არის სწორედ სმე. აზრი მიღებული სმე და საკუთრივ სინტაქტიკური იარუსის ნეიტრალურად ბაზური ერთეულის ურთიერთქმედების შედეგად, განსაკუ- თრებით ტევადია, რამდენადაც ატარებს შეფასებასაც და ავტორის კომენტარებსაც.

სმე წარმოქმნის მექანიზმში წამყვანა როლს თამაშობენ სემანტიკური სიგნალები, რომელთა ქვეშ იგულისხმება სიტყვათა სემანტიკური სისტემები, რომლებიც დაკავ- შირგბულნი არიან აქტუალიზირებულ სმე-თან თემატურად, ასოციაციურად, სემან-ტიკურად და ამ სმე აქტუალიზაციის წარმომქმნელებთან. სტილისტიკური მეთოდი- დან განსხვავებით, სმე აქტუალიზაციისათვის საჭიროა ტექსტში გაძნეული სემანტიკური სიგნალების საკმაო რაოდენობის მო-

პოვება. სტილისტიკური მეთოდი აქტუალიზირდება მიკროკონტექსტში და მისი აქტუალიზაციისათვის აუცილებელი სემანტიკური სიგნალების რაოდენობა შეზღუდულია, რამდენადაც უშუალოდ მოცე- მულის წამოსაყენებლად, საჭიროა ნაკლები მოცულობის ლინგვისტიკური მექანიზმი, ვიდრე პოტენციურად მოცემულის წამოსაყენებლად. სტილისტიკური მეთოდი ყოველთვის შეიცავს მეტ რეალურ სტილისტიკურ ინფორმაციას, ვიდრე სმე, რამდენადაც სმე წარმოადგენს მკაფიო სემანტიკურ მოცემულობას. სმე დადგე ნა შეიცავს ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე სიტყვა საკუთრივ სინტაგმატიკურ იარუსზე სრულად ასრულებს თავის ფუნქციას, იგი კარგავს მისი სემანტიკური სტრუქტურის სირთულით განპირობებულ სემანტიკურ გაურკვევლობას, “ავტომატიზირდება” და ხდება სემანტიკურად განსაზღვრული, ანუ თითქოს ერთმნიშვნელობრივი, თითქოს მიმართული მრავალ მნიშვნელობისაკენ, ამავე დროს მისი მნიშვნელობა განიცდის სხვა სიტყვების სემანტიკის სემოქმედებას, რასაც მივყავართ მასსი დამატებითი მნიშვნელობის წარმოქმნამდე, რომელიც რეალიზდება გამონათქვამის გადანაწილე- ბის გზით, სტილისტიკური მეთოდით, რომელიც ხასიათდება სიტყვის ორი ლექსი- კური მნიშვნელობის ერთდროული რეალიზაციით. ეს ავდნიშნოთ, როგორც პირვე- ლი ტიპის აქტუალიზაცია. მეორე ეტაპზე აქტუალიზირდებიან სტილისტიკური მოვ- ლენები სუპერხაზოვან იარუსზე. აქტუალიზაცია მიმდინარეობს საკუთრივ სინტაგმატიკის იარუსზე სიტყვის მნიშვნელობის აქტუალიზაციის შემდეგ, ტექსტის ელემენტების ურთიერთქმედების ტოტალური გააზრებით. სუპერხაზოვან იარუსზე ერთეულის წამოყენება მიმდინარეობს კონტექსტუ- ალური, ასოციაციური, სემანტიკური ურთიერთქმედებების, ფონური ცოდნის, პრესუაპოზიციის შემდეგი განვითარების ხარჯზე, რომლებიც თავიანთ სხივებს აფოკუსირებენ ერთეულებზე, უკვე რეალიზე- ბულს თავისი მნიშვნელობით საბაზო დონეზე და უქმნიან ასეთი სახით ამ ერთეუ- ლს პოტენციურ დამუხტვებას, პოტენციურ სტილისტიკურ ინფორმაციას. ერთეული იწყებს სიგნალიზებას ახალი ინფორმაციის შესახებ, რომლის აქტუალიზაცია მიმდინარეობს ყველა ამ ფაქტორების ურთიერთქმედებით უკვე სუპერხაზოვან იარუს- ზე. დავარქვათ ამ აქტუალიზაციას მეორე ტიპი. აქტუალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ფორმალურ, ისე სემანტიკური ნიშნების საფუძველზე. ეს არის აქტუალიზაციის ბოლო ტიპი და ადგილი აქვს სმე შემთხვევაში, რამდენადაც სმე არა აქვს არანაირი ფორმალური ნიშნები და გამოიყოფიან ავტომატიზირებული ერთეულების ფონზე, მხოლოდ სემანტიკურ სტრუქტურაში ბაზური ლექსიკური ერთეულების შეძენისა და მოდიფიკაციის ხარჯზე.

სემანტიკურად აქტუალიზირდება ერთეულები მოიპოვებენ ტექსტიდან დამა- ტებითი ინფორმაციის სიგნალებს, ამასთან ერთად ტექსტის ნაწყვეტებს შეუძლიათ ვარირება ერთი ცალკეული წინადადებიდან მთელ ტექსტამდე. საჭიროა აღინიშნოს, რომ სმე აქტუალიზაცია ერთი წინადადების ჩარჩოში განსაკუთრებით იშვიათი მოვ- ლენა, რაც აიხსნება თვით სმე თვისებით, მისი ბუნებით. სმე აქტუალიზირდება პრაქტიკულად მთლიანი ტექსტით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოთავსებულია დასახელებაში(სახელწოდებაში). მაგ: გვრინის მოთხოვობა სახელწოდებით “Besement Room”. მოთხოვობის წაკითხვამდე შესიტყვება ფიგურურებს თავის პირდაპირ დანი- შეულებაში „ოთახი სარდაფში“. მოთხოვობის წაკითხვისას აქტუალიზირდება გადა- ტანითი მნიშვნელობა (რადაც “მდაბალი”, “ბილწი”). მოცემულ შემთხვევაში აქტუ- ალიზაცია ხორციელდება მთელი ნაწარმოების კითხვის პროცესში, ხდება სტილისტიკური ინფორმაციის დაგროვება, რომელსაც მივყავართ მეორე მნიშვნელობის— სუპერხაზოვან იარუსზე შესიტყვების მეტაფორული მნიშვნელობის, წარმოქმნასთან. მოცემულ შემთხვევაში ამ მნიშვნელობას ვიღებთ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურიდან.

### ლიტერატურა:

1. Азнаурова Э.С. Коммуникативно-прагматический аспект лексического значения слова. Волгоград. Изд-во Волгогр. ун-та 1990.
2. Арутюнова Н.Д. Типы лексических значений. Оценка. Событие. Факт. Москва Наука 1988
3. Бахтин М.М. Эстетика словесного творчества. Москва.1979
4. Берлизон С.Б. Семантическая структура слова и фразеологизма. Рязань. 1980
4. Гальперин И. Р. О принципах и методах анализа стилистически маркированных отрезков текста. В кн. Принципы и методы семантических исследований. М. 1976
5. Лотман Ю.М. Структура художественного текста. Тарту. 1974
6. Скребнев Ю.М. Очерк теории стилистики. Горький. 1975.
7. Телия В.Н. Типы языковых значений. Связанное значение слова в языке. М. Наука. 1981
8. Leech G.H. Principles of pragmatics. London. 1983. – XII. 250 p.
9. Ullmann S. Stylistics and semantics // Literary style. L.; N.Y., 1971. p.133-152
10. Yule George. Pragmatics. Oxford 1996.

თამარ თვალაძე

სტილისტიკურად მარკირებული ერთეულების კომპინატორიკა მხატვრულ ტექსტში

რ ე ზ ი უ მ გ

ჩვენი გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს სიტყვის სტილისტიკური ფუნქციონი- რება სუპერხაზოვანი კავშირების ჯაჭვში. სტილისტიკურ მარკირებას განვიხილავთ, როგორც ტექსტში სიტყვის სუპერხაზოვანი კავშირების ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილ მოვლენას. მიგვაჩნია, რომ სიტყვური ნიშანი ორმხრივია: იგი—სისტემის ერთეული, რომელიც აფორმირებს მას როგორც ნიშანს და როგორც ერთეული, იგი ამავე დროს ფუნქციონირებს მეტყველებაში, ავლენს თავის სინტაქტიკურ ბუნებას. სიტყვათა სინტაქტიკური დამოკიდებულებანი წარმოქმნიან სისტემურ მნიშვნელობას და ამავდროულად სისტემის გადალახვით განუწყვეტლივ ქმნიან ახალ მნიშვნელობებს. მნიშვნელობათა ურთიერთზემოქმედებას ტექსტის დამასახიათებელი ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა კომპოზიცია, ჩანაფიქრი ერთის მხრივ და პრაგმატიკა მეორეს მხრივ, გარდუვალად მივყავართ ლექსიკური ერთეულების სემანტიკაში კომპინატორულ პროცესები მიმდინარეობენ არა მარტო ტექსტის ხაზოვანი გადანაწილების დონეზე, არამედ რთული ზეხაზოვანი ურთიერთ ქმედების რეალიზაციის დროსაც. სწორედ ეს ზეხაზოვანი სუპერხაზოვანი ურთიერთქმედებები წარმოშობენ სმე, რომლებიც ვლინდებიან სუპერხაზოვანი ანალიზის მეთოდით. ამ მნიშვნელობების კომპინატორიკის არსი მდგომარეობს მათ ურთიერთკავშირში, ურთიერთდამოკიდებულებაში და ურთიერთგანპირობებულობაში. იმის გათვალისწინებით, რომ პარალელური მნიშვნელობები ობიექტურად არსებობენ და რეგისტრირდებიან ორ დონეზე-გამონათქვამის საკუთარი გადანაწილების დონეზე და სუპერხაზოვანი კავშირების სისტემაში, გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ სინტაქტიკაში ორ იარუსიანი სტრუქტურის არსებობის შესახებ.

Tamar Tvaladze

**The combinatorial analysis of stylistically marked units in text****Summary**

The aim of the article is the definition of stylistic functioning of words in the sequence of chain. Stylistic marking is discussed in the article as a phenomenon that occurs as result of the interaction of linked words in the text. The article emphasizes that word mark is bilateral: it is a unit of the system, which for one hand is formed as a mark, and for the other hand it is functioning in the speech showing its syntagmatic nature. The article highlights that syntagmatic relations of words produce systemic meanings and at the same time overcoming the system continuously create new meanings. The parameters characterizing the text as a composition for one hand and pragmatics for the other hand, inevitably leads us to a combinatorial processes in the semantics of lexical items.

The article highlights that semantic processes occur not only at the level of text realization, but also while interaction forming stylistically marked units. If we take into consideration that parallel meanings co-exist and are registered at two levels, it gives us opportunity to speak about the existence of double level structure in syntactics.

**Тамара Тваладзе****Комбинаторика стилистически маркированных единиц в художественном тексте****Р е з ю м е**

Целью нашего исследования является стилистическое функционирование слова в цепи суперлинеарных связей. Стилистическая маркировка понимается в работе как явление, возникающее в результате взаимодействия суперлинеарных связей слова в тексте. Словесный знак двусторонен: он – единица системы, которая формирует его как знак и как единица он в тоже время функционирует в речи, проявляет свои синтагматические свойства. Синтагматические отношения слов воспроизводят системное значение и в то же время преодолевая систему непрерывно создают новые значения. Взаимно влияние значений и таких параметров характеризующих текст, как композиция, замысел с одной стороны и pragmatika с другой, неизбежно приводит к комбинаторным процессам в семантике лексических единиц. Семантические процессы происходят не только на уровне линейного развертывания текста, но и при реализации сложных над линейных взаимо- действий. Именно эти над линейные, суперлинеарные взаимодействия и порождают SME, которые выявляются суперлинеарным анализом. Сущность комбинаторики этих значений заключается в их взаимосвязи, взаимозависимости и взаимообусловленности. В виду того, что объективно сосуществуют и регистрируются параллельные значения на двух уровнях – на уровне собственного развертывания высказывания и в системе суперлинеарных связей, представляется возможным говорить о наличии в синтагматике двух ярусной структуры

## სათაური

სლენგი თანამედროვე მსოფლიოსათვის ნიშანდობლივი მოვლენაა, რომლის გაჩენა საქართველოში ბოლოდროინდელმა ეპოქალურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

თვითონ ტერმინი „სლენგიც“ საქართველოში ამ ბოლო წლებში გახდა ცნობილი, რადგან ჩვენთან ჟარგონი და არგო უფრო იყო გავრცელებული.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ სოციოლექტურის კვლევას (რომელშიც შემოდის სლენგიც), საქართველოში დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მათ შესახებ მხოლოდ ერთეული ნაშრომები არსებობს, რადგან საბჭოთა პერიოდში სოციალური დიალექტების საკითხი თითქმის არ იდგა სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მათი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის გამო.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღესაც გაურკვეველია ტერმინები ჟარგონი, არგო, სლენგი, მხოლოდ ნეგატიური ენის აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ, თუ ნეიტრალური, სპეციალური პროფესიული ლექსიკური ერთეულებიც უნდა გავაუროთ ამ ცნებების ქვეშ.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჟარგონისა და არგოს განმარტებები მეტნაკლებად მოცემულია, თუმცა უზუსტობები გვხვდება, რაც შეეხება სლენგს, იგი საერთოდ არ იყო გამოყოფილი. ამ ერთეულის განმარტებას მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის ვხვდებით. კერძოდ, ლინგვისტურ ტერმინლოგიურ ლექსიკონი, რომელიც მოსკოვში 1990 წელს გამოიცა აღნიშნულია რომ ტერმინ „ჟარგონის“ სანაცვლოდ ზოგჯერ იყენებენ ტერმინებს სლენგი და არგო. აქვე მოცემულია არგოს განმარტებაც, ხოლო სლენგზე მეტი არაფერია ნათქვამი.

სლენგის პირველი დეფინიცია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება თ. გამყრელიძის „თეორიულ ენათმეცნიერებების კურსში“. ზოგიერთი სოციალური ჯგუფი, რომელიც ჟარგონს იყენებს, დია და საზოგადოების ორგანულ ნაწილს შეადგენს. ასეთ ჯგუფებში ჟარგონს „კოლექტიური თამაშის“ სახე აქვს. მას ზოგჯერ სლენგსაც უწოდებენ (მაგალითად მოსწავლე ახალგაზრდობის სლენგი) ის ექსპრესიულია, ძალიან არამდგრადია, ექვემდებარება მოდას: ასახავს ფამილარულ, იუმორისტულ ან ირონიულ, ოდნავ უხეშ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. იხმარება უშუალო საუბრის დროს, ჩვეულებრივ-საკუთარი განსაკუთრებულობის ხაზასასმელად. სლენგის ძირითადი თემატიკა საჭმელ-სასმელი, ფული, ემოციები, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობები, გარეგნობა, სწავლის პროცესი და სხვა (გამყრელიძე, 2003).

საზღვარგარეთულ გამოცემებში აღნიშნულია, რომ ეტიმოლოგიურად სლენგს ყველაზე ხშირად უკავშირებენ ბოშურ სიტყვას *slang* „ენა“. ზოგს იგი სკანდინავიურ წარმოშობისად მიაჩნია, რაც ხორვეგიულად „სიტყვიერ შეურაცხვოფას“ ან „მეტსახელს“ ნიშნავს.

პრაღის ლინგვისტური სკოლის ლექსიკონში აღნიშნულია, რომ სლენგი ილაშქრებს არსე-

ბული ენობრივი ნორმების წინააღმდეგ როგორც სოციალური დაქვემდებარების პრინციპები უფრო ფორმა. სლენგი განუწყვეტლივ ცდილობს ამხილოს ენობრივი ნორმების უსაფუძვლობა და მისი მცდარობა. იგი არ არის „ბუნებრივი ენის“ ქვედა ბრის სპონტანური ან განზრახული შედწევა, პირიქით, იგი მომდინარებს ზემოდან - მაღალი შრიდან, რომელიც დამახასიათებელია ელიტის წევრებისათვის.

თუ გადავხედავთ სლენგულ ლექსიკის ოქმატურ ჯგუფებს ქართულ ენაში, შევხედათ, რომ იგი ძირითადად, მოიცავს, პოლიტიკას სამართლითა და ეკონომიკით (ტოლერანტობა, კონფორმიზმი, ბანკონოტი, მენეჯმენტი, ლიზინგი, პეტიცია). საჭმელ სასმელს (პუდინგი, ბარბეკიუ, ბეილსი), ტანსაცმელს (შორტები, შუზები), სპორტს (ბოულინგი, ფორვარდი), მუსიკასა და ცეკვას (ბენდი, ბლუზი) კომპიუტერს (ცლეში, მონიტორი, დრაივერი), მედიცინასა და მეცნიერებას (ანესოეზია, გრავიტაცია), კუინოს და ტელევიზია (ლაიფი, ვესტერნი) და სხვას, რაც იმის მანიშნებელია, რომ სლენგი, არგოსა და ქარგონისგან განსხვავებით უმეტესად სწორედ მაღალი წრის წარმომადგენლებისაგან ვრცელდება ენაში. თუ საბჭოთა პერიოდში მაღალი თანამდებობას პირთა მეტყველება მხოლოდ სალიტერატურო ენის ნორმებში ჩამჯდარი უნდა ყოფილიყო, დამოუკიდებელი საქართველოს ამერიკასთან დაახლოების შემდეგ, ეს სტერეოტიპი დაიმსხვრა და პირიქით, საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელებული სიტყვების ადა ფრაზების გამოყენება, რომელიც უმეტესად სასაუბრო სტილს განეკუთვნება, წესად იქცა.

სლენგად მიჩნეულია ლექსიკა, რომელიც ასოციროდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან, მის გამოყენებას განაპირობებს მოდა. სლენგის ზოგიერთ ერთეული შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დროებით და ამიტომაც ასოცირდება განსაზღვრულ ასაკობრივ ჯგუფთან, თუმცა ზგჯერ სლენგური სიტყვები და ფრაზები შეიძლება დიდხანს დარჩეს ენაში. სლენგში ხშირად აღმოჩნდება ჟარგონიდანდა არგოდან გადასული სიტყვები, რომლებმაც შეიძლება შეიძინოს ფიციალური სტილისტური სტატუსი. სლენგი არ უნდა აგვერიოს არასტანდარტულ დიალექტში. სლენგული ლექსიკა მოდის რიგი სხვადასხვა ენიდან.

სლენგი უფრო მოგვაგონებს დაბალ, სასაუბრო სტილის ლექსიკას, რომელიც გავრცელებულია რომელიმე პერიოდში და განეკუთვნება ლექსიკურ-ექსპრესიულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს. ის აერთიანებს სხვადასხვა ქარგონულ, არგოტულ ჯგუფებიდან უფრო ფართო ჯგუფებში გადასულ სიტყვებს, ასევე ზოგჯერ ვულგარიზმებს ადა ბარბარიზმებსაც. ბარბარიზი უცხოური სიტყვა, რომელიც გამოიყენება რეგულარულად სტილისტური მიზნით „ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად. მის არსებობას განაპირობებს მოდა. შეიძლება შეგვხდეს ტრანსლიტერატურო, ან უცხოური დაწერილობით (VIP). ხოლო ვულგარიზმი არის დაუხვეწელი, ზოგჯერ დაუდევარი, დაბალი სტილის ლექსიკა, რომელიც დაუშვებელია ზრდილობიან მეტყველებაში. სლენგით საუბარი მოგვაგონებს გარკვეულ ეტალონისადმი მიბაძვსაც.

თავდაპირველად პოლიტიკოსთა თუ საქმიან ადამიანთა მეტყველებაში გავრცელებული ესა თუ ის სიტყვა ან ტერმინი ნელ-ნელა განსაკუთრებით მასმედინის დახმარებითა და პროპაგანდით, ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში სლენგის სახით მკვიდრდება, საიდანც ბევრი მათგანი შეიძლება სალიტერატურო ენაშიც არ მოხვდეს. ამით, მართალია თანამედროვე ქართველი მდიდრდება, მაგრამ თვითონ ამ პროცესს ნამდვილად სჭირდება კონტროლი, რომ ენამ პირიქით, გადარიბების და დანაგვიანების პროცესი აიცილოს თავიდან. ეს შეეხება როგორც უცხოურიდან შემოსულ სლენგურ ლექსიკას, ასევე არგოდან და ქარგონიდან სლენგში გადასულ სიტყვებსაც. სლენგი უფრო სალიტერატურო ენის ქვესისტემას წარმოადგენს, რადგან თვითონაც სარგებლობს სალიტერატურო ენის ლექსიკით და თავადაც ასაზრდოების საერთო ლექსიკურ ფონდს, რადგან ხშირად სლენგიდან სიტყვები სალიტერატურო ენაში მკვიდრდება და შესაბამის ლექსიკონებშიც აისახება. სლენგურია სიტყვა მანამ, სანამ იგი ლექსიკონში არ დაიმკვიდრებს დაგილს. ამდენად ამა თუ იმ სოციალური წრის წარმომადგენელთა მეტყველებაში დამოწმებული ტერმინებიც, რომლებიც მიუხედავად გავრცელებულობისა, ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ოფიციალურ სტატუსი, სლენგში უნდაგავაერთიანოთ. ტრადიციულადაც ხომ გამოიყოფა „საერთო სლენგი“ (general slang), რომელიც ახლოს დგას სასაუბრო ენასთან და „სპეციალური სლენგი“ (special slang) რომლის ნაირსახეობებიც უფრო პროფესიულ ენებს უახლოვდებიან.

ამრიგად, სლენგით მიჩნეულია ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან და მის გამოყენებას განაპირობებს მოდა.

აროც, ქარგონიცა და სლენგიც სოციოლექტში შემავალი ერთეულებია, მაგრამ მათ საზღვრები აშკარად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. არგო არის უკელაზე ჩაკეტილი სისტემა, უარგონი შედარებით ლია, სლენგი უარგონზე ლია, უკელაზე ახლოს მდგომი სალიტერატურო ენასთან, მაგრამ უკელაზე საშიში ენის დაბინძურებებისათვის, თუმცა უკელაზე ლია სალიტერატურო ენაში გადასვლისათვის. ამიტომ ტერმინებს უარგონი, არგოსა და სლენგის სინონიმებად გამოყენება უოველოვის გამართლებული არ არის.

სლენგი უფრო ახალი მოველნაა ქართული ენის ისტორიაში, რომლის დამკვიდრებაც შეიძლება ამერიკანიზაციის ეპი?? მოვლენად მივიჩნიოთ.

როდესაც სასაუბრო ლექსიკის მარკირებაზე ვსაუბრობო მხედველობაში გვაქვს ზეპირ-მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული სიტყვები, რომლებსაც ლექსიკონებში ჯერ სათანადო ასახვა არა აქვთ. ხოლო როდესაც ლექსიკონებზე ვსაუბრობო მხედველობაში გვაქვს როგორც ბეჭდვითი ასევე ონლაინ ლექსიკონები, რადგან კომპიუტერული ინდუსტრიის წარმატებების წყალობით თანამედროვე ლექსიკოგრაფია იყენებს ინფორმაციის დამუშავების ახალ მეთოდებს, რაც საშუალებს გვაძლევს მრავალი ათწლეულის განმავლობაში არსებული ტრადიციული ხელნაწერი ლექსიკოგრაფიის პრაქტიკის გვერდით გამოვიყენოთ ახალ, უქაღალდო ინფორმაციული ტექნოლოგიები.

1990-იანი წლებიდან საქართველო ნელ-ნელა გახდა თანამედროვე ციფილიზებული სამყაროს ორგანული ნაწილი, რამაც განსაკუთრებული ასხვა ქართულ ლექსიკაზედაც პპოვა. საყოველობრივ ცნობილია, რომ ლექსიკა ფქნება მისდევს ცხოვრების განვითარებას და ვყელაზე ცვალებადი და მოქნილი ნაწილია ენისა. ცვალებადობა, უმეტესად თავდაპირველად ზეპირმეტყველებაზე აისახება.

მართალია, სასაუბრო ლექსიკა დაბალი პრესტიულობით ხასიათდება, მაგრამ თანამედროვე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი სიტყვების ლექსიკონებში შეტანა აუცილებელია. მაგალითად ევროპის განვითარებულ ქვეყნებში განმარტებითი ლექსიკონები ხშირად ივსება. ეს უკვე მუდმივად განახლებადი პროცესია. მაგ. ღუდენის განმარტებით ლექსიკონში ფართოდაა წარმოდგენილი მარკირებული ლექსიკის უკელაზე შრე, მათ შორის სასაუბრო, რომელიც მიცავს უარგონს, სლენგს, არგოსა და ვულგარიზმებს და ა.შ.

სულხან-საბას ლექსიკონშიც გამოვლენილი და აღბეჭდილია, არამ ხოლო ლიტერატურული ძეგლებში დამოწმებული არამედ ცოცხალ ენობრივ სამყაროს ამოუწვავი საუნჯეც.

განმარტებით ლექსიკონშიც გვხვდება ვულგარული მარკირებული ლექსიკა, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით.

სასაუბრო ლექსიკაში ძირითადად სიტყვები შემოიდან არგოდან - უარგონიდან, ხოლო აქედან ხვდებიან სალიტერატურულში.

როგორ უნდა მოვახიდოთ სელექცია ამ ლექსიკისა?

სლენგი სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც ლექსიკა, რომელიც ასოცირდება არაფორმალურ ან სასაუბრო სტილთან, მის გამოყენებას განაპირობებს მოდა. სლენგის ზოგიერთი ერთეული შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დროებით და ამიტომაც ასოცირდება განსაზღვრულ ასაკობივ ჯგუფთან, თუმცა ზოგჯერ სლენგური სიტყვები და ფრაზები შეიძლება დიდხანს დარჩეს ენაში. სლენგში ხშირად აღმოჩნდება უარგონიდან და არგოდან გადასული სიტყვები, რომლებმაც შეიძლება შეიძლება შეიძლენოს ოფიციალური სტილისტური სტატუსი. სლენგური ლექსიკა ხშირად მოდის რიგი სხვადასხვა ენიდან.

ამრიგად, სლენგი ეს იგივე დაბალი სასაუბრო სტილის ლექსიკაა, რომელიც გავრცელებულია რომელიმე პერიოდში და განეკუთვნება ლექსიკურ-ექსპრესიულ ენობრივ ერთეულთა რიცხვს.

აღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე სლენგი საერთო-სახალხო ენის მარკირებლი შრეთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ სხვა მარკირებელ შედარებით ცალებადობის მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა, რაც აბრკოლებს სლენგის დანიშნულებას მისი ელექტორატი განსაზღვრას. იგი გარკვეულ დროის განმავლობაში წარმოადგენს ერთი რო-

მელიმე თაობის ყოფიერებისა და აზროვნების გამოვლენის ფორმას, მისი ერთი ნაწლი ად-მოცენდება ეპოქის ერთი მონაკვეთისათვის დამახასიათებელი ყოფითი მოვლენების ფონზე, შინაენობრივი ფორმით ნაკლებად გამჭირვალება და მხოლოდ ერთი თაობისთვისაა გასაგები და ემოციის აღმდვრელი. ამიტომაც აღნიშნულ სასაუბრო ლექსიკაში შეიძლება გამოვყოფ „ხანმოკლე“ ენობრივი ერთეულები, რომელთაგანაც ყველაზე გონიერამახვილური ფართოდ ვრცელდება, მაგრამ სალიტერატურო ენის ნორმებთან შეუთავსებლობის გამო ძირითად ლექსიკურ ფონდში იშვიათად მკვდირდება ხოლმე.

ლექსიკონებში სლენგის დამკვიდრების წინაპირობაა შინაენობრივი ფორმით გამჭირვალობა და სპონტანურობის დაბალი ხარისხი, რაც მისი „მარადიულობის“ საწინდარია, ანუ თავისი შინაარსით დროის მოკლე მონაკვეთზე არა რის ორიენტირებული.

ლექსიკონში სლენგის ანუ სასაუბრო ლექსიკის ჩართვის მექანიზმი ემყარება სელექციის მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, ???? ჩამოთვლილ პირობებზეა დაფუძნებული.



## მიმღების მანარმოებლებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი

მიმღების წარმოებაში მონაწილე ყველა აფიქსი მარტივ სახელებშიც გვხვდება [ჩიქობავა, 1942]. რაც იმას ნიშნავს, რომ მიმღეობაში, როგორც ნაწარმოებ სახელში, ამ აფიქსთა გამოყენება მეორეულია. მეორე მხრივ კი, როცა ამ აფიქსთა ფუნქციაზე მიღება საქმე, ესეც სახელებზე დაყრდნობით უნდა აიხსნას. სახელებში დადასტურებულ აფიქსთა ფუნქცია გარკვეულია: ისინი გაუდიფერენცირებელ ფუძეს (ძირს) ერთვის, რომ მოახდინონ ფუძის კონკრეტულია. სუფიქსთა ფუნქციის ამგარი ინტერპრეტაციით აიხსნება ამავე სუფიქსთა არსებობა ნაშმნარ ზედსართავ სახელებში - მიმღეობებში.

ის ფაქტი, რომ მიმღეობებსა და სახელებში ერთი და იგივე აფიქსი გვაქვს, მეორე მხრივაც არის საინტერესო. მარტივ სახელებში გამოყოფილი აფიქსები ამჟამად უფუნქციოდ გამოიყურება. მათი გამოყოფა სახელის ფუძეში მხოლოდ ისტორიული და შედარებითი ანალიზის შედეგად არის მიღწეული. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიმღეობათა ჩამოყალიბება იმ დროსად ვივარაუდოთ, როცა ეს აფიქსები ფუნქციის მქონე და პროდუქტიული იყო ენაში.

მიმღების მაწარმოებელი სუფიქსები (გარდა ოდენსუფიქსური წარმოების -ილ, -ულ სახეებისა) გვხვდება სხვადასხვა დროის მიმღეობაში. ე.ი. სუფიქსთან არ არის დაკავშირებული დროის გამოხატვა, არც ზმნის გვარის გამოხატვა მასთან დაკავშირებული. ის გარემოება, რომ მიმღების მაწარმოებელი სუფიქსები არც დროზე და არც გვარზე არ მიუთითებს, გახაზავს მიმღეობათა წარმოებაში სუფიქსთა იმავე ფუნქციას, რაც მარტივ სახელებში გამოყოფილ სუფიქსებს აქვს, ე.ი. მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სახელის ფუძის დეტერმინანტებია. მიმღეობაში კი ეს სუფიქსებია, ზმნურ ფუძეს რომ სახელად აქცევს.

ის ფაქტი, რომ სუფიქსებს მიმღეობაში იგივე ფუნქცია აქვს, რაც სახელებში, ნიშნავს იმას, რომ ოდენსუფიქსთან წარმოებაში ნაშმნარ სახელთან - მიმღეობასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა ჩანს, რომ მიმღების საწარმოებლად აღებული ფუძე აშკარად ზმნურია.

მიმღეობისა და სახელის გასამიჯნად შეიძლება ზმნისწინი მოგვეშველებინა. თუ ფორმა ზმნისწინს შეიგუებდა, მიმღეობასთან გვექნებოდა საქმე, თუ არა - სახელთან. ეს საკონტროლო საშუალება ზოგ შემოხვევაში გამოსადეგია, მაგრამ არა ყოველთვის. რადგან გვაქვს ზმნები, რომლებიც ზმნისწინს ვერ იგუებენ და შესაბამისი მიმღეობაც უზმნისწინო იქნება (სტატიკურები და მათგან ნაწარმოები მიმღეობანი).

ზმნები, რომლებიც ზმნისწინს არ დაირთავს, მიმღეობას პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით აწარმოებენ. ეს საგულისხმო ფაქტია და იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პრევერბი საკონტროლო საშუალებად შეიძლება გამოდგეს. როცა წარმოებისათვის ამოსავალი ფუძე გაუდიფერენცირებელია (გაურკვეველია, სახელისაა თუ ზმნის), მაშინ მიმღეობასთან გვექნება საქმე, თუ ფორმა ზმნისწინს შეიგუებს. წინააღმდეგ შემოხვევაში პრეფიქსიც უნდა გვქონდეს სუფიქსთან ერთად, რადგან სწორედ პრეფიქსი აღნიშნავს მოქმედების სუბიექტსა

და ობიექტს, რაზე მითითებაც მიმდეობის ფუნქციაა, მაგრამ ოდენ სუფიქსით წარმოები მიმდეობები ჩვეულებრივ ზმნისწინიანია, უზმნისწინო ფორმები კი (თხრილი, კრებული, წერილი...) სუბსტანტივებადაა ქცეული.

ა. შანიძე, არკვევს რა ურთიერთმიმართებას სუფიქსიან და პრეფიქსიან მიმდეობებს შორის, შენიშვნავს: „ზმნისწინიან მიმდეობებში ორივე სახის წარმოება გვხვდება (აშენებული - ანა-შენები; დაწერილი - დანაწერი; დამზადებული - დანამზადები...). უზმნისწინო ფორმები კი უშემცისად პრეფიქსითა ხმარებული (ნაბეჭდი, ნაკეთები, ნაწერი...). -ილ/-ულ-იანი მიმდეობა უზმნისწინოდ იშვიათად გვხვდება” [შანიძე, 1973: 576]. მაშასადამე, ოდენ სუფიქსიანი მიმდეობის წარმოებასა და ზმნისწინის ხმარებას შორის კანონზომიერება თითქოს არსებობს. პრეფიქსის დართვა და პრეფიქსის უქონლობა შინაგან კავშირშია მეგრულ-ჭანურის მიმდეობათა წარმოებაშიც [ჩიქობავა, 1939]. ესეც ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს. ასეთი სიმნელეები ზოგჯერ პრეფიქსიან და პრეფიქს-სუფიქსიან წარმოებაშიც იჩენს თავს.

მიმდეობაში შეპირისპირებულია მ- და ს- პრეფიქსები. ამჟამად მ- თავსართიანი მიმდეობა აწმყო დროის მოქმედებითი გვარისად მიიჩნევა, როცა გარდამავალ ზმნებთან გვაქვს (ის ხომ გარდაუგალ სტატიკურ ზმნებთანაც დასტურდება: მყოფი, მონავარდე, მოელვარე, შდრ.: სანავარდო, მობიბინე...), ს- თავსართიანი - მყოფადი დროისა და ვნებითი გვარისად. ნამყო დროშიც ვნებითის მიმდეობა (ნა-პრეფიქსიანი და -ილ// -ულ სუფიქსიანი).

აწმყ. მხვნელი - მყოფ. სახვნელი (სახნავი) - ნამყ. ნახნავი, ხნული

აწმყ. მკეოებელი - მყ. საკეოებელი - ნამყ. ნაკეოები, გაკეოებული...

ერთი და იგივე პრეფიქსი (მ-, სა-, ნა-) დროსაც აღნიშვნავს თითქოს და გვარსაც. ერთი ფორმანტი კი ორი მორფოლოგიური ფუნქციით აგლუტინაციის პრინციპს ეუცხოვება. რა იყო ამ პრეფიქსთა თავდაპირველი დანიშნულება?

არ. ჩიქობავას აზრით, მათი დანიშნულება არ იყო არც გვარის და არც დროის გარჩევა. გვარების გარჩევა რომ ვერ იქნებოდა, ჩანს იქედან, რომ ეს ფორმანტები ვალ ფუძიან ზმნასაც დაერთვის: მავალი-ი, სავალი, ნავალი-ი (ვლილი)... მავალი - ვერ იქნება მოქმედებითი გვარისა, ასევე - სავალი და ნავალი - ვნებითისა და ამიტომ არც მოქმედებითი და არც ვნებითი გვარის გარჩევის საკითხი ამ ზმნის მიმდეობის მ-, სა-, ნა- თავსართებთან არ დგას.

მ-, სა-, ნა- პრეფიქსთა კორელაცია მიმდეობაში იმავე ხასიათისაა წარმოშობით, როგორც არსებითი სახელებისაგან ნაწარმოებ სახელებში: მე-ხრე - სა-ხრე, მე-რწყ-ული - სა-რწყ-ული. მ- პრეფიქსიანი მიმდეობა ადამიანზე მიუთითებდა, ს(ა)- პრეფიქსიანი კი - ნივთზე. არნ. ჩიქობავა შენიშვნავს, რომ ვინ და რა კატეგორიათა საკითხს ბუნებრივად იგუებს ვალ ძირის ზმნაც: მავალი - ვინც ვალს (გზაზე მავალი მგზავრი); სავალი, ნავალი - რაც ვალს (სავალი გზა, ნავალი კვალი) [ჩიქობავა, 1985: 54].

„მაშასადამე, მ- ვინ კატეგორიის, სუბიექტური მიმდეობის ნიშანია, ნა-, სა- რა კატეგორიის, ობიექტური მიმდეობის ნიშანი” (იქვე). ამდენად, მ- პრეფიქსი მოქმედის, აქტიურის ამსახველია, სა- (ნა-) კი საგანს, იარაღს აღნიშვნავს, თუმცა, ზოგჯერ სა- პრეფიქსიანი მიმდეობა ადამიანის მსაზღვრელადაც გამოიყენება (სახატრელი დღე - სახატრელი ძმა), მ- პრეფიქსიანი მიმდეობა კიდევ ნივთის კატეგორიის სახელთა მსაზღვრელიცა (მდელვარე ზღვა, მჩქეფარე ტალღა).

თუ აწმყო დროის მიმდეობა მოქმედებითი გვარისაა, ამის სათავეა პირვანდელი მნიშვნელობა სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში: მ- ადამიანს აღნიშვნავს, აქტიურ საწყისს განეკუთვნება, და პირუჟუ, ვნებითი გვარისაა მყოფადის მიმდეობა იმიტომ, რომ სა- ნივთის კატეგორიის ნიშანია ისტორიულად, პასიურს, უმოქმედოს შეესაბამება.

ამგვარად, მ-იანი წარმოება მოქმედებითი გვარისა იმიტომ კი არაა, რომ აწმყო დროისაა (ასევე სა-იანი ვნებითისა იმიტომ კი არა, რომ მყოფადშია), პირუჟუ: აწმყო დრო მოქმედებითი გვარისა იმიტომ აღმოჩნდა, რომ მასში მ- გვაქვს, ადამიანის კატეგორიის, მყოფადი კი ვნებითი გვარისა იმიტომ, რომ მასში სა- იყო - ნივთის კატეგორიის პრეფიქსი (მ-კოტელი - სა-კეოებელი). გვართა გარჩევა აწმყო-მყოფადში ადამიანისა და ნივთის კატეგორიათა დაპირისპირებაზე იყო დამოკიდებული [ჩიქობავა, 1942; 184-185].

მიმდეობის წარმოებაში კიდევ უფრო მეტ სიჭრელეს იწვევს მაწარმოებულ პრეფიქსებთან სხვადასხვა ხმოვნის არსებობა. რა ფუნქციის არიან ეს ხმოვნები და, საერთოდ, არის თუ

არა შესაძლებელი მიმდეობის მაწარმოებელ პრეფიქსთა დაშლა ხმოვნით და თანხმოვნით ელემენტებად? ამის შესაძლებლობას იძლევა ჯერ ერთი ის, რომ ხმოვნიან მაწარმოებელთა გვერდით გვაქვს უხმოვნო ვარიანტებიც და მეორე, ერთსა და იმავე თანხმოვნანოან შესაძლოა შეგვევდეს სხვადასხვა ხმოვანი. მაგ.: მ- პრეფიქსი უხმოვნოდაც არის წარმოდგენილი და ა, ე, ო, ხმოვანთა თანხლებითაც, ნ-სთან გვაქვს ა და ე ხმოვნები, ხოლო ს- პრეფიქსთან მუდამ ა ხმოვანი გვხვდება.

ერთია დაშლის შესაძლებლობა და მეორე - თითოეული ელემენტისათვის ფუნქციის დაძებნა. გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: „ეს ხმოვნები უფუნქციო ფონეტიკურ დანართს არ წარმოადგენენ. კერძოდ, ნაზმნარ სახელებში მათ ზმნის გვართან - უკეთ, ზმნური ფუძის პრეფიქსულ ხმოვანთან უნდა ჰქონდეს კავშირი (თუმცა, პირვანდელი მნიშვნელობის მიკვლევა მნელდება იმ ცვლილებების გამო, რაც ზმნის ფუძეშია მომხდარი)“ [ჩიქობავა, 1942: 214]. მაგრამ ამ ვარაუდს გარკვეული დაბრკოლებაც ახლავს:

მიმდეობის წარმოებაში მონაწილე პრეფიქსები (ხმოვნითურთ) გვხვდება სახელისაგან ნაწარმოებ სახელებშიც. თუ მიმდეობაში პრეფიქსის ხმოვნითი ნაწილი ზმნის ფუძის მაწარმოებელია, რა ფუნქცია აქვს იმავე ხმოვნებს სახელებში? ვ. თოფურია სიტყვაწარმოებით პრეფიქსებს შლის და ფუნქციას უძებნის: ხმოვანთავსართი აწარმოებს სახელს სახელისაგან და ზმნისაგან, თანხმოვანთავსართი კი კლასის ნიშანია [თოფურია, 1947].

ხმოვანთა ამგვარი ინტერპრეტაციით აიხსნება ხმოვანთა არსებობა სახელისაგან ნაწარმოებ სახელთა პრეფიქსებში. თუ მიმდეობაშიც ანალოგიურად ხმოვანთავსართებს მივიჩნევთ ზმნისაგან სახელის მაწარმოებლად, მაშინ მიმდეობის მაწარმოებელ სუფიქსთა ფუნქცია იქნება გასარკვევი.

სასუბიექტო მიმდეობის მაწარმოებლად მ- პრეფიქსის პარალელურად გვხვდება მა-ც. ა ხმოვანი თითქმის ყოველთვის ზმნის ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსია: აქებს - მაქებელი, ამკობს - მამკობელი, აშენებს – მაშენებელი... არსებობს გამონაკლისებიც, რომელთაც თავიანთი აისნა აქვს.

რაც შეეხბა ო ხმოვანს, ის ზმნის ფუძის მაწარმოებელ პრეფიქსად არ გვაქვს ქართულში. საერთოდ ო, როგორც აფიქსი, ბევრ შემთხვევაში მეორეულია და მისი ახსნა ფონეტიკურ ნიადაგზე ხერხდება: ოვა, ოვე. არის თუ არ შესაძლებელი მიმდეობის მაწარმოებელი პრეფიქსის ხმოვნითი ელემენტის ო-ს ახსნა ფონეტიკურ ნიადაგზე? უკადდება უნდა მიეკვეს იმ ზმნათა მიმდეობის ფორმებს, რომელთა ფუძეს ი ხმოვანი აწარმოებს. მიმდეობაშიც, შესაბამისად, პრეფიქსთან ო ხმოვანია წარმოდგენილი: მოცინარი - იცინის, მოქმედი - იქმს, მოღუაწი - იღუწის, მოძრავი - იძვრის [ოსიძე, 1957: 190], თუმცა არის ფორმა მორჩილი - ერჩის, სადაც ზმნას ი პრეფიქსი არ აწარმოებს.

ზმნები, რომლებიც „უმართებულოდ“ გამოავლენენ მიმდეობაში ო ხმოვანს, ძირითადად სტატიკურია. მო-ძულ-ე, მო-შურნ-ე, მო-სურვ-ე, მო-რცხვ-ი... რას უნდა გამოეწვია მიმდეობის ფორმებში ი-ს ო-დ შეცვლა? ლაბიალიზაციის პროცესით ამის ახსნა გაჭირდებოდა იმის გამო, რომ მ- პრეფიქსთან ა და ე ხმოვნებიც გვხვდება და ამგვარ ფონეტიკურ პროცესს ადგილი არ აქვს. „საფიქრებელია, რომ მი-მ მოგვცა მო გარკვეულ დიალექტში. იქნება ამ ფონეტიკურ პროცესს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ი-იანი ფორმა მიმდეობისა ზმნის პირიან ფორმას დაემთხვეოდა ბევრ შემთხვევაში: მი-ყუარ-ე, მი-ძულ-ე, მი-ომინ-ე, მი-წყალ-ე, მი-სურვ-ე“... [ოსიძე, 1957: 190].

თუ მიმდეობის მაწარმოებელი პრეფიქსის მონაწილე ხმოვანი ზმნის ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსია, მაშინ როგორ უნდა აისნას იმავე ხმოვნების არსებობა სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში? ხმოვანთა ფუნქცია სახელებში გაურკვეველი ჩანს. თუ მიმდეობის მაწარმოებელი სუფიქსები სახელისაა და მიმდეობაში მათი გამოყენება მეორეულია, ხომ არ შეიძლება პრეფიქსის მიმართ საკითხი საწინააღმდეგოდ გადაწყვდეს. ამ მხრივ დამახასიათებელია ნა- პრეფიქსით ნაწარმოები წინა ვითარების სახელები. სახელთა ამ წარმოებაში ნა- პრეფიქსი დროის გაგებას შეიცავს, სახელებში კი დროის აღნიშვნა გამორიცხული უნდა იყოს.

**ლიტერატურა:**

1. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV, თხუ შრომები, XXX/I, ობ., 1947  
 2. ეპ. ოხიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თხუ შრომები 67, 1957  
 3. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ობ., 1973  
 4. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, მეცნ. აკად. გამომც., ტფ., 1939  
 5. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, ობ., 1942  
 6. არნ. ჩიქობავა, უპრეცისო მიმღეობითა წარმოებისა და ისტორიის ზოგი საკითხი ქართულში, იქნეს წელიწდებული, XII, 1985

**Tamar Mamardashvili****Some issues connected with the participle formation****Resume**

The article highlights that the affixes that occur in the formation of the participle appear in the simple nouns. Therefore their functions must be explained based on the nouns. However, these affixes don't have any functions and their separation happens only in the process of historical and contrastive analysis. It is clear that time and voice expressions aren't connected with the participle forming suffixes. It means that they have the same functions as suffixes of simple nouns. (except the formation of suffixes – il, ul styles). So, it emphasizes that these suffixes are determiners of the root of the nouns and if this root is verbal it appears as the determiner of the verbal nouns too. Also, we must take into consideration the fact that prefixes that take place in the formation of the participles (with vowels) appear in noun derivations.

**Тамар Мамардашвили****Несколько вопросов о средствах, производящих причастия****Резюме**

Аффиксы, принимающие участие в производстве причастий, встречаются также в простых именах, и в определенной степени их функция должна быть выявлена с опорой на данные имена. Однако в настоящее время существующие в именах аффиксы не играют никакой роли, и их выделение возможно только применив сравнительно-исторический анализ. Выяснилось, что с суффиксами, производящими причастия (кроме -il, -ul), не связано выражение ни времени, ни залога. Схожую функцию выполняют суффиксы в простых именах, то есть это указывает на то, что они детерминанты именной основы, а с отглагольным именем мы имеем дело только в том случае, когда основа, взятая для производства,

## ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის ალმოსავლური სეგმენტები

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაში არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ლექსების გადმოსაცემად წაშლილია ქართველური კვალი და მის ადგილს იკავებს თურქულ გარემოში შეთვისებული აღმოსავლური (თურქული, სპარსული არაბული) წარმოშობის ლექსიკა, მაგრამ ამგვარი შემთხვევები ზმნურ ფორმებში მცირე დოზითაა. გარდა ამისა ყურადღებას იმსახურებს დინამიკაში განვითარებული ამგვარ ლექსებითა ფონეტიკური გადმოცემის ხასიათი. შესაძლებელია ლაზურ მეტყველებაში იყოს ისეთი ზმნური ფორმებიც, რომელიც ოსმალთა გამოჩენამდე პქონოდათ ლაზებს შეთვისებული არეალური კონტაქტების შედეგად და ამის გამორკვევის საშუალებას შესაბამისი გადმოცემის ფორმები იძლევიან, რადგანაც არსებობს რიგი არაბული და სპარსული სიტყვებისა, რომელთაც სპეციფიკური თურქული გადმოცემა გააჩნიათ. თურქული გზით შეთვისებული აღმოსავლური წარმოშობის ლექსები, არა მხოლოდ ლაზურში, არამედ ქართული ენის იმერხეულ დიალექტშიც თურქული ფორმითაა დამკვიდრებული.

ლაზური ზმნა შედარებით ნაკლებად ხვდება უცხოური გავლენის ქვეშ. მეტწილად შენარჩუნებულია მისი ავთენტური მორფოლოგიური სტრუქტურა და სემასიოლოგია. ჭანურში ფუძისეული ზმნების რაოდენობა რიცხვმრავალი არ არის. იკვეთაბა, რომ მათ აგებულებაში თავდაპირველად მონაწილეობდა რბილი/სუსტი კ resp. კ. აღნიშნული ფონემის მონაწილეობით ზმნების ძირების მორფოლოგიური სტრუქტურა, იმის გამო რომ რბილი კ იკარგება, შედგება ორი ან ერთი ფუძისეული კონსონანტისაგან, რაც შეეხება სახელად ზმნებს, სახელადი ზმნები ჭანურში უცვლელია. ამიტომ ასეთ ზმნებში მაწარმოებელი არის დამხმარე ზმნა. აღმოსავლური ლექსიკურ ნასესხობათაგან ლაზურში ნასესხობად მკვიდრდება შედგენილი ზმნის სახელადი ნაწილი. ამ გზით შედგენილი ზმნების რიცხვის ზრდა ლაზურში მოხალოდნელია.

იმ სიტყვათაგანი, რომელთაც ჩვენ ნაკლებად ვფიქრობთ თურქული ენიდან ნასესხებს და წარმოშობით სპარსულია ჭანგია [ ang ] [ბრჭყალი], რომელიც მონაწილეობას ღებულობს ზმნური ფორმების წარმოებისას. მაგალითად მო-ჭანგ-უ – მოკაწრა, ჭანგ-უ დაკაწრა, „კატუქ მო-ჭანგ-უ ახმედის დო იმტუ“, (ჩიქობავა 1929: 104) კატამ აქმედს მოკაწრა და გაიქცა. სემანტიკურად და სტრუქტურულად აღნიშნული ლექსემის მსგავსია ჭენგ-ელ-ი – ფარცხი. „ბერგითე იებრწყი, ჭანგელითე მობოწყი“ (ჩიქობავა 1936: 68), ოთხით მოაძრე, ფარცხით დააწყვე. გვაქს შემთხვევები, როდესაც აუსლაუტში შესამჩნევია გ/ჯ მონაცვლეობა ბერგი>ბერჯი. საფიქრებელია ჭანგელ ფორმა თურქულიდან იყოს ნასესხები, მაგრამ ზმნაში მო-ჭანგ-უ – მოკაწრა ჭანგ ძირი სპარსული წარმომავლობისაა, რომელიც არ ჩანს თურქულიდან შეთვისე-

ბული, რაზეც ცალსახად მეტყველებს მისი ფონეტიკური გადმოცემა. ასე რომ იყოს მოგვცემდა ჩენგ/ან ჭენგ ფორმას, როგორც ეს არის ჭენგელის შემთხვევაში. ჭენგელიც სპარსული ჯანგ [čāngāl]-ია.

**რასთი მოხთუ** – „მზუდაშა რასთი მოხთუ“ (ჩიქობავა 1936: 132)- ზღვაში შეხვდა; „არ მერდივენი რასთი მოხთუ“-ერთი კიბე შეხვდა (ჩიქობავა 1936: 134); არ ქვით რასთი მოხთუ“ (ჩიქობავა 1936: 134) ერთი სოფელი შეხვდა; ბეჭები რასთა მოხთუ (ჩიქობავა 1936: 138) დარაჯი შეხვდა; უკრ გზაშა რასთი მოხთეს (ჩიქობავა 1936: 40) ორი გზა შეხვდათ; „მუმული იდუ, იდუ, იდუ, ჰემ გზაშა რასთი მოხთეს“ (ჩიქობავა 1936: 40) მამალმა იარა, იარა, იარა და იმ გზაზე ერთ ჭას წააწყდა. „არ მჟეში რასთი მოხთუ“ (ჩიქობავა 1938: 96), ერთი მწყემსი უცებ მოვიდა.

თურქული rastgelmek შეხვედრა წარმოადგენს შედგენილ ზმნას: სპარსული rast სწორი, პირდაპირი და თურქული gelmek მოსვლა; აქვდან rastgelmek შეხვედრა. წინამდებარე ზმნის მიხედვით ირკვევა, რომ ლაზურში რას[თ/ტ] სიტყვა ნახესხებია უცვლელად, ხოლო ამ შემოხვევაში დამსმარე ზმნა gelmek მოსვლა ნათარგმნია იმავე მნიშვნელობით.

**ინთიკაში ქეჭოფუ** – „დიმდორუ უნენელი ბიჭიქ დო ინთიკაში ქეჭოფუ“ (ედენტი 1938: 6), დაიყვირა უენო ბიჭმა და შერი იძია. აკად. ს. ჯიქია თვლის, რომ აღნიშნული შედგენილი ზმნა კალკია თურქული ენისა (ჯიქია 1964: 261). თურქულ ენაში შურისძიება გამოიხატება: intikam almak, სადაც შურისძიებას, როგორც სახელად ნაწილს ემატება დამხმარე ზმნა almak, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს შურისძიების აღებას. ერთი მხრივ, ლაზურში წინადებარე ზმნა შედგენილია და შედგება არაბული intikam -სა და ლაზური ჭოფ ძირისაგან წარმოებული ზმნისაგან და მეორე მხრივ წარმოადგენს კალკს თურქული ენისას.

**შექმაეთი ლდოდუ** – „დაუდი იდუ დო შექმაეთი ლდოდუ ჰუქმეთის“ (ჩიქობავა 1936: 7), ებრაელი წავიდა და მთავრობაში იჩივლა (სიტ. საჩივარი გაუკეთა). ამ შემთხვევაშიც ზმნა შედგენილია სახელადი და ზმნური ნაწილისაგან. სახელადი ნაწილი არაბული წარმოშობის თურქულის გზით დამკვიდრებული şıkâyet- შკაპთ -საჩივარი,, „ო-ლოდ-უ“ ლაზურად ნიშნავს უქნა, დამართა, მოსწია (ასათიანი 2012<sup>2</sup>: 279).

**აჭი ლდოდუ** – აპატია „აჭი ლო-ლოდ-ით, ჩქინ მუ მიჩქიტებ“ (ჩიქობავა 1929: 76). გვაპატიეთ, ჩვენ რა ვიცოდით, (სიტ. პატიება გაგიკეთეთ), „დოლრუ-ნა თქვი” შენი აჭი გო-ლოდ-აფ-ია“ (ჩიქობავა 1929: 76). რადგან შენ სიმართლე თქვი, გაპატიებ (სიტ. პატიებას გაგიკეთებ). ეს ზმნაც შედგენილია, სახელადი ნაწილი წარმოდგენილია თურქული გზით დამკვიდრებული არაბული სიტყვით ფუ, , რაც ქართულად პატიებას ნიშნავს, მისი თურქული შესატყვისია affetmek პატიების კეთება.

**და ვეთი ლდოდუ** – დაპატიუა; „მოელის-თი კონადი სქანიშა და ვეთი ლდოდია“ (ჩიქობავა 1929: 150). სულ ყველა შენ სახლში დაპატიებო (სიტ. პატიუი გაუკეთეთ). „ბაბა სქანიქ მა დავეთი მოლოდუ“ (ედენტი 1938: 183). მამა შენმა მე დამპატიუა (სიტ. პატიუი გამიკეთა). ამ შედგენილი ზმნის სახელადი ნაწილი არაბულია, თურქული გზით დამკვითრებული - دعوت პატიუი. „თურქული შესატყვისია davet et“ (ჯიქია 1964: 266).

**ფაი ლოპათი** – „ბაბაში ფაი ლოპათ“ (ჩიქობავა 1929: 10), მამის [ქონება] დავინაწილოთ, სიტყვასიტყვით ნაწილ (ნაწილ)-ი ვქნათ. თურქული payetmek- გაყოფა. „ბაბაში მალი ფაი დო ვეს“ (ედენტი 1938: 56) მამის ქონება დაინაწილეს, სიტყვასიტყვით მამის ქონების დანაწილება ქნეს.

**დელი ლიფუ** – „ჰამ კოჩი დელი დიფუ“-დეი, ჯანდარმას დუჯოთებს“ (ჩიქობავა 1936: 6) ეს კაცი გაგიედათ და ჟანდარმს დაუძახეს, (სიტ. ეს კაცი გიში გახდათ) თურქ. Bu adam deli oldu diye.

**კაბლა უფეს** – „კაბლა უფეს დო იმტებ“ (ჩიქობავა 1936: 116), იჩხუბეს და გაიქცნენ (სიტ. ჩხუბი ქნებს) თურ. kavga etmek (ჩხუბის გაკეთება).

**მუაინე ყუ** – „დოხორიქ მუაინე ყუ“, ექიმმა გასინჯა (სიტ. გასინჯვა გააკეთა) თურქ. tısuayene etti. ამ ზმნის ე. წ. სახელადი ნაწილი არაბული წარმოშობისაა და მომდინარეობს عین -თვალი-საგან; معاينه ნიშნავს დაოვალიებას, ექსპერტიზას.

**ჭეთი ლოყუ** – „სულტან სელიმიქ ლაზისტანი ჭეთი ლოყუ“ (ეიფშიძე 1939: 4); სულთან

სელიმმა ლაზისტანი აიღო (სიტ. ადება გააკეთა). ოურქ. feth etti; فتح - اردا-ا-ادهبا دا دا اوئرک- etti-دا-ا-گەرە.

**დინი ქამაფთო** – „დინი სქანი ქამაფთი-ა“ (ასათიანი 2012<sup>1</sup>: 18). შენს სარწმუნოებაში შევე- დი, მივიღე.

**თესლიმ ვორეთ** „ჩქუნ თესლიმ ვორეთ, დინი თქვანის ქამაფთიო“ (ასათიანი 2012<sup>1</sup>: 18); ჩვენ გბარდებით (გნებდებით), თქვენი სარწმუნოება მივიღეთ.

**დი (ქლ-ი)-ფიშმან-ჟ** – დაინანებს „მუ მახენენ? მა-თი დოფიფიშმანი“ (ყიფშიძე 1939: 16); რა ქნეს? მეც ვინანე. მგეი დიფიშმანეებ- „აშო მოთ პი“ (ჩიქობავა 1929: 72). „ბერეს ქოგვაშინუ ია პატი ნენაფე, ბადის-ნა უწუ დო დიდო დიფიშმანუ“, ბიჭი შეგვიშინეს ამ ცუდი სიტყვით, მო- ხუცსაც უთხრა და დიდად ინანა (ჩიქობავა 1929: 87). „დალეფი მუში დიფიშმანეს“ (ჩიქობავა 1929: 29), მათ დებმა ინანეს. „დალი დიფიშმანერტუ, ამმა აწი ვახო მიკილერეტუ (ჩიქობავა 1929: 76) უნანებია, მაგრამ წასვლის დრო მოსულა.

ამ შემთხვევაში ზმნის ძირი წარმოადგენს სპიშიمان (სინანულ ში მყოფი, სინანულ ს ადნიშნავს, პშიمانი, სიტყვათმაწარმოებელი დ ღებულობს აქ მონაწილეობას რომ ქვემდე- ბარული მიმდეობიდან მივიღოთ ე. წ. სახელწმნა), რომელიც თურქულის გზითაა დამკვიდ- რებული ლაზურში.

შეიძლება ითქვას, ზმნური ნასესხობანი ლაზურ ენასა და მის დიალექტებში მრავალ- ფეროვენ სახეს ღებულობს. ერთია სახელადი წარმოშობის ზმნური ძირის ნასესხობები და მეორეა შედგენილი ზმნის სახელადი ნაწილის ნასესხობა, რომლებიც უმრავლეს შემთხვევა- ში ან სპარსულია, ან არაბული, თურქულის გზით დამკვიდრებული. თურცა ჩვენ გამოვყავით ერთეული, მაგრამ არსებული შემთხვევა, როდესაც თურქულის გზით არ არის შეთვისებული წარმოშობით სპარსული ლექსემა. უნდა ითქვას, რომ ლაზურში დამკვიდრებული შედგე- ნილი ზმნები ბილინგვურია. ეს განაირობებულია, ერთი მხრივ სახელადი ნასესხო- ბით მეორე მხრივ, ვინაიდან წარმოადგენს თურქული გზით შეთვისებულს, რიგ შემთხვევებში თურქული ენის კალკია, მაგრამ დამხმარე ზმნად გამოყენებულია ლაზური resp. ქართველური წარმოშობის დამხმარე ზმნის ფუნქციის მქონე, ხშირ შემთხვევაში არა დამხმარე ზმნები და მათი დისტრიბუცია როგორც დამხმარე ზმნა, ლაზურში შეძენილი ფუნქციაა, რომელიც გა- ოგრაფიული და გარემომცველი სივრცის გავლენითაა გამოწვეული.

### ლიტერატურა:

1. ასათიანი 2012<sup>1</sup>: ასათიანი ი., ლაზური (ჭანური) ტექსტები თბილისი: არტანუჯი
2. ასათიანი 2012<sup>2</sup>: ასათიანი ი., ლაზური ლექსიკონი თბილისი: არტანუჯი
3. ქდენები 1938: ქდენები ს., ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი
4. ჩიქობავა 1929: ჩიქობავა არნ. ჭანური ტექსტები I – ხოფური კილოკავი, თბილისი
5. ჩიქობავა 1936: ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბი- ლისი
6. ჩიქობავა 1938: ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბი- ლისი: სსრ კ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
7. ჩიქანია 2008: ჩიქანია ა., მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი: არტანუჯი
8. ყიფშიძე 1939: ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, თბილისი
9. ჯიქია 1964: ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ შრომები, აღ- მოსავლეომცველნეობის სერია IV
10. მარრი 1910: Mapp H., Грамматика чанского (лазского) Языка, с хрестоматией и словарём, С-Петербург

**Inga margvelashvili, Paata jafaridze**  
**Oriental Segments of the Morphological Structure of the Verb in Lazian Language**

**Abstract**

In the speech of the Lazians inhabiting Turkish territory there are instances when Kartvelian traces are lost in lexemes and they are replaced by lexical units of oriental origin (Turkish, Persian, Arabic). This rarely occurs in verb forms. The dynamics of the phonetic aspect of the lexemes of this kind are also worthy of note. In the speech of the Lazians there might be verb forms adopted by the Lazians through language contacts in the area before appearance of the Ottomans.

As for nominal verb forms, they remain unaltered in the Chanian language. Therefore nominal verbs are derived by means of auxiliary verbs. Out of the Oriental lexical borrowings nominal parts of compound verbs/predicatives are being firmly established in the speech of the Lazians. So we should expect the increase in the number of compound verbs in the Lazian language.

**Инга Маргвелавшили, Паата Джадаридзе**  
**Восточные сегменты морфологической структуры глагола Лазского языка**  
**Резюме**

Речи Лазов Проживающих на территории современной Турции бывают случаи, когда следы той или иной картвельских лексем стерты и его место в окружающей среде обладали восточные (турецкий, персидский, арабский) по происхождению слов, но таких случаев в глагольных формах редкие.

некоторые глагольные основы речи Лазов некартвельского происхождения могут быть заимствованный до появления тюрков. Фонетические формы является Хорошим способом понять сторону заимствования, так как есть ряд арабских и персидских слов, у которым являются специфически для турецкой традиции произношения.

Что же касается именным глаголом, то они неизмененной. Таким образом, эти глаголы производятся вспомогательным глаголом. В Глаголах такого рода заимствованы именные части. Таким образом, в Лазском ожидается увеличение числа глаголов этого типа.

## ლოკალურ ბრუნვათა საკითხისათვის ქართულ ენათმეცნიერებაში

აკ. შანიძის თვალსაზრისმა ლოკალური ბრუნვების შესახებ ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. "ზოგიერთი თანდებული მჭიდროდ შეეხარდა ბრუნვის ფორმას, თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილებები მოხდა, რომ წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის საფუძვლზე, სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მოლიანად ბრუნვის ნიშანდ იქნა გაგებული. ასეთი ცვლილება მოხდა სამ ბრუნვაში: მიცემითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. შედეგად მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა:

**სადაობითი:** (ქალაქში, ქალაქზე).

**გამოსვლითი:** (ქალაქიდან, წყაროდან)

**მიწევნითი:** (წყარომდე, სახლამდე)" (აკ. შანიძე, 1953, გვ. 73-74).

ავტორმა ამ ბრუნვებს ლოკალური ანუ ადგილობითი უწოდა.

სადაობითი ბრუნვა ჩაითვალია ადგილმდებარების მაჩვენებლად და მის ნიშნად გამოიყო -ში, -ზე: წყალ-ში, წყალ-ზე.. "ეს ბრუნვა წარმოიშვა მიცემითი ბრუნვისაგან, მასთან -ზედა ან -შინა თანდებულის შეზრდის ნიადაგზე. როცა დაიკარგა ნართაული პ, თანდებული უშუალოდ მოჰყვა ბრუნვის ნიშანს და მივიღეთ ერთ მარცვლად ქვეული -სში, -სზე (სახლ-სში, სახლ-სზე), რომლებიც გამოსათქმელად ძნელი იყო, რასაც შედეგად მოჰყვა მიცემითის -ს ნიშნის საკარგვა: წყალ-ში, წყალ-ზე, ხეზე, ხეში...

ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვის შემდეგ -ში და -ზე უშუალოდ ფუძეს ერთვის, ამიტომ მათ მიიღეს ბრუნვის ნიშანთა ფუნქცია. ისინი ბრუნვის ნიშნები გახდნენ" (ა. შანიძე, 1953, გვ.74).

რაც შეეხება -თან თანდებულს, ავტორი ამის შესახებ აღნიშნავს: "-თან-ის დართვისას ეკარგება მიცემითის ნიშანი თანხმოვნიან ფუძეებს, მაგრამ ხმოვნიან ფუძეებთან ჯერ კიდევ შემონახულია ეს ნიშანი: კაც-თან.. შდრ: მიწას-თან. ამიტომ აქ არ ისმის საკითხი ახალი ბრუნვის გამოყოფის შესახებ."

აკ. შანიძის მოსაზრება არ გაიზიარა არნ. ჩიქობავამ და გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი "თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში". არნ ჩიქობავა სვამს ასეთ კითხვას: თუ -ში და -ზე ბრუნვის ნიშნები გახდნენ იმის გამო, რომ უშუალოდ ფუძეს მოსდევენ, -თან თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან ბრუნვის ნიშნად რატომ არ უნდა მივიჩნიოთ? და მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: "-ში და -ზე თანდებულიან სახელებს გარკვეულ შემთხვევაში მიცემითის -ს აღმოაჩნდებათ (მთაში, ბარში შდრ. მთასა და ბარში). თუმცა აკ. შანიძეს "მთაში" მიცემითად არა აქვს მიჩნეული: **მთა** ფუძეა და -ში ბრუნვის ნიშანიო. თუ საკუთარი ბრუნვის ნიშანი არ მოქმედებს, როგორ შეიძლება ხმოვანფუძიანთა -ს ნიშანმა თანხმოვან-ფუძიანებში -ს ნიშნის უქონლობა აგვინაზდაუროს. მით უფრო, რომ უველა ხმოვანფუძიანი სახელი მრავლობითში -ებ სუფიქსის დართვისას თანხმოვანფუძიანი ხდება და მიცემითის

-ს ნიშანს კარგავს -თან-ის წინ (ქვას-თან, ხეს-თან.. შდრ. ქვებთან, ხეებ-თან.). აუცილებელია მორფოლოგიურ მოვლენათა კვალიფიკაციის დროს ანგარიში გაეწიოს ფონეტიკურ ცვლილებას, რადგანაც ბევრი სხვა სირთულე გაჩნდება და მორფოლოგიური ფაქტის დახასიათება უცნაურ სახეს მიიღებს" (არ. ჩიქობავა, 1961, გვ. 197-208).

თ. უთურგაიძე ლოკალურ ბრუნვათა შესახებ საინტერესოდ მსჯელობს სტატიაში "თანდებულიან სახელთა ბრუნება ქართულში" (1984, გვ. 114). მისი აზრით, "მიცემითი ბრუნვის მორფები წარმოდგენილია ორი ალომორფით /-ს/ და /ი/ სალიტერატურო ქართულში /-ს/ ალომორფი ყოველთვის გვექნება უთანდებულო მიცემითის ფორმებთან, განურჩევლად ფუძის დაბოლოებისა, როგორც თანდებულიან, ისე უთანდებულო ფორმებში (ქალაქ-ს, წყარო-ს, ქალაქ-სა..) ასევე -ს გვაქვს სმოვანფუძიან სახელებთან, -თან თანდებულის წინ (ხე-ს-თან). ამავე პოზიციაში ბრუნვის ნიშანი /-ს/ წარმოდგენილია /ი/ ალომორფით. სხვა თანდებულიან ფორმებში (ხე-ში, ხე-ზე), გამონაკლისია მხოლოდ ორი ნაცვალსახელი: (მა-ს-ში, მა-ს-ზე, ვი-ს-ში, ვი-ს-ზე). მიცემითი ბრუნვის ნიშანის /-ს/ ალომორფის დაკარგვა განაპირობა -ში, -ზე, -თან თანდებულების მკაცრად განსაზღვრულმა არანურებამ, ისინი სახელს მართავენ მხოლოდ მიცემით ბრუნვაში". ავტორი, ამ თანდებულიან სახელებს მომხდარი ცვლილებების მიხედვით ცალკე ბრუნვის ფორმებად ვერ მიიჩნევს ქართულ ენაში (1984, გვ. 115).

ლოკალურ ბრუნვათა საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წიგნში "ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (1989, გვ. 67) ცალკე თავად შეიტანა ალ. ონიანმა ეს პრობლემური ოქმა. ავტორი აღნიშნავს: აუსენელი რჩება თუ რატომ გავრცელდა ანალოგია შემთხვევათა მხოლოდ ერთ ნაწილზე (-ში, -ზე თანდებულიან ფორმებზე) და სრულებით არ შეეხო მეორე ნაწილს (-თან თანდებულიან ფორმებს). ვფიქრობთ, რომ ანალოგიის დაშვება საჭირო გახდა მხოლოდ -ში, -ზე, თანდებულიანი ფორმებისათვის, -თან თანდებულიანი ფორმათათვის ის აბსოლუტურად ზედმეტია. ამიტომ მისი ბრუნვის ნიშანად მიჩნევის საკითხი, ცხადია არც დასმულა.

სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს -ში, -ზე თანდებულიან ფორმებში. მიცემითის -ს ალომორფი აქ არ დასტურდება არც თანხმოვნისა და არც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ხე-ზე, ხე-ში, სახლ-ზე, სახლ-ში). ეს გარემოება ცხადყოფს იმას, რომ -ში, -ზე თანდებულიან ფორმებში სხვა სინქრონიული წესი მოქმედებს, -თან თანდებულიან ფორმებში სხვა. თუ გამონაკლისებს დავექრდნობით, მაშინ შესაძლოა მიცემითი ბრუნვის /ი/ ალომორფი, და ეს ელემენტები -ში, -ზე თანდებულთა კლასში გავაერთიანოთ, მაგრამ თუ ამ გამონაკლისებს ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ -ში, -ზე ელემენტები ბრუნვის ნიშანთა კლასში გაერთიანდება და არა თანდებულებში".

გ. ცოცანიძე სტატიაში "გან თანდებულიანი მოქმედებითისათვის ქართულში" აღნიშნავს: "სახლ-ში, სახლ-ზე... ფორმებში თანდებულები -ზე, ში ცვლილებას არ განიცდის, ცვლილებას განიცდის ბრუნვის ნიშნები. ცვლილება სინქრონის ფაქტია და არა დიაქრონისა: -ზე და ში თანდებულებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი ნულოვანი გარიანტითაა წარმოდგენილი. ამის თქმა თამამად შეგვიძლია, რადგან მოგვეპოვება -ს ვარიანტიანი ფორმებიც: მა-ს-ზე, მა-ს-ში" (გ. ცოცანიძე, 1982, 26).

"მიწვნითი ბრუნვა მიგვითითებს გარკვეულ პუნქტამდე მიწვნას სივრცესა თუ დროში: კახეთ-ამდე, ხე-მდე, სახლ-ამდე. მისი ნიშანია -ამდე (თანხმოვანფუძიანებთან) ან -ზდე (ხმოვანფუძიანებთან). ამ ნიშნების პარალელურად არსებობს აგრეთვე -ამდის/ზდის. ეს ბრუნვა წარმომდგარია შემდეგნაირად: ვითარებით ბრუნვას ძველად მიმართულებითის ფუნქციაც ჰქონდა; მიწვნითის გადმოსაცემად მას ერთოდა თანდებული მდე ან მდის, /ად/ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი იყო, მივიღეთ ჯგუფი: -ად-მდე(ად-მდის). დაიკარგა პირველი -დ გამოთქმაში, რის გამოც წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამიტომ დღეს -ამდე/ზდე ან მისი ნაცვალი -ამდის/ზდის უკვე ბრუნვის ნიშანდა მიჩნეული (აკ. შანიძე, 1953).

ამ ბრუნვასთან დაკავშირებით არ. ჩიქობავა აღნიშნავს: "აქ საკითხი წყდება იმგვარად, როგორც სადაობითი ბრუნვის შემთხვევაში: მოსალოდნელი ბრუნვის ნიშანი (-ად) არა გვაქვს. რაცა გვაქვს არც ერთი ბრუნვის ნიშანს არა ჰგავს. ასე რომ, ახალი ბრუნვის ნიშანია -ამდე" (არ. ჩიქობავა, 1961, გვ. 203).

თ. უთურგაიძე საგანგებოდ ეხება **-მდე** თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვის ფორმებს. "ვითარებითი ბრუნვის ალომორფებია **-ად** და **-დ**, თანდებულის წინ გვხვდება **-ა** და **/1/** ალომორფები (ველ-ა-მდე, წყარო-მდე). **-მდე/მდის** თანდებულიანი ვითარებითი ლოკალური ფუნქციით გვხვდება ქართულში. ეს ფუნქცია თანდებულის გარეშეც დასტურდება ამ ბრუნვაში (ველად გაიარა, ბარად ჩამოსახლდა). ბრუნვის ნიშნისეული **დ**-ს დაპარგვა უკვე ძველ ქართულში დაწყებულა და გამარტივებული ფორმები უკვე ძველ ძეგლებში დასტურდება" (თ. უთურგაიძე, 1984, გვ. 118).

ზ. სარჯველაძე თვლის, რომ "ამ რიგის ფაქტები თავს იჩენს ქართული ენის უძველეს ძეგლებში (ხანძები დექტიონარი, სინური მრავალთავი). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მიწევნითი ბრუნვა დიდ ხნის წინაა ჩასახული" (ზ. სარჯველაძე, 1975, გვ. 132.).

თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ "ვეფხისტყაოსანში" **-მდის** თანდებულის წინ ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული **დ** აღარ გვხვდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ **-მდე-მდის** თანდებულიან ფორმებში **დ** ჯერ კიდევ მაშინ ჩავარდა, ვიდრე ამ **დ**-ს დაყრუება მოხდებოდა ვითარებით ბრუნვაში. **დ**-ს ჩავარდნას შედეგად მოჰყვა ამ ბრუნვის ნიშნის **/1/** და **/1/** ალომორფებით წარმოდგენა ენაში (კაც-ა-მდე, წყარო-0- მდე). **დ**-ს დაგარგულ ფორმებზე მსჯელობისას აღნიშნავს ზ. სარჯველაძე: "ძველი ქართულისათვის ეს ფორმები ვითარებითი ბრუნვაა და არა მიწევნითი. **/1/** და **/1/** ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფებია. ცალკე ბრუნვას ისინი მას შემდეგ ქმნიან, რაც ქართული ენის ბრუნების პარადიგმიდან უჩინარდება ვითარებითი ბრუნვის **/1/** ალომორფი". ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თ. უთურგაიძე და ასახელებს ორ არგუმენტს: ჯერ ერთი **"-ა** ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფი დღემდე მაინც გვხვდება **-ად**-ის თავისუფალმონაცვლედ (ნელ-ა, კარგ-ად//კარგ-ა...შდრ. ძველი ქართულის სადიდებელ-ა//სადიდებელ-ად) და მეორეც, ქართულში ცოცხალია სოფლად, ქალაქად... ფორმები ლოკალური ფუნქციით (სოფლად ცხოვრობს); სოფლამდე, ქალაქამდე... ფორმებში **-მდე** თანდებულის წინ **ა** შეიძლება მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფიდ მივიჩნიოთ, როგორც ძველ ქართულში. ამის შესაბამისად, ხმოვანფუძიან სახელთა თანდებულიან ფორმებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფი იქნება **/1/**".

გ. ცოცანიძეს საკითხის ამგვარად გადაწყვეტის სასარგებლოდ მოჰყავს შემდეგი არგუმენტი: "**-მდე** თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვის ნიშანს **ა**-ს წარმოგვიდგენს (ბრუნვის ნიშნის ეს ვარიანტი უცხო არაა ქართული დიალექტებისათვის უთანდებულოდაც. მაგ.: ყშაური: ყინჩა, ლამაზა)".

ალ. ონიანი დასახელებულ არგუმენტებთან დაკავშირებით აღნიშნავს:

1) "თანამედროვე სალიტერატურო ქართულის უთანდებულო ფორმებში ვითარებითი ბრუნვის მორფების **ა** ალომორფის არსებობის საბუთად, დასახელებულია მხოლოდ ზმინზედები (ნელა, მაგრა). ზმინზედა კი სინქროლულად არც ბრუნების პარადიგმის წევრია და არც ბრუნვის ფორმა. ასე რომ, უთანდებულო ფორმებში ვითარებითი ბრუნვის მორფების **/1/** ალომორფი არ არსებობს.

2) გაურკვევებულია, თუ რატომ არის **-ამდე** ერთეულის **ა** ელემენტის ვითარებითი ბრუნვის მორფების ალომორფიდ მიჩნევის მთავარი არგუმენტი ისეთ ფორმათა არსებობა, როგორიც არის: სოფლად, ქალაქად და ა.შ. (სოფლად ცხოვრობს = სოფელში ცხოვრობს) ლოკალური ფუნქციით, როგორც ცნობილია, სხვა ბრუნვის ფორმები იხმარება.

3) რადგანაც ზმინზედებში (ფშაური: ყინჩა, ლამაზა) სინქრონულად ბრუნვის ნიშნები არ გამოიყოფა, დიალექტური ფორმები სალიტერატურო ენის სინქრონულ საკითხთა გადასაწყვეტად არ გამოიდგება.

ალ. ონიანის აზრით, "თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვითარებითი ბრუნვის მორფების **ა** ალომორფი ის ერთეულია, რომელიც სინქრონული ანალიზისას **-ამდე** ერთეულის შემდგომ მორფოლოგიურ სეგმენტაციას უდევს საფუძვლად. ქალაქამდე, სოფლამდე და ა.შ. ვითარებითი ბრუნვის ფორმებიდ ვერ ჩაითვლება" (ალ. ონიანი, 1989, გვ.70).

თ. შარაშენიძე ვრცლად ეხება ვითარებითი ბრუნვის ფუნქციის საკითხს ძველ ქართულში. მისი აზრით, ვითარებითი ბრუნვის ნამდვილი მაწარმოებელია: **დ** და **ა**. ამ თრი ფორმანგრის შეერთებით არის მიღებული **-ად**. "ვითარებითს რამდენიმე ფუნქცია აქვს: 1) მიმართულების ჩვენება - "მოვიდეს ქალაქად" 2) მიღწეულობა, აღნიშნავს მოქმედების დასასრულ პუნქტს. ამ

ფუნქციით იხმარება, როგორც უთანდებულო, ისე თანდებულიანი პრუნვა. მესამე ფუნქციაა ლოკატივი (სად?) , აგრეთვე გამოხატავს დროს (როდის?)

ავტორის აზრით, ვთორებითი ბრუნვის ფუნქციათა ევოლუციის პროცესში ამოსავალი კონკრეტული მნიშვნელობიდან (ადგილის განსაზღვრა: მიმართულება, მიღწეულობა) აბსტრაქტული მნიშვნელობები მივიღეთ. ლიად არის დატოვებული საკითხი ადგილისა და მიმართულების ფუნქციათა გენეტური დამოკიდებულების შესახებ. შეუძლებელი არაა, რომ მეორე პირველისაგან იყოს მიღებული" (თ. შარაშენიძე, 1956, გვ. 430).

განსაკუთრებული კამათი გამოიწვია გამოსვლითი ბრუნვის ფორმამ. აკ. შანიძის მიხედვით, "გამოსვლითი ბრუნვა მიგვითოთებს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას, როგორც სივრცეში, ისე დროში: სახლიდან. ძველად მოქმედებით ბრუნვას დაკისრებული პქონდა გამოსვლითის ფუნქციაც (ამის მაგალითები მოიძებნება მთის კილოებში ხევსურეთით=ხევსურეთიდან), მაგრამ ამ ფუნქციისათვის საქმარისი არ აღმოჩნდა მხოლოდ ბრუნვის ფორმა და მას დაერთო **გან** თანდებული: სახლ-ით-გან, გულ-ით-გან. თანდებულის თავკიდურის გავლენით წინა თანხმოვანი გამედერდა: გულ-იდ-გან, შემდგე მათი ურთიერთშეგუების ნიადაგზე დაიკარგა **გ** და მივიღეთ ასეთი ფორმა: "გულ-იდან" ავტორი ასეგნის: "ფონეტიკური ფაქტორის ზეგაფლენით **თო+გან**-ისაგან მიღებული **იდან** დღეს განუყოფელია. **იდან** დღეს უკვე გამოსვლითი ბრუნვის მაწარმოებელია (ა. შანიძე 1973, გვ. 74 ).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **იდან** ორი მორფოლოგიური ერთეულისაგან შედგება. პირველი **იდ** ფონეტიკურად სახეცვლილი **თო** არის მოქმედებითის ნიშანი, მეორე **ან** იგივე **გან** თანდებულია, ფონეტიკურად გამარტივებული. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა ბ. ჯორბეგნაძემ: "... სახლიდან ტიპის ფორმებში უნდა გაიმიჯნოს, **იდან ან**, რომელიც **გან** თანდებულის ფონეტიკური ტრანსფორმაციის საფუძველზეა მიღებული."

თ. უთურგაიძე მხარს უჭერს საკითხის ამგვარ კვალიფიკაციას. მისი აზრით, "სრულიად ბუნებრივია, გამოსვლითი ლოკალური ფუნქციით /ან/ -ით დაბოლოებულ ფორმებში: ქალაქიდან, წყაროდან... /ან/ მივიჩნიოთ **გან** თანდებულის ალომორფად, ხოლო /ად/ და /დ/ მოქმედებითი ბრუნვის /თო/ სუფიქსის ალომორფებად **გან** თანდებულის წინ. ავტორის აზრით, ცვლილება **თოგან** -**იდგან** -**იდან**, განხილულ უნდა იქნეს, როგორც "ალომორფთა სინქრონული მონაცვლეობა". გ. ცოცანიძე სტატიაში "გან თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის" აღნიშნავს: "გან თანდებულიანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ფაქტი არაა. იგი ქართული ენის ისტორიის გარკვეული პერიოდის რეალობაა და XIX საუბუნის აქეთ არ გადმოდის. დღეს ქართულში გვაქს **დან** თანდებულიანი მოქმედებითი. ამ თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან ფუძევეცად სახელებთან წარმოდგენილია **ი** - ვარიანტით, ხოლო უკვეცელ ხმოვანფუძიან სახელებთან **ი/** ვარიანტით. ვითარება ისეთივეა, როგორიც **ზე** და **ში** თანდებულიან მიცემითა და **მდე** თანდებულიან ვითარებითში".

ალ. ონიანის მიაჩნია, რომ "სოფლიდან" ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თანდებულიანი მოქმედებითის ფორმად ვერ ჩაითვლება".

უნდა აღინიშნოს, რომ **დან** ელემენტი მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ განუყოფელ მორფოლოგიურ ერთეულად იქნა მიჩნეული. ხოლო **იდან** სახესხვაობაში თრი მორფოლოგიური ერთეული გამოიყო: **დან** თანდებული და ბრუნვის მორფების **ი** ალომორფი.

გ. ცოცანიძე **დან** ელემენტის შესახებ აღნიშნავს: "სახლითგან და სახლიდან ფორმებში, ფონეტიკურმა ფაქტორმა გამოიწვია ისტორიული ცვლილება: ბრუნვის ნიშისა და თანდებულის ურთიერთქმედებით მივიღეთ პრიციპულად ახალი ენობრივი ერთეული **დან** თანდებული". რაც შეეხება **ი** ელემენტს, გ. ცოცანიძე მას მოქმედებითი ბრუნვის მორფემაში აერთიანებს.

ალ. ონიანი კი **ი** ელემენტს განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან კავშირში. ეს კი ამ ელემენტის მართებული კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. იგი თვლის, რომ "საქმე გვაქვს ერთი მორფემის ხმოვნიან და უხმოვნო ვარიანტთა ფონოლოგიურად შეპირობებულ მონაცვლეობასთან".

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულსა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეინიშნება განსხვავებული ვითარება: ძველ ქართულში **თო+გან** და **ათ+მდე** ორ-ორი სუფიქსი-

საგან შედგებოდა, თანამედროვე სალიტერატურო ენაში ისინი განუყოფელ მორფოლოგიურ ერთეულებად წარმოგვიდგნენ (ალ.ონიანი, 1989, გვ.78).

საინტერესოა ტ. ფუტკარაძის მოსაზრება ლოკალური ბრუნვების შესახებ. მისი აზრით, ბრუნვის ნიშანი და მასთან შერწყმული თანდებული ერთი მთლიანობაა მნიშვნელობის ას-პექტითაც. ბრუნვის ნიშანი + ე.წ. თანდებული ერთიანად ამყარებენ სინტაქსურ ოუ სემანტიკურ მიმართებებს, ამიტომ მათი როგორც როული, შერწყმული მორფების ადგილი ისევ და ისევ მიმართებით აფიქსებშია. ბრუნვის ნიშანთა შერწყმულმა თანდებულებმა განვითარების როული გზა გაიარეს."ერთიან, შერწყმულ მორფებისად უნდა გავიაზროთ არა მხოლოდ ე.წ. ლოკალური ბრუნვის ნიშნები, არამედ ბრუნვის ნიშანთან თანდებულმიერობული სხვა ფორმებიც. ისინი შეიძლება გავაერთოანოთ "ბრუნვების" სახელით.

ტ. ფუტკარაძე გამოყოფს 7 მარტივ და 11 როულ ბრუნვას (ტ. ფუტკარაძე, 1997, გვ. 160) ეს არის ჩვენი აზრით, მარტივი ბროსეს პოზიციის გაგრძელება და დასაბუთება):

მარტივი ბრუნვები:

ფუტკარაძე+0//ი: მიწა, კაცი

ფუტკარაძე+ მ//მა//ნ მიწა-მ, კაც-მა, ვინ//ამა-ნ

ფუტკარაძე+ს: მიწა-ს, კაც-ს

ფუტკარაძე+ს(ი) //ის//0: წყარო-სი, კაც-ის, ჩემი

ფუტკარაძე+თი//ით: წყარო-თი, კაც-ით

ფუტკარაძე+დ//ად: წყარო-დ, კაც-ად

ფუტკარაძე+0//გ//ო: დედა, მიწა-ვ, კაც-ო

როული ბრუნვები:

მყოფობითი: ფუტკარაძე+ სას//ისას: მამი-სას, მეზობლი-ისას

დანიშნულებითი: ფუტკარაძე+ სად//ისად//დამი: ფუტკარაძე+სთვის // ისთვის // -თვის

წყარო-სად, კაც-ისად, ჩემდამი, კაცი-სთვის, ჩემ-თვის

მსგავსებითი: ფუტკარაძე+სავით // ივით: მიწა-სავით, ჩემსასვით, კაცი-ვით

საზედაო: ფუტკარაძე+ზე: კაც-ზე, მას-ზე

საშიდაო: ფუტკარაძე+ ში//სში: სახლ-ში, მას-ში

თანაობითი: ფუტკარაძე+სთან // თან: დედა-სთან, კაც-თან

მიმართულებითი: ფუტკარაძე+კენ//ისკენ: ჩემ-სკენ, კაც-ისკენ

თანამდევრობითი: ფუტკარაძე+სთან // თანავე // ისთან // ისთანვე; ჭამ-ისთანავე

დაწყებითი: ფუტკარაძე+ დან // იდან: წყაროდან, სახლიდან.

თანხლებითი: ფუტკარაძე+(თი)თურთ // ითურთ: სანდროთითურთ // სანდროთურთ

მიწენითი: ფუტკარაძე+ დე/ე/ადე: წყარომდე, სახლამდე

ავტორი თავის პოზიციას ამყარებს შემდეგი გარემოებით: "ლოკალურ და პოსესიურ მიმართებათა გამომხატველი ბრუნვები არა მხოლოდ სხვა ქართველურ ენებში, არამედ სხვა იძერიულ-კავკასიურ და ინდოევროპულ ენებშიც გამოიყოფა. ყველა შემთხვევაში ბრუნვა მიჩნეულია სინტაქსურ-სემანტიკურ მონაცემადაც.

ბ. ჯორბეგნაძე "ქართული ენის მორფოლოგიაში" (1995, გვ. 44) ლოკალური ბრუნვების გამოყოფას უმართებულოდ მიიჩნევს, რადგანაც:

ა) შერწენილია ბრუნვის ნიშნის ნაშთი; კაც-ა-მდე, სახლ-ა-მდე;

ბ) ბრუნვის ნიშანი სრულად არის წარმოდგენილი ფონეტიკური ნაირსახეობით, შეკვერილია თანდებული: სახლ-იდ-ან ( და არა: სახლ-იდან);

გ) ბრუნვის ნიშანი წარმოჩნდება შეწყვილებულ სახელში: სახელ-ს-ა და ზმნაში, სახელ-სა და ზმნა-ზე".

საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს შენიშნული იყო ე.წ. სადაობით-გამოსვლითი (დაწყებითი) ნაოესაობით-გამოსვლითი და სადაობით-მიწენითი ფორმების არსებობა თანამედროვე ქართულის დიალექტებში (ხევსურული, ფშაური, თუშური, ინგილოური). ისინი ნაწარმოებია -ზედ, -შე, -ში (ჩიგ, ჩი), თან, გან (-კან) თანდებულებზე მოქმედებითი ბრუნვის -ით, ითა აფიქსების დართვით. ამგვარ ფორმებში წარმოდგენილია მოქმედების ადგილი

(სად? და მისი დაწყების მომენტიც (საიდან?), პირველ ფუნქციას ასრულებს თანდებულები -ზე, -ში(ჩი), თან, ხოლო მეორეს ბრუნვის ნიშანი. რაც შეეხება -გან თანდებულისა და მოქმედებითი ფორმანტის ურთიერთობას, შედეგად მიღებულია -გნიო (კნიო)Y, იგი გაორკეცებით აღნიშნავს გამოსვლითობის ფაქტს. ამასთანავე ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ბრუნვის არქაული ნიშანი -ივ. მთის კილოებში გვაქვს აგრეთვე სადაობით-მიწევნითის ფორმები, რომლებიც ხათანდებულარ სახელზე კიდევ მეორე თანდებულის დართვით მიიღება.

ამგვარად, მეცნიერთა დიდი ნაწილი არ იზიარებს პროფ. აკაკი შანიძის მოსაზრებას ლოკალური ბრუნვების ცალკე გამოყოფის შესახებ.

ჩვენი აზრით, -იდან, ამდე, -ზე, -ში ერთიან ფორმანტებად უნდა განვიხილოთ, ვინაიდან მათ ერთნაირი აქვთ სემანტიკური ოუ სინტაქსური ფუნქციები.

ცალკე განხილვის საგანია -ისოვის, -ისკენ... ტიპის სიტყვები. ამგვარ რთულ ფორმებს აკ-შანიძე თანდებულიან ბრუნვებად მიიჩნევს. სამეცნიერო ლიოტერატურაში -იდან და -ამდე ტიპის ფორმების გვერდით და მათ მსგავსად ეს ფორმებიც რთულ შედგენილ ბრუნვებადაა განხილული.

ჩვენი აზრით, -ისკენ, -ისოვის ტიპის ფორმები უნდა გაიმიჯნოს სახლის წინ, კაცის მიერ... ტიპის ფორმებისაგან, მაგრამ დამოუკიდებელ ბრუნვებად მათი ჩათვლისათვის დამატებითი არგუმენტაციის მოძიებაა საჭირო.

### ლიტერატურა

1. ალ ონიანი, 1989 - ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
2. ზ. სარჯველაძე, 1984. - ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
3. თ. უთურგაიძე, 1984. - თ. უთურგაიძე, თანდებულიან სახელთა ბრუნება ქართულში, კრებული "არნ. ჩიქობავას", 1984.
4. ტ. ფუტკარაძე, 1997 - ტ. ფუტკარაძე, ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი, კრებული "გიორგი როგავას", თბ., 1997.
5. ა. შანიძე, 1953 - ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
6. თ. შარაშენიძე, 1956 - . შარაშენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სბიქე, თბ., 1956.
7. არნ. ჩიქობავა, 1961 - არნ. ჩიქობავა, თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, ქესს, ტ. II, თბ., 1961.
8. გ. ცოცანიძე, 1982 - გ. ცოცანიძე, -გან თანდებულიანი მოქმედებითის საკითხი თანამედროვე ქართულში, ქესს, ტ. II, 1982.
9. ბ. ჯორბენაძე, 1995 - ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995.

**Manana Mikadze****Question of local cases in georgian linguistic****Abstract**

In georgian language there are some cases called local cases. By A. Shanidze this cases are: sadaobiTi (sadaobiti), gamosvliTi (gamosvliti) and mihevniTi (mitsevniti).

The marks of sadaobiTi (sadaobiti) case are postposotoins -Si (shi) and -ze (ze).

About this problem there are many scientific views.

Arn. Chikobava is against the local cases. By his mind while qualification morphological supernetions the main thing is phonetical changes in the words. Arn.Chikobava's views are imparted. Prof. T.Uturgaidze, Al.Oniani, G.Tsotsanidze, Z.Sardjveladze, T.Skaraskenidze are calling that local cases are not marked by postpositions.

As regards to "mihevniTi" (mitsevniti) case Z. Sardjveladze is writting that this case is birth in old georgian language. T. Putkaradze thought that in georgian there are some local cases.

The article is about the hystory and development of local cases in georgian linguistic.

## გერმანული და ქართული ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევა

გერმანული და ქართული ტოქშოუს მონაწილეთა კითხვითი ქცევის ფორმალურ-სინტაქსური მხარე მოლიანად შეუსწავლელია კონტრასტულ პლანში. ოუმცა აღსანიშნავია, რომ ლინკებ და იონასმა ტოქშოუს სხვადასხვა უანრებთან, კერძოდ, დისკუსიასა და ვიქტორინასთან შედარებისას ერთი ენის შიგნით განიხილეს ეს საკითხი. ამ ანალიზის დროს ჰანგის მიერ შემუშავებული კითხვითი სიგნალების კატალოგის გამოყენებამ გაამართლა, ამიტომაც ეს მეოთვითი ერთი ენის ტოქშოუს კვლევის დროსაც გამოვიყენე. მან რადიო ინტერვიუების კვლევის საფუძველზე გამოყო 9 სიგნალი, რომლებიც სრულად ასახავს კომუნიკაციის მონაწილეთა კითხვით აქტივობას. აქვე მინდა წარმოვადგინო ჰანგის მიერ შემუშავებული კითხვითი სიგნალების სქემა, სადაც ჩემს მიერ მოპოვებული კორპუსიდან მოვიყვან მაგალითებს:

1. Pron – 'კლასიკური' კითხვითისიტყვიანი კითხვითი წინადადება:  
Wie seid ihr zu diesem Hobby gekommen? Und warum war Kevin im Heim?
2. Inv – არაკითხვითისიტყვიანი კითხვითი წინადადება. ინვერსიული წყობა ანუ სუბიექტი-პრედიკატის ნაცვლად პრედიკატი-სუბიექტი:  
Leben alle Kinder bei Euch? Fühlst du dich erst bestärkt da drin so, was du gerade eben so was zu erklären hast, Carmen?

3. Ton – კითხვითი ტონი როგორც პარავერბალური სიგნალი:  
Ja? Bitte? Ja und? Noch mehr Kinder?
4. Tag – სინტაქსურად დამოუკიდებელი მოკლე ფრაზა კითხვითი ტონით:  
Ganz kurz zur Familienstatus, selbst Kinder, Familie, gebunden oder? Hm, das wäre, Denis wäre das, ne?
5. Epf – ექსპლიციტურად პერფორმატიული ფორმულა EPF, რომელიც ენობრივ ქმედებას კითხვად აღნიშნავს, უმეტესად ლექსემების გამოყენებით: 'კითხვა' (fragen') ან 'შეკითხვა' (Frage):

Und was ich nur noch fragen wollte, wie kamt ihr eigentlich darauf, 15 Kinder zu zeugen, wolltet ihr denn den Eintrag ins Ginessbuch der Rekorde haben oder wie kam's dazu?

6. Mod – მოდალური სიტყვები, რომლებიც ნათქვამისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ (ადრესანტზე ორიენტირებული):  
(...) und du sagst so, an Mutterdasein hat sie wahrscheinlich nicht mehr Spaß, ja?
7. Ego – გამონათქვამის სუბიექტურობა (ადრესანტზე ორიენტირებული)  
Diese 6 Kinder ja, ich meine, die ist ja auch kein Pappenstein!  
Ich hab vorhin gesagt, vom Hartz 4 lebst du im Augenblick?
8. Zus – მოსაუბრებზე ორიენტირებული კითხვითი სიგნალებისაგან (Mod და Ego) განსხვავებით Zus ადრესანტზე ორიენტირებული სიგნალია, რომელშიც მოსაუბრებ პარტნიო-

რის გამონათქვამების შეჯამებას აკეთებს ან დასკვნები გამოაქვს. ამ სიგნალის აღქმა უფრო სემანტიკური კრიტერიუმებით ხდება, ვიდრე სინტაქსურით. ფორმალურად ის გამოიხატება ნაწილაკით **also** ან მისი ეკვივალენტით:

Also, 'ne Ausbildung noch machen? (ადრესატზე ორიენტირებული)

9. Deith – პერსონალურ-დეიქტიკური ოქზა. ეს კითხვითი სიგნალი Zus-ის მსგავსია. მოსაუბრე უშუალოდ ელაპარაკება პარტნიორს და აზრს გამოთქვამს მის შეხე-დულებასა და ინტენციაზე:

Glaubst du auch was dran, dass die These, was Alexander aufgestellt hat, dass

viele Familien, auch 'ne so große, dass man vermeintlich viel Kindergeld

bekommt? (ადრესატზე ორიენტირებული) (ლინკე 1985: 183; ოონასი 2008: 85).

კითხვითი სიგნალები Pron, Inv და Ton უფრო ხშირად გამოიყენება ვიდრე Tag. ჰანგისა და ლინკესგან განსხვავებით, რომლებმაც Pron და Inv სიგნალების დომინანტობა დაადგინეს, იონასის მიერ გაანალიზებულ წამყვანების კითხვით ქცევაში Ton სიგნალი უფრო დიდ როლს თამაშობს. ეს განსხვავება იმითიცაა განპირობებული, რომ ოონასმა 9 კითხვითი სიგნალი 4-ზე დაიყვანა. Mod, Ego, Zus და Deith გაერთიანდა Ton და Tag-ზი. Ton სიგნალის მაღალ სიხშირეს ის წამყვანების დამოკიდებულებით ხსნის. წინარე ცოდნიდან გამომდინარე ისინი უფრო თხრობითი წინადადებებით ფიქრობენ, ვიდრე კითხვითი. აღმავალი ინტონაცია სტუმარს საშუალებას აძლევს მოკლე რეაქციით დაადასტუროს ან უარყოს ეს ინფორმაცია (ოონასი 2008: 97; ლინკე 1985: 196).

ჩემს ემპირიულ მასალაში შემდეგი მახასიათებლები აღინიშნება: გერმანულ ტოქშოუებში „ოლივერ გაისენის შოუ“ ყველაზე მეტი კითხვით (167) გამოირჩევა. მეორე და მესამე ადგილს იყოვენ „საბინე ქრისტიანსენი“ (86) და „ჰარალდ შმიდტი“ (65). კითხვების ტიპებში ყველაზე მეტად ჭარბობს Pron და Inv. ეს ბალანსი შმიდტთან ირდვევა, სადაც წინა პოზიციაზე Ton. ამ სიგნალის სიჭარბე ხაზს უსვამს კითხვითი ქცევის დამოკიდებულებას ტოქშოუს ტიპზე. ამით ნაწილობრივ დასტურდება ლინკეს შეხედულება.

რაც შეეხება ქართულ ტოქშოუებს, პირველ ადგილზეა „პროფილი“ (193), „განო ჯავახიშვილის შოუ“ მეორეზე (171) და „პოზიცია“ ბოლო ადგილზე (66). კითხვების ტიპებში ყველაზე მეტია, როგორც გერმანულ ტოქშოუში, Pron და Inv.

ყველაზე მეტი კითხვა როგორც გერმანულ, ისე ქართულ არაპოლიტიკურ ტოქშოუში ისმება („ოლივერ გაისენის შოუ“-167, „პროფილი“-193). პოლიტიკურ ტოქშოუში „საბინე ქრისტიანსენი“ (86) კითხვების რაოდენობა უფრო მეტია ვიდრე „პოზიციაში“ (66). „განო ჯავახიშვილის შოუში“ (171) თითქმის სამჯერ უფრო მეტი კითხვა ისმება, ვიდრე „ჰარალდ შმიდტთან“ (65), თუმცა ოლივე ერთი ფორმატის გადაცემაა. ეს იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ჯავახიშვილს სამი სტუმარი ჰყავს (ორი ძირითადი და ერთი დამატებითი). კითხვების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებო, ქართულ ტოქშოუში უფრო მეტი კითხვა ისმება.

ტოქშოუში კითხის დასმა, ძირითადად, წამყვანის პრეროგატივაა. ეს ნაოლად ჩანს მოდერატორისა და სტუდიის სტუმრების კითხვითი აქტივობის შედარებისას:

„პოზიცია“ (65-1); „პროფილი“ (185-8); „განო ჯავახიშვილის შოუ“ (141-30).

„საბინე ქრისტიანსენი“ (69-17); „ოლივერ გაისენის შოუ“ (114-53); „ჰარალდ შმიდტი“ (62-3).

გერმანულ ტოქშოუში მოდერატორები ყველაზე ხშირად შემდეგ კითხვით სიგნალებს იყენებენ Pron (57), Inv (46) და Ton (40). ასევე სამივე გადაცემაში გვხვდება Deith (22). აღსანიშნავია Tag (19) და EPF (8), რომელთაც შმიდტის გარდა ორივე წამყვანი მიმართავს. უფრო ნაკლებია Ego (9), Mod (3) და Zus (2). ამათგან პირველს სამივე, ხოლო მეორეს თრი და მესამეს მხოლოდ ერთი წამყვანი იყენებს.

სტუმრები სამივე გადაცემაში მიმართავენ Tag (28), Inv (17) და Ton (12) კითხვით სიგნალებს. რაც შეეხება Pron-ს, მას უფრო წამყვანი იყენებს. თუმცა ტოქშოუში „ოლივერ გაისენის შოუ“ სტუმრებთან 23 Pron გვხვდება, „საბინე ქრისტიანსენში“ მხოლოდ – 3. 6 Epf მოიპოვება „ჰარალდ შმიდტის“ გარდა ორივე ტოქშოუში, 5 აქტება „ოლივერ გაისენის შოუში“. დანარჩენი კითხვითი სიგნალები მცირე რაოდენობით ერთ ან მაქსიმუმ ორ ტოქშოუშია: Mod (1), Ego (3), Zus (3), Deith (3). Tag დასტურდება როგორც სტუმრების კითხვითი ქცევის მახასიათებელი,

Mod არა. გერმანულ ტოქშოუებში სტუმრების კითხვითი აქტივობის დამახასიათებელია Tag (28), Inv (17) და Ton (12). Pron-ის მაღალი მაჩვენებელი გაისენთან ხაზს უსვამს ამა თუ იმ კითხვითი სიგნალის გამოყენების დამოკიდებულებას ტოქშოუს ტიპსა და რედაქციის მიზნებზე. თუმცა Epf-ისა და Pron-ის გამოყენება ლინკესგან განსხვავებით ექსპერტის როლზე სრულიადაც არ მიუთითებს.

ქართულ ტოქშოუებში წამყვანები ყველაზე მეტად მიმართავენ Pron (188) და Inv (121) კითხვით სიგნალებს. ასევე ადსანიშნავია Tag (29) და Ton (27). თუმცა Tag და Ton-ს პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანი შედარებით იშვიათად იყენებს, უფრო გასართობი ტოქშოუს წამყვანები. ამ არაპირდაპირ შეკითხვებში უფრო მუდავნდება წამყვანის პირადი დამოკიდებულება. ოთხივე სიგნალი სამივე გადაცემაში გვხვდება. ასევე უნდა გამოვყოთ EPF (25), რომელსაც ჯავახიშვილის გარდა ორივე წამყვანი მიმართავს, განსაკუთრებით ხშირად კი პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანი შუბლაძე. ამით მოდერატორი კითხვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. Deith (12) და Ego (11) მხოლოდ ორ გადაცემაშია. მათი უმრავლესობა “პოზიციაში” გვხვდება: Deith (11) და Ego (9). Mod და Zus სიგნალებს ქართველი წამყვანები არ იყენებენ.

რაც შეეხება სტუმრებს, სამივე გადაცემაში მიმართავენ Ton-ს (10). Pron (12) და Inv (12) “ვანო ჯავახიშვილის შოუშია”. ერთადერთი Inv “პროფილშიც” გვხვდება. მცირე რაოდენობითაც Tag (4) არაპოლიტიკურ ტოქშოუებში. როგორც ვხედავთ, სტუმრები ქართულ ტოქშოუებში არც ისე ხშირად სვამენ კითხვებს. პოლიტიკურ ტოქშოუში “პოზიცია” ერთადერთი Ton სტუმრიდან მოდის. ეს იმითაც გამოწვეული, რომ სტუმრები აქ დაკავებული არიან საკუთარი აზრებისა და არგუმენტების წარმოჩენით. EPF, Mod, Ego, Zus, Deith საერთოდ არ გვხვდება სტუმრებთან. ლინკესგან განსხვავებით Mod ქართულ ტოქშოუებში არაა სტუმრის კითხვითი ქცევის დამახასიათებელი, Tag შეიძლება ნაწილობრივ ხაითვალოს ასეთად. “ვანო ჯავახიშვილის შოუში” ამდენი Pron (12) და Inv (12)-ის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ კითხვითი აქტივობა ტოქშოუს ტიპსა და რედაქციის განხრახვაზე დამოკიდებული.

ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქართველი მოდერატორები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე – გერმანელი, რადგან ისინი არა მარტო საკუთარი, არა-მედ წინა სტუმრების პოზიციებიდანაც მოქმედებენ და ამით ტოქშოუს კოპერენციულ კავშირს უზრუნველყოფენ. ეს კარგად ჩანს Pron-ისა და Inv-ის მაგალითზე. ეს კითხვითი სიგნალები ორჯერ უფრო მეტია. ასევე ადსანიშნავია Ton და Tag, რომელსაც პოლიტიკური ტოქშოუს მოდერატორები შედარებით ნაკლებად მიმართავენ. მართალია, შეიძტი არც ერთ Tag-ს არ იყენებს, მაგრამ ჯავახიშვილი ამ მხრივ, ყველას აჭარბებს. Ton სიგნალი უფრო მეტია გერმანელ მოდერატორებთან, განსაკუთრებით შმიდტთან. EPF სიგნალი უფრო პოლიტიკური ტოქშოუს წამყვანის კითხვითი სტილის დამახასიათებელია, რითაც ის საკუთარ დომინანტურობას და კითხვის რელევანტურობას უსვამს ხაზს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ არც ერთი EPF არ გვხვდება “პარალე შმიდტთან” და “ვანოს შოუში”, ხოლო “ოლივერ გაისენის შოუსა” და “პროფილში” მცირე რაოდენობით. შეიძლება ყველაზე ხშირად მიმართავს EPF სიგნალს. Deith სიგნალი ყველაზე ხშირია გერმანული ტოქშოუებიდან არაპოლიტიკურ ტოქშოუში “პოზიცია”. Ego სიგნალის გამოყენებაშიც გამოვლინდა განსხვავებანი. ეს კითხვითი სიგნალი უფრო გერმანულ არაპოლიტიკურ ტოქშოუებში დასტურდება, ხოლო ქართულ ტოქშოუებში – პირიქით. Mod და Zus იშვიათადაა გერმანული მოდერატორების რეპერტუარში, ხოლო ქართველებთან საერთოდ არ ვაწყდებით. Mod და Tag სიგნალები, რომლებიც ლინკესთან Pron და Inv-ის შემდეგ ყველაზე ხშირია, არ დასტურდება ჩემს ემპირიულ მასალაში.

ტოქშოუს სტუმრები უფრო ნაკლებ კითხვებს სვამენ, ვიდრე წამყვანები, რაც წამყვანისა და სტუმრის როლების სპეციფიკიდან გამომდინარე გასაგებია. განსაკუთრებით აქტიურები არიან “ოლივერ გაისენის შოუსა” და “ვანო ჯავახიშვილის შოუს” სტუმრები. ეს გადაცემის მიმდინარეობითაც აიხსნება. გერმანულ ტოქშოუში სტუმრებთან ერთად მაყურებლებიც აქტიურად მონაწილეობენ მწვავე საუბარში და კიდევ უფრო უმატებენ სცენაზე დანოებულ ცეცხლს. ქართულ გადაცემაში სტუმრებთან ერთად კითხვით აქტივობაში მოწვევული მსახიობებიც ერთვებიან.

გერმანული ტოქშოუს სტუმრები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე ქართველები. Inv და Pron უფრო მოდერატორისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სტუმრებიც იყენებენ. ამ მხრივ, გამოირჩევა “ოლივერ გაისენის შოუ” და “ვანო ჯავახიშვილის შოუ”. მართალია, “პარალელ შმიდტი” და “ვანო ჯავახიშვილის შოუ” დამის შოუს ფორმატებია, მაგრამ გერმანულ ვერსიაში ერთადერთი Inv გვხვდება და Pron საერთოდ არაა, ქართულში კი ორივე ფიგურირებს (12-12). Ton და Tag არაპოლიტიკური ტოქშოუს სტუმრებთან უფრო ჭარბობს. Tag-ს ეველაზე ხშირად მიმართავენ “ოლივერ გაისენის შოუსა” და “პარალელ შმიდტის” სტუმრები. ქართველი სტუმრები საერთოდ არ იყენებენ EPF, Mod, Ego, Zus, Deith კითხვით სიგნალებს, გერმანელები იშვიათად. M Mod ლინკესგან განსხვავებით სტუმრებთან არ დასტურდება.

დასკვნის სახით შესაძლობა ითქვას, რომ გერმანული და ქართული ტოქშოუს ინტერაქტიანობა კითხვითი ქცევის შეპირისპირებისას გამოვლენილი იზომორფიზმი და ალომორფიზმი გამოწვეულია უანრისა და ფორმატის სპეციფიკით, ასევე წამყვანისა და სტუმრების საუბრის სტილით.

#### ლიტერატურა:

- Brinker, Klaus; Sager, Sven F. (2006): Linguistische Gesprächsanalyse, 4. Aufl. Berlin: Schmidt.
- Hinnenkamp, Volker; Selting, Margret (1989): Stil und Stilisierung. Tübingen: Niemeyer.
- Jonas, Caroline (2006): Das sprachliche Verhalten von Moderatoren in Talk- und Quizshows. Eine diskursanalytische Untersuchung zu Frageverhalten und Wortwahl. Frankfurt am Main: Peter Lang.
- Linke, Angelika (1985): Gespräche im Fernsehen: eine diskursanalytische Unters. Bern; Frankfurt am Main: Lang.

რამაზ სვანიძე

გერმანული და ქართული ტოქშოუს მონაწილეობა კითხვითი ქცევა  
რეზიუმე

გერმანული და ქართული ტოქშოუს ინტერაქტიანობა კითხვითი ქცევის შეპირისპირებისას გამოიკვეთა როგორც მსგავსება, ისე განსხვავება, რაც გამოწვეულია უანრისა და ფორმატის სპეციფიკით, ასევე წამყვანისა და სტუმრების საუბრის სტილით. ემპირიული მასალის კვლევის საფუძველზე გამოჩნდა, რომ ქართველი წამყვანები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე გერმანები. სტუმრები უფრო ნაკლებ კითხვებს სვამენ, ვიდრე წამყვანები, რაც წამყვანისა და სტუმრის როლების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ოუმცა გერმანული ტოქშოუს სტუმრები უფრო მეტ კითხვას სვამენ, ვიდრე ქართული. განსხვავება სხვადასხვა ტიპის კითხვების გამოყენებაშიც გამოვლინდა.

**Ramaz Svanidze**

**Frageverhalten der deutschen und georgischen Talkshowteilnehmer**

Resümee

Im Hinblick auf das Frageverhalten lassen sich in deutschen und georgischen Talkshows sowohl Gemeinsamkeiten als auch Unterschiede feststellen, was durch genre- und formatspezifische Besonderheiten und durch den Gesprächsstil der Moderatoren und Gäste bedingt ist. Aufgrund der Analyse der empirischen Daten hat es sich herausgestellt, dass georgische Moderatoren mehr Fragen stellen als ihre deutschen Kollegen. Talkshowgäste stellen weniger Fragen als Moderatoren, was mit dem rollenspezifischen Gesprächsverhalten zu erklären ist. Deutsche Talkshowgäste stellen mehr Fragen als georgische. Sie verwenden auch verschiedene Fragetypen.

## მწერივთა ე.ნ. შეუძლებელი კომბინაციების შესახებ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში

სტატიაში განხილულია მწერივთა ე.ნ. შეუძლებელი კომბინაციები ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში. ე.ნ. გამოვიყენეთ სწორედ იმიტომ, რომ შეუძლებელ კომბინაციებში დგინდება გარკეული მორფო-სინტაქსური კანონზომიერებანი, დადგენილია, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადაღების ზმნა-შემასმენებლთა მწერივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მას ძირითადად განსაზღვრავს მთავარი წინადაღების ზმნა-შემასმენლის მწერივი. ჩვენი მასალის მიხედვით დადასტურებულია მწერივთა ისეთი შეფარდებანი, რაც სპეციალურ ლიტერატურაში შეუძლებელ კომბინაციადაა მიჩნეული. ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში კომბონენტთა ზმნა-შემასმენებლების მწერივთა ასეთ შეფარდებას განაპირობებს მთავარ და დამოკიდებულ წინადაღებათა ზმნა-შემასმენების დრო-კილოთა ურთიერთმიმართებანი.

საენაომეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „როული ქვეწყობილი წინადაღების ნაწილების ურთიერთობა ანალოგიურია იმისა, რაც გვაქს ჩვენ სიტყვათა დაქვემდებარებით შეკავშირებაში, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული, წამყვანი სიტყვის ამსხნელი“ (კვაჭაძე, 1996, 383).

ერთი წინადაღების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდება. დამოკიდებულ წინადაღებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირები და მისათითებელი სიტყვები, მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზე-დები.

„მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ როულ ქვეწყობილ წინადაღებაში დამოკიდებული წინადაღებით (დამოკიდებულ წინადაღებაში გამოხატული აზრით) ჩვეულებრივ ისაზღვრება, ზუსტდება მისამართი სიტყვის მნიშვნელობა ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით“ (ერთეულიშვილი, 1962, 7).

დამოკიდებული წინადაღება, რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს შეიცავს, მთავარ წინადაღებასთან კავშირს ამყარებს მიმართებითი ნაცვალსახელის საშუალებით.

ეს ნაცვალსახელები ჩვეულებრივ უკავშირდება არა საერთო მთავარ წინადაღებას, არამედ მის რომელიმე წევრს, მისამართ სიტყვას. ამ მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ურთიერთობა გვაძლევს სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების სახეობას ქვეწყობილი წინადაღების ფარგლებში“ (ერთეულიშვილი, 1962, 7).

მისამართი სიტყვა ის წევრია წინადაღებისა, რომელსაც დამოკიდებული წინადაღების წევრი – მიმართებითი ნაცვალსახელი უკავშირდება და რომელიც დამოკიდებულ წინადაღებაში გამოხატული აზრით ისაზღვრება და ზუსტდება.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით დამოკიდებული წინადაღება მრავალგვარია. ტრადიციულ გრამატიკაში დამოკიდებულ წინადაღებათა კლასიფიკაცია ფუნქციის მიხედვით წინა-

დადების წევრებს უკავშირდება. დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქცია გათანაბრებულია წინადადების წევრის ფუნქციასთან. შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების მრავალი სახე: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი, შედეგობითი, პირობითი, დათბობითი და სხვა. თუმცა დამოკიდებულ წინადადებათა სახეებსა და წინადადებებს შორის სრული პარალელიზმი არა გვაქვს.

ქვეწყობილი წინადადების ფარგლებში საკვლევია არა მხოლოდ ფორმაუცვლელი კავშირები და მათი კორელაციების ურთიერთობა, არამედ საკვლევი და საძიებელია მთავარი და დამოკიდებული წინადადების შემასმენელთა შეფარდებები მწკრივთა თვალსაზრისით.

ზმნა-შემასმენელთა შეფარდების თვალსაზრისით, გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებანი: „ჯერ ერთი: მთავარი წინადადების ამა თუ იმ მწკრივს დამოკიდებულში შეესაბამება რამდენიმე, მაგრამ არა ნებისმიერი მწკრივის ფორმა. მწკრივთა შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი მრავალრიცხოვანია და უფრო მეტად გავრცელებული, ზოგი კი იშვიათად გვხვდგბა.

და მეორეც, თითოეული ტიპი რთული ქვეწყობელი წინადადებისა განსხვავებულ კოთარგბას გვიჩვენებს“ (გეგუჩაძე, 2005, 6).

„აღნიშნული შეფარდებების ასახვამ წინადადებათა ქვეწყობაში სიტყვათა შორის ურთიერთობის სახეობა, წინადადებაში, სიტყვათა შეკავშირების წესების სახეობა უნდა მოგვცეს“ (ერთეული შვილი, 1962, 229).

სხვადასხვა ტიპის ქვეწყობაში, გარკვეული სახის შიგნით განსხვავებული შინაარსის გადმოცემისათვის მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა შემასმენლები ერთმანეთს გარკვეული წესის მიხედვით უკავშირდებიან.

საერთოდ, პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მწკრივთა შესაძლო შეფარდებითი მოდელები მრავალფეროვან სურათს იძლევა. ზოგი მოდელი მეტად გავრცელებულია (აწყო - აწყო, უწყვეტელი - უწყვეტელი, უწყვეტელი - წყვეტილი, წყვეტილი - წყვეტილი ...), ზოგიც იშვიათად გვხვდება (აწყო - I თურმეობითი, II კავშირებითი - მყოფადი, II კავშირებითი - უწყვეტელი...).

თითოეული ტიპი პიპოტაქსური კონსტრუქციის შიგნით მოდელთა შექმნის განსხვავებულ კოთარებას გვიჩვენებს. მწკრივთა მრავალფეროვანი შეფარდებანი განსაზღვრებით დამახასიათებელია განსაზღვრებითი და დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ ქვეწყობისას.

სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმა. ყველა მწკრივის ფორმაა მოსალოდნელი დამოკიდებულშიც. მთავარი და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს ეფარდებიან ძირითადად ერთი დროის F-ფარგლებში. ეს დრო შეიძლება იყოს ახლანდელი, წარსული და მომავალი. ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს შეიძლება შეეფარდნენ სხვადასხვა დროშიც.

პიპოტაქსური კონსტრუქციის კვლევისას ჩვენი მიზანი იყო მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში მწკრივთა შეუძლებელი მოდელების ჩვენება. დადგინდა, რომ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნა-შემასმენელთა მწკრივის არჩევანი ნებისმიერი არ არის. მას ძირითადად განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივი.

ჩვენი მასალის მიხედვით დადასტურდა მწკრივთა ისეთი თანამიმდევრობანი, რაც სპეციალურ ლიტერატურაში ე. წ. შეუძლებელ კომბინაციადა მიჩნეული (შდრ. გეგუჩაძე, 2005, 120-131).

### **ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება:**

**I თურმეობითი - აწყო - 4:** მაშ ჩვენ სულ გასვრილები გულფილგართ, სასახლის კარზე გინცა გართ (აკაკი, 144, 30-31). **შეუტყვია** მართალს, რომ გილუპებით და მოაბდავლა ჭრელი ძროხა (აკაკი, 207, 23-24);

**I თურმეობითი - აწყოს კავშირებითი - 2:** თავშირველა, უქუდოდ რომ კაცი მოგზაურობდეს, გაგონიდა? (აკაკი, 124, 25-26);

I თურმეობითი - მყოფადი - 1: დაუკინია, მარტო წაგალო (აკაკი, 131, 8-9);

I თურმეობითი - II კავშირებითი - 1: მოძღვარი აღარ მასვენებს და ქალბატონსაც დაუკინია, უნდა შევდესოთ (აკაკი, 127, 16-17).

I თურმეობითი - III კავშირებითი - 1: დღემდის ვის გაუგონია საქართველოში, რომ შვილი მამას დასტაცებოდეს... (აკაკი, 139, 23-24);

II თურმეობითი - აწმყო - 1: ეს კაცი ის არ უნდა ყოფილიყო, რაც ეხლა არის (ილია, 191-192, 35-1);

### **პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადაღება:**

უწყვეტელი - მყოფადი - 3: კარგად იცოდა, რომ დედამისი ცუდს არაფერს ურჩევდა (აკაკი, 210, 8-9);

უწყვეტელი - II კავშირებითი - 2: აბდუშაპილმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა (აკაკი, 172, 4-5);

### **დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება:**

მყოფადი - II თურმეობითი - 1: მაშინ ჩემი ბედიც იქნება, სხვა რიგად დატრიალებულიყო (ილია, 31, 15-16).

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 6: გაკვეთილების გათავების შემდეგ რომ ჭკვიანი კაცი გამოჩენილიყო და ჩვენ კლასში მოსულიყო, ერთი ჯამბარის ბურტყლს აკრეფდა (ვაჟა, 68, 17-18-19);

I თურმეობითი - მყოფადი - 3: თუ მზის შუქი წყაროს აამდერევს, მაშინ ჩვენს სიყვარულს საც ჩვენი გული აუმდერევია (ილია, 242, 32-33-34); როცა მე ჩემსას აფისტულებ, მერე შენოვის დამილოცნია (ილია, 249, 24);

### **მიზეზის გარემოებითი:**

უწყვეტელი - II კავშირებითი - 2: ერთ დღეს, დილიდან საღამომდე, შუამთის უდაბურ ტყეში დაღიოდა აბდუშაპილი, რომ ეგებ ბაში-აჩუკს, ან მის ამხანაგებს ან მათ ბუდეს სადმე წაგაწყდეო... (აკაკი, 160, 21, 22-23);

ხოლმეობითი - II თურმეობითი - 1: არ დასთანხმდებოდა, რომ მის კარის მდვდელს ჩვენება არ ენახა ჩემი მისვლის წინა დღეს (აკაკი, 174, 16-17);

### **მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღება:**

აწმყო - მყოფადის კავშირებითი - 1: ცალკე ერების ადზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფს (ვაჟა, 237, 24-25);

II კავშირებითი - II თურმეობითი - 1: ნეტავი ერთი კიდევ თვალით მაჩვენა, რომ სული ტკბილად დამელია (ილია, 258, 27-28);

წინადაღებათა ანაბლიზით ნათელია, რომ პიპოტაქსური კონსტრუქციის თითოეული სახეობა განსხავებულ ვითარებას გვიჩვენებს შეუძლებელ კომბინაციათა რაოდენობის თვალსაზრისით.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში I თურმეობითოან აკრძალულ შეფარდებას ქმნის აწმყო, აწმყოს კავშირებითი, მყოფადი, II კავშირებითი და III კავშირებითი. II თურმეობითოან კი მხოლოდ აწმყო.

პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადაღების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში უწყვეტელთან შეუძლებელი კომბინაცია შექმნა მყოფადიმა და II კავშირებითმა.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების შემცველ პიპოტაქსურ კონ-

სტრუქტიაში მყოფადმა შეიფარდა ხოლმეობითი და II თურმეობითი, ხოლო I თურმეობითმა – მყოფადი.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში კი გვაქვს შემდეგი შეუძლებელი მოდელები ესენია: უწყვეტელი - II კავშირებითი და ხოლმეობითი – II თურმეობითი.

მოდელთა მინიმალური რაოდენობა შეიმჩნევა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში, რაც გამოწვეულია ამ კონსტრუქციის სპეციფიკით. რომლისთვისაც დამახასიათებელია, ის რომ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული დრო შემდგომია მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის დროსთან მიმართებით. აქ მხოლოდ ორი შეუძლებელი მოდელი გამოვლინდა ესენია: აწმყო - მყოფადის კავშირებითი და II კავშირებითი – II თურმეობითი.

ნათელია, რომ განსვხახებულ შემგუებლურ უნარსა და შეუძლებელ კომბინაციებს ავლენენ მწკრივები სხვადასვა სახეობათა შიგნით, რაც დამოკიდებულია სახეობათა სპეციფიკაზე. ერთი და იგივე მწკრივი მხოლოდ გარკვეულ მწკრივს იკავშირებს და აკრძალულ კომბინაციებს ქმნის, დანარჩენი მოდელები კი შეუძლებელი ჩანს. საერთოდ, აკრძალვათა დიდი ნაწილი კავშირებითის მწკრივებზე მოდის. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით მყოფადის კავშირებითი საერთოდ არც ერთ პოზიციაში არ დასტურდება, ჩვენ აღნიშნული მოდელი მიზნის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებაში დავადასტურეთ. ასევე სპეც. ლიტერატურაში პირდაპირ დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში არ არის დადასტურებული მოდელი უწყვეტელი – მყოფადი, ჩვენ ეს კომბინაციაც დადაგასტურეთ. აღნიშნული მოდელი სამ შემთვხევაში გამოვლინდა.

საერთოდ, მწკრივებს შეუძლებელი მოდელების შექმნის უნარი განსხვავებული აქვთ, რასაც განაპირობებს დრო-კილოთა კატეგორიები და პიპოტაქსური კონსტრუქციის სახეობები.

#### ლიტერატურა:

1. გოგოლაშვილი, 2011 – გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2011 წ.
2. გეგუჩაძე, 2005 – ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხი რთულ კონსტრუქციებში, თბ. 2005 წ.
3. გეგუჩაძე, 1980 - ლ. გეგუჩაძე, მყოფადის მნიშვნელობისათვის ქართულ ში, ნარკვევები იძერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ. 1980 წ.
4. ერთელიშვილი, 1962 – ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისთვის ქართულ ში, I, პიპოტაქსის საკითხები, თბ. 1962 წ.
5. კვაჭაძე, 1996 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1996 წ.
6. ძიძიგური, 1973 – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ. 1973 წ.

#### საანალიზო წყაროები

1. გაუა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1964 წ.
2. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1989 წ.
3. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ლექსები, პოემები, მოთხოვობები, წერილები, ტომი IV, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ. 1985 წ.

Elene Pilashvili

**About the so-called impossible combinations of scrives in hypotaxical construction****Abstract**

The article deals with the so-called impossible combinations of scrives in hypotaxical construction. We have used the so-called, because certain morpho-syntactical regularities are defined in impossible combinations. It is worth mentioning, that in main and subordinate sentences it is quite impossible to choose any scribe for verb-predicates. It is mainly defined by the scribe of verb-predicates of the main sentence. According to our material, those subordinations of scrives are confirmed, considered to be impossible combination in special literature. In hypotaxical construction such subordination of verb-predicate scrives of the components conditioned by interrelations between tense-mood of verb-predicates of the main and subordinate clauses.

Елене Пилашвили

**Так называемые невозможные комбинации строя гипотаксичной конструкции****Резюме**

В статье рассматриваются так называемые невозможные комбинации строя гипотаксичной конструкции. Это так называемые потому что невозможных комбинациях устанавливаются определенные морфо-синтаксические закономерности. Установлено что в главном и второстепенном предложении для глаголов-сказуемых нет любоговыбора места. Это в основном определяет в главном предложении строй глагола-сказуемого. По нашим материалам были подтверждены такие строевые соотношения которые специальной литературе считались невозможными комбинациями. Такие соотношения в сочетании гипотаксичной конструкции строй компонентов глаголов-сказуемых, определяет главном и придаточном предложении вид и времяглаголов-сказуемых.

## საინტორმაციო ცნობის როგორც ეანრის „ტექსტად ქცევის“ ფორმულა და მისი ტრანსლიტრაცია

არსებობს თეორიული საფუძველი იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ის, რასაც გულისხმობს მნიშვნელოვანი პრინციპი – საინფორმაციო ცნობის ქანრის ტექსტობრივი სივრციის პრაგმალინგვისტური ხედვიდან დინგვოკულტუროლოგიურ ხედვაზე გადასვლა. ამავე დროს ამგვარი გადასვლის რეალური განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ ქანრის ტექსტად ქცევის ის ფორმულა, რომელიც შეიცავს როგორც ქანრულ, ისე ტექსტობრივ დონეთა „ემური“ და „ეტური“ ერთეულების ურთიერთობიმართების დინამიურ სქემას. ჩვენს მიერ შემუშავებულ ფორმულას (მოდელს) აქვს ორი სტრუქტურული დონე – პირველ დონეზე ხდება „ემური“ კონსტრუქტოა და შესაბამის „ეტური“ სივრცეთა ურთიერთობიმართების მოდელირება, მეორეზე კი გამოხატულა „ემური“ ერთეულთა შინაარსობრივი სტრუქტურის პარადიგმულ-დინამიური ცვალებადობა. იმისათვის, რომ შევძლოთ ხსნებული ფორმულის ეფექტური გამოყენება, წარმოვადგენოთ მის სტრუქტურულ დონეს:

„ემური“ 1	„ემური“ 1 <sup>1</sup>	„ემური“ 1 <sup>2</sup>	„ემური“ 1 <sup>3</sup>	.....
„ემური“ 2	„ემური“ 2 <sup>1</sup>	„ემური“ 2 <sup>2</sup>	„ემური“ 2 <sup>3</sup>	.....

როგორ შეივსება შინაარსობრივად ფორმულა-მოდელის ეს დონე, თუ კი ვიგულისხმებოთ საინფორმაციო ცნობისა და მისი შესაბამისი ტექსტობრივი განხომილების „ემური“ დონე-ებს?

სანამ ფორმულის შევსების აქტი კონკრეტულ სახეს მიიღებს, უნდა გავიხსენოთ, რომ იგი გულისხმობს ა) როგორც ქანრობრივ, ისე ტექსტობრივ დონეზე ჯერ „ემური“ კონსტრუქტის ლინგვოპრაგმატულ, შემდეგ კი ლინგვოკულტუროლოგიურ გააზრებას და ბ) „ემური“ კონსტრუქტოა გააზრება უნდა მოხდეს როგორც ქანრობრივ, ისე ტექსტობრივ დონეზე.

ინფორმაციულ ქურნალისტურ ქანრთა პრაგმალინგვისტური კვლევა, რომელიც განხორციელებულია მ. გვერდის მონოგრაფიაში, იმდევა ჩვენთვის უშუალოდ საინტერესო ქანრის, ანუ საინფორმაციო ცნობის დიფერენციალური ნიშის შემდეგ სისტემას:

### „საინფორმაციო ცნობა:

დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია – მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია მოკლედ და ოპერატორულად;

კომუნიკაციის შინაარსი – ცალკეული ფაქტი/მოვლენა-სიახლე;

ადრესატი – ოფიციალური ინსტიტუტი/საინფორმაციო სამსახური (გაზეთის რედაქცია) (მ. გვერდი).

როგორც ვხედავთ, საინფორმაციო ცნობის დიფერენციალურ ნიშანთა სისტემის გვენცაბისეული ვარიანტი პასუხობს კომუნიკაციის აქტისადმი პრაგმალინგვისტური მიდგომის სამივე ძირითად კომპონენტს – კომუნიკაციურ ინტენციას, კომუნიკაციის ობიექტს და ადრესატს, თუმცა, ამავე დროს, უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს სისტემა მეტისმეტად „შეკუმშულია“,

რაც, ჩვენის აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს სისტემის სტრუქტურაზე. ასე, მაგალითად, სისტემაში ექსპლიციტური ფორმით ნახსენებია ადრესატი, მაგრამ არ არის ასევე ექსპლიციტურად დასახელებული ადრესანტი – როგორც სჩანს, ავტორს მიაჩნია, რომ ინტენციის ცნება იმპლიციტურად შეიცავს ადრესანტს და ამიტომ აღარ არის საჭირო ამ ცნების ვერბალური ექსპლიკაცია. მაგრამ, თუ ასე მივუდგებით დიფერენციალურ ნიშანთა დასახელების პრობლემას, მაშინ ასევე შეიძლებოდა “ადრესატის” მაგივრად გვეოქვა “ინფორმაციის ოპერატორი მიღება”. მაგრამ, როგორც ვიციოთ, ავტორმა ამ შემთხვევაში ამჯობინა ადრესატის პირდაპირი, ექსპლიციტური ფორმით დასახელება.

ამ კრიტიკული შენიშვნის შესაბამისად შევეცდებით, ერთის მხრივ, გამოვიყენოთ საინფორმაციო ცნობის დიფერენციალურ ნიშანთა გვენცამისეული ვარიანტი, მაგრამ, ამავე დროს, შევიტანოთ მასში ისეთი კორექტივები, რომლებიც შექმნიან ამგვარი სისტემის მოდელირების უფრო ზუსტ და საიმედო წინაპირობას. შესაბამისად, უანრის დონეზე იმ “ემური” ერთეულის შინაარსი, რომლის საფუძველზე იქმნება მისი შესაბამისი “ეტური” სივრცე, უნდა გამოიყერებოდეს შემდეგნაირად:

ურნალისტი – ადრესანტი

მკითხველი – ადრესატი

დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია – მოკლედ და ოპერატიულად შეტყობინება

კომუნიკაციის შინაარსი – ცალკეული ფაქტი

როგორც ვხედავთ, საჭირო გახდა გვენცამისეულ სისტემაში ორი ძირითადი კორექტივის შეტანა:

ა) ექსპლიციტურად დასახელდა როგორც ადრესატი, ისე ადრესანტი და

ბ) ადრესატად მივიჩნიეთ არა ოფიციალური ინსტიტუტი, არამედ ის მასობრივი მკითხველი, რომლისთვისაც რეალურად და გამიზნულად იქმნება საინფორმაციო ცნობა.

ამის შედეგად მივიღეთ, ჩვენის აზრით, საინფორმაციო ცნობის “ემური” რეპრეზენტაციის ისეთი ვარიანტი, რომელიც, ერთის მხრივ, იძლევა შესაბამისი “ეტური” სივრცის, ანუ ამ უანრის ქვეყანრული სივრცის წარმოდგენის საშუალებას, მეორეს მხრივ კი იძლევა “ემური” კონსტრუქტის კულტუროლოგიური გადააზრების რეალურ საფუძველს.

თუ საინფორმაციო ცნობის “ემური” კონსტრუქტის ჩვენს მიერ მიღებულ “ვერსიას” ჩავსამთ “ემურ” კონსტრუქტთა იმ დინამიურ მწყრივში, რომელიც ჩვენ ფორმულის სახით ზემოთ მოვიყვანეთ და, ამავე დროს, თვით ფორმულის სტრუქტურიდან გამომდინარე ვიგულისხმებთ, რომ შემდგომ უნდა მოხდეს პრაგმალინგვისტურად ორიენტირებული კონსტრუქტის ლინგვოკულტუროლოგიური მიმდევარი კონსტრუქტით შეცვლა. მაშინ ნათქვამის კონკრეტიზაცია მიიღებს შემდეგ სახეს:

“ემური” 1 = ურნალისტი – ადრესანტი

“ემური” 1<sup>1</sup> = ?

მკითხველი – ადრესატი

დომინანტური კომუნიკაციური

ინტენცია – მოკლედ და

ოპერატიულად შეტყობინება

კომუნიკაციის შინაარსი –

ცალკეული ფაქტი

როგორც ვხედავთ, ჩვენ შინაარსობრივად ინტერპრეტირებული გვაქვს საინფორმაციო ცნობის როგორც უანრის “ემური” კონსტრუქტი ისე, როგორც ამას მოითხოვს და გულისხმობს უანრის პრაგმალინგვისტური გაგება; კითხვის ნიშანი კი გულისხმობს იმას, რომ იმ ლინგვოკულტუროლოგიური მიმდევარი საპასუხოდ, რომელთა სისტემა უკვე აგებული გვაქვს, უნდა მოხდეს “ემური” კონსტრუქტის ლინგვოკულტუროლოგიური გადააზრება.

ჩვენი უშუალო მიზანია არა თვით საინფორმაციო ცნობის როგორც უანრის ფუნქციური არსისა და მისი ტიპოლოგიის კვლევა, არამედ იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნას წარმოდგენილი ამ უანრის ტექსტობრივი განზომილება “ემური” კონსტრუქტის დონეზე და როგორი უნდა იყოს ამ სივრცის ტიპოლოგიზაციისათვის აუცილებელ კრიტერიუმთა სისტემა. მაგრამ, ამავე დროს, ისიც ვიციოთ, რომ ნებისმიერი ტექსტობრივი განზომილება (ტექსტობრივი სივრცე) წარმოადგენს უანრობრივ-დიფერენციალურ ნიშანთა ამ სივრცეში

პროეცირების შედეგს და, გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით ტექსტობრივი განზომილების “ეტური” დონეც (ანუ ის, რაც, ყაქტიურად, წარმოადგენს ტიპოლოგიას ტექსტის დონეზე) საბოლოო ანგარიშში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია “ეტურ” და “ეტურ” დონეთა ურთიერთმიმართება ჟანრის ფარგლებში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ საინფორმაციო ცნობის ის ტიპოლოგია, რომელსაც გვთავაზობს უურნალისტურ ჟანრთა ოანამედროვე თეორია, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, თუ როგორ ხდება ზემოთ ჩვენს მიერ სტრუქტურირებული ჟანრობრივი “ეტური” კონსტრუქტის რეალური სახის ვარიაცია “ეტურ” დონეზე. ა. ტერტიტინი გვთავაზობს საინფორმაციო ცნობის შემდეგ ტიპოლოგიას:

- ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა;
- სავარაუდო საინფორმაციო ცნობა;
- პრევენციული საინფორმაციო ცნობა;
- შეფასებითი საინფორმაციო ცნობა;
- ნორმატიული საინფორმაციო ცნობა;
- პროგრამული საინფორმაციო ცნობა (A. A. ტერტიტინი)

დავინახოთ ეს ტიპოლოგია საინფორმაციო ცნობის “ეტური” კონსტრუქტის ჩვენს მიერ ინტერპრეტირებლი სტრუქტურის ფონზე და დავსვათ კითხვა: ინტერპრეტირებული კონსტრუქტის რომელ კომპონენტებს ეფუძნება ეს ტიპოლოგია, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ კომპონენტობან რომელი განიცდის ამ ტიპოლოგიის დამფუძნებელ ვარიაციას?

მიგვაჩნია, რომ იმ ვარიაციას, რომელიც იქცევა საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიზაციის საფუძვლად, წარმოადგენს დომინანტური კომუნიკაციური ინტენცია. დავაკონკრეტოთ ნათესავი საინფორმაციო ცნობის ზემოთ ხსენებულ ტიპთა მიხედვით:

- 1) “ფაქტოლოგიური” ნიშნავს: უურნალისტს სურს შეგვატყობინოს რომელიდაც ერთი (ცალკეული) ფაქტის როგორც რადაც რეალურად არსებულის შესახებ;
- 2) “სავარაუდო” ნიშნავს: უურნალისტს სურს გამოთქვას ვარაუდი რომელიდაც ფაქტის შესაძლო არსებობის შესახებ (ე.ი. ვარაუდი იმის თაობაზე, ქონდა მართლაც ამ ფაქტს ადგილი თუ არა);
- 3) “პრევენციული” ნიშნავს: უურნალისტს სურს გააფრთხილოს მკითხველი ამა თუ იმ მოსალოდნელ ფაქტოან დაკავშირებით;
- 4) “შეფასებითი” ნიშნავს: უურნალისტს სურს შეაფასოს ესა თუ ის მომხდარი ფაქტი;
- 5) “ნორმატიული” ნიშნავს: უურნალისტს სურს გამოთქვას მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება მომხდარი ფაქტი არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ მორალურ ნორმებს;
- 6) “პროგრამული” ნიშნავს: უურნალისტს სურს გარკვეული პროგრამის სახით ურჩიოს საზოგადოებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი გარკვეული ფაქტის არსებობის სიტუაციაში და, რაც მოვარია, ამ ფაქტოან მიმართებაში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიღებოთ ზოგადი სახით საინფორმაციო ცნობის ამ ტეტრინისეულ ტიპოლოგიას, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია შევიტანოთ მასში შემდეგი კორექტივი: ჩვენის ახრით, საკმარის მნელია გაავლო მკვეთრი და არსებითი ხაზი საინფორმაციო ცნობის ისეთ ორ ქვეჯანრს შორის, როგორიცაა ნორმატიული და პროგრამული საინფორმაციო ცნობა. როცა უურნალისტი გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ფაქტი არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ნორმებს, ამით იგი ირიბი სახით მაინც (შეიძლება ითქვას – ქვეტექსტურად მაინც) გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზეც, თუ რა სახე უნდა მიიღოს – ამ სიტუაციის პოზიტიური გაგებით – მოვლენათა მსვლელობამ. ამიტომ არ მიგვაჩნია, რომ ამ ქვეჯანრთა ერთი მეორესგან იზოლირებულად გამოყოფა აუცილებლად პასუხობს საინფორმაციო ცნობის ტიპოლოგიზაციის მოთხოვნებს.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ტერტინის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიისადმი? მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ კითხვის დასმა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უპევ გამოვიყენეთ ეს ტიპოლოგია საინფორმაციო ცნობის “ეტური” დონის დასაკონკრეტებლად. მიგვაჩნია, რომ ეს დამოკიდებულება უნდა გამოიხატოს იმ პრინციპზე დაყრდნობით,

რომელმაც თავიდანგვე მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ დაგვენახა საინფორმაციო ცნობის ადგილი არა მხოლოდ მის კატეგორიალურ ჯგუფში (ვგულისხმობთ საინფორმაციო ჟანრთა ჯგუფს), არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელი სისტემის ფარგლებში. როგორც შევვ ვიციო, ეს პრინციპი ველის პრინციპია, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს როგორც მაკრო-ისე მიკროდონებზე. რაკი ცენტრალურ ცნებად მთელი ჟურნალისტური სისტემისათვის მიჩნეულ იქნა მნიშვნელობის (ცნება და გამოითქვა ვარაუდი, რომ ყველა დანარჩენი ფუნქცია, საბოლოო ანგარიშში, უნდა წარმოადგენდეს ამ ძირითადი ფუნქციის ისეთ დაკონკრეტებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ავტორისეული ინტენციისა და კომუნიკაციური სიტუაციის ერთობლივ მოთხოვნებს.

რას მოვცემს ველის პრინციპი მოცემულ შემთხვევაში, ანუ მაშინ, როცა გვსურს შევაფასოთ საინფორმაციო ცნობის ზემოთ განხილული ტიპოდოგია? ხსენებული პრინციპის თანახმად “ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა” (როგორც ტიპოდოგიის ავტორი მას უწოდებს) ვერ განიხილება ტიპოლოგიის მხოლოდ ერთ-ერთ (თუნდაც პირველ ნომრად ხსენებულ) წევრად. რაკი ინფორმაცია საერთოდ ატარებს ფაქტოლოგიურ ხასიათს, ხოლო თვით უანრის დასახელება (“საინფორმაციო ცნობა”) გულისხმობს ინფორმაციის ობიექტად ქცეული გარკვეული ფაქტის აუცილებელ არსებობას, ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტოლოგიურისაც როგორც ღომინანტური და აუცილებელი სემანტიკურად მაკონსტიტუირებელი ნიშანი, უნდა გვქონდეს ნებისმიერ საინფორმაციო ცნობაში – როგორც თვით უანრის კატეგორიალური ნიშან-თვისება. მაგრამ, ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში საინფორმაციო ცნობის ავტორის ღომინანტური კომუნიკაციური ინტენცია გულისხმობდეს არა უბრალოდ და არა მხოლოდ ფაქტოლოგიურისას, ანუ გარკვეული ფაქტის არსებობას, არამედ მისდამი დამოკიდებულების (ავტორისეული მოდალობის) გარკვეული სახის გამოხატვას. მსგავს შემთხვევაში გვექნება საპირისპირო ინტენციათა შერწყმა: ობიექტურად საქმე გვექნება საინფორმაციო ცნობასთან და სწორედ ეს განსაზღვრავს ამ შემთხვევაში უანრის იდენტობას, მაგრამ სუბიექტურად საქმე გვექნება ავტორისეული მოდალობის დომინირებასთან.

ამგვარად, ველის პრინციპზე დაყრდნობით, შეიძლება ვილაპარაკოთ საინფორმაციო ცნობის ტიპოდების ურვებრივ ველზე, რომლის ცენტრში, რა თქმა უნდა, მოექცევა “სუფთა” სახის ფაქტოლოგიური საინფორმაციო ცნობა, ანუ ისეთი ცნობა, რომელიც “თავისუფალია” ავტორისეული მოდალობის ნებისმიერი ფორმისაგან. რაც შეეხება საინფორმაციო ცნობის სხვა ტიპებს, მათი არსებობა ამ ჟანრის კონკრეტულ სიტუაციაში მეტყველებს იმაზე, რომ ხდება შურწალისტურ ჟანრთა კატეგორიალური ჯგუფების ურთიერთგადაკვეთა: პირველ რიგში, ინფორმაციულ ჟანრთა კატეგორიისა და ანალიტიკურ ჟანრთა კატეგორიის ურთიერთგადაკვეთა. მის გამო, რომ შურწალისტურ ჟანრთა მთელი სისტემა ეფუძნება ინფორმაციულობას როგორც ცენტრალურ კატეგორიას, ამგვარ ურთიერთგადაკვეთათა შემთხვევაში “უპირატესობა” რჩება საინფორმაციო ცნობის მხარეზე, რადგან, როგორც თავიდანვე ითქვა, სწორედ იგი განასახიერებს ინფორმაციულობას “სუფთა” სახით. მაგრამ, ამავე დროს, სენებული ურთიერთგადაკვეთის შედეგად მუდამ შეიძლება მივიღოთ იგივე ჟანრის შერეული ტიპებიც, რომლებიც, ბუნებრივია, მოექცევიან სენებული ტიპოდებიური ველის პერიფერიაზე.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ თანამედროვე ინგლისურენოვანი პრესიდან ამოდებულ საინფორმაციო ცნობას, რომელიც თავისი შემადგენლობით მოახდენს სსენებული ტიპოლოგიური კელის ვერბალურ გამოხატვას. მოცემული სტატია წარმოადგენს “სუფთა” სახით წარმოდგენილ საინფორმაციო ცნობას (გერქისტი ამოდებულია გაზეთიდან The Guardian Weekly).

## **“Tories dilute tax pledge”**

David Cameron's new-look Conservative party announced its latest policy U-turn this week when it admitted that sorting out Britain's public finances and ensuring economic stability might make tax cuts impossible in its first term in office.

In a keynote speech in the City, the shadow chancellor, George Osborne, gave no guarantees that the Conservatives would be able to lower taxes in one parliament – providing only a pledge that there would be reductions over an entire economic cycle as and when they could be afforded.

The latest assessment by the chancellor, Gordon Brown, is that the current economic cycle will last 12 years, but Mr Osborne said that his profligacy had forced the Conservatives to put one of their main policy objectives on the back burner.

შტატის უკეთ გასააზრებლად საჭორიდ მიგვაჩნია სქემატურად მაინც წარმოგვედგინა ჩვენი ანალიზის ეტაპობრივი სტრუქტურა:

1) პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ ქნიგი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალოს საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებელ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროეცირების შედეგად. სხვანაირად რომ ვთქაო, საჭირო იქნება იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება ტექსტობრივ ემპირიაში, ერთის მხრივ, სხვენებული პროეცირების ფაქტის, მეორეს მხრივ კი, როგორ მოჰყვება მას პროეცირების მეორე ეტაპი – “ემური” დონის “ეტურზე” პროეცირება. ძირითად ენობრივ სტრუქტურად, რომელსაც უნდა დაგევრდნოთ ამგვარად გამიზნული ანალიზის განხორციელებისას უნდა მივიჩნიოთ სამეტყველო კომპოზიციური ფორმა. სხვენებულ პრობლემასთან დაკავშირებული ჩვენი ვარაუდი მდგომარეობს შემდეგში: ამა თუ იმ კომპოზიციური ფორმის (ან ფორმების) მოცემულობა ტექსტის სტრუქტურაში პირდაპირი ან ირიბი სახით მიუთითებს იმაზე, თუ საინფორმაციო ცნობის რომელი ქვეჯანრის ტექსტობრივ განხომილებასთან გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტექსტო ანალიზის სხვენებული მომენტი აერთიანებს თავის თავში ტექსტობრივ იმპერატივთა გათვალისწინების ორ სახეს:

ა) ვითვალისწინებო პრაგმატიკულ იმპერატივს იმდენად, რამდენადაც ტექსტის ავტორის ინტენცია გარკვეულად უნდა იყოს ასახული ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაში;

ბ) სხვენებული პრაგმატიკული იმპერატივის გათვალისწინებას უნდა შეესაბამებოდეს თემატურ-სემანტიკური იმპერატივის გათვალისწინება: ავტორისეული ინტენცია რეალიზებული უნდა იქნეს ტექსტის თემატური ასპექტის მოცემულობით;

2) ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი იმ მეორედოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვუწოდეთ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქაო, ინფორმაციულ კონტინუუმზე ლაპარაკი, მისი დაკავშირება ეპოქის კულტურულ-ცივილიზაციურ განხომილებასთან ჟკვე ნიშნავს კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის რეალიზაციას. ამ პარადიგმის მოთხოვნის თანახმად ჩვენ მივუჩინეთ სტატუსი საინფორმაციო ცნობის არა მხოლოდ საინფორმაციო ჟანრთა კატეგორიაში, არამედ ჟურნალისტურ ჟანრთა მთელ სისტემაში. ამგვარი მიდგომის შედეგს წარმოადგენს ის, რომ საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივ განხომილებასაც აღვიქვამო როგორც სხვენებული ინფორმაციული კონტინუუმის განუყოფელ ასპექტს და ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია საგაზეოთ ჟანრებზე ლაპარაკი სხვენებული მომენტის გარეშე.

3) ანალიზის მესამე ეტაპი, შეიძლება ითქვას, ატარებს რამდენადმე პირობით სასიათს შემდეგი გაგებით: თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა, საბოლოო ანგარიშში, გულისხმობის და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. რაც შეეხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ჯერ-ჯერობით ამომწურავი პასუხის გარეშე რჩება შემდეგი კითხვა: რა აკავშირებს ერომანეთოან ჟურნალისტური ტექსტის ადრესანტ-ავტორსა და ადრესატ-კითხველს? ზემოთ სხვენებული ყველა მოსაზრება საბოლოო ანგარიშში ატარებდა ლინგვოკულტუროლოგიურ სასიათს. მაგრამ ძალიან სშირად ეს იყო მხოლოდ მოხარული (მემკვიდრეობითობა) ლინგვოკულტუროლოგია და მოწოდებულია მოახდინოს ამ გაუცხობირებელის გაცნობიერება. მაგრამ როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, თუ არ ყოფილა ექსპლიციტურად მითითებული ტექსტის დიად და აშკარად გამოხატვა (ვერბალურად გამოხატული კულტურული ასპექტები). ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ასპექტიად უნდა ჩაითვალოს კომენტირებული საინფორმაციო ცნობის ის ტექსტობრივი სივრცე, რომელიც თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში სახელდებულია როგორც “რეფერენტული სტრუქტურა”. როგორც ცნობილია, არ არსებობს ტექსტი მისი სემანტიკის ისეთი განმსაზღვრელი

ფაქტორის გარეშე, როგორიცაა ტექსტის რეფერენტული სივრცე. ჩვენის აზრით, ნებისმიერი რეფერენტული სივრცე, თუ მას ამავე დროს მივიჩნევთ იმ კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცედაც, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს საინფორმაციო ცნობის საგნად ქცეულ მოვლენას თუ ფაქტს, მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სწორედ იგი იქცეს ენობრივი ფენომენებისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ნიმუშად.

მაგრამ ასევე ცნობილია, რომ რეფერენტული სივრცე გულისხმობს რეფერენციას როგორც ზოგად ენობრივ ფენომენს, რომელიც, როგორც წესი, ხორციელდება მეტყველების ნაწილოა სისტემის ისეთი წევრის მეშვეობით, როგორიცაა არსებითი სახელი. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას: უურნალისტური ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის ასახვა და განმარტება შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტის ლინგვოკულტუროლოგიური პლატფორმის ბოლო და, ამავე დროს, აუცილებელ ეტაპად.

როგორც ვიციო, საინფორმაციო ცნობა როგორც უანრი მოითხოვს არა უბრალოდ რომელიმე ერთი ფაქტის შეტყობინების ობიექტად ქცევას, არამედ, ამავე დროს, ამ ფაქტის აუცილებელ ლოკალიზებას წარსულში. მაგრამ ენობრივ-ტექსტობრივ პლანში ზემოთ აღნიშნული უურნალისტური ინტენცია რეალიზებული უნდა იყოს ისეთი სამეტყველო კომპოზიციური ფორმით, როგორიცაა თხრობა. ინგლისურენოვან ტექსტში კი, როგორც ცნობილია, ამგვარ უურნალისტურ ინტენციას პასუხობს ინდიკატივის ნამყო განუსაზღვრელი დრო. როგორია ამ თვალსაზრისით მდგომარეობა ზემოთ მოცემულ ტექსტში? შეიძლება ითქვას, რომ ეს მდგომარეობა რამდენადმე წინააღმდეგობრივია: ერთის მხრივ, ტექსტში მართლაც დომინირებს თხრობა, ანუ მისი მორფოლოგიური კორელაცი ნამყო განუსაზღვრელი; მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ თუმცა ტექსტში დომინირებს ნამყო განუსაზღვრელით წარმოდგენილი თხრობა, ეს დომინირება მაინც არ არის აბსოლუტური და ტექსტში გვხვდება ისეთი ზმნური დროც, როგორიცაა აწმყო განუსაზღვრელი. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე ვიციო, ენობრივი სტრუქტურები ნებისმიერ ტექსტში არსებობენ არა აგტონომიურად, არამედ წარმოადგენენ უანრის მაკონსტიტუირებულ-დიფერენციალურ ნიშანთა პროეციონებას ტექსტობრივ სივრცეზე. ამიტომ თქმა იმისა, რომ ტექსტში დომინირებს ნამყო განუსაზღვრელი, ნიშნავს ამავე დროს შემდეგს: ტექსტში დომინირებს ისეთი სამეტყველო კომპოზიციური სტრუქტურა, როგორიცაა თხრობა, ხოლო თვით თხრობა კი წარმოადგენს საინფორმაციო ცნობისათვის დამახასიათებელი უურნალისტური ინტენციის გამოხატვის ფორმას.

მაგრამ როგორც ზემოთ მოცემული ტექსტის რეფერენტული სივრცის ანალიზი გვიჩვენებს, იგი წარმოადგენს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციური სამყაროს პოლიტიკურ სიტუაციას. ყოველი ის სახელი, რომელიც ტექსტში გვხვდება, მეტყველებს სწორედ იმაზე, თუ როგორია მათ მიერ რეფერირებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. თუ ჩვენ ამოვწერთ და ჩამოვთვლით სწორედ სიტუაციურ რეფერენტებთან დაკავშირებულ არსებით სახელებს, დავინახავთ, რომ ტექსტი არა მხოლოდ გვიხატავს თანამედროვე ევროპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეს, არამედ ამ სივრცის იმ მონაკვეთსაც, რომელსაც ტიპურად დიდი ბრიტანეთის სინამდვილე ეწოდება. ეს ფორმებია: Conservative Party, the latest policy U-turn, to be admitted, public finances, ensuring economic stability, tax cuts, first term in the office, a keynote speech, to give a guarantee, to provide a pledge, entire economic cycle, assessment, policy objective.

დასკვნის სახეით შეიძლება იმის თქმა, რომ იკვეთება საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი განზომილების ანალიზის შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა: პირველ რიგში უნდა განისაზღვროს გასაანალიზებელი ტექსტის ის საკუთრივ გნობრივი ასპექტი, რომელიც უნდა ჩაითვალის საინფორმაციო ცნობის მაკონსტიტუირებულ-დიფერენციალურ ნიშანთა ტექსტობრივ სივრცეზე პროეციონების შედეგად; ტექსტის ანალიზის მეორე ეტაპი პრინციპულად განსხვავდება წინა ეტაპისგან იმით, რომ მან თავის თავზე უნდა აიღოს მოელი იმ მეორედოლოგიური პოზიციის განხორციელება, რომელსაც ჩვენ “ლინგვოკულტუროლოგიური” ვაწოდეთ; ანალიზის მესამე ეტაპზე თვით ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა გულისხმობს და მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ფაქტოლოგიურ განუყოფლობას. რაც შევხება ამ მიდგომის პრაქტიკულ-ანალიტიკურ რეალიზაციას, იგი, ჩვენის აზრით, უნდა ხდებოდეს ინტენციონალურ-პრაგმატიკულ, კომპოზიციურ და რეფერენტულ ასპექტთა ურთიერთდაკავშირების გზით.

**ლიტერატურა:**

1. ლებანიძე გ. (2004), კომუნიკაციური დინგვისტიკა, „ენა და კულტურა”, თბილისი
2. გვენცაძე მ. ა. (1986), კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტიპოლოგია, თბილისი
3. Тертычный А. А., Жанры периодической печати, File: C: internet/ А. А. Тертычный Жанры периодической печати.htm

**Zinaida Chachanidze****The formula of “turning” informational note as a genre into text and its typology****Abstract**

The article deals with the typology of informational note as a genre and its “turning” into text. If we attribute field character to the system of journalistic genres, informational note may be considered as the structural centre of this field – “archigenre”. As a result, we get the following typology of informational note:

1. informational note containing factual information;
2. informational note containing information based on the principles of virtuality;
3. informational note containing prevential information;
4. informational note containing appreciative information;
5. informational note containing normative information;
6. informational note containing programmed information.

On the basis of theoretical and methodological views presented in our research work, we can distinguish the following “step-by-step” structure of textual dimension of informational note: first of all we should define the aspect related to the actualized language system considered as the structural centre of this field. The theory of compositional speech forms should play the leading role in this analytical process.

The second step of the text analysis differs from the previous one in that it has to realize the culturological methodological position in its integrity.

As for the final step of the analysis it has a conventional character because the linguoculturological approach to the text itself means and requires factual unity of linguistic and cultural aspects. As for the practical and analytical realization of this approach, it should be carried out by combining intentional-pragmatic, compositional and referential aspects of the described phenomenon.

**Зинаид а Чачанидзе****Формула «превращения» информационной заметки как жанра в текст и ее типология****Резюме**

Данная статья касается типологии информационной заметки как жанра и ее «превращения» в текст. Если мы рассмотрим характер поля в отношении системы журналистских жанров, то информационную заметку можно посчитать структурным центром этого поля, т.е. «архижанром». В результате этого мы получили следующую типологию информационной заметки:

1. информационная заметка, содержащая факторическую информацию;
2. информационная заметка, содержащая информацию, которая основывается на принципе действительности;

3. информационная заметка, содержащая превентивную информацию;
4. информационная заметка, содержащая оценивающую информацию;
5. информационная заметка, содержащая нормативную информацию;
6. информационная заметка, содержащая программную информацию.

На основе теоретического и методологического исследования можно различить следующую последовательную структуру текстуального измерения информационной заметки: во первых, обязательно нужно определить тот аспект, который связан с системой языка, которая считается структурным центром этого поля. Теория композиционных речевых форм должна играть главную роль в этом аналитическом процессе.

Второй этап текстового анализа отличается от первого тем, что он должен осуществить культурологическую и методологическую позицию в целостности.

Что касается заключительного этапа, он носит условный характер, т.к. лингвокультурологический подход к тексту сам по себе значит и требует фактологическое единство лингвистических и культурных аспектов. Что касается практической и аналитической реализации этого подхода, его нужно выполнять объединяя интенционально-прагматические, композиционные и референтные аспекты данного феномена.

ენათმეცნიერება    Языковедение    Linguistic

იზოლითი ჩხობაძე

ქუთაისი, საქართველო

## იუმორისა და მეტაფორის ლინგვისტური საზღვრები

სტატიის მიზანია დაადგინოს, თუ რა შეიძლება პქონდეს საერთო ისეთ ორ ცნებას, როგორიც იუმორი და მეტაფორაა. სად შეიძლება გაივლოს ზღვარი მათ შორის? როდის შეიძლება მეტაფორა გახდეს იუმორი? რა მეტაფორული კოგნიტური პროცესებია დაკავშირებული იუმორის წარმოშობასთან?

ვიდრე ამ კითხვებს ვუპასუხებო, საჭიროა გამოვიყენოთ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ამ ორ ცნებას შორის, რა საერთო და განსხვავებული თვისებები აქვთ თითოეულ მათგანს.

ლინგვისტური თეორიები იუმორის ძირითად თვისებად იუმორისტულ ტექსტში გაორებას და სიმძაფრეს ასახელებს. კოსტლერი (1964:51) კომიკურობის ეფექტის მექანიზმების კვლევისას მივიდა იმ დასკვნამდე რომ: „ორი სრულიად განსხვავებული იდეისა ან მოვლენის უეცარი ბიასოციაცია აუცილებლად იწვევს კომიკურ ეფექტს, რომელსაც თან ახლავს ემოციური სიმძაფრე. ზოგ შემთხვევაში ეს სიმძაფრე არ არის ძალზედ ძლიერი და შესაბამისად კომიკური ეფექტი, რასაც ველოდიო ისეთი არ აღმოჩნდება, მაგრამ სიცილის ან სულ ცოტა დიმილის ეფექტი მაინც წარმოიქმნება ხოლმე“.

კომიკურობა, რომელიც იუმორისტული ტექსტის ერთ-ერთ ცენტრალური კატეგორიაა - როგორ ესოებიკურ კატეგორიად ითვლება. ესოებიკისა და ლიტერატურაომცოდნების თეორიაში არსებობს კომიკურობის სხვადასხვა კონცეფცია, კომიკურობის ცნების არაერთგვაროვან განსაზღვრებათა ერთ სისტემაში მოყვანის მცდელობები.

კომიკურობის ეფექტის მოსახდენად გამოყენებულ ენობრივ საშუალებათა პრობლემა მრავალ ლინგვისტთა ყურადღებას იპყრობდა. ბევრი მათგანი ამ პრობლემას მოლიანად სტილისა ან ცალკეული ფუნქციური სტილის ანალიზით უდგებოდა. ზოგიერთი მხოლოდ კომიკურობის ეფექტის შექმნის განსაზღვრული საშუალებებით შემოიფარგლებოდა. მაგ. ფრაზელოგიური საშუალებებით, საავტორო ოკაზიონალიზმებით. არსებობს გამოკვლეულები, რომლებიც მიზნად ისახავს კომიკურობის საშუალებათა უფრო ფართო, ყოველმხრივ შესწავლასა და გამოყენებას.

თეორეტიკოსთა უმრავლესობა თითქმის ერთხმად ამტკიცებს, რომ კომიკურობის საფუძველში ყოველთვის დევს რადაც წინააღმდეგობრივი. დაპირისპირება წარმოიქმნება იმის განსაზღვრისას, თუ სად და რაში წარმოიშობა ეს დაპირისპირება. ვ.ი. პროპი მიუთითებდა, რომ ეშირად კომიკურობის საფუძველზე წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირება (მაგ. დაპირისპირება ამაღლებულსა და დამდაბლებულს, იდეალურსა და რეალურს, დიდებულსა და დამცრობილს, ფორმასა და შინაარსს, გარეგნულსა და არსებითს და სხვ. შორის) არ ხსნის მის არსეს. ეს ურთიერთდაპირისპირება ეხება კომიკურობის ობიექტს ან მოლიანად ნაწარმოებს რომელიც მას წარმოადგენს (პროპი 1976 : 143-144).

იუმორისტული ტექსტი აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ორი სხვადასხვა და საწინად-

မდეგო სცენარის დაფარულ ურთიერთობას. ეს გაორება ტექსტში თავდაპირველად შეუმჩნეველია, მაგრამ თანდათან რაღაც ელემენტი გასცემს მას, შედეგად წარმოქმნილი სიმძაფრეკი სიცილში გადაიზრდება (კოსტლერი 1964 : 51).

კოსტლერის ეს თეორია შემდგომში განავითარა და სისტემაში მოიყვანა რასკინმა. მან იუმორისტული ტექსტის ტიპად კვლევისათვის ანეკდოტები გამოიყენა და წინ წამოსწია იუმორის სემანტიკური აღწერის თეორია (Semantic Script Theory of Humor) რომლის ძირითადი პიკოთება შემდეგია: „ტექსტი შეიძლება ჩაითვალოს ანეკდოტად თუ ის აკმაყოფილებს ორ შემდეგ ძირითად პირობას:

ა) ტექსტში სრულიად ან ნაწილობრივ უნდა იყოს შერწყმული ორი სცენარი;

ბ) ორი სცენარი, რომელიც ტექსტშია ერთმანეთის საპირისპირო უნდა იყოს და სრულად ან ნაწილობრივ ერთმანეთს უნდა ფარავდეს (რასკინი 1985 : 99).“

ორი საპირისპირო სცენარის იდეა (scenario) რომელიც კოსტლერმა შემოიტანა და რასკინთან საბოლოო script-ის (სცენა) სახით ფორმულირდა ფსიქოლოგიური წარმოშობის ტერმინია. ხოლო ათარდო (2001) მას შემდეგნაირად განსაზღვრავს. „კოგნიტური სტრუქტურა, რომელიც შინაგანად აძლევს მოსაუბრეს ინფორმაციას როგორ ააწყოს მთელი ტექსტი“. კვლევები, რომელიც ათარდომ ამ კუთხით განახორციელა, არა მარტო ანეკდოტებისათვის, ასევე ყველა სახის იუმორისტული ტექსტისათვის იყო განზოგადებული. ამ კვლევის დეტალური შესწავლა ნამდვილად არ წარმოადგენს სტატიის მიზანს. ჩვენი ინტერესი შემოიყარგდება იუმორისტულ ტექსტებში საწინააღმდეგო სცენარებს შორის საზღვრების კვლევით, რომლებიც დროებით ბუნდოვანია, მათ გარკვევამდე წარმოიქმნება სიმძაფრე, რისი რეალიზაციაც იწვევს სიცილს, კომიკურ ეფექტს. ერთხაზიანი იუმორისტული ტექსტის ტიპური მაგალითია შემდეგი ანეკდოტი: „The first thing which strikes a stranger in New York is a big car“. ტექსტში ორი საპირისპირო ცნების თრი სცენარია: ერთი, ის რომ ტურისტი აღფრთვანებულია რაღაცით ნიუ-იორკში და მეორე, ის რომ ტურისტს რადაცამ დაარტყა ნიუ-იორკში. დაპირისპირება იქნება რეალურ და წარმოსახვით სცენარს შორის. მათ საზღვრებს შორის ბუნდოვნება, გაურკვევლობა წარმოიშობა. სიტყვა რომელიც ამას წარმოშობს არის „strike“ (დარტყმა; შეჯახება, შთაბეჭდილების მოხდენა; უეცრად მიხვდომა). მისი ორმაგი მნიშვნელობა ორივე სცენარს ეკუთვნის. მსმენელი „შთაბეჭდილების“ მოხდენის სცენარს ამჯობინებს „დაჯახების“ სცენარს, რადგან მომდევნო სიტყვა „stranger“ (უცხო ადამიანი) უფრო მას ეკუთვნის, მაგრამ ფრაზის a big car (დიდი მანქანა) შემოტანით მსმენელი ხვდება, რომ რეალური სცენარი სწორედ „დაჯახების“ სცენარია. ასე რომ საზღვრები თო სცენარს შორის გამტრალია, დაპირისპირება მათ შორის გამძაფრებულია, რასაც საბოლოოდ კომიკურ ეფექტამდე მივყევარო.

კოგნიტური პროცესები, რომელსაც იუმორისტულ ტექსტში აქვს ადგილი, მთელი სისრულით გამოიკვლია კოულსონმა (2001). ის აღნიშნავდა რომ ანეკდოტოა ინტერპრეტაცია მოითხოვს „სემანტიკურ ანალიზს, რომლის შედეგი იმპლიკატურათა გადანაცვლებაა“. ამ პროცესს მან ფრეიმთა გადაადგილებაც უწოდა (კოულსონი 2001:32). „ფრეიმის“ გამოყენება კომიკური ეფექტის წარმოქმნის მიზნით გამოყენებული აქვს მ. მინსკის (1979). ფრეიმის, როგორც მოვლენის, მისეული გაგება მიმართულია არა მხოლოდ კოგნიტური, არამედ ენობრივი სფეროსაკენ და ახლოსაა ჯ. ანდორის განმარტებასთან, რომლის აზრით, ფრეიმები წარმოადგენებ შეუალებურ კატეგორიას სცენებსა და სცენარებს შორის (ანდორი 1985).

გაორების იდეა მეტაფორის ბუნებაშიც დევს. მეტაფორული პროცესებიც თრი საპირისპირო კონცეპტის შეთავსებას მოიცავს. თეორეტიკოსები შეიძლება ვერ თანხმდებიან თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს კონცეპტები ერთმანეთზე, მაგრამ ყველა მეტაფორის თეორია აღიარებს საზღვრების არსებობას ამ ორ კონცეპტს შორის. ისინი მეტაფორას წარმოგვიდგნენ თრველიანი მოდელის სახით, სადაც საწყის საფეხურზე, პირველ ველში განთავსებულია კარგად სტრუქტურალიზებული, ნაცნობი მეტაფორის „წყარო“, ხოლო მეორეში „სამიზნე“. იგი ჩვეულებრივ უცნობი, აბსტრაქტული და სტრუქტურას მოკლებულია. მეტაფორის საშუალებით წარმოიქმნება შეჯახება „წყაროსა“ და „სამიზნე“ ველებს შორის, და ხდება ფრეიმებისა და კოგნიტური მოდელების გადატანა წყაროდან სამიზნემდე.

სასიათო და დამოკიდებულება ამ ორი ველს შორის მრავალი კვლევის საგანი გამხდარა (მაგ. ლაკოფი და ოერნერი 1989, ბრუგმანი 1990, ლაკოფი 1993, ოერნერი 1996). განსაკუთრებით

უურადღების ქვეშ სამიზნე ველის თავისებურება იყო, რადგან იგი უფრო პასიური და ნაკლებად სტრუქტურალიზებულია. ბლექმა (1962) რომელიც ხაზს უსვამდა ამ ორ ველს შორის ურთიერთქმედების მნიშვნელობას და პარალელურ ცვლილებების სტიმულირებას მათში, აღნიშნავდა რომ სამიზნე ველის როლი უგულველყოფილი და დაკნინებული იყო. თანამედროვე კოგნიტიურმა თეორიებმა შეცვალა ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა. მაგ. კოულსონი (2001 146) წერდა: „ორველიანი მოდელები არ არიან იმდენად სრულყოფილი, რომ ასენან ყოველგვარი პროცესები რაც ორ ველში ხდება“. მაგ. რა კომპრომისზე მიდიან „წყარო“ ველის კონცეპტები, რათა „სამიზნე“ ველის შესაფერისები გახდნენ, ან თუნდაც ასენან იმპლიკაციები, რომელსაც მეტაფორა ქმნის და რომელიც მანამდე არც ერთ ველში არ არსებობდა. მაგ. My surgeon is a butcher (ჩემი ქირურგი ყასაბია) გამოიყენება „არაკომპეტენტური“ ქირურგის დასახასიათებლად. არაკომპეტენტურობის კონცეპტი არ არსებობს არც ერთ ველში („წყარო“: butcher „სამიზნე“ - surgeon), მაგრამ მათ მეტაფორა ქმნის. საჭირო გახდა უფრო როგორი მოდელების შექმნა, რათა ეს პროცესები ამოხსნილი გამხდარიყო. მეცნიერებმა დაიწყეს სხვა ველების ძებნა, რაც ამ პროცესებს ნათელს მოჰყენდა. ინდურჩიამ (1972) მოგვაწოდა ორივე პრობლემის რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტა. მაგრამ უფრო მიღებული თეორია, რომელიც მეტაფორულ პროცესებში ინტერაქციის ცნების ჩართვას ასახავს, არის კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია, რომელიც ფაუტონიურმა და ოერნერმა შეიმუშავეს (1998, 2002). მათი თეორიის მიხედვით კოგნიტური მოვლენების მრავალფეროვნება მოიცავს ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც განსაკუთრებულ ველშია მოქცეულია და ის მენტალური ველის სახელითა ცნობილი. პროცესი, კი შეიძლება წარმოვიდგინოთ კონცეპტუალური ინტეგრაციის ქსელის სახით, სადაც ორ-სივრციანი ველის ნაცვლად ოთხ-სივრციანი ველია წარმოდგნილი და ველის ტერმინი კონცეპტუალური ინტეგრაციის ქსელის ცნებით არის შეცვლილი, რომელიც მენტალურ სივრცეებს შეიცავს. ეს სივრცეები უფრო ფართო და სრულყოფილი სტრუქტურებით არის წარმოდგენილი. ცენტრში განთავსებული ორი სივრცე „წყაროსა“ და „სამიზნე“ ველს შეესაბამება. ჩნდება მესამე სივრცე „ნარევი“, რომელიც ორივე წინა სივრცის ელემენტებით იქმნება, თუმცა მათ მაინც აქვს თავიანთი საკუთარი განსხვავებული სტრუქტურა. ამათ გარდა ჩნდება მეოთხე სივრცე, საერთო, რომელიც ყველა სივრცისათვის სქემატურ გამოსახვას წარმოადგენს. ზემოთ ნახსენები მაგალითში *surgeon/butcher-ის* საერთო სივრცეში აღმოჩნდება ისეთი ელემენტები, როგორიცაა (*agent, event, outcome*) აგენტი, მოვლენა, შედეგი, საოპერციო და ყასაბის დანები, ამ ელემენტთა უნიკალური კომბინაცია ქმნის ცალკე სტრუქტურის „ნარევს“, სადაც ჩნდება „არაკომპეტენტურობის“ ცნება. (ექიმი - ყასაბი) მეტაფორულმა ნარევმა ორი სხვადასხვა სივრციდან შექმნა ერთი, თითქოს ერთმანეთში „შედუღებული“ ელემენტი.

მაშასადამე, მეტაფორისა და იუმორს აქვთ საერთო სტრუქტურული მსგავსებანი. ძირითადად გაორება და სიმძაფრე. ორივეში ორი სხვადასხვა კონცეპტი ერთიანდება, მაგრამ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ამ გაერთიანებებს სხვადასხვა მიზანი აქვთ. ამიტომაც საგვებით შესაძლებელია სხვადასხვა კოგნიტური პროცესის გავლით მეტაფორა გადაიქცეს იუმორად და წარმოქმნას ის კომიქტი ეფექტი, რომელიც ნებისმიერი იუმორისტული ტექსტის ძირითადი თვისებაა.

### გიგლიობრავის:

- ათარდო ს. (1994): *Linguistic Theories of Humour*. Berlin: Mouton de Gruyter  
 (2001): *Humorous Texts: A Semantic and Pragmatic Analysis*. Berlin: Mouton de Gruyter  
 ბლექი მ. (1962): *Models and Metaphors*. Cornell: Cornell University Press  
 ბრუგმანი ს. (1990): *What is the Invariance Hypothesis?* Cognitive Linguistic 1(2)  
 კოულსონი ს. (2001) *Semantic Leaps. Frame-Shifting and Conceptual Blending in Meaning Construction*. Cambridge: Cambridge University Press  
 (2003) *What's so funny?: Conceptual integration in humorous examples*.  
<http://cogsci.ucsd.edu/~coulson/funstuff/funny.html>  
 ფაუქონიერი ჯ. თერნერი მ. (1998) *Conceptual integration networks*. Cognitive Science  
 (2002) *The Way We Think*. New York: Basic Books  
 ინდურხია ბ. (1992) *Metaphor and Cognition*. Dordrecht: Kluwer  
 კოსტლერი ა. (1964) *The Act of Creation*. London: Hutchinson  
 ლაპოფი ჯ. თერნერი მ. (1989) *More Than Cool Reason: A field Guide to Poetic Metaphor*. Chicago:  
 The University of Chicago Press  
 ლაპოფი ჯ. (1993) *The contemporary theory of metaphor*. In Ortony, Andrew (ed.) *Metaphor and Thought* (2<sup>nd</sup> edition). Cambridge: Cambridge University Press.  
 რაკიბი ვ. (1985) *Semantic Mechanisms of Humor*. Dordrecht: Reidel.  
 თერნერი მ. (1990) *Aspects of the Invariance Hypothesis*. Cognitive Linguistics 1(1)  
 პროპი ვ. (1976) *Проблемы комизма и смеха*. М: Искусство.  
 მიხეილი მ. (1979) *Фреймы для представления знаний*. Москва. Энергия.  
 ანდორი ჯ. (1985) *On the Psychological relevance of frames* Quaderni di Semantica, vol VI, num 2

**Izolda Chkhobadze**

**satauri**  
**Resume**

The goal of this paper is to explore the relationship between metaphor (and, more generally, blending) and humour in order to attain a better understanding of the cognitive processes, that are involved of even contribute in making comical effect. It is a brief research in both areas and an attempt to identify possible common ground between the two. There may be some boundaries between them, but sometimes these boundaries make blending, and metaphor can be used for humorous purposes by applying relevant theories of humour and metaphor.

Comicality which is one of the main characteristic features of humorous texts can be produced by different kinds of linguistic means: phraseological units, occasionalisms etc. One of them is metaphor. By Koestler the common ground between metaphor and humour is termed as the biassociation of ideas.

## ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ყოგნიტიური ინტერპრეტაციის შესახებ

ნაშრომში განხილულია დამოკიდებულება, რომელიც კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ შემოიტანა ფრაზეოლოგიასთან მიმართებაში. კერძოდ, ტრადიციული მიღვომით, ფრაზეოლოგიური ერთეული ეწოდება სიტყვათა ისეთ მყარ შესიტყვებას, რომლის მნიშვნელობა მისი შემაღებელი კომპონენტების მნიშვნელობამდე არ დაიყვანება, და რომელიც თავისთავად არსებობს ყოველგვარი წესებისა და რეგულაციების გარეშე. კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ კი პირიქით, მოახდინა ფრაზეოლოგიური ერთეულის ერთგვარი რეაბილიტაცია, ანუ შემოგვთავაზა შეხედულება, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული ორგანიზებული, სტრუქტურირებული და ლოგიკურად მოწესრიგებული მოცემულობაა.

ფრაზეოლოგია, როგორც ავტონომიურად არსებული დისციპლინა, შედარებით ახალი მიმართულება ლინგვისტურ მეცნიერებაში. იგი თავდაპირველად ლექსიკოლოგიის ჩარჩოებში განიხილებოდა, და რამდენამდე შეზღუდული ხასიათის მატარებელი იყო. დღეს, აბსოლუტურად, განსხვავებული სურათი გვაქვს. ერთ-ერთი მიზეზი ფრაზეოლოგიზმისადმი გაზრდილი ინტერესისა შესაძლოა იყოს ის ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა თანამედროვე ლინგვისტიკაში. ვგულისხმობთ, ენის, როგორც მენტალური ფენომენის აღქმა-გააზრების მიმართულებას. ამასთან ერთად, ლინგვისტური კვლევისთვის ფრაზეოლოგიის ცენტრალურ საკითხად წარმოჩენას ხელი შეუწყო იმ ლინგვისტურმა მიღებისამაც, რომ, თანამედროვე ეტაპზე, ნებისმიერი საკითხი შეისწავლება ინტერდისცი პლინარული პერსპექტივით, და თანაც არა სტატიკურ მდგომარეობაში, არამედ დინამიკაში.

თანამედროვე ფრაზეოლოგიური კვლევა აერთიანებს ოთხ ძირითად მიმართულებას: სისტემურ— დესკრიფციულს, ანთროპოლოგიურს, კოგნიტიურსა და გამოყენებითს. ამ ეტაპზე, შეიძლება დაგუშვათ დაპირისპირება გენერატიულსა და კოგნიტიურს შორის, ანუ საკითხი ისმის შემდეგი სახით: „რას წარმოადგენდა ფრაზეოლოგიური ერთეული გენერატიულ ლინგვისტიკაში?“, და „რა ტიპის სიახლე შემოიტანა კოგნიტიურმა ლინგვისტიკამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღქმის კუთხით?“.

კოგნიტიურ ლინგვისტიკას საფუძველი მოუმზადა ლეონარდ ტალმის ნაშრომმა ფიგურა-ფონის შესახებ, რონალდ ლანგაკერის კოგნიტიური გრამატიკის საფუძვლებმა, ჯორჯ ლაკოფის კვლებმა მეტაფორის, კოგნიტური ფსიქოლოგიის, კატეგორიულისა და პროტოკატების შესახებ, ფილმორის ფრეიმულმა სემანტიკამ, და ფაუკონიერის მენტალურმა სივრცეებმა. დღესდღეობით, ასობით მკვლევარი მუშაობს ამ კუთხით, შესაბამისად, არსებობს უამრავი ნაშრომი, თუ პუბლიკაცია. თუმცა, ქვემოთ შევხებით იმ ფუნდამეტურ პოსტულატებს, რომელთა მნიშვნელობა უდავოდ დიდია ფრაზეოლოგიასთან მიმართებაში. კერძოდ, განვიხილავთ ორ თეორიას: „მეტაფორის ანატომია“ და „კონცეპტულაციი ინტეგრაცია“.

კოგნიტიური ლინგვისტიკა წარმოიშვა მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ერთგვარი პროტესტი ენის იმანენტური ჩაკეტილობის, სტრუქტურალიზმის წინააღმდეგ. რას წარმოადგენს კოგნიტიური პარადიგმა? კოგნიტიური პარადიგმა იკვლევს ადამიანის ენას, გონიერასა და სოციოფიზიკურ განცდებს შორის არსებულ ურთიერთობიმართებებს. იგი განიხილავს ენას არა განცალკევებით არსებულ მოცემულობას, არამედ როგორც კოგნიციის ინტეგრალურ ნაწილს, რომელიც, ამასთანავე, ბუნებით სიმბოლური სასიათოს მატარებელია, ანუ მნიშვნელობისა და ფორმის ლინგვისტური ცოდნა ძირითადად კონცეპტუალური სტრუქტურისაა. „კოგნიტივიზმი, უშუალოდ ენის სიღრმეში, ახდენს ისეთ ძირითად კონცეპტუალურ კატეგორიათა სტრუქტურირებას, როგორიცაა სივრცე და დრო, მოვლენები და სიტუაციები, დასრულებული და დაუსრულებელი პროცესები, მოძრაობა და ლოკაცია, ძალა და გამოწვევა. იგი ახდენს კოგნიტიური აგენტებისათვის დამასხასიათებელ იდეურ და ეფექტურ კატეგორიათა სტრუქტურირებას, იქნება ეს ჭურადღება, პერსპექტივა, სურვილი თუ ინტენცია”(L. Talmy).

კოგნიტიური ლინგვისტიკის კვლევითი სფერო სასიათების თრი ფუნდამეტური კატეგორიით: კოგნიტიური სემანტიკა და კოგნიტიური მიდგომა გრამატიკისადმი (G. Lakoff). კოგნიტიური სემანტიკა დაინტერესებულია ენაში კოდირებული განცდა—გმოციას, კონცეპტუალური სისტემასა და სემანტიკურ სტრუქტურას შორის არსებულ ურთიერთობიმართებების დადგენაში. უფრო კონკრეტულად, კავშირით ცოდნის რეპრეზენტაციასა (კონცეპტუალური სტრუქტურა) და მნიშვნელოვის კონსტრუქციებს (კონცეპტუალიზაცია) შორის. სხვა სიტყვებით, კოგნიტიური სემანტიკის ობიექტი ადამიანის აზროვნების მოდელირებაა, საწინააღმდეგოდ კოგნიტიური გრამატიკასა, რომელიც იკვლევს უფრო მეტად ენობრივი სისტემის მოდელირებას, ვიდრე თვით აზროვნების პროცესებს.

კოგნიტიურ სემანტიკაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ოთხი პოსტულატი: პირველი, კონცეპტუალური სტრუქტურა განსხვაულებულია. სხვა სიტყვებით, კონცეპტები, რომლებზეც ჩვენ მიგვიწვდება ხელი და „რეალობის“ ბუნება, რომლითაც ჩვენ ვაზროვნებთ და ვსაუბრობთ, სხვა არაუკერია, თუ არა ჩვენი, ეწ. განსხვაულების ფუნქცია, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბრობთ მხოლოდ იმის შესახებ, რისი აღქმა და გამოსახვა შეგვიძლია, და, სწორედ, რომ ის, რაც, რისი აღქმაც და გამოსახვაც შეგვიძლია გამომდინარეობს განსხვაულებრივი განცდა—გამოცდილებიდან. ამ თვალსაზრისით, ადამიანის გონება არის მატარებელი განსხვაულებრივი განცდა—გამოცდილების სხვადასხვა ფორმისა. განსხვაულებრივი კოგნიციის თეზისი წარმოადგენს კოგნიტიური სემანტიკის ცენტრალურ თეზისს, რომლის თანახმად, კონცეპტუალური სტრუქტურა (ადამიანის კონცეპტობუნება) არის შედეგი ადამიანის განსხვაულების ბუნებისა და, შესაბამისად, განსხვაულებრივი ფორმებითაც არის ნაჩვენები.

მეორე, სემანტიკური სტრუქტურა კონცეპტუალურია, ანუ ენა გადმოგვცემს მეტყველი სუბიექტის გონებაში არსებულ კონცეპტებს უფრო მეტად, ვიდრე ობიექტურ, რეალურ ექსტერნულ გარემოში ინჰერენტულად მოცემულ ერთეულებს, ანუ სემანტიკური სტრუქტურა შეიძლება გაუთანაბრდეს კონცეპტუალურ სტრუქტურას, თუმცა იდენტური ვერასდროს გახდება. მესამე პრინციპი – სემანტიკური სტრუქტურა ენციკლოპედიური ბუნებისაა. რაც ნიშნავს იმას, რომ კონცეპტი არ უნდა გავიგოთ, როგორც მნიშვნელობათა რაოდენობის მწყობრი მოცემულობა (მაგ. ლექსიკონებში ჩამოწერილი სიტყვები). საწინააღმდეგოდ, იგი წარმოადგენს ენობრივი ერთეულის მნიშვნელობამდე მისკლის შესაძლებლობა (R. Langacker).

და ბოლოს, ენა თავისთვად არ ახდენს ენის მნიშვნელობის დეკოდირებას. ნაცვლად ამისა, სიტყვა (ან ნებისმიერი ლინგვისტური ერთეული) წარმოადგენს მხელობდ, მნიშვნელობის კონსტრურირების მიმანიშნებელს. შესაბამისად, მნიშვნელობის აგება ხდება კონცეპტუალურ დონეზე. მნიშვნელობის კონსტრუქტირება უთანაბრდება კონცეპტუალიზაციას. პროცესი, რომლის დროსაც ლინგვისტური ერთეული წარმოადგენს ერთგვარ მიმანიშნებელ რგოლს კონცეპტუალური ოპერაციათა მთლიანობიდან, და საბოლოო ჯამში, გვაძლევს წინარეცოდნის გამოწვევას. სხვა სიტყვებით, მნიშვნელობა უფრო მეტად პროცესია, ვიდრე დისკრეტული ერთეული, რომელიც შემდეგ „იკვრება“ ენის მიერ.

ამერიკელმა ენაომეცნიერებმა, ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა, განავითარებს თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ (G. Lakoff and M. Johnson, G. Lakoff and M. Turner). თეორიის ამოსავალია ის, რომ მეტაფორა ჩვენი აზროვნების ძირითადი და მაკონსტიტუირებელი

ელემენტია. მეტაფორის ტრადიციული გააზრების საწინააღმდეგოდ, ანუ ის, რომ იგი მხოლოდ ენის სტილისტური კატეგორიად და სპეციფიკურია მხოლოდ საკუთრივ პოეტური ენისათვის. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ სურაოს ვაწყდებით. კერძოდ, მეტაფორა არის ენის არა სტილისტური მახასიათებელი, არამედ ენა არის თავად ფუნდამეტურად მეტაფორული ბუნების. „ჩვენი ყოველდღიური კონცეპტუალური სისტემა, რომლითაც ჩვენ ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, ფუნდამეტურად მეტაფორული ბუნებისაა“ (G. Lakoff).

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის თანახმად, კონცეპტუალური სტრუქტურა ორგანიზება გრძელვადიან მეხსიერებაში ინჟერენტულად არსებულ კონცეპტუალურ ველთა გადაფარვით, ან თანხვედრით. იმის ნათელსაყოფად, თუ რას ნიშნავს იყოს კონცეპტი მეტაფორული და ასეთი კონცეპტის სტრუქტურირება ხდებოდეს ყოველდღიურ ქმედებაში, ნიმუშად მოვიყვანოთ ლაკოფისეული მაგალითი, მაგ., კონცეპტი „კამათი“ და კონცეპტუალური მეტაფორა „კამათი ომია“. ყოველდღიურ მეტყველებაში ამ შინაარსის მეტაფორა სხვადასხვა ფორმით საკმაოდ ხშირად გვხვდება:

### კამათი ომია

თქვენი ნათქვამის დაცვა შეუძლებელია.

კამათისას ყველა ჩემს სუსტ წერტილს დაეტაკეთ.

მან ზუსტად მიზანში მოახვედრა.

მე გავანადგურე მისი არგუმენტი.

მე მას კამათში ვერასდროს ვუგებ.

თუ ოქვენ ამ სტრატეგიას მიმართავთ, იგი მიწასთან გაგასწორებთ.

მან გააცამტვერა ჩემი ყველა არგუმენტი.

მიშვნელოვანია გავიაზროთ ის, რომ ჩვენ უბრალოდ კი არ ვსაუბრობთ კამათზე ომის გადასახედიდან, არამედ რეალურად ვეროვებით კამათში, ან ვიგებთ, ან კიდევ ვაგებთ. პირი, რომელთანაც დისკუსიაში შევდივართ, განიხილება როგორც ოპონენტი. თავს ვესხმით მის პოზიციას და ვიცავთ ჩვენსას. ვგეგმავთ და ვიყენებთ სტრატეგიებს. თუ პოზიცია წამებიანია, ვუგულვებელყოფთ მას და დაცვის ახალი მექანიზმების ძიებაში ვართ. ბევრი რამ, რასაც კამათისას ვაკეთებთ ნაწილობრივ სტრუქტურირდება კონცეპტი „ომის“ მეშვეობით. თუმცა, ადგილი არ აქვს ფიზიკურ ძროლას, გვაქვს მხოლოდ ვერბალური ძროლა და კამათის სტრუქტურა ასახავს ამ ეტაპებს. შეიძლება ითქვას, რომ კონცეპტუალური მეტაფორა „კამათი ომია“ ინჟერენტულად არის მოცემულ ჩვენს აზროვნებაში. ამრიგად, კოგნიტიური ლინგვისტიკა მეტაფორას განიხილავს, როგორც მედიუმს გაიაზროს ერთი კონცეპტუალური სფერო მეორე კონცეპტუალური სფეროს გავლით. კონცეპტუალურ სფეროდ კი შეიძლება მივიჩნიოთ განცდა—გამოცდილების ნებისმიერი კოპერენტული ორგანიზაცია. „მასაზრდოებელი ველი კონკრეტულია, მაშინ როცა, სამიზნე ველი აბსტრაქტულია. თითქმის შეუძლებელია აღვიქვათ აბსტრაქტული ცნებების პირდაპირი გაგება—გააზრება. ჩვენ გავიაზრებთ მათ მხოლოდ კონკრეტული ცნებების საშუალებით“ (Z. Kövecses).

ამრიგად, მოყვანილი მაგალითით ნაჩვენებია, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკის ფუძემდებლური შეხედულება, ადამიანის კოგნიცია — მიშვნელობის პროდუციორება, კომუნიკაცია და დამუშავება — დიდად არის დამოკიდებული მენტალურ სივრცეთა ურთიერთობადაკვეთაზე, თვალნათლივია. ამასთანავე, ადამიანის კოგნიცია მოქმედებს ენისგან დამოუკიდებლად: ველთა ურთიერთობადაფარვით მიღებული ლინგვისტური ერთეული სხვა არაფერია, თუ არა ღრმა კოგნიტიური სტრუქტურის ზედაპირული მანიფესტაცია. ზოგადად, მენტალურ სივრცეთა გადაფარვით ვიდებთ სხვადასხვა ფორმას. მათ შორის ყველაზე მეტად გაგრცელებულია ზემოგანხილული კონცეპტუალური მეტაფორა, სადაც უფრო აბსტრაქტული და ნაკლებად ნათელი სტრუქტურის („სამიზნე“ ველი) იგება შედარებით კონკრეტული სტრუქტურის ნაწილის („წერო“ ველი) მეშვეობით.

კოგნიტიური ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხედულება, რომელიც ასევე ფრაზეოლოგიასთან მიმართებაში განიხილება, წარმოადგენს თეორია კონცეპტუალური ინტერაციის შესახებ (G. Fauconnier and M. Turner; S. Coulson; T. Oakley). რომლის თანახმად, კონცეპტუალური ინტერაციით შექმნილი ქსელური კავშირი ქმნის მენტალურ სივრცეთა მოცემულობას, რომელიც, ჩვეულებრივ, მოიცავს სხვადასხვა კოგნიტიურ ველში შემავალი ინფორმაციით.

სტრუქტურირებულ ორ ან ორზე მეტ შემავალ, გენერიკულ და ნარევ სივრცეს. გენერიკული სივრცის სტრუქტურა საერთოა ინტეგრაციულ ქსელში შემავალი ყველა სივრცისათვის, ხოლო ნარევი სივრცის სტრუქტურა იღებს რა ელემენტებს შემავალი სივრცეებიდან, ავთარებს ახალ, იმ მომენტისეულ სტრუქტურას (M. Omazic).

კონცეპტუალური ინტეგრაციის პროცესი შესაძლოა დაიყოს პირობითად სამ ფაზად: მენტალურ სივრცეთა აქტივაცია, შესიტყვება და გამოყოფა. ამ შემთხვევაში, მენტალური სივრცე განისაზღვრება, როგორც „პატარა კონცეპტუალური პაკეტი, რომელიც სტრუქტურირდება იმის მიხედვით, თუ რის შესახებაც ვფიქრობთ და ვსაუბრობთ კონკრეტული სიტუაციის აღსაქმელად და გასაანალიზებლად” (G. Fauconnier and M. Turner).

ზემოხსენებული უნდა გავიგოთ შემდეგი სახით; პირველი ეტაპი – ცოდნისეული ფრეიმები, რომლებიც ლატენტურ მდგრმარეობაშია გრძელვადინა მესიერებაში, აქტივირდება მუშა მეხსირებისას ფიზიკური, ლინგვისტური და კონტექსტუალური ბიმბებიდან გამომდინარე. აქტივაცია ტემპორალურ კორელაციაში იმყოფება ფიქრის, საუბრისა და მოქმედების მომენტთან და კონტექსტთან. მენტალური სივრცეები, რომლებიც აქტივირდება მუშა მეხსიერებაში ეწოდება შემავალი სივრცეები. შემავალი სივრცეები უკავშირდება, როგორც სქემატურ, ასევე კონკრეტულ გრძელვადიან ცოდნას. მეორე ეტაპი – ადგილი აქვს შემავალ სივრცეთა დაკავშირებას, რომლის დროსაც ვიღებთ ორი სახის კავშირს. პირველი ტიპის კავშირი, რომელიც მუარდება შემავალ სივრცეებს შორის, ხასიათდება მსგავსი ერთეულების კორელაციით, ხოლო მეორე ტიპის კავშირისას, იქმნება ახალი მენტალური სივრცე – ნარევი სივრცე – სხვადასხვა მენტალური სივრცის ელემენტებისა და ურთიერთმიმართებების სელექციური პროექციით. მესამე ეტაპი – მიღებულ ნარევ მენტალური სივრცეში, კონცეპტუალური სტრუქტურა მიიღწევა სამი სხვადასხვა პროცესით. კერძოდ, კონპოზიციება, დასრულებული სახის მიცემა და ელაბორაცია. სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს შედეგს აღნიშნული პროცესებისა, მოიხსენიება, როგორც ახლად წარმოქმნილი სტრუქტურა. იგი შესაძლოა იყოს ფორმალური, სემანტიკური და კონცეპტუალური.

კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორიის უმნიშვნელოვანესი ასაექტია ის, რომ მნიშვნელობის კონსტრუირება გულისხმობს სხვადასხვა მენტალური სივრცის სტრუქტურათა გაერთიანებას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ჯამი სტრუქტურათა შემადგენელი ელემენტებისა. კოგნიტიური ლინგვისტიკის თანახმად, კონცეპტუალური ინტეგრაცია ძირითადი კოგნიტიური ოპერაციაა, რომელიც ცენტრალური მნიშვნელობის მატარებელია ჩვენი აზროვნებისათვის.


ამ ეტაპისათვის, საიდუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი, რომელიმე ფრაზეოლოგიური ერთეული და გავაანალიზოთ, როგორც ტრადიციული, ასევე კოგნიტური ლინგვისტიკის პერსპექტივით. ავიდოთ ინგლისურ ფრაზეოლოგიური ერთეული „Lord it over sb”, რომელიც ითარგმნება, როგორც „ზემოდან უურებდე ვინმეს“.

### LORD IT OVER SOMEBODY

- ფორმა \_\_\_\_\_ პირველადი წარმოება
- მოტივაცია \_\_\_\_\_ ფრაზეოლოგიური ნაერთი
- სტრუქტურა \_\_\_\_\_ ერთზევრიანი ერთეული
- ფუნქცია \_\_\_\_\_ ზენური ერთეული

სურათი #1

*LORD IT OVER SOMEBODY*



სურათი #2

გენერატიული ლინგვისტიკის ფარგლებში, ფრაზეოლოგიზმი ადქმულია, როგორც სიტყვათა ისეთ ჯგუფი, რომელიც ენაში არსებობს მზა, ფიქსირებული სახით, და რომელიც შეუძლებელია, რომ წარმოიქმნას, შეიქმნას მეტყველების პროცესში. იგი კლასიფიცირდება ფორმალური, სტრუქტურული, ფუნქციური და მნიშვნელობის მოტივაციის ხარისხის მიხედვით. სურათი # 1

კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში, გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული სურათი. ფრაზეოლოგიური ერთეული (კონვენციური და მოდიფიცირებული) იქმნება და მუშავდება მეტყველი სუბიექტის კოგნიციის დონეზე, რაც ოვალნათლივია კონცეპტუალური მეტაფორისა და კონცეპტუალური ინტეგრაციის ოეორიათა ანალიზიდან გამომდინარე. სურათი # 2

ამრიგად, დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ კოგნიტიური ლინგვისტიკა ახალი „ენერგიით“ შემოვიდა ენათმეცნიერულ აზროვნებაში. ერთი მხრივ, იგი ცდილობს გასცეს პასუხი შეკითხვას, თუ როგორ არის ორგანიზებული ადამიანის ცნობიერება, როგორ შეიმეცნებს ადამიანი სამყაროს, და როგორ იქმნება მენტალურ სივრცეთა ერთობლიობა. მეორე მხრივ, ადამიანის ცნობიერის შესწავლას მივყავროთ მანამდე არსებულის გადააზრებისაკენ, რომლის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა ინჰერენტული არსებული მეტაფორული აზროვნება.

#### ლიტერატურა:

1. Coulson, S. (2001). Semantic Leaps; Frame –shifting and Conceptual Blending in Meaning Construction. New York and Cambridge: Cambridge University Press.
2. Fauconnier, G & Turner , M. 2002 “The way We think: Conceptual Blending and the Mind’s hidden Complexities”. New York, NY: Basic Books.
3. Fillmore C. 1977a “The case for Case Reopened”. In syntax and Semantics 8: Grammatical Relations, ed. P. Cole, New York: Academic Press.
4. Kövecses Z. (2002). Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press.
5. Lakoff, G. 1987. Women, Fire and Dangerous Things: What Categories Reveal About the Mind. Chicago: University of Chicago Press.
6. Lakoff, G. 1990. The invariance hypothesis: Is abstract reason based on image schemas? Cognitive Linguistics 1.1. 39-74 Chicago: University of Chicago Press.
7. Lakoff, G. 1993. The contemporary theory of metaphor. In A. Ortony 9(ed) Metaphor and Thought. Second Edition Cambridge: Cambridge University Press
8. Lakoff, G& Johnson, M. 1980 Metaphors we live by Chicago: University of Chicago Press
9. Lakoff, G& Turner, M. 1989 More than Cool reason: A field Guide to Poetic Metaphor. Chicago: Chicago University Press.
10. R. Langacker 1987. Foundations of cognitive Grammar. VOL. 1. Theoretical Prerequisite s. Stanford; Stanford University Press
11. Oakley, Todd. 1998. “Conceptual Blending, narrative discourse and rhetoric. Cognitive linguistics, 9, 321-360
12. Omazic Mar. (2005): “Cognitive Linguistic Theories in Phraseology”. 37-56
13. Kövecses Z. (2002). Metaphor: A Practical Introduction. Oxford: Oxford University Press.
14. Stern, J. (2000). Metaphor in Context. Cambridge, MA: MIT Press.
15. Talmy, L. 2000. Toward a cognitive semantics. Cambridge, MA: Massachusetts Institute of Technology. Volume 1.

**Qristine Dzagnidze**

**Abstract**

The paper deals with the novel attitude introduced by the cognitive linguistics concerning phraseological units. Namely, traditionally, phraseological units are word-groups that cannot be made in the process of speech; they exist in the language as ready-made units. They form set-expressions, in which neither words nor the order of words can be changed. Besides, the whole phraseological unit has a meaning which may be quite different from the meaning of its components. Conversely, the cognitive linguistics has rehabilitated the phrasal unit. According to this view, a phrasal unit is organized, structured and logically organized entity. The paper attempts to discuss the following two theories, the metaphor theory and the conceptual integration in terms of the novel attitude towards the phraseological units.

**Кристине Дзагнидзе**

**Когнитивная интерпретация фразеологических единиц**

**Резюме**

В данной работе рассматривается отношение, которое внесла когнитивная лингвистика по отношению фразнологии. В частности, по традиционному подходу, фразеологической единицей называется такое устойчивое слияние слов, значение которого не доводится до значения составляющих его компонентов и которое существует самостоятельно безо всяких правил и регуляций. Когнитивная лингвистика же наоборот, совершила своеобразную реабилитацию фразеологической единицы, или предложила точку зрения, что фразеологическая единица – это организованное, структурно и логический урегулированное данное.

ლიტერატურათმცოდნება    Литературоведение    Linguistic

Бибикова Александра Михайловна

მოსკოვი, რუსეთი

## Пародирование в поэтике коротких пьес Акилле Кампаниле

*The article is the result of a study of comedies in one act of an Italian writer Achille Campanile (1899-1977). The object of the study is to reveal the use of different types of parody in one act comedies of the writer.*

*Статья представляет собой результат исследования одноактных комедий итальянского писателя Акилле Кампаниле (1899-1977). Цель исследования - выявить использование автором различных видов пародирования в одноактных комедиях.*

Итальянский писатель и драматург Акилле Кампаниле (1899-1977) известен за пределами Италии в основном как автор юмористических романов. Однако его драматургическое наследие также представляет большой интерес для читателей и исследователей. Писатель часто прибегает к пародированию как комическому приёму – и в своих романах, и коротких прозаических произведениях, и в пьесах. В данной статье речь пойдёт о коротких – одноактных – комедиях Кампаниле, а именно о пародировании в них. Пародирование, как верно замечает Дж. Де Кьяра, – это тот довольно редкий случай, когда в пьесах Кампаниле встречается отсылка к тому или иному народу и эпохе [2:9]. Обычно у его персонажей нет ни родины, ни эпохи, они скорее ближе извечной странности Природы [2:8]. У. Эко характеризует юмор Кампаниле как интертекстуальный и называет писателя в связи с этим постмодернистом. Чтобы читать Кампаниле, нужно очень хорошо знать роман XIX века, от Дюма до Д'Аннунцио. Но Кампаниле подшучивает не только над произведениями классической литературы, часто он пародирует бульварный роман и фельетоны, используя в своих произведениях основные их приёмы [3:69-77].

В комедии «Преступление на вилле Роунг», впервые опубликованной в 1939 г., Кампаниле использует сюжетные (ссоры, семейные тайны, деньги и убийство и догадки следователей) и речевые клише детективной литературы. При этом в репликах персонажей детективные клише перемешиваются с абсурдными диалогами. Так, например, когда герои комедии обнаруживают труп, вызов полиции по телефону выглядит так: «Алло! Комиссариат? ... Это вилла Роунг... Да, это я... Неплохо, спасибо, а вы?... Я рада. Что хорошего вы мне расскажите?... Ну, я себе представляю, представляю... У ваших всё хорошо?... Я рада... У моих – так себе... Живём потихоньку. Кроме моего бывшего будущего свёкра, который больше не живёт потихоньку, потому что потихоньку умер. Больше того, я хотела вас попросить: вы не могли бы прислать следователя? О, ничего серьёзного, дело семейное, всё по-простому... Да, убит... Заколот ножом в спину... Придёте? Спасибо огромное. (Кладёт трубку; окружающим) Он сейчас придёт. До чего же милый человек! [1: 346-347]» Сюжетные клише детективного жанра получают абсурдное развитие в пьесе Кампаниле: вызванный на виллу для расследования убийства инспектор Браун оказывается мнимым полицейским; Неизвестный, попавший в дом, не является ни

таинственным убийцей, ни настоящим инспектором; убитый Трисмежан оказывается вполне живым инспектором полиции, который притворился убитым, чтобы найти убийцу, которого не существует.

Подобным же образом пародируются сюжетные клише мелодрамы из жизни высшего общества в пьесе 1925 года «Сто пятьдесят – куры голосят». Ссора мужа Тито и жены Чечилии начинается с пустяка – спора о том, какие слова были правильными в детской песенке, которую напевал Тито. Но ссора грозит распадом семьи и разводом. В дело вмешиваются все – от слуги до соседей семейной четы - графа и графини. В этой же пьесе встречается второй вид пародирования, который использует в одноактных комедиях Акилле Кампаниле, – пародирование того или иного типа дискурса: так, здесь мы находим пародию на юридический дискурс в речи адвокатов Бьянки и Нери.

В пьесе «Ужасный эксперимент», опубликованной в 1938 г., можно увидеть яркую пародию на журналистскую речь. Реплики журналиста, ведущего телерепортаж со смертной казни, которая обставлена как научный эксперимент, полны пафосных клише - «роковая плаха, ужасные мгновенья, при тревожном молчании присутствующих»), стандартных - и неуместных - вопросов к основным участникам всего происходящего («Палач, хотите сделать какое-нибудь заявление для наших телезрителей?» [1:277], или вопрос к приговорённому Артуро Френцелю «Это первый раз, когда Вам отрубают голову?» [1:282]), попутной рекламы спонсоров телетрансляции. Кстати, со свойственной драматургу иронией, он делает спонсором телетрансляции казни (орудием которой является гильотина) производителя компрессов от головной боли. А традиционное бритьё приговорённого выполняется с помощью «...знаменитой электрической бритвы «Царапай до крови», которая в следующую субботу представит вашему вниманию ... песню «Подставь мне другую щёку» [1:280].

В комедии 1927 года «Изобретатель лошади» объектом насмешки автора становятся учёные, восхваляющие вступающего в их ряды изобретателя Болибина, проектом которого является лошадь. Драматург пародирует научный дискурс с помощью доведения до абсурда самого предмета сообщения – председатель произносит торжественную речь во славу псевдо-изобретателя:

«Дорогие коллеги! Через некоторое время среди нас появится профессор Болибин, который своим изобретением лошади воссиял на весь цивилизованный мир, внеся неоценимый вклад в развитие прогресса, которому все мы служим. (Аплодисменты.) Подумайте только: изобрести лошадь! Такое полезное и благородное животное! Мы без колебаний объявляем о заслуге Болибина перед человечеством. (Аплодисменты.) Будет излишним призывать вас...» [1:75]

В презентации Болибина сохранён не только общий стиль научного доклада, но и отдельные клишированные фразы и формулы вежливости, характерные для научного дискурса: «Как господа могут видеть на этом иллюстративном материале, который я позволю себе предложить вашему вниманию, я разделил лошадь на три части: голова, туловище, конечности. (...) От моей первой лошади (разворачивает второй чертёж с ужасной деформированной лошадью) - ещё, как вы можете видеть, недоразвитой – до последней (показывает первый рисунок) долог был преодолённый мною путь. (...) Что касается способов практического применения моего изобретения, то, как все вы можете представить, они бесконечны. (...) Моё изобретение возможно подвергнуть улучшениям, дабы сделать его ещё более полезным. (...) Я стремлюсь прийти к такому виду лошади, который был бы прост, экономичен и доступен для всех. Набросок этой модели вы можете увидеть на четвёртом рисунке.» [1:86-87] Стиль изложения резко контрастирует с предметом, с самой сутью т.н. «изобретения».

В комедии «Изобретатель лошади» пародируется не только научный дискурс, но также и такие явления 1920-30-х гг. как поэзия футуристов (речь Проклятого поэта и его стихи, которые он декламирует), повальная любовь к техническому прогрессу, полиглотство и увлечение женщин наукой (псевдознания и баухальство учёной дамы Ивонны Ла Вольер), церемонии присуждения званий и наград.

В другой одноактной комедии Кампаниле, опубликованной в 1931 г., «Письмо Рамесса» пародирование научного дискурса и вообще осмеяние учёных разворачивается на основе неправильного прочтения текста папируса. Изначально это – послание молодого египтянина Рамесса к девушке с признанием в любви и назначением свидания. Его иероглифы толкуются превратно – как оскорблению – самой девушкой, Фаридой, которая с помощью подруги неправильно интерпретирует их. А в последней

сцене пьесы, которую отделяет от основного действия несколько тысяч лет, учёный-египтолог Грац представляет свою расшифровку папируса, в тексте которого, по его мнению, заключена стихотворная молитва одному из древних богов.

Рассматривая в контексте заявленной проблематики пьесу 1939 года «Визит для выражения соболезнований», отметим, что в ней особого внимания заслуживает сцена сочинения телеграммы родственникам скончавшегося Пьера в доме его вдовы. Она раскрывает проблемы обесценивания языка из-за многочисленных штампов и клише. В этом плане Кампаниле опережает Ионеско, который также обращается к проблемам языка в современном мире в своих пьесах. Суть сцены в том, что синьор Маркантонио, отец убитой горем вдовы Паоло, советуется с пришедшими выразить соболезнования супругами Пелаэз, каким образом написать родственникам о смерти Паоло, чтобы путь их к дому, где случилось несчастье, не был слишком мрачным. Пелаэз предлагает послать телеграмму: «Паоло очень болен. Приезжайте скорее.» Но это кажется остальным слишком тревожным, ведь понятно, что если пишут «очень болен», это значит «мёртв». Формулировка постепенно смягчается до решения послать телеграмму с текстом «Паоло прекрасно себя чувствует. Не приезжайте» и репликой Маркантонио: «Мне это кажется наилучшим вариантом. Если захотят понять, поймут.» [1:260]

Итак, в одноактных комедиях Акилле Кампаниле в первую очередь наблюдается пародирование определённого типа дискурса: научного в «Изобретателе лошади» и «Письме Рамесса», журналистского в «Ужасном эксперименте», бытового в «Визите для выражения соболезнований». Затем, это пародирование различных литературных жанров: если говорить только об одноактных пьесах, то это, например, пародирование английского детектива в «Преступлении на Вилле Роунг» или мелодрамы из жизни высшего общества в «Сто пятьдесят – куры голосят». Стоит заметить, что пристрастие к пародированию последнего рода у Кампаниле начинается ещё с пародии на пьесу Сема Бинелли «Розмунда» (1911), написанной в ученические годы [4:16]. Именно из этой пародии пошла в народ известная в Италии фраза «Пей, Розмунда, из черепа отца твоего!»

#### Литература:

1. Campanile, Achille “L’inventore del cavallo e alter quindici commedie”, BUR Rizzoli, Milano, 2010. Перевод цитат сделан автором статьи.
2. De Chiara, Gigo “Achille Campanile. L’inventore dell’assurdo” // “Ridotto”, # 4-5, aprile-maggio, 1984, pp.6-13
3. Eco, Umberto “Campanile: il comico come straniamento” // “Tra menzogna e ironia”, Milano, 1998, pp. 53-97
4. a cura di S. Moretti e A. Cannatà, “Urgentissime da evadere. Viaggio nel ‘900 attraverso la corrispondenza di Achille Campanile”, Torino, 2010

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Linguistic

დათო დიდიძე

ბათუმი, საქართველო

იმპლიციტური რემარკები

დრამა, როგორც მხატვრული დიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი, ზოგადად მხატვრული ლიტერატურის ბევრი იმანენტური თვისების მატარებელია; კერძოდ, იგი ვერბალური კომუნიკაციის ის საშუალებაა, რომელიც გულისხმობს ავტორისა და კოლექტიური ადრესატის არსებობას ცალმხრივი კომუნიკაციის პირობებში, და რომლის მიზანია გარემონტი ფასულურ-შინაარსობრივი და ესთეტიკური ინფორმაციის გადაცემა ვიზუალური არხით (ანუ გრაფიკული ტექსტით). დრამას ორმაგი მიზნობრივი დატვირთვა და, აქედან გამომდინარე, ორმაგი ბუნება აქვს (დრამა, მისი ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, ორი სახით არსებობს — ქალალდზე დაწერილი, ანუ სკრიპტული, და სცენაზე წარმოდგენილი, ანუ პერფორმანსული) რადგან ნებისმიერი დრამატული ნაწარმოების საბოლოო მიზანი ინსცენირებაა.

ინსცენირების პერსპექტივა დრამატურგს (სხვა მწერლებთან შედარებით) ბევრ პრივილეგიასაც ანიჭებს ადრესატოან კომუნიკაციის პროცესში და გარკვეულ წინაღობასაც უქმნის. იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ნაწარმოების მოცულობის პრობლემა (რომელმაც ინსცენირებისას 2-3 საათს არ უნდა გადააჭარბოს), ასაღწერი გარემოს შედარებითი სტატიკურობა (მას არ შეუძლია მისი აქტიური ცვლა), მოქმედ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებლის შეზღუდულობა, ისეთი დიდი თუ მცირე მოვლენის კონტინუუმში აღწერის შეუძლებლობა, როგორიცაა დიდი ბატალური სცენები, ან ჩაის ჭიქაში ჩავარდნილი ბუზი და ა.შ. და, რაც მთავარია, საავტორო თხრობის ელემენტთა „სასცენო რემარკების“ დონემდე დაყვანა.

მაგრამ დრამატურგი, როგორც ითქვა, გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობს: მას შეუძლია საკუთარი ჩანაფიქრი „ცოცხალი ხატების“, ანუ მზა სახით მიაწოდოს თავის საბოლოო ადრესატს (მაყურებელს) და ნაკლებად იყოს დამოკიდებული ადრესატის წარმოსახვის უნარზე (მაგალითად იმაზე, თუ როგორ წარმოიდგენს იგი აღწერილ გარემოს, ნაწარმოების გმირის გარეგნობას, მის ხასიათს, მის რეაქციას მოვლენებზე და ა.შ.). ასე მაგალითად ინგლისურ თეატრში ელისაბედ დიდის ებოქის დროს სცენა ყველა წერტილიდან თანაბრად კარგად არ ჩანს, ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელსაც პერსონაჟთა შესახებ (მათ გარეგნობაზე, ლოკაციაზე და ა.შ.) ჩვეულებრივ სასცენო ანდა საავტორო რემარკები გვაწვდიან ხელმე, თვით დიალოგის რეპლიკებშია ჩაქსოვილი, რაც განპირობებულია იმ დროისათვის დამახასიათებელი პირობებით.

როგორც პ.ტომსონი აღნიშნავს შექსპირისდროინდელი რენესანსისა და პოსტრენესანსის საჯარო თეატრები დიდი „დემოკრატიულობით“ გამოირჩეოდნენ და საზოგადოების „გამოლინების“ იდეალურ ადგილს წარმოადგენდნენ (იხ. პ.ტომსონი, 93:1997). აქ თავს იყრიდა ნებისმიერი გემოვნების და ინტელექტუალური თუ მატერიალური შესაძლებლობების

მქონე ადამიანი და თანაც საკმაოდ ხანგრძლივად. ეს, თავის მხრივ, განკირობებული იყო “დარბაზის” დიდი ტევადობით და ადგილების სხვადასხვა ფასით, რომელიც ერთი პენსიდან ერთ შილინგამდე ვარიორებდა. იაფუასიანი “პარტერის” მაყურებელთა უკანა რიგები სცენას მაინცადამაინც კარგად ვერ ხედავდნენ\*. იგივე გასაჭირი ადგათ სცენის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოხვედრილ მაყურებლებსაც, რომლებიც სცენის ფრონტალურ ნაწილში და აივნებზე გათამაშებულ მიზანსცენებს სრულყოფილად ვერ ადევნებდნენ თვალს. მოკლედ, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, პირდაპირ ვიტყვით, რომ ამ პერიოდის ინგლისურ თეატრებში იყო ადგილები, საიდანაც სცენა კარგად არ მოჩანდა. მაგრამ ეს მაყურებელს დიდად არ აწუხებდა, რადგანაც წარმოდგენები, იმ დროისათვის, უფრო მეტად “ისმინებოდა”, ვიდრე “იცქერებოდა” (გავისხენოთ, თუნდაც ცნობილი რეპლიკა ჰამლეტიდან: “მეფის წინაშე წარმოდგენა არის ამაღამი”, რომელიც ინგლისურად ასე უდერს: “We'll hear a play tonight”).

#1      “The players cannot keepcounsel,  
They'll tell all”. – Hamlet.

(“მსახიობებს არაფრის დამალვა არ შეუძლიათ, ყველაფერს იტყვიან.” ჰამლეტი.)

შექსპირის პიესებში, როგორც ცნობილია, სასცენო რემარკები მხოლოდ აღნიშვნებით შემოდის [Enter], გადის [Exit], გვერდით [Aside], ზემოთ [Aloft] და მსგავსი მწირი ხასიათის ინფორმაციით შემოიფარგლება. ამას თეორეტიკოსები ხშირად იმით ხსნიან, რომ დრამატურგი თავადვე აკონტროლებდა პიესების ინსცენირების პროცესს და ამიტომ რეჟისორებსა და მსახიობებზე გაანგარიშებული სასცენო დირექტორების ტექსტში შეტანა არ სჭირდებოდა. მაში, როგორდა ახერხებენ თანამედროვე თეატრები შექსპირის პიესების დადგმას, როდესაც მათი ავტორი, პირადად, რეპეტიციებს ვალარ ესწრება და ვერანაირ მითოთებებს ვერ აძლევს სადადგმო ჯგუფს? ცხადია, ზემოაღნიშნული მოსაზრება, ერთი მხრივ, აშკარად ისტორიულ სინამდვილეს ემყარება და ამდენად ყურადსადებია, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი დამაჯერებლად ვერ პასუხობს იმ კითხვას, რომელიც ახლა დაგვებადა. ჩვენი აზრით, სასცენო რემარკების ექსპლიკაცია შექსპირულ ტექსტებში იმიტომ არ ხდება, რომ ისინი აქ იმპლიციტურადაა წარმოდგენილი. ამის მიზეზე კი, უთუოდ, კვლავ პიესათა “მოსმენაზე” ორიენტირებაში უნდა ვეძიოთ.

თუკი შექსპირის დრამების ტექსტს ყურადღებით გადავიკითხავთ, მაშინვე შევნიშნავთ, რომ მათში უხვადაა “ჩაფანტული” მოელი ის ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივ რემარკა გვაწვდის ხოლმე. სახელდობრ, თავად პერსონაჟთა რეპლიკები იძლევა შესანიშნავ გასაღებს იმის თაობაზე, თუ როგორია გმირი გარეგნობით, როგორ აცვია მას, რა ასაკისა, როგორია მისი სახის გამომეტყველება და ა.შ. ასე განსაჯეთ, პერსონაჟები სცენაზე. სხვა სიტყვებით, ნებისმიერ ვიზუალური არხით გადმოცემულ დრამატულ ინფორმაციას “აკომპანიმენტის” ფონზე გვაწვდის. ქვემოთ შევეცდებით აღნიშნული მოსაზრება ჰამლეტიდან აღებული მაგალითებით დავადასტუროთ:

(ა)      რა აცვიათ გმირებს?

#2      Hamlet. ... then let the devil wear black

For I'll have a suit of sables. (76:59)

როგორც ვხედავთ, ჰამლეტი აქ თავად აღნიშნავს, რომ იგი ძაბითაა მოსილი და არა ყარყუმით, როგორც მეფეოთა წესია.

#3      Ophelia. Lord Hamlet, with his doublet all unbraced;

No hat upon his head; his stockings foul'd,

Ungartered and down-gyved to his ancle;

Pale as his shirt; his knees knocking each other;

\* დავაზუსტოთ, რომ ეს ქწ. “პარტერი”, რომელიც ფაქტობრივად სცენის მიმდებარე შიდა ქზოს მოზრდილ მოვდანს წარმოადგენდა, ფეხსე მდგრმ მდაბიოთა “პრბოს” მასახიდლობებია. ამდენად ისინი, ვინც საექტაკლის დაწესებამდე მოახერხებდნენ სცენის ხასიათულებებს “გამაგრებას”, შედარებით უკეთეს პოზიციაში აღმოჩენდებოდნენ ხოლმე, ვიდრე მათ ზურგს უკან მოხვედრილი “მაჩანხალები” (ეს ახლაც ასეა აღდგენილ შექსპირის “გლობუსში”).

And with a look so piteous in purport  
As if he had been loosed out of hell  
To speak of horrors, he comes before me. (76:33)

ამ ნაწყვეთში კი ოფელია დეტალურად აღწერს არა მხოლოდ ჰამლეტის “უცნაურ” ჩაცმულობას (უქუდო, გულგადედილი, წინდებჩაჩაჩული), არამედ მისი სახის ფერს (მიტკალივით გაფითრებული) და გამომეტყველებას (თითქოს ჯოჯოხეთს გამოეხსნა, რომ საშინელება გამიმხილოს); იგი, ასევე, უფლისწულის ფიზიკურ მდგომარეობასაც გაგვიცხადებს (მუხლები უპარგალებელი).

მსგავსივე ვერბალური ინფორმაცია გადმოიცემა სხვათა (ოფელიას, მამის აჩრდილის და ა.შ.) გარეგნობასა და ჩაცმულობაზე.

- (გ) რა ასაკისანი არიან გმირები?
- #4 Hamlet. How long hast thou been a grave-maker?  
First Clown.... I came to't...  
The very day young Hamlet was born;

I have been sexton here... thirty years.(76: 98 - 99)

ჰამლეტსა და მესაუფლავეს (კლოუნს) შორის გამართული დიალოგის ეს ფრაგმენტი ზუსტად ადგენს უფლისწულის ასაკს – იგი 30 წლისაა.

- #5 Hamlet. You cannot call it love, for at your age  
The hey-day in the blood is tame.(76:71)  
aq ki irkveva, rom dedofali Suaxnis qalia.

- (გ) როგორები არიან გმირები ფიზიკურად?  
#6 Queen. He's fat, and scant of breath.(76:111)

ფარიკაობას ამ ფინალურ სცენაში დედოფალი აღნიშნავს, რომ ჰამლეტი მსუქანია და ძლივსდა სუნთქვას.

- # 7 Hamlet. What, my young lady and mistress!...  
Pray God, your voice, like a piece of uncurrent gold,  
Be not cracked within the ring.(76:40)

როდესაც ელსინორის სასახლეში მისულ მსახიობებს ჰამლეტი გულითადად მიესალმება, იგი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ერთ-ერთ ტრავესტის – ახალგაზრდა ქალების როლების შემსრულებელ ბიჭუნას – მალე ხმა გაებზარება და ამ როლებისათვის ადარ გამოდგება.

- (გ) როგორი სტილით უნდა ილაპარაკონ გმირებმა?  
#8 Hamlet.I'll speak daggers to her, but use none.(76:66)

ჰამლეტი წინასწარ აფრთხილებს აუდიტორიას, რომ მისი სიტყვები ად საუბრის ტონი ბასრი ხანჯალივით დაუკორდავს გულს დედოფალს და ამით უიარაღოდ გაანადგურებს მოღალატეს. ეს გაფრთხილებაც რომ არა, სხვაგვარად საუბარს უფლისწულის როლის შემსრულებელი ვერც მოახერხებდა იმ მონოლოგის შინაარსიდან და მისი ბგერითი ინსტრუმენტირების ფორმიდან გამომდინარე, რომელიც შექსპირმა დაუწერა:

- #9 Hamlet. A slave that is not twentieth part the tithe  
Of your precedent lord; a vice of kings;  
A cut-purse of the empire and the rule,  
That from a shelf the precious diadem stole,  
And put it in his pocket!...  
A king of shreds and patches!(76:73)

როგორც ჰამლეტის მონოლოგის ილუსტრირებული ფრაგმენტიდან ვხედავთ (რომელშიც იგი დედას მეორე ქმარს უგინებს – “მევე მასხარა, სახელმწიფო ტახტის მპარავი, ჯიბეს ჩამდები უძვირფასეს დიადემისა”), ტექსტში უხვადაა ალიტერირებული მსკდომი ბგერები [ვ], [ტ], [კ], [დ] და სიბილანტები [ს], [შ], [ტშ]. ასეთი ალიტერაციებით გაწყობილი პასაჟი თავადვე განსაზღვრავს ტექსტის წაკითხვისათვის შესაფერ პროსოდიულ მონახაზს, რადგანაც ქვეყნად ვერც ერთი მსახიობი ვერ მოახერხებს მისი ე.წ. “ნეიტრალური” ინტონაციით წაკითხვას.

(დ) როგორ იქცევიან გმირები?  
 #10 Ophelia. You are merry, my lord.

Hamlet. Who, I?

Ophelia. Ay, my lord.

Hamlet. O God, your only jig-maker.

What should a man do but be merry?

For, look you, how cheerfully my mother looks,  
 And my father died within two hours.(76:56)

ამ დიალოგიდან ირკვევა, რომ ჰამლეტი “მასხარაობს”, რადგანაც სხვა არაფერი დარჩენია იმ კაცს, რომლის მამაც ახლახანს მოკვდა, ხოლო დედას – “სახე უცინის”.

#11 Hamlet. ... Begin, Murderer; pox,

Leave the damnable faces, and begin!(76:62)

აქ კი ჰამლეტი დასის მსახიობს მიმართავს – “ზოეშვი სახის მანჯვან” და საქმეს შეუდექიო.

#12 Hamlet. Why did you laugh then,

When I said “man delights me not”?(76:45)

ეს ფრაზა კი გვამცნობს, რომ როზენკრანცს უფლისწულის ნაოქვამზე – აღარც კაცები მაინტერესებსთ – ჩაეცინა.

(გ) როგორია გმირების სცენური ლოკაცია და როგორ მოძრაობები ისინი?

#13 Queen. Come hither, my lord Hamlet, sit by me.

Hamlet. No, good mother, here's metal more attractive...

... Lady, shall I lie in your lap?(76:58)

ამ მოკლე დიალოგიდან ცხადი ხდება, რომ დედოფალი ზის, მის ახლოს ზის ოფელია, ხოლო ჰამლეტი ოფელიას ფერხთით აპირებს წამოწოლას, რათა თავი კალთაში ჩაურგოს.

გმირების სცენაზე გადადგილებისა და მათი ქმედებების ბრწყინვალე კომენტირების ნიმუშს ვხვდებით პიესის მეხუთე აქტში, სახელდობრ – ფარიკაობის სცენაში, სადაც ყოველი რეპლიკა ზემოაღნიშნულზე მიგვითითებს და ამიტომ აღარ გავხა

№ 14 Hamlet. Come on, si

Laertes. Come, my lord.

Hamlet. One.

Laertes. No

Hamlet. Judgement.

Osric. A hit, a very palpable hit.

Laertes. Well; again.

King. Stay; give me drink – Hamlet, this pearl thine;

Here is to thy health! Give him the cup.

Hamlet. I'll play this bout first; set it by awile.

Come. Another hit; what say you?

Laertes. A touch, a touch, I do confess.

Queen. Here, Hamlet, take my napkin, rub the brows;

The queen carouses to thy fortune, Hamlet!

Hamlet. Good madam!

King. Gertrude, do not drink!

Queen. I will, my lord; pray you pardon me.

Laertes. Have at you now!

King. Part them! They are incensed.

Hamlet. Nay, come again.

Osric. Look to the queen there, ho!

Horatio. They bleed on both sides...

Laertes. I am justly kill'd with mine own treachery.

Queen. O my dear Hamlet, -

The drink, the drink! – I am poison'd.(76:110-111)

აქ სცენაში მხოლოდ და მხოლოდ პერსონაჟთა რეპლიკების ხარჯზე სრულიადნათელი ხდება ვინ როგორ ფარიკაობს და ვინ ვის ჯობის; რომ დედოფალიპამლეტისათვის განკუთვნილ საწამლავიან ფიალას ეწაფება და კვდება, და რომპამლეტი და ლაერტი ერთმანეთს ჭრიან და სისხლისაგან იცლებიან.

სცენაზე მიმდინარე პროცესების ამგვარი სიტყვაუხვი კომენტირება (რაც, პრაქტიკულად თანამედროვე დრამებში სრულიად გამორიცხულია) ყველა პირობას ქმნიდა, რომ ნებისმიერი ტიპის მაყურებელს კარგად გაეაზრებინა, თუ რისი თქმა უნდოდა თეატრს კონკრეტული პიესით და როგორ ამბობდა იგი ამას. აქედან გამომდინარე და ზემოთ დემონსტრირებული მაგალითების საფუძველზე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დრამატულ ტექსტს შექსპირისდროინდელ დრამებში გაცილებით მეტი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე გვიანდელი პერიოდის დრამებს აქვთ. ეს კი, თავის მხრივ, პირობადებულია არა ავტორისეული ახირებითა თუ ინდივიდუალური სტილით, არამედ იმდროინდელი თეატრალური სივრცის სპეციფიკით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ძველ ბერძნულ თეატრში სიტყვა და ამბავი იყო წამყვანი, ელისაბედ დიდის ტრადიციის თეატრში სცენაზე აქტიური ქმედებაც ჩაერთო საქმეში. მოკლედ, ამ პერიოდის “ჭრელი” მაყურებელი “სისხლს, ვნებას, ქმედებასა და რიტორიკას” ითხოვდა და თეატრიც ცდას არ აკლებდა, რომ ეს ყოველივე უშურველად მიეცა მისოვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ელისაბედ დიდის ეპოქაში შედარებით მეტი ხევდრითი წილი პროლოგებსა და ეპილოგებზე მოდის. პროლოგები თანამედროვე საგანეოო ანოტაციებს წააგავს და წინასწარ ამცნობს დარბაზში შესულ მაყურებელს, თუ რა ტიპის წარმოდგენის ნახვას უნდა მოელოდეს იგი. რაც შეეხება ეპილოგებს, ისინი ერთგვარად დიდაქტიკური ხასიათისაა და წარმოდგენის ნახვის შემდეგ მაყურებელს საჭირო დასკვნის გამოცანას უადვილებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის დრამებში პროლოგიცა და ეპილოგიც მაყურებლის “კომფორტს” ემსახურება და სცენურ განსახიერებაზეა გაანგარიშებული.

ვინაიდან ამ პერიოდის ინგლისურ თეატრში სცენა ყველა წერტილიდან თანაბრად კარგად არ ჩანს, ყველა ის საჭირო ინფორმაცია, რომელსაც პერსონაჟთა შესახებ (მათ გარეგნობაზე, ლოკაციაზე და ა.შ.) ჩვეულებრივ სასცენო ანდა საავტორო რემარკები გვაწვდიან ხოლმე, თვით დიალოგის რეპლიკებშია ჩაქსოვილი. ამდენად, ამ ეპოქის ტექსტებში რემარკები იმპლიციტური ხასიათისაა.

## ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Linguistic

ლექცია ეძღვარას

ქუთაისი საქართველო

**ნინაცალების სტრუქტურული სქემის სწავლების პროცესში  
გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ**

ქართული ენის სინტაქსის საკითხების სწავლების პროცესში წინადადების გარჩევისას ხშირია შეცდომები, რომლებიც წინადადების, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე ერთეულის, არსის გაუცნობიერებლობით არის განპირობებული. მოსწავლეებს უძნელდებათ წინადადების წევრთა იდენტიფიკაცია, რაც უმეტესწილად გამოწვეულია იმით, რომ ისინი არ გაიაზრებენ წინადადებას, როგორც დაქვემდებარების წესით დაკავშირებულ სიტყვათა ორგანიზებულ შენართს. ფაქტობრივად, სიტყვას განცალკევებულად აღიქვამენ და არა წინადადებაში წარმოდგენილ სხვა სიტყვებთან ურთიერთმიმართებაში. ზოგჯერ გარკვეულ მეტყველების ნაწილებს ან ცალკეული სემანტიკური ჯგუფის სახელებს პირდაპირ აიგივებენ წინადადების წევრთან (მაგალითად, გეოგრაფიულ სახელებს - ადგილის გარემოებასთან). წინადადების წევრთა ამოცნობისას ისინი ხშირად მხოლოდ კითხვის დასმის ხერხს მიმართავენ, არ გაიაზრებენ იმას, რომ სიტყვა ან სიტყვათა შენაერთი ამა თუ იმ წევრის სტატუსს კონკრეტული წინადადების ფარგლებში, ამ წინადადებაში შემავალ სხვა სიტყვასთან დაქვემდებარებით მიმართებაში იძენს.


ამგვარი გართულებების პრევენციის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად გვესახება ვიზუალური სქემების გამოყენების მეშვეობით მოსწავლეებს იმთავითვე შეგუქმნათ წარმოდგენა წინადადების სტრუქტურულ მოდელზე. გამოვუმუშავოთ მათ სტრუქტურული სქემების შექმნის უნარი. ეს დაეხმარება მათ წინადადების, როგორც იერარქიული სტრუქტურის მქონე ენობრივი ერთეულის, არსის, წინადადების წევრთა შორის მიმართების სტრუქტურულსა და სემანტიკურ დონეზე გაცნობიერებაში.

წინადადების მარტივი სტრუქტურული სქემის აგება არ მოითხოვს გრამატიკის საკითხების სერიოზულ ცოდნას. ამისათვის საკმარისია: ა) მოსწავლეს შეეძლოს ზმნის იდენტიფიკაცია; ბ) ჰქონდეს ცოდნა იმის შესახებ, რომ ზმნა წინადადების დერმია; გ) ჰქონდეს უნარი სწორად აღიქვას აზრობრივი მიმართება წინადადებაში შემავალ სიტყვებს შორის. სხვა სიტყვებით, შეეძლოს სინტაქსური წყვილების იდენტიფიკაცია სიტყვათა შორის აზრობრივი მიმართების საფუძველზე.

ამ ცოდნა-უნარების საფუძველზე კონკრეტული წინადადების სქემის აგებამდე შესაძლებელია ჩავატაროთ მოსამაზედებელი სამუშაო: ა) მოვძებნოთ ზმნა; ბ) წინადადებაში გამოვაცალკევოთ აზრობრივად უშუალო ურთიერთკავშირში მყოფი სიტყვები (ე. ი. ამოვწეროთ სინტაქმები).

მაგალითად, წინადადებაში: ნიავი გამხმარ ფოთლებს წყნარად აშრიალებს, გამოვყოფო ზმნას - "აშრიალებს", ამოვწერო ერთმანეთოან უშუალოდ დაკავშირებულ სიტყვათა წყვილებს: ნიავი აშრიალებს, ფოთლებს აშრიალებს, წყნარად აშრიალებს, გამხმარ ფოთლებს. ამის შემდეგ შეგ-

ვიძლია ავაგოთ სქემა, სადაც ზმნა დომინანტურ პოზიციას დაიკავებს, მას დაუკავშირდება, მასთან აზრობრივ მიმართებაში მყოფი სიტყვები: **ნიავი, ფოთლებს, წყნარად, ხოლო სიტყვა - გამბარ**, დაუკავშირდება მის აზრობრივ მეწყვილეს - **ფოთლებს**.




ამავე სქემის აგება სინტაქსური წყვილების წინასწარ გამოყოფის გარეშეც არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში თავდაპირველად მხოლოდ ზმნას გამოვყოფ, ვწერო ცენტრში და შემდეგ მას უუკავშირებო სიტყვებს, რომლებიც მასთან უშუალო აზრობრივ მიმართებაშია. ამის შემდეგ უკვე სქემაში მოცემულ სიტყვებს დაუკავშირებო სხვა, მათთან აზრობრივ კავშირში მყოფ სიტყვებს. სქემის აგების შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს მივცეთ დავალება ამოწერონ სქემაზე ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვები. ეს მათ გაუმარტივებს სინტაქსურ წყვილთა იდენტიფიკაციას.

უმარტივესი სქემები შეიძლება გამოვიყენოთ სწავლების იმ ეტაპზე, როცა მოსწავლეები არ იცნობენ მეტყველების ნაწილთა გრამატიკულ კატეგორიებს და სიტყვათა შორის კავშირებს მხოლოდ აზრობრივად აღიქვამენ. ამ შემთხვევაში სქემა მოსწავლეებს აძლევს არსებით წარმოდგენას წინადადებაში სიტყვათა შორის მიმართებაზე, თვალსაჩინო ხდება წინადადების სტრუქტურული იერარქიულობა, რაც, თვის მხრივ, წინადადების წევრთა ან სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების სწავლებისას დაგვეხმარება კონკრეტული საკითხების სწორად გააზრებაში. მოსწავლე უკვე გააცნობიერებს დაქვემდებარებულ სიტყვათა აზრობრივ მიმართებას გაბატონებულ წევრთან.

მაგალითად, კონკრეტული სქემის დახმარებით გაგვიადვილდება მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ სიტყვა **ნიავი** უკავშირდება მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვას და აღნიშნავს მოქმედ საგანს, **ფოთლებს** - სამოქმედო საგანს, წყნარად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მოქმედება, ხოლო სიტყვა - **გამბარ** ექვემდებარება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას და ამ საგნის ნიშან-თვისებას აღნიშნავს. უერადლება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ერთსა და იმავე სიტყვასთან (ამ შემთხვევაში ზმნასთან) დაგავშირებული სიტყვები სხვადასხვა აზრობრივ მიმართებას ამყარებენ გაბატონებულ წევრთან. ფაქტობრივად, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ წინადადების წევრთა სემანტიკურ ნიშნებს, რაც მათ დაეხმარებათ ამ წევრთა იდენტიფიკაციაში სწავლების შესაბამის საფეხურზე.


სწავლების კონკრეტული ამოცანების შესაბამისად იმავე წინადადების სქემა განსხვავებული სახით უნდა წარმოვადგინოთ. მაგალითად, როცა მოსწავლეები უკვე ფლობენ ზმნისაოვის პირის შეწყობის უნარს და ჩვენი ამოცანაა წინადადების მთავარ წევრთა სწავლება, სქემაში სხვადასხვა ფიგურათა გამოყენების მეშვეობით შესაძლებელია ვაჩვენოთ ზმნისა და მასთან პირით შეწყობილ სახელთა განსხვავებული სტატუსი წინადადების ფარგლებში. მეტი სიზუსტისათვის სასურველია მოვახდინოთ სუბიექტური და ობიექტური პირის ფარდი სახელების მარკირება.




აქეთ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სქემებში ჩვენ მიზანმიმართულად ეთქვით უარი სხვადასხვა სახელმძღვანელოებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, ზმნა-შემასმენელი და მასთან პირით შეწყობილი სახელები ერთ დონეზე განგვეთავსებინა. მთავარ წევროთა ერთ დონეზე განთავსება ქმნის სირთულეს სიბრტყეზე ისეთი წინადადების სქემის გამოსახვის დროს, რომელშიც შემასმენელი სამპირიანი ზმნით არის წარმოდგენილი. მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მხოლოდ ზმნისა და სუბიექტური პირის ფარდი სახელის ერთ დონეზე განთავსებაც.

საჭიროდ ჩავთვალეთ ოვალსაჩინოდ გვეჩვენებინა ზმნის დომინანტური მდგრმარეობა, რამდენადაც წინადადების კონსტრუქციული ცენტრის და მთლიანად წინადადების სტრუქტურის მაორგანიზებელი ერთეული სწორედ ზმნა-შემასმენელია, მიუხედავად იმისა, რომ სინგაქსურ წყვილში ურთიერთობის ოვალსაზრისით პირით შეწყობილ სახელებს გააჩნია ზმნა-შემასმენელზე არანაკლები (რიგ შემთხვევებში კი უფრო მეტი) სინგაქსური ძალა.




თეორიული ცოდნის ზრდის კვალობაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სქემაზე მივუთითო წინადადებაში სიტყვის სინგაქსური ფუნქციის დეტერმინაციისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები, თუ რომელ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება და რომელი წევრის ფუნქციას ასრულებს სქემაში განთავსებული ოთოვეული სიტყვა.



მსგავსი სქემების გამოყენება ეფექტურია სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სწავლებისას. ვიზუალური გამოსახულება საშუალებას გვაძლევს ნათლად ვაჩვენოთ სინტაგმის იერარქია, გაბატონებულ და დაქვემდებარებულ ერთეულებს შორის არსებული მიმართება. სასურველია აქვე მივუთოთ მეტყველების ნაწილთა შორის არსებული სინტაქსურ ურთიერთობათა სახეები.




ზმნა-შემასმენელსა და მასთან პირით შეწყობილ სახელებს შორის სინტაქსური ურთიერთობის სწავლებისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკეულ სინტაგმათა სქემატური მოდელის გამოყენება.



სინტაგმის წევრთა შორის არსებული მიმართების ვიზუალური დემონსტრირება დაგვეხმარება სინტაგმის შიგა სტრუქტურის გაცნობიერებაში. კოორდინაციისა და სუბორდინაციის არსის გააზრებაში.

წინადადების სქემაზე გამოსახვა ეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო მარტო წინადადების არამედ შერწყმული წინადადების სწავლებისას. სასურველად მიგვაჩნია შემოგთავაზოთ ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადების სტრუქტურული მოდელი.



ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ წინადადების სტრუქტურული სქემა შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად კომპაქტური ფორმით ვაჩვენოთ ჩვენი ცოდნა წინადადების კონსტრუქციულ-სტრუქტურული ორგანიზაციის, სინტაქსური დაქვემდებარების სახეების, სიტყვის სინტაქსური ფუნქციის გამნენსაზღვრელი გრამატიკული ფაქტორების შესახებ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამგვარი სქემები გამოვიყენოთ სწავლების შეფასების მიზნით. განსაკუთრებით ეფექტურად გვესახება მათი გამოყენება წერითი ფორმით გამოკითხვის შემთხვევაში.

**ლიტერატურა:**

1. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1977
2. ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1973
3. ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996
4. О. Есперсен, Философия грамматики, Москва, 1956

Lela Edzgveradze

**About practical aspects of sentence analyzing****Abstract**

The article deals with practical questions of teaching syntactic structure of sentence in Georgian language.

Mistakes caused by misunderstanding in structural relations between words within the sentence are frequent in the process of analyzing the sentence. First thing to mention is the problems of determination words' syntactic function, in other words, the role they play within the sentence.

To prevent the above mentioned difficulties it is of great significance to form clear and sequential idea that sentence is grammatically organized unity of words. Another very important aim is to make the learner realize that a word obtains syntactic status in correlation with other words within the sentence. Therefore, we think it would be effective to provide learners with visual material, like structural schemes and models of sentence, showing the relation between the words. It is also important to assist them in constructing sentence models on their own.

Лела Едзгверадзе

**О практических аспектах использования структурных схем предложения****Резюме**

Во время анализа предложения в процессе изучения вопросов синтаксиса грузинского языка часто сталкиваемся с проблемами, порожденными непониманием структуры предложения. Учащихся не осознают иерархического взаимоотношения между словами внутри предложения и часто стараются определить их синтаксическую функцию вне структурно-смысовых связей с другими словами, что приводит к неправильной квалификации.

Осознание сути проблемы диктует, что в процессе обучения нужно обратить особое внимание на улучшение восприятия структурного строения предложения. Эффективным средством решения этой задачи представляется использование схем, наглядно демонстрирующих внутреннюю организацию предложения, структурно-смысловую взаимосвязанность между членами предложения. В зависимости от конкретных задач можно использовать разные модификации подобных схем, представляется целесообразным отдельно демонстрировать схемы, изображающие субординацию и координацию между главными членами предложения.

ლიტერატურათმცოდნეობა    Литературоведение    Linguistic

ლალი მიქაძე

ქუთაისი, საქართველო

## ცისფრიკანწელთა ლიტერატურული სალონები ქუთაისში

ეროვნების ბურჯს, სულიერების საფუძველს, საქართველოში ოდითგანვე თჯახი წარმოადგენდა. ის ინახავდა ერის საუკეთესო ტრადიციებს, ავითარებდა ეროვნულ კულტურას. თუკი რამ კარგი შემოინახა ქართველმა ხალხმა, ეს უპირველეს ყოვლისა, თჯახის წყალობით მოხდა.

თჯახებმა გადაარჩინეს და გააძლიერეს ქართული ხელოვნება, მით უფრო მაშინ, როცა საქართველო არ იყო განებივრებული კულტურული დაწესებულებებით, თეატრებით, შემოქმედებითი კავშირებით, საზოგადო საკრებულოებით.

ქუთაიში ყოველთვის მძღავრობდა თჯახის ინსტიტუტი.

ქართველ მწერალთა და კულტურის მოდვაწეთა შეკრებების ყველაზე სტაბილური ადგილები იყო ტრადიციული ქართული თჯახები, რომლებიც ერთგვარ ლიტერატურულ სალონებს წარმოადგენდნენ.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე პოეზიის ასპარეზზე გამოვიდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ახალგაზრდებისა, რომლებიც თითქმის სრულყოფილად ფლობდნენ გარეგან პოეტურ ხერხებს, ეძებდნენ ახალ ფორმებს და მეთოდებს, ცდილობდნენ გარეგნული ფაქტორით – ჩაცმულობითა თუ მანერებითაც პოეზის სახელი დაემკვიდრებინათ, მაგრამ მათ საკმეველში ჩამქრალი იყო ”ის ცეცხლი, და ცხოველი ნაკვერჩხალი, რომელიც პოეტის ლოცვას თავისი უმაღლესი მისამართით ადავლენს“ [გ. ასათოანი].

იმ მრავალრიცხოვან მასაში მკვეთრად გამოირჩა ხმა ჭეშმარიტი პოეტებისა, რომლებიც სრულიად ჭაბუქი ეზიარნენ პოეტურ შემოქმედებას. ისინი ახლებური განცდებით, უდიდესი ადგილებით, სრულიად ახალი ფორმით მოვიდნენ ქართულ პოეზიაში და მოიტანეს უდიდესი ტკივილის ფასად შექმნილი „მეწყერივით მოვარდნინდი“ ლექსები. დიახ, ეს იყო უახლესი ქართული პოეზის მესამირკვლეთა თაობა, საერთო ესთეტიკური შეხედულებებისა და მრწამსის მქონე ქართველ სიმბოლისტ პოეტთა ლიტერატურული ჯგუფი „ცისფერი ყანწები“.

„ცისფერი ყანწების“ გამოჩენაც საგსებით კანონზომიერი იყო იმ დროში, როცა პირველ მსოფლიო ომში ჩათორებული ძველი სამყარო უკანასკნელ მიჯნაზე იდგა და მომავალი რევოლუციების ქარტებით ძალიან მოახლოებული იყო. ასეთ გარემოში, ბუნებრივია, რომ ბევრი რაიმეს გადაფასება იწყება და „მწერლობაც, ეს საოცრად მგრძნობიარე სეისმოგრაფია, ახალი გზების ძებნას იწყებს და თავისი განცდების ახლებურად წარმოსახვას მიმართავს“ [ს. კლდიაშვილი, გვ. 32].

ახალმა პოეტურმას სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული ლექსის ახლებური ედერადობის შეძენის საქმეში. გაამდიდრა ქართული ვერსიფიკაცია, შეიქმნა პირველი ქართული სონეტები, ტერციინები, ტრიოლეტები, რითმას მიეცა ახალი გასაქანი, ახლებურად გამოიყენეს ალიტერაციები და ასონანსები. პირველად ითარგმნა ბოდლერის, ვერლენის, რემბრანდინის, ლაფორგის პოეზია [გ. ტაბიძე].

ცისფერყანწელთა ლიტერატურული სკოლა 1915 წელს ჩამოყალიბდა ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის თაოსნობით. ამ ჯგუფს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა პოეტები: სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რაჭენ გვეტაძე, შალვა აფხაძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა კარმელი, გიორგი ლეონიძე.

“ერთი გარემოება დიდად გვაძრკოლებდა და ხელს გვიშლიდა: ახალგაზრდებს არ გაგვაჩნდა კუთხე, სადაც შევძლებდით თავის მოყრას, დაწერილი წაგვეკითხა და ერთმანეთისაოვის აზრი გაგვეზიარებინა. სხვა ადგილი რომ არა გვქონდა, შევიყრებოდით ხოლმე ქალაქის ბაღში ან სადმე რესტორანში და იქ ვაცნობდით ერთმანეთს ჩვენს შემოქმედებას” [ს. კლდიაშვილი, გვ. 37].

ცისფერყანწელთა ორიგინალობა მარტო მათი პოეტური თქმის ორიგინალობაში არ გამოიხატება. ისინი ორიგინალურნი იყვნენ შეკრების ფორმითაც. ახალგაზრდა პოეტები ხშირად ქუთაისის სხვადასხვა საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და დამის ძილით მოცელი ქალაქის სიმუდროვეს იქ გამართული პოეზიის სადამოებით არღვევდნენ.

“სადარბაზოებში შეხიზნულნი, აბგზარ ყოველდღიურობას და უფასურ სინამდვილეს განშორებულნი, ჩვენ სულ სხვა სამყაროში ვგრძნობდით თავს. ვსაუბრობდით იმაზე, რაც, ალბათ, არც ერთ ქუთაისელს არ დაესიზმრებოდა [კ. ნადირაძე, გვ. 5].

ზოგჯერ პოეზიით მოვრალი ქალაქარეთ გადიოდნენ. სერგო კლდიაშვილი იგონებს, 1919 წელს პაოლო იაშვილის თაოსნობით, როგორ გაემართნენ ქუთაისის აღმოსავლეთი, წყალწიოელაზე გადებული ძველი ხიდისაკენ, როგორ აირჩიეს ერთი განაპირა წისქვილი, გაოცებული მეწისქვილის თანხმობით ჩამოსხდნენ ფქვილიან ტომრებზე და ააბრიალეს ქართული ლექსის ხანდარი.

აიასეთი “ლიტერატურული სალონებიც” ჰქონდათ ცისფერყანწელებს. თუმცა “ამ სიტყვასთან შეერთებულა წარმოდგენა მდიდრულად მორთულ დარბაზზე, სადაც თავს იურიან მაღალი წრის ადამიანები და სადაც ზოგჯერ ლიტერატურისა და პოლიტიკის ბედიც წყდება” [ს. კლდიაშვილი, გვ. 53-54].

ცისფერყანწელები სალონურ შეკრებებს უფრო ხშირად მართავდნენ ერთმანეთის ოჯახებში. ტიციანი ქუთაისში ბალახვნის ქუჩაზე ცხოვრობდა, შედარებით ვიწროდ, ამიტომ მასთან სტუმრობა არ ხერხდებოდა. სამაგიეროდ, მათ შეხვედრები ჰქონდათ პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, კოლაუ ნადირაძესთან, დია ჩიანელთან, სანდრო ცირეკიძესთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან [ს. კლდიაშვილი, გვ. 71].

“1916 წლიდან ჩვენ, პოეტები, ხშირად ვიკრიბებოდით ერთმანეთთან. თითქმის ყველა ჩვენგანის სახლი ერთგვარ “სალონს” წარმოადგენდა. ვსაუბრობდით, შემოქმედებით საკითხებზე იყო კამათი, ახალი ლექსებისა და პროზაულ ნაწარმოებთა კითხვა, მათი შეფასება” - წერს კ. ნადირაძე [კ. ნადირაძე, გვ. 46].

ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, 1919 წ., დია ჩიანელის სახლში ტიციან ტაბიძესა და სანდრო ცირეკიძეს ქართული ლიტერატურული მუზეუმის დარსების იდეა წამოუყენებიათ.

ვალერიან გაფრინდაშვილის ოჯახებში კი, ბალახვნის ქუჩაძე, დეკემბრის ერთ თოვლიან სადამოს შეიკრიბენ თვით მასპინძელი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც იმ დღეს პირველად წაიკითხა ხოველა “ბებრები”, და იქვე გადასცა სანდრო ცირეკიძეს ცისფერყანწელთა ურნალ “მშვილდოსანში” დასაბეჭდდად.

“ამ ხოველამ დიდი შთაბეჭდდილება მოახდინა ჩვენზე. სუფრიდან წამოვიჭრით და ექსპრომტად ხელმეორედ შევსვით ნიკოს სადღეგრძელო.

ჩვენი “საიდუმლო სერობა” გაოქნებამდე გაგრძელდა.

დაუვიწყარი სადამო, დაუვიწყარი დამე [დ. ბრეგაძე] – იგონებს კ. ნადირაძე, რომელსაც დრმა მოხუცებულობამდე გაჟყვა ის დიდი სითბო და ქართული ოჯახის სტუმართმოყვარების მადლი, რაც ახალგაზრდობაში ასე უხვად იგემა მეგობართა წრეში გამართული საოჯახო ლიტერატურული შეკრებებიდან. იგი განსაკუთრებული სინაზით იგონებს პაოლო იაშვილის მშობლებს, ჯიბრაელ და ბაბილინა იაშვილებს, და დია ჩიანელის მეუღლეს ფაცინო გორგოძეს, რომელთა მასპინძლობა არაერთხელ უგემნიათ “ცისფერყანწელ” მმებს.

დია ჩიანელის (დავით ჩხეიძე) სახლი ქუთაისში მეტად კოლორიტულ ადგილზე, თეთრ ხიდთან

მდგბარეობდა. ეს მშვენიერი უბანი ყოველთვის პოეტთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. კოლაჟ წერს: “გარდა სტუმართმოყვარე, გულწრფელი მეგობრობისა, ჩვენ გვიზიდავდა მისი ეზო, დამშვენებული მეტად ლამაზი მაგნოლიის ხით, რომლის დიდი თეთრი ყვავილები სურნელებას აფრქვევდნენ ირგვლივ. გვიზიდავდა დიას ბინის დიდებული აივანი. იგი ამაყად გადმოჰყერებდა რიონის მშვილვარე, ძლიერ ტალღებს, მათ თეთრ ქაფად ქცეულ ჩქერებს [დ. ბრეგაძე, გვ. 10].

დია ჩიანელის სახლის შესანიშნავ აივანზე იმართებოდა საოცარი სადამოები, სადაც კამათობდნენ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე. დიას ვაჟი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, იგონებს: “ასე მგონია, სიზმრიდან მოდიოდნენ გალაკტიონი, ტიციანი, პაოლო, იაშვილი, უშანგი ჩხეიძე, შალვა დადიანი, კოტე მარჯანიშვილი და ბევრი სხვა” [დ. ბრეგაძე, გვ. 23].

ამ ოჯახის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ: დემხა შენგელაია, გრიგოლ რობაქიძე, ჯავაჟ ჯორჯიკია, დავით მესხი, გიორგი ჯიბლაძე, სრულიად ახალგაზრდები – მამია ასათიანი, ლადო ასათიანი, სევერიან ისიანი, ვიქტორ გაბისკირია, ბონდო კეშელავა, ნიკა აგიაშვილი, გიორგი სამხარაძე, გიორგი ნაფეტვარიძე, მიხეილ ალავიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ავალიანი და სხვები.

დიას მეუღლე, ფაცინი გორგოძე, იგონებს: ”ვცხოვრობდით რიონის პირად დიდ აივნიან სახლში, დია უზომოდ სტუმართმოყვარე კაცი იყო. ამ საქმეში მეც გვერდით ვუდექი. დღესაც მასსოვს ჩვენს აივანზე გაშლილი სუფრა და მის ირგვლივ ქართველი და რუსი ინტელიგენტების ჯგუფი გართული კამათსა და ლექსების კითხვაში. კაცმა რომ თქვას, ჩვენი სახლი მაშინ თავისებურ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა ქუთაისში. სტუმრები ხშირად დიას საყვარელი სოფლის – დიმის მოსანახულებლადაც დაგვყავდა. ქუთაისში ჩამოსული, ვლადინებურ მაიაკოვსკის დების მასპინძლებიც ჩვენ ვიყავით. მერე კი ერთად გავწევდით ბაღდათისაკენ” [დ. ბრეგაძე].

მე-20 საუკუნის დასაქშისის ქუთაისზე საინტერესო მოგონებას გვაწვდის ქართულობით გერმანური ხელოვნების ერთ-ერთი კულტურული ვერიკო ანჯაფარიძე, რომლის მამა, ივლიანე ანჯაფარიძე, მაშინ ქალაქის ნოტარიუსად მუშაობდა და ცხოვრობდა წმინდა ნინოს სასწავლებელთან;

“ჩვენს ოჯახში, იგონებს ვერიკო ანჯაფარიძე, ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწენი, მსახიობები, მწერლები, პოეტები. ცისფერყანწელები ხშირად გვესტუმრებოდნენ. ჩვენთან გავიცანი ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გოგლა ლეონიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და, მათ შორის ტიციანი ყოველთვის ადგზებული და აფორიაქებული, აქლევდნენ ეშეს იმდროინდელ ქუთაისს [ვ. ანჯაფარიძე, გვ. 150].

მაშინდელი ქუთაისი იყო ქართული საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოძრაობის ცენტრი, ახალი პოეტური სიტყვის აკვანი. აქ თავმოყრილი იყო ქართული გონებრივი სამყაროს წამყვანი ძალა – საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, თეატრალები, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ წარჩინებულ ოჯახებში. მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ლიტერატურულ ნაწარმოებებს კითხულობდნენ, ერთი სიტყვით, სულიერ საზრდოს იღებდნენ.

ეს ოჯახები, ბუნებრივია, ცნობილ ინტელიგენტთა ოჯახები იყო. ერთ ერთი მათ შორის გახლდათ ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახი.

დიმიტრი ნაზარიშვილის ქალიშვილები, ელო და ისია, ცისფერყანწელებან მეგობრობდნენ. ტიციანმა ლექსიც უძლვნა უმშვენიერეს ისიას, რომელსაც ახალგაზრდობაში ეტრფოდა. შენვა აფხაზი წერს: “ რომანტიკული გატაცებით და გზებით, ტიციანის პოეტური ხმის დამახასიათებელი რადაც შინაგანი ტკივილით, მძაფრი განცდით არის დაწერილი ლექსი “ისია ნაზაროვას”, რომელიც ქუთაისის აპრილივით ჰყვაოდა და თვით ხორცშესხმულ მშვენებას წარნოადგენდა, ჩაივლიდა და ქუჩებს სილამაზით ანათებდა [შ. აფხაზი, გვ. 155].

“ვიგონებ დამწვარ ამ ათ წელიწადს,

პირველ სიყვარულს, გულს რომ მინგრევდა,

შენც ხომ ცხოვრების გრიგალი გწევავს,

ორივეს დაგვრჩა უძირო სევდა.

უცოდველ ბავშვის გებინა ძილით,

ერთედ გვესიზმრე დაღლილ პოეტებს,  
სიყვარულს ვერ ძლევს წელთაგან ძილი  
და ძილშიც სიზმრად წამოიშფოთებს”.

ქართული კულტურის მოღვაწეთა შეკრებებით არა ერთი ოჯახი იყო ცნობილი ქუთაისში. სალონური ცხოვრება ჩქეფდა გოკიელების, ხეხინაშვილების, მიქელაძეების, იოსელიანებისა და სხვათა ოჯახებში.

#### **ლიტერატურა:**

1. გ. ასათიანი, საუცუნის პოეტები, ტ. ტაბიძე
2. დ. ბრეგაძე, არ დავიწყება მოყვრისა, ქუთაისი, 1990.
3. ს.კლდიაშვილი, “როცა წარსულისაკენ გავიხედავ” თბ., 1969.
4. ტ. ტაბიძე, ავტობიოგრაფია, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბ., 1985.
5. “წითელი მიხაკის ლეგენდა”, ვ. ანჯაფარიძე, თბ., 1985.
6. “წითელი მიხაკის ლეგენდა”, შ. აფხაიძე, თბ., 1985.

**Lali Mikadze**

#### **From the history of home salons in Kutaisi**

Abstract

A family has been the pillar of the nation, the basis of the spiritual life in Georgia. The Family, saved Georgian culture as it was the place where writers public figures got together to discuss different problems of literature, politics, economics and social life.

Kutaisi was famous for its home salons, namely those of the Ghoghoberidzes, Lordkipanidzes, Nikoladzes, Kheltuflashvilis, Dadaianis, Chkheidzes, Nazarishvilis, Khechinashvilis, Gokielis, Mikeladzes and others.

ლიტერატურათმცოდნეობა    Литературоведение    Linguistic

ლეილა ქველიძე

ქუთაისი, საქართველო

მოცერნიზმი ისლამში და გენცერული  
თანასწორობის საკითხი

მუსლიმური რეფორმაცია ანუ მოდერნიზმი წარმოადგენს რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში მუსლიმი სასულიერო პირები ჩაუდგნენ და მიზნად დაისახეს რელიგიის განახლება, მისი შეთავსება თანამედროვეობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამოცანებთან. იგი გამოწვეული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებით. მუსლიმური რეფორმისტული მოძრაობა XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო არაბულ ქვეყნებში და ემთხვევა კულტურული აღორძინების ("ნაპდას") პერიოდს. ეს არის არაბულ სამყაროში საერთო კულტურული აღმავლობის ხანა, როცა ყალიბდება ახალი იდეოლოგია.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არაბულ ქვეყნებში იწყება კულტურული ცხოვრების გამოცვლებება, რომელსაც თავისი წინაპირობები ჰქონდა. სხვა ფაქტორებთან შედარებით მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის აღმოსავლეთით დაინტერესება. ამ პერიოდში მწვავედ დადგა ევროპული კულტურისა და ისლამური მემკვიდრეობის ურთიერთობების საკითხი. ერთი მხრივ, საჭირო იყო არაბული ენის, კულტურული ტრადიციის შენარჩუნება და ამავე დროს, ფეხი უნდა აეწყოთ დასავლური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

წინვალი ახალი იდეოლოგიის გარეშე შეუძლებელი იყო. ახალი იდეოლოგია არაბულ ქვეყნებში კი მხოლოდ ისლამის ფარგლებში შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო. ამიტომაც, წარმოშვა იმის საჭიროება, რომ რელიგია შეეთავსებინათ ახალი ეპოქის მოთხოვნებისათვის; ასე წარმოშვა მოდერნიზმი ისლამში.

არაბულ ქვეყნებში პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, საერთო დემოკრატიულმა აღმავლობამ პიროვნების თავისუფლების ახალმა მსოფლგაგებამ განაპირობა ქალთა საკითხის აქტუალობა. ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად შეიცვალა.

არაბულ სამყაროში ქალთა საკითხის მოგვარებას, მათი უფლებების დაცვას გარკვეული სიძნელეები ახლდა და ეს განპირობებულია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, არამედ ისლამური ინსტიტუტების ძლიერი გავლენით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ პირად ცხოვრებაზე. მამაკაცოან შედარებით ქალის არათანასწორუფლებიანობა მუსლიმურ საზოგადოებაში სწორედ ყურანით და შარიათით იყო განმტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა გარკვეული ცვლილებები, მაინც ისლამის დოგმები გარკვეულწილად აფერხებდა ამ საკითხში რადიკალურ ცვლილებებს. ყურანისა და შარიათის კანონთა მოდერნიზაციის იდეა, რომელიც ქალთა საკითხთან იყო დაკავშირებული, პირველად მუსლიმმა რეფორმატორებმა წამოაყენეს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ესენი იყვნენ მუჰამად აბდო, რაშიდ რიდა და სხვა.

მუსლიმური რეფორმაციის დაწყებამდე არაბულ სამყაროში ქალთა უფლებების დასაცავად პირველმა ხმა აღიმაღლდა ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ რიფა'ა ატ-ტაჰავიდ (1801-1873). მან განათლება მიიღო ალ-აზარსა და საფრანგეთში, მოქმერე იყო საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობისა. მან პირველმა დაიწყო ფრანგი განმანათლებლების იდეების პროპაგანდა. მისი დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს მუკამად აბდომ, ადიბ ისპაქმა, კასიმ ამინმა და სხვ. განმანათლებლების მირითად მიზანს შეადგენდა ეროვნული კულტურის აღორძინება და ხალხის მასების განათლება. ფრანგი განმანათლებლების მსგავსად, ისინი მთავარ საზოგადოებრივ ბოროტებად თვლიდნენ ხალხის გაუნათლებლობას. ამავე დროს აკრიტიკებდნენ მოძველებულ ტრადიციებსა და ადაო-წესებს, დიდი ადგილი დაუთმეს ქალთა საკითხს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას (2, 205). რიფა'ა ატ-ტაჰავი ისწრაფოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიღწევათა გონივრული სინოეზისაკენ. მან 1872 წელს გამოსცა წიგნი „გზამკვლევი მოსწავლე გოგონებისა და ვაჟებისათვის“ და გამოოქავა მოსაზრება მათი ერთად სწავლების აუცილებლობის შესახებ. იგი თვლის, რომ ქალთა განათლება და მათი ერთობლივი აღზრდა ხელს შეუწყობს ქალის განვითარებას და მის ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლება ქალს მისცემს საშუალებას თავად განაგოს საკუთარი ბედი (4, 32).

ითვლება რა არაბული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლად, იგი ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ მუსლიმური მოღვაწნიზმის წინამორბედად, თუმცა აშკარად არასოდეს დაპირისპირებია ორთოდოქსალურ ისლამს.

მუსლიმური რეფორმაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოები წარმომადგენელი გახლავო ჯამალ ად-დინ ალ-აფდანი (1839-1897). იგი იყო მოქმერე ერთიანი ისლამური სახალიფოს შექმნის და თვლიდა რომ ამისათვის საჭირო იყო რათა ისლამის ნორმები შეეთავსებინა თანამედროვეობის მოთხოვნებისათვის. იგი ახდენდა ისლამური დოგმების ახლებურ ინტერპრეტაციას.. ალ-აფდანი თვლიდა, რომ ერთს ჩამორჩენილობის მიხეზი შეიძლება იყოს რელიგიური ფანატიზმი და ტირანია.

ალ-აფდანი სპეციალურად ქალთა საკითხს არ შეხებია, მაგრამ განიხილავდა რა პიროვნების თავისუფლების საკითხს, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრობლემას, თვლიდა რომ განათლება ის ძალაა, რომელიც წარმართავს საზოგადოებას პროგრესისაკენ. ყოველივე ეს კი მისი მიმდევრებისათვის გარკვეულწილად თრიენტირს წარმოადგენდა შემდგომში არაბულ სამყაროში ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინა პლანზე წამოსაწევად (5, 59).

ალ-აფდანის მიმდევრად და მოწავედ ითვლება მუკამად აბდო (1849-1905). მას მიიჩნევენ ალ-აფდანის იდეების პრაქტიკაში გამტარებლად (5, 29). 1898 წელს მისი ინიციატივით დაარსდა მუსლიმ მოღერნისტო ჟურნალი „ალ-მანარ“, სადაც განსაკუთრებული ჟურადღება ეთმობოდა სწორედ ამ იდეის განვრცობასა და რეალიზაციას. მუკამად აბდო – ეგვიპტის მთავარი მუფთი ცდილობდა თავისი მოღერნისტული იდეები ცხოვრებაში გაეტარებინა. მისი მრავალრიცხოვანი ფეთვები ლიბერალიზმის სულიო იყო გაუდენილი (5, 61).

მუკამად აბდო თვლიდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ საჭიროა ქალთა საკითხისადმი ახლებური მიღვომა და სამაგალითოდ მოჰყავდა მრავალცოლიანობის საკითხი. მისი აზრით, რჯახი საზოგადოების საყრდენია და პოლიგამია ამდენად თანამედროვე ცხოვრებისათვის მიუდებელია. თუმცა იგი უნდა მოგვარდეს შარიათის კანონების შესატყვისად (5, 63).

აბდომ თავის დროზე გამოსცა ფეთვა, რომელშიც იგი ცნობს ქალის უფლებას განქორწინების საკითხში. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ დროისათვის და აბდოს ამ ფეთვამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ეგვიპტის, არამედ სხვა არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე. მუსლიმი რეფორმატორის ამ გადაწყვეტილებამ ცხადშევო, რომ არაბი მოდერნისტები უდავოდ პროგრესის გზით მიდიოდნენ ქალთა საკითხთან დაკავშირებით.

მუსლიმ რეფორმისტთა გვერდით აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ კასიმ ამინი (1863-1908), წარმოშობით ქურთი, ეგვიპტელი მწერალი, ავტორი წიგნებისა „ქალთა განთავისუფლება“ და „ახალი ქალი.“ იგი კარგად იცნობდა განმანათლებლოთა იდეებს, ასევე მუსლიმურ მოღერნიზმს და სწორედ მათ საფუძველზე ყოველმხრივ შეისწავლა ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში

და მათი უფლებების დაცვა აქცია თავისი ცხოვრების მიზნად. მისი სიტყვები - “არ შეიძლება ერი იყოს თავისუფალი, თუ მასში ქალი დაჩაგრულია”, იქცა არაბულ სამყაროში მოწინავე დემოკრატიული საზოგადოების სულისკვეთების გამომხატველად ქალთა პრობლემასთან დაკავშირებით.

კასიმ ამინი მთავარ ყურადღებას უთმობდა ქალთა განათლების საკითხს ქალთა განათლების საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, უნდა ვიგარაულოთ, განპირობებული იყო იმით, რომ ეგვიპტის საზოგადოება სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენდა დასავლეო ევროპის სამეცნიერო და კულტურული მიღწევებისადმი. ქალი და ერი, ქალი და ოჯახი, ქორწინებაში მისი თანასწორულებიანობა. ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაჭრა თავად მუსლიმური საზოგადოების შემდგომი განვითარების ინტერესებში შედიოდა.

კასიმ ამინი წიგნში „ახალი ქალი“ თავისუფლების ასეთ განმარტებას იძლევა: „თავისუფლება გულისხმობს ადამიანის დამოუკიდებლობას აზროვნებაში, ნებასა და მოქმედებაში, როდესაც თავისუფლება რჩება კანონის ფარგლებში, ზნეობრიობის პრინციპები დაცულია.“ (6, 43). სწორედ ასეთი თავისუფლებაა საჭირო მუსლიმი ქალისთვის. იქვე იგი მიუთითებდა: „ჩვენი კანონები დაწერილია თავისუფალი ერისათვის, ხოლო ზნეობრივი ნორმები კი ისეთივე რჩება, როგორც დამონებულ ერს შეეფერება.“ (6, 51).

კასიმ ამინმა არაბული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში პირველმა ქალთა საკითხი განსაზღვრა, როგორც მეცნიერული და სოციალური პრობლემა.

მუსლიმი რეფორმატორების მოდგაწეობამ, საერთოდ, პროგრესული არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ, შექმნეს პირობები შემდგომში ქალთა მოძრაობის განვითარებისათვის. ამასთანავე სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა საცუთარი უფლებების დასაცავად არაბმა ქალებმა.

მუსლიმი რეფორმატორების მოდგაწეობამ XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ისლამის მოდერნიზაციის შემდგომ პროცესს და რაც მთავარია, გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით, სწორედ მან განსაზღვრა ის პოზიცია, რომ არაბულმა საზოგადოებამ ქალი აღიქვა, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი.

#### ლიტერატურა:

1. Baron Beth, *The Women's Awakening in Egypt: Culture, Society and the Press*, New Haven and London, Yale University Press, 1994.
2. Engineer A. A., *The Rights of Women in Islam*, London, 1992.
3. Al-Hibri, Aziza, *A study of Islamic History or How did we ever get into this Mess? Women and Islam*, Women's Studies International Forum Magazines, 5, 1982, გვ. 193-206.
4. Jawad H. A., *The Rights of Women in Islam. An Authentic Approach*. Palgrave, 1998.
5. Kerr Malcolm H., *Islamic Reform: The Politikal and legal Theories of Muhammad Abduh and Rashid Rida*. Berkeley: University of California Press, 1966.

6. احمد محمد سالم، المرأة في الفكر العربي الحديث، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 2003.

7. برهان بخاري، سعاد الصباح - دراسة جديدة، شركة النور، بيروت، 1999.

Leila Kvelidze

## The Problems of Gender Equality and Reformation of Islam

### Abstract

The essay deals with the problem of emancipation of Women the significance of which in contemporary Arabic world can hardly be overestimated. This problem was introduced into Arabic culture by the representatives of Arabic enlightenment. The second part of XIX and beginning of XX century was the period of modernization of Islam. Islamic reformators turned to be the innovators, who strongly supported the idea of modernizing the Islamic restrictions related to women,s rights.

Gamal Ed Dine El Afghani was one the notable pioneers and leaders of this modernization, he played a prominent role in propagating progressive ideas of many important issues. Another leading thinker was Rifa'a El Tahtawi who insisted on the need to educate woman and liberate them from the numerous injustices to which they were exposed. His book A Guide to the Education of Girls and Boys published in 1872 is considered milestone as far as the cause of women is concerned.

Among the well-known leaders in this intellectual and cultural awakening were Mohammad Abdou, Rashed Ali Rida, Kassim Amen.

Arab women participated right from the beginning in this struggle for the emancipation of women. Among these pioneer was Malak Hefni Nassef.

She wielded her powerful pen in defense of women's rights. She was a consistent fighter for the right of girls to education.

**Леила Квелидзе**

### **Модернизм в исламе и проблемы женской эманципации**

#### **Резюме**

Мусульманское реформаторское движение началось в арабских странах с конца XIX века и совпало с периодом культурного возрождения («Нахда»). Это – эпоха культурного восшествия арабских стран, когда формируется новая идеология.

Реформация была вызвана развитием новых общественных отношений в странах Ближнего Востока. В это время остро встал вопрос взаимосовмещения наследия Ислама с европейской культурой. С одной стороны, нужно было сохранить арабский язык и культурные традиции, но, с другой стороны – идти в ногу с культурно-политической жизнью и научно-техническим прогрессом Запада. В связи с этим в мусульманском мире остро встал вопрос женской эманципации. Идея модернизации канонов Корана и Шариата, связанная с вопросом эманципации женщин, впервые была выдвинута мусульманскими реформаторами конца XIX – начала XXвв.

Взгляды мусульманских идеологов на женский вопрос не были однообразными. Их можно поделить на т.н. традиционалистские и модернистские.

До начала процесса мусульманской реформации за защиту прав женщин в арабском мире возвысил голос известный ученый и общественный деятель Рифа'a At-Tahawi (1801-1873).

At-Tahawi требовал переоценки связанных с женским вопросом исламских догм. Несмотря на то, что он никогда не противоречил ортодоксальному Исламу, его можно считать предшественником мусульманского модернизма.

Один из самых наглядных представителей мусульманской реформации Джамаль ад-Дин аль-Афгани (1839-1897), рассматривая вопросы свободы личности и равенства женщины с мужчиной, считал, что образованность – это та сила, которая направляет общество к прогрессу. Вся его деятельность была посвящена попытке совмещения норм Ислама с современными требованиями.

Учитчиком и последователем аль-Афгани считается Мухаммед Абдо (1849-1905). Исследователи признают его практическим реализатором идей Аль-Афгани.

Рядом с мусульманскими реформистами следует упомянуть Касима Амина (1863-1908) – египетского писателя, автора книг «Освобождение женщин» и «Новая женщина».

Впервые в истории арабской общественной мысли Касим Амин определил женский вопрос как научную и социальную проблему.

Деятельность мусульманских реформаторов XIX-начала XX в. подготовила современную модернизацию ислама в отношении положения женщины и формирование прогрессивной арабской общественной мысли создали условия для развития впоследствии женского движения.

ლიტერატურათმცოდნეობა    Литературоведение    Linguistic

ნაზი ხელაია, თამარ გუმბარიძე

ქუთაისი საქართველო

თანამეცნივე ქართული მწერლობის პრიბლემები

XXI საუკუნე საოცრებათა ეპოქაა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა განავრცო და გა-  
აფართოვა შემოქმედი ადამიანის წარმოსახვის უნარი, თანაც შემოქმედებითი ფსიქოლოგიის  
ფართო სპექტრმა, თვით თავის სულსა და გონებაში, თავის სისხლში შინაგანი ხედვის უნა-  
რიც განვითარა შემოქმედს. ფრონდისა და მისი სკოლის მეცნიერთა დრმა შინაგანმა ხედ-  
ვამ შემოქმედის თვალსაწიერი ახალი სპექტრით წარმოგვიდგინა და კარლ გუსტავ იუნგის  
კოლექტიური არქეტიკების თეორიამ დაგვარწმუნა, რომ ზოგადად ადამიანი და მითუმეტეს  
შემოქმედი ამ არქეტიკებიდან ანუ გარდასული საუკუნეების ცოდნიდან და მეხსიერებიდანაც  
ახერხებს ხელოვნებისათვის დირებულის შექმნას.

ჯონ რონ ჰაბარდის დიანეტიკამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ადამიანის სისხლის  
მეხსიერება თაობებსა და საუკუნეებს მოიცავს, აღბათ ამიტომაცაა, რომ უდიდესი ხელოვა-  
ნნი, როგორც გოვთე ბაირონზე ბრძანებდა, ისე ბუნებრივად ქმნიან გენიალურ ნაწარმოებებს,  
როგორც დედები შობენ უშვენიერეს ბავშვებს.

მთელი ის ახალი ლიტერატურული მიმართულებანი, რაც თანამედროვე მსოფლიოს ლიტე-  
რატურული აზროვნების სპექტრს ქმნის, ძირითადად ამ სისხლის მეხსიერებისა და თუნდაც  
კოლექტიური არქეტიკების რეალობას აღიარებს და ექრდნობა, მხედველობაში გვაქვს მითო-  
ლოგიური კრიტიკა, რომელიც ადამიანში და ზოგადად ცოცხალ არსებაში, მის სისხლისმიერ  
მეხსიერებაში დავანებულ არქეტიკებს საინტერესოდ წარმოგვიდგენს.

„წიგნები „დმერთის ნიდბები; პრიმიტიული მითოლოგია“ ჯოზეფ ქემფბელი საუბრობს  
ფრინველთა ერთ საინტერესო ფენომენზე. ახალგამოჩეკილი წიწილები მაშინვე საფარს ეძე-  
ბენ, როცა ქორი გადაუფრენს მათ. სხვა ფრინველებზე მსგავსი რეაქცია არა აქვთ. წიწილებს  
ქორის ხის გამოსახულებაც კი აფრთხოებს. „საიდან უნდა მომდინარეობდეს წიწილების ში-  
ში ამ გამოსახულების დანახვისთანავე?“ - კითხულობს ქემფბელი. „ცოცხალი თოლიები  
და იხვები, ყანები და მტრედები მათ სრულებით არ აღელვებთ, მგარამ ქორის ხელოვნური  
გამოსახულებაც კი მათი მგრძნობელობის უდრმეს სიმებსაც კი არხევს“.

ქემფბელის იგავური ანალოგია ლიტერატურისადმი მითოლოგიური მიდგომის დასახასი-  
აობდად გამოდგებოდა. მითოლოგიური კრიტიკა ცდილობს გამოავლინოს ამა თუ იმ ლი-  
ტერატურულ ტექსტში არსებული დაფარული ელემენტი. მითოლოგიურ კრიტიკას სურს  
ზედაპირზე ამოიტანოს, ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები როგორ წარმოსახვს სი-  
ნამდვილის ამა თუ იმ მხარეს, რომელზეც მკითხველი ყოველთვის ერთნაირად რეაგირებს.  
მეტაფორულად რომ ვთქვათ, მითოლოგიური კრიტიკის წარმომადგენელი დრმად სწავლობს

კლასიკური ლიტერატურის „ქორის ხის გამოსახულებებს", ან არქეტიპებს, არქეტიპულ მოდე-ლებს, რომლებიც მწერალს თავის ტექსტებში შემოჰყავს".<sup>1</sup>

მითოლოგიური კრიტიკისათვის დამახასიათებელი მრავალი მოდელი და პრინციპი თანა-მედროვე მსოფლიო ლიტერატურის წარმმართველია და ქართული მწერლობისათვისაც არ არის უცხო და გამოუყენებელი, ქართველ პროზაიკოსთაგან თთარ ჭილაძე და პოეზიაში შო-თა ნიშნიანიძე, საინტერესოდ და მრავალფეროვნად წარმოგვიდგენენ მითოლოგიურ საექტრს და გარეწმუნებენ, რომ ქართული შემოქმედებითი ფსიქოლოგია გაჯერებულია მითოლოგიუ-რი ძირებით. როგორც საქართველოს ისტორია და ზოგადად ქართული კულტურა ეყრდნობა მითოლოგიურ ძირებს, ასევე ქართული მწერლობა და ზოგადად ხელოვნება მითოლოგიური მოდელების სიდრმითაა ნასაზრდოები და მრავალი ქართველი მწერლისა და ხელოვანის შემოქმედებითი გზის განმსაზღვრელიც გახდა იგი.

მიუხედავად იმისა, ქართული ლიტერატურული სივრცე, განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იანი წლებიდან შემოსაზღვრული, გახდა კომუნისტური მსოფლმხედველობით გაჯერებული, ევროპულ ლიტერატურასა და კულტურას ნაზიარები ქართველი მწერლები და შემოქმედები, მაინც ვერ ეტეროდნენ იმ ჩარჩოებში, რომლებიც სოციალისტურმა რეალიზმა დაუწესა მათ. თავიანთი ფართო აზროვნებითა და მსოფლმხედველობით ქართველ მკითხველსაც აზია-რებდნენ იმ სიახლეებსა და სიღრმეებს, რამაც იმდროინდელი ევროპული ხელოვნება მოიცვა. ამ მხრივ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს გ. რობაქიძის, კ. გამსახურდიასა და სხვათა დვაწლი, რომელთა შემოქმედებამაც ქართული ლიტერატურა ვიწრო, სოციალისტური რეა-ლიზმის სქემიდან გამოიყვანა და ევროპულ ლიტერატურათმცვდნებას აზიარა და ევრო-პული მკითხველისათვისაც საინტერესო და ღირებული გახდა.

როდესაც კ. გამსახურდიასა და გრ. რობაქიძის შემოქმედებას ეცნობი, რწმუნდები, რომ ისინი ვიწრო, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან და სქემებიდან ყოველთვის ახერხებდნენ ამოსვლას და თავად მკითხველსაც აცნობდნენ ხელოვნების იმ მარადიულ პრობლემებსა და აუცილებლობას, რაც თავისთვის ქართულ ლიტერატურულ ასპექტს განსაზღვრავდა.

მაშინ როდესაც ზიარებული არ ვიყავით ფორმალისტურ თეორიას, შკლოვსკის სახელს სწორედ კ. გამსახურდიას ლიტერატურული წერილებით გავეცანით, მართალია უარყოფით კონტექსტში, მაგრამ დღეს ვყიქრობთ, რომ თუნდაც შკლოვსკის მიერ ყურადღების გამახვი-ლება კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე და მისდამი შენიშვნები მიგვანიშნებს, რომ კ. გამ-სახურდიას შემოქმედება რუსი ფორმალისტების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. მა-ვანთა და მავანთა მიერ ქება-დიდებას (თუმცა კ. გამსახურდია არც თანამემამულეობა არ იყო მოკლებული უმართებულო განქიქებასა და კრიტიკას) ფორმალისტთა მიერ შენიშვნები და აღიარება აღემატებოდა.

რადგანაც შკლოვსკის სახელი მოგვაგონდა და ზოგადად რუსი ფორმალისტებიც გა-ვისევნეთ, შეუძლებელია არ ვთქვათ ისიც, რომ სწორედ იმ სოციალისტური საზოგადოების სქემაზური მსოფლმხედველობისა და მოაზროვნეთა შევიწროების ქამს მოახერხეს რუსმა ფორმალისტებმა მსოფლიო ლიტერატურული აზროვნებისათვის გენესიმცემი თეორიების შექმნა და ჩამოყალიბება, სწორედ დევნისა და დაპირისპირების პირობებში განავითარეს მათ მსოფლიოში უველაზე პროგრესული ლიტერატურული აზროვნების სისტემა.

სწორედ მათ, კერძოდ შკლოვსკიმ შეიმუშავა ეწ. გაუცნაურების ოეორია, რომელსაც ლი-ტერატურული სივრცე და ზოგადად საზოგადოებრვი აზრი უნდა გამოეყვანა ეწ. ავტომატი-ზებული ყოფილა.

ჭეშმარიტი ხელოვანი სწორედ იმ მადლით შეიცნობა ასჯერ და ათითასჯერ სხვათაგან ასახულს, ისეთ ასპექტში წარმოგვიდგენს, თითქოს მან პირველად დაინახა, პირველად იგრძნო ყოველივე. ნამდვილი შემოქმედი იმაზე კი არ ფიქრობს, სხვამ რა და როგორი რაგურსით დაინახა სამყარო. არამედ შეგვაგრძნობინებს თავად როგორ ხედავს, თავად როგორ გრძნობს ყოველივეს,

<sup>1</sup> გ. ლომიძე, მითოლოგიური კრიტიკა, ლიტერატურის თეორია 2008 წ. გვ. 210

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეს მდიდარი მემკვიდრეობა არ მოეპოვება. მან არ-სებითად უნდა შეისწავლოს ევროპული ლიტერატურათმცოდნეობა, გაერკვეს მის სიღრმესა და სივრცეში და ამის შემდგომ იფიქროს ქართული მწერლობის ინდივიდუალურ გზაზე.

როგორც მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში, საქართველოშიც შეიძლება თანამედროვეობის მხატვრულ ტენდენციად პოსტმოდერნიზმი ჩავთვალოთ, რა თქმა უნდა ამ იზმებით მდიდარ გარემოცვაში მხოლოდ პოსტმოდერნიზმზე აქცენტირებამ შეიძლება მთლიანი ლიტერატურული სტრუქტურის წვდომა შეუძლებელი გახადოს, მაგრამ ყველაზე ფართოპლანიანი და ტევადი დდევანედლი საქართველოსთვის უპირატესდ პოსტმოდერნიზმია თავისი სხვადასხვა იზმური შენაკადებით.

საერთოდ, როგორც ლიტერატურისმცოდნეთა დაპვირვებებიდან ჩანს, მოდერნიზმი ერთგვარი ნიადაგია პოსტმოდერნიზმის აღმოცენებისათვის, თუმცა პოსტმოდერნიზმის პირობებში აქტიურად გამოიკვეთება დროის პრობლემა „პოსტმოდერნიზმს, როგორც კულტურულ და სოციალურ მოვლენას, დიდად განსაზღვრავს მისი დრო. შეიძლება ითქას, რომ დრო ამ შემოხვევაში არ ნიშნავს მხოლოდ ისტორიულ-ქრონოლოგიურ კონტინუმს (უწყვეტობას), წელთა თანმიმდევრობას, არამედ სულიერ და მსოფლმხედველობრივ ეპოქას. ამასთანავე, პოსტმოდერნიზმის დრო უშეალოდ შეიძლება განვიხილოთ როგორც მოდერნიზმის დროის შედეგი. მოდერნიზმზე მსჯელობისას განმსაზღვრელი ხდება ისეთი კატეგორია, როგორიც არის სულიერი დრო, რადგან ეს პროცესები დასაგლერი სამყაროს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში გარკვეული ეტაპის დადგომის შედეგად დაიწყო. პოსტმოდერნიზმზე მსჯელობისას სულიერი დროის კატეგორიას შეიძლება ჩაენაცვლოს სოციუმის დრო, რადგან პოსტმოდერნიზმი უმეტესად საზოგადოების განვითარების ეტაპთან მიმართებაში განიხილება. გარდა ამისა დროის გარკვეულ საზომად შეიძლება მივიჩნიოთ მხატვრულ-გამომსახველობითი ეტაპები და შესაბამისად ვიმსჯელოთ რეპრეზენტაციის პერიოდებზე".<sup>2</sup>

XX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ზოგადად როგორც პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ სფეროში, ისე ლიტერატურაშიც შეჭირვების, რდვევის, განახლებისა და გარდასახვის პერიოდი იყო. ამ პერიოდის ქართველ მწერალთაგან ძირითადად სამ სახეზე მიუთითებუნ, ძველი - რომელთა აზროვნება მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის კანონზომიერებებითაა გაჯერებული და ამ გზიდან გადახვევა შეუძლებლად მიაჩნდათ. საშუალონი, რომელთა შემოქმედებითი ბიოგრაფია სოციალიზმის ეპოქიდან დაიწყო, და თავისორავად ეზიარება ამ ეპოქალურ იდეოლოგიას და ახალი თაობის, რომელიც როგორც მიუთითებუნ „ექსტრემალურ ათწლეულში“ მოვიდა და თავიანთი შემოქმედებით თან მოიტანა ახალი დროის მსოფლმხედველობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ახალ რელსებზე გადასვლაა ყველაზე ურთულესი პროცესი, უკვე დამკვიდრებულ-გაზომილ-აწონილ სენტენციებსა და პრინციპებს ყველა, თუნდაც საშუალო ინტელექტის მოაზროვნე ადვილად უფლება, ალდოს უდებს დროის მოთხოვნას, ისე რომ არავითარი სიახლე არ შემოაქვს ლიტერატურულ აზროვნებაში, მაგრამ როდესაც საქმე ახალ ნიადაგს, ახალ მსოფლმხედველობას, ახალი მხატვრული ასახვის პროცესს ეხება, აქ სათქმელის გარკვეული მოზომვაა საჭირო, თუნდაც უკვე დამკვიდრებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე აზრის გამოთქმაც საფრთხილოა, თვით ამ ახალ ლიტერატურულ მეოთხოთა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ აუთვისებლობის გამო და ალბათ სწორედ ამიტომაა, რომ ამ ზოგადი მოსაზრებებისას და ახალი ლიტერატურული პროცესებისა და ტერმინოლოგიის განმარტების გარდა, იშვიათობაა კონკრეტულ ავტორთა და თანამედროვე ქართული ლიტერატურული მიმართულებების ამსახველი წერილები და ნარკვევები. არადა აქა-იქა, უმეტესად სამეცნიერო ლიტერატურულ ნაშრომებში, უმეტესწილად დისერტაციებში მაინც აისახება მიმდინარე დროის კონკრეტულ პრობლემათა გაშუქება, გამოიკვეთება სახელებიც, რომელთა შემოქმედება უკვე კარგახანია ეპოქის რელსებზეა გადასული და ახალ სიტყვას ამბობს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში.

„საჭიროა, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ოთარ ჩხეიძის მიერ ნახსენებ ტერმინს“ ახალგაზ-

2 ბ. წითელია „პოსტმოდერნიზმი“, „ლიტერატურული თეორია“, 2008 წ. გვ. 260

რდული პროზა",<sup>3</sup> ცნობილია, რომ ეს ტერმინი სოციალისტური ლიტერატურული კრიტიკის მიერაა დამკიდრებული და მოძველებულთან ერთად ერთგვარი იდეოლოგიური კონიუნქტურის დასაც ატარებს... შეგვეძლო აღნიშნული ცნებისათვის ახლებურად შეგვეხდა და ტერმინით „ახალგაზრდული პროზა", ჩვენც განვესაზღვრა თაობა, რომელიც სწორედ ამ პერიოდში იდგამდა ფეხს და შემოდიოდა „ოხუომეტსაუკუნოვან მოლიანობაში", მაგრამ ისინი დამკიდრდნენ „პოსტსაბჭოთა თაობის სახელწოდებით. დათო ბარბაქაძე, ირინე ბაქანიძე, ზაზა ბურჯულაძე, ლაშა ბუდაძე, რეზო თაბუკაშვილი, ზაზა თვარაძე, შოთა იათაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ზურა მესხი, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ზურაბ ქარუმიძე, არჩილ ქიქოძე, ეკა დადანიძე, ბესო ხვედელიძე, ირაკლი ჯავახაძე - აი, იმ ავტორთა არასრული სია, რომელმაც შექმნეს XX საუკუნის 90-იანი წლების ახალი პროზა და განსაზღვრეს კიდეც ამ პროზის ძირითადი ტენდენციებიც საკუთარი საოქმედის ფონზე.

აქ ჩამოთვლილ ავტორთაგან უმრავლესობის სახელი მართლაც გაითავისა ქართველმა მკიონეველმა და კიდევ მოიძებნებიან ისეთებიც, რომელთაც უკვე საკუთარი სახე და სახელი მოიტანეს ქართულ მწერლობაში, თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეს თაობა ისევ და ისევ ძიების პროცესშია. შეიძლება ვთქვათ, რომ ინდივიდუალური ხმის მოსინჯვის პორობებში, ზოგჯერ ისეთი საინტერესო და დამაჯერებელნი ხდებიან, გრძნობ, რომ ქართული ლიტერატურული შემეცნების არეალი მათ ნამდვილად გააფართოვეს და ერთგვარი „ავტომატიზებული" ყოფიდან მრაოლაც გამოიყვანეს ქართული მწერლობას...

ამ ახალთაობელთა სახელები თანამედროვე უურცლებზე მრავალ-გაზეთების ფურცლებზე მრავალგზის გვხვდება, მაგრამ ბევრჯერ გვიფიქრია „მრავალნი არიან წოდებულ და ჩინებულ მცირებ", ამათგან ჩინებულთა სქელტანიან წიგნებსაც ვზიარებივართ და დავრწმუნდით, რომ ავტომატიზებული ყოფიდან ქართული მწერლობა უკვე კარგახანია გამოსულია და დღესდღეობით ქართული ლიტერატურისმცოდნების მოვალეობაა იმ სიახლის მსარდამხარ იაროს და თავისი საოქმედი ამ განახლებად აზრსა და ფორმას მოარგოს.

90-იანი წლების ქართული პროზა და ზოგადად მწერლობა სხვადასხვაგვარად აღიქმება ლიტერატურაომცოდნებთა და კულტუროლოგთაგან, მიუხედავად სიახლისკენ სწრაფვისა და ორიგინალობისა, ამ პერიოდის მწერლობა დაუპირისპირდა ძველს, უკვე კლასიკოსობამდე აყვანილი მწერლების აზროვნებასა და მსოფლმხედველობას, უპირველესად კი მხატვრული ასახვისა და უფრო ზუსტად მხატვრული გამოსახვის ოქრიასა და კანონზომიერებებს. ლიტერატურისმცოდნე და კულტურულოგი ს. სიგუა მიუთითებს რომ „90-იანი წლებიდან საქართველოში მასკულტურა ანტიკულტურად იქცა. გაბატონდა ნატურალიზმი, პორნოგრაფია და ბილწიტყვაობა, რითაც დაუპირისპირდა როგორც კლასიკას, ისე მოდერნიზმს. შედეგად პუბლიკა დაიკარგა როგორც მასაში, ისე ელიტაში.

ალბათ, საქართველოშიც მოხდება განყოფა ელიტარულ და მასობრივ კულტურებს შორის, ექნებათ თავიანთი ფორმები. ჯერჯერობით ხდება მასობრივის ვულგარიზება და ელიტარულის და პროფესიონალურის უარყოფა".<sup>4</sup>

წინამდებარე ციტირებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ ნაადრევია ყველაფერზე საკუთარი სახელის დარქმევა, ჯერ კიდევ შეუძლებელია მიმდინარე ლიტერატრული პროცესის სრულყოფილად შეფასება და არც ამ პროცესის ფორმირებაა ბოლომდე მისული. ეს პროცესი განვითარებადია და საბოლოო და სრულქმნილი სახის მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი ცვლილებებითა და ძიებით წარმოგვიდგება იგი, მაგრამ რაც ყველაზე საინტერესოა, თაობა მოვიდა და ამბობს ახალ სიტყვას.

კულგარიზმმა, სკრაბეზებმა, ეპატაურმა შემართებამ, რა თქმა უნდა, ლიტერატურასა და მწერლობას თავისი ფუნქცია დაუკარგა, მაგრამ ამ ორომტრიალშიც გამოიკვეთა რამდენიმე სახელი,. რომელთაც არც ვულგარიზმი, არც სკრაბეზი და არც ეპატაურება აკლიათ, მაგრამ თაობის საოქმედი პროფესიონალიზმამდეც აიყვანეს და მკიონეველიც გაიჩინეს.

3. ა. იმანიშვილი, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები, დისტრიბუცია, გვ. 50

4. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძლები ტ. 11. 2012 წ. გვ. 162

თანამედროვე საქართველო და ქართული ლიტერატურა, ზოგჯერ მოდის თანაფარდობაში, ეპოქის სპეციფიკური ნიშნები მეტად მკვეთრად შეიგრძნობა მაგალითად, აგა მორჩილაძის შემოქმედებაში. დროის ხედვა და მისი მხატვრული სიტყვის კალეიდოსკოპში მოქცევა აკა მორჩილაძის შემოქმედებითი წარმატების უპირველესი საწინაღოია და იმდენად ძლიერია მწერალში დროის შეცნობის ფაქტორი, ზოგჯერ გადიზიანებულიც რჩები მკითხველი იმ სუპერრეალობით, რომელიც ასე მკვეთრი და ზოგჯერ საშინელებათა ციკლის მოცველია. ის მახასიათებლები, რაც XX საუკუნის ქართული მწერლობის პერსონაჟთა სახეს განსაზღვრავდა, მოლიანად დავიწყებული ან უარყოფილია ახალი ხედვა და ახალი წეს-ჩვეულებანი, ახალი მიზანდასახულობანი განსაზღვრავს მწერლის პერსონაჟთა სახის სპეციფიკას. რა თქმა უნდა ეს მხოლოდ აკა მორჩილაძისათვის არ არის ნიშანდობლივი, მთელი თანამედროვე ქართული მწერლობის ახალთაობელების სულისკვეთება და მსოფლმხედველობა მეტ-ნაკლებად ახალ პოსტმოდერნისტულ სივრცეში გადადის, ახალ გამომსახველობით სისტემას ქმნის და გვარწმუნებს, რომ ის შინაგანი ძალა და პოტენცია, რაც ეპოქამ მოიტანა ზოგადად გზასა და მიმართულებას იპოვის და თანამედროვეობაშიც გამორჩეულ, შოამბეჭდავ და საინტერესო ლიტერატურას შექმნის. და რაც მთავარია მსოფლიო ლიტერატურულ სივცრეში კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს.

#### **ლიტერატურა:**

1. ბ. ლომიძე, მითოლოგიური კრიტიკა, ლიტერატურის თეორია, 2008 წ. გვ. 210
2. ბ. წიფურია, „პოსტმოდერნიზმი“ ლიტერატურის თეორია 2008 წ. გვ. 260
3. ა. იმნაიშვილი, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული პროზის ტენდენციები, დისერტაცია გვ. 50
4. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, გ. II 2012 წ. გვ. 162

**Nazi Khelaia, Tamar Gumberidze**

#### **Issues Regarding PThe Contemporary Georgian Script Resume**

XXI century is epoch of wonders. Scientific-technical progress provoked to expand human imagination and a wide spectrum of psychology developed inner perception of outlooks. Various literary schools and approaches providing broad horizons paved its way for development from late XX century up to early XXI century.

Opportunities of accessing world literature as well as new political environment showed good results upon Georgian literature knowledge ,especially Georgian scripts.

The following challenges which were clearly reflected in literary works of new age writers can be reckoned as leading issues of thinking. New perspective, customs, drives can specify creative writers of new age which turn into postmodernism sphere and establish new expressive system ensuring that inner strength and potentio that epoch brought will squirm its way to assert new tendencies for maintaining impressive and outstanding literary work which will gain foothold in world literature.

**Нази Хелая, Тамар Гумберидзе**

**Проблемы современной грузинской литературе**

**Резюме**

XXI век – векчудес. Научно-технический прогресс развел и видоизменил воображение творческого субъекта, вместе с тем широкий спектр творческой психологии углубил в творце внутренний взгляд.

Разные литературные школы и направления, создавшие многосторонний и разнообразный спектр литературной жизни, получили в грузинской действительности отражение в основном в конце XX в начале XXI века.

Новая политическая обстановка сделала доступной восприятие зарубежной литературы во всей ее полноте и получила своеобразное отражение в грузинском литературоведении и особенно в грузинской литературе.

В творчестве писателей нового поколения нашли своеобразное отражение проблемы, которые являются актуальными в деле формирования мышления нового поколения.

Новый взгляд и новые обычаи, новые целеустремления определяют творческую специфику писателей нового поколения. Этот процесс получил отражение в современном постмодернистическом пространстве, создал соответствующую систему отражения и сформировал утверждение, согласно которому та внутренняя сила и потенция, которую принесла эпоха, найдет свой путь и создаст особую интересную литературу, которая произведет неизгладимое впечатление на читателя, и, что самое главное, отведет ей достойное место в мировой литературе.

## მუსტაფა ქემალ ათათურქი (ბიოგრაფიული მიმოხილვა)

XX-ე საუკუნის დასაწყისში თურქეთის მდგომარეობა საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით საქმაოდ აქტიურ საბრძოლო ფაზაში შედის. მსოფლიო ომის წინ, თურქეთმა ორ ომში მოახწრო დამარცხება, იგადიასთან 1911-12წწ. და ბალკანეთის 1912-13 წლების ომში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორჯერვე თურქეთის მოწინააღმდეგები ბევრად უფრო სუსტები აღმოჩნდნენ, ვიდრე ის ქვეუნდები, რომლებსაც თურქეთი 1912-15წწ. ერმებოდა. ორ ომში ზედიზედ ორი დამარცხება და ისიც სუსტ მოწინააღმდეგებსთან სავსებით გასაგებად ამტკიცებდა იმ აზრს, რომ მომავალი ომი ევროპის სახელმწიფოსთან, არ პქონდა მნიშვნელობა რომელ დაჯგუფებასთანაც არ უნდა ეფუძილოთ ანტანტასთან თუ ცენტრალურ სახელმწიფოსთან, მისთვის კატასტროფული იქნებოდა. ამ მძიმე და საპასუხისმგებლო ვითარებაში, როდესაც ქვეყანას გონიერი მმართველი ესაჭიროებოდა, უმნიშვნელოვანებს პოლიტიკურ დიპლომატიას წარმოადგენს მუსტაფა ქემალ ათათურქის მოღვაწეობა [2, 213].

ათათურქის დაბადების თარიღი და ადგილი თურქეთის სელანიკის სამოქალაქო ჩანაწერების მიხედვით მითითებულია, როგორც 1296 წელს ნებარა. მაგრამ აქ მითითებული არ არის ეს თარიღი რომელი კალენდრის მიხედვით არის განსაზღვრული, რუმის თუ ჰიჯრის. ამ გაუგებრობის გამო, 1927 წელს სამსუნში ჩასვლის დროს წარმოთქმულ სიტყვაში, ათათურქმა თავის დაბადების თარიღად განსაზღვრა 1919 წლის 19 მაისი-----თურქეთის დამოუკიდებლობის დღე. რეალურად მისი დაბადების წელი არ იყო 1919, მაგრამ ეს თარიღი გულისხმობს დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც მან შეარჩია სამოქალაქო კალენდრის მიხედვით.

დედისგან მან იცოდა რომ დაიბადა გაზაფხულში. თუმცა უმცროსი დისგან იცოდა რომ იგი დაიბადა დამით ჭექაშეხილის დროს. ფაიკ რესიტ უნატმა განსხვავებული მოსაზრება მიიღო ზუბეიდ ჰანიმისგან (სალონიკელი მეზობელი). ზოგი აღიარებდა რომ ათათურქი დაიბადა გაზაფხულზე, ზოგი კი ზამთარში ან იანვარში ან თებერვალში. 19 მაისი უფრო მისაღებ თარიღად იქნა მიჩნეული ისტორიკოს-რესიტ საფეხ ათათინების მიერ. 19 მაისი იყო სიმბოლურად თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყებით თარიღადაც იქნა მიჩნეული. თაბანელმა ათათურქია დაბადების თარიღი ამ თარიღს დაუკავშირა, ათათურქისადმი პატივისცემის ნიშანად. მოსაზრებაც კი არ სებობდა დაეარსებინათ "გაზის" დღე. სხვა მოსაზრების მიხედვით, მასწავლებელმა ათათურქეს როდესაც პკითხა რა იყო მისი დაბადების თარიღი, მან უპასუხა რომ არ იცოდა და ამის შემდეგ მასწავლებელმა შესთავაზა 19 მაისი. ასევე არ სებობს ორი მოსაზრება, რომ "გრეგორიანული 19 მაისი, 1881" იგივეა რაც რუმის კალენდრის მიხედვით 1297 წლის 1 მარტი, რომელიც ეწინააღმდეგება რუმის 1296 წლის ჩანაწერებს. "რუმის 1296 წლის 19 მაისი" შეესატყვისება გრეგორიანისებულ 1880 წელს.

ათათურქის ბოლო ოფიციალური დოკუმენტში "ნუფუს სუზდანი" არა შეიცავს თარიღს, მარტო წელი 1881 არის დაფიქსირებული. ეს დოკუმენტი დაცულია ათათურქის მუზეუმში –(სისლი) თურქეთის რესპუბლიკამ მის ოფიციალურ დაბადების დღედ 1881 წლის 19 მაისი აღიარა.

ზუბეიდე პანიმის პირველი შვილი იყო ფატმა, მეორე ომარი და შემდეგ აქმეტი დაიბადა. სამივე ბავშვობაში დაიღუპნენ. მუსტაფა იყო მეოთხე შვილი. მაკბულე დაიბადა მუსტაფას შემდეგ 1885 წელს. მათი და ნასიე დაიბადა 1889 წელს, მაგრამ ტუბერკულიოზით დაიღუპა ბავშვობაში.

რაგიპ ბექს ოთხი შვილი ყავდა პირველი ქორწილებიდან. პირველის და მეოთხე შვილების სახელი უცნობია, მეორე და მესამე შვილები იყვნენ: სურეია და პასანი. სურეია 1 მსოფლიო ომის დროს დაიღუპა. რაგიპ ბექის პყავდა მმა, პოლკოვნიკი პუსამეტინი, რომელსაც ვასფიე პანიმთან პყავდა ქალიშვილი-ფიკრი (1897-1924). ფიკრი ლაფიტზე გათხოვებამდე იყო მუსტაფას საყვარელი. 9 დედმამიშვილიდან 5-ს პყავდა ერთი და იგივე მშობლები და გადარჩა მისი ბიოლოგიური და მაკბულე (1885-1956) [6].

ათათ თურქელი ტრადიციის მიხედვით, სახელებს გრამატიკული ფუნქციის გარდა ააქვთ დამატებით საპატივცემულო და სამახსოვრო დირექტულებაც. სახელების თარგმნა თურქელიდან სხვა ენებზე შესაძლებელია, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ენობრივი განსხვავებები სიტყვებს შორის.

ათათურქს დაბადებიდან ეწოდა სახელი მუსტაფა (რჩეული). იმ დროისათვის ეს სახელი იყო ისლამთა წინასწარმეტყველის---მუჰამედის ეპითეტი. ათათურქი სწავლობდა სელანიკის სამხედრო სკოლაში, სადაც მისმა მათემატიკის მასწავლებელმა დამატებით უწოდა ქემალი (სრულყოფილება) მისი აკადემიური მიღწევების გამო. ამიტომაც იგი ცნობილია როგორც მუსტაფა ქემალის სახელით.

1916 წლის 1 აპრილს მას მიენიჭა ბრიგადის გენერლის წოდება. ოტომას სამხედრო წოდებებს შორის ბრიგადის გენერალზე მადალი წოდება იყო ფაშა. ამიტომაც იგი ცნობილი გახდა როგორც "ქემალ ფაშა". სულთან ალის კაპიტულაციის, ასევე ინგლისის მიერ ისტამბულის ოკუპაციამ გამო ქემალ ფაშა 1919 წლის 8 ივნისს გადადგა თავის თანამდებობიდან. ის სტამბულიდან გაიცა ზღვით, ინგლისელ პატრულს გაექცა და ჩავიდა ქალაქ სამსუნის---ანატოლიანის პორტში, რათა წინააღმდეგობა გაეწია ალიედის მმართველობისთვის. მისი გადადგომის შემდეგ ოტომას მთავრობამ გამოსცა ბრძანება მისი სიკვდილით დასჯის შესახებ.

1921 წლის 19 სექტემბერს, თურქელ ეროვნულმა ანსამბლეამ მას უწოდა "გაზი" (ბრძოლის ვეტერანი/დაჭრილი ვეტერანი) ამავე დროს მიანიჭა მარშალის წოდება, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მიღწევების გამო. ამ პერიოდიდან იგი მოიხსენიება როგორც "გაზი მუსტაფა ქემელი". 1934 წლის 21 ივნისს თურქეთის ეროვნულმა ასამბლეამ გადაწვიტა მისოვის მიენიჭა მექავიდრეობითი გვარი. 1934 წლის 24 ნოემბერს იგი "ათათურქის" გვარით იქნა დარეგისტრირებული, რაც უნიკალურს ნიშნავს. ამიტომაც ეს გვარი მხელოდ გაზი მუსტაფა ათათურქთან მოიხსენიება.

გვარი - ათათურქი თრი ნაწილისაგან შედგება: ათა და თურქი. ათა ნიშნავს მამას ან წინაპარს, ხოლო თურქი კი თურქ ხალხს. ამგვარად, ათათურქი ნიშნავს "თურქი ხალხის მამას" ან "თურქების წინაპარს".

ათათურქის წინაპარები, როგორც დედის ისე მამის მხრიდან, რემელიაში ანატოლიიდან გადასახლებული თურქები იყვნენ. მამა ალი-რიზა ეფუნდი რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, უფროსი ლეიტენანტის ჩინით წვრილ მოხელედ მსახურობდა. იგი ერთხანს ჯარშიც იყო ჩაწერილი მოხალისედ. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ხელმოკლეობის გამო ვაჭრობას მიპყო ხელი, მაგრამ მალე საქმე ცუდად წაუვიდა, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო იგი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. დედა ზუბეიდე პანიმი, სალონიკის შემოგარენიდან იყო, წერა-კიოთხვა იცოდა, მაგრამ მეუღლისაგან განსხვავებით კონსერვატორული შეხედულების მქონე ტრადიციების მიმდევარი ქალი იყო. ალი-რიზა ეფენდისა და ზუბეიდე პანიმის ხუთი შვილი შეეძინათ, რომელთაგან მხელოდ ორი - მუსტაფა და მაქბულე - შერჩათ. მუსტაფა რომ დაიბადა, ადათის თანახმად, ალი რიზა ეფენდიმ მას ბავშობაში გარდაცვლილი მმის სახელი უჩურჩულა, რათა ბავშვი ცოცხალი დარჩენილიყო.

არაბი ძიძა მუსტაფა რუმელიის ხალხურ სიმღერებს უმჯერტოდა, რომლებიც ბიზანტიური, სლავური და თურქული მელოდიების ნარევს წარმოიადგენდა. და მას მოელი სიცოცხლის მანძილზე ჩაესმოდა ყურში.

ზუბეიდე პანიმი ტრადიციების მიმდევარი, მორწმუნე ადამიანი გახლდათ. მალიან ამაყობდა იმით, რომ მისა და მისი მეუღლის წინაპარებს შორის არაერთი პაჯი ერია (პაჯი არის თირწმუნე,

რომელსაც მექა აქვს მოვლილი). დედას მიაჩნდა, რომ მუსტაფაც მათ კვალს უნდა გაჰყოლოდა და პაფიზი ან პოჯა გამხდარიყო. ამიტომ უბნის სკილაშიუნდა ესწავლა და სხვა მართლმორწმუნე მუსლიმი ბავშვები მსგავსად ყურანის მცნებების შესაძამისი განათლება მიეღო (7, 9-10).

მამა თითქმის არ ერევდა ბავშვის აღზრდის საქმეში და ვაჭრობით იყო დაკავებული. ოჯახის ნამდვილი უფროსი დედა იყო. სახის ნაკვებით, ცისფერი თვალებით, ლია ფერის კანით და თმებით მუსტაფა დედას ჰგავდა. დედას სურდა მუსტაფა რელიგიის მსახური გამხდარიყო,

ამიტომ საამისოდ ექვსი წლის ვაჟი თავდაპირველად საუბრო სკოლაში, პაფიზი მექმედის სკოლაში მიაბარეს. მაგრამ მალე იგი, მამამ სწავლის გასაგრძელებლად, სალონიკის ერთ-ერთ საუკეთესო შემრი ეფუძნდის სკოლაში გადაიყვანა, სადაც ხუთი წელი ისწავლა. შეუდლის გარდაცვალების შემდეგ ზუბეიდე პანიმი იძულებული გახდა მუსტაფა სკოლიდან გამოეყვანა, რადგან საცხოვრებლად გადავიდა მმასთან, რომელიც მოურავად მუშაობდა ერთ-ერთ მემემულესთან. მუსტაფა სკოლაში დროდადრო კერძო გაკვეთილებს იღებდა, მაგრამ ეს მას არ აკმაყოფილებდა. შემდეგ ის დედამ გააგზავნა სალონიკში, სადაც სწავლა სახელმწიფო საშუალო სკოლაში გააგრძელდა. [3,4]

სრულიად გამორჩეული გარეგნობის მქონე მუსტაფა ქცევითაც განსხვავდებოდა. ბავშვების თამაშებში თითქმის არ მონაწილეობდა, თავი ამაყად ეჭირა და უმნიშვნელო შეურაცხყოფასაც კი არავის აპატიებდა.

მუსტაფა გარეგნულ იერს ბავშობიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მოსწავლეების ტრადიციული ტანსაცმელი საშინალად არ მოსწონდა. სამაგიეროდ, სამხედრო სასწავლებლის მოწაფეებისუნიფორმას შეურით შესქერდა. შწორე ამ დროს სალონიკში ზუბეიდე პანუმი ჩამოვიდა და მუსტაფამ მას სამხედრო სასწავლებელში შესვლის უფლება სოხოვა, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო. მაგრამ მუსტაფას გადარწმუნება ადვილი საქმე არ იყო. მან თავისი სურვლი მეზობელ მაიორს გაანდო და მისი დახმარებითა და ზუბეიდე პანუმისაგან მალულად სამხედრო სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე გავიდა, დიდი წარმატებით ჩაბარა და დედა ფაქტის წინაშე დააყენა. თანაც ხერხიც იხმარა---როცა მუსტაფა დაბადებულა, მამას მისი აკვინის თავთან ხმალი ჩამოუკიდებია. მუსტაფამ დედას ეს გარემოება გაახსენა და კატეგორიულად უთხრა, მე ჯარისკაცად დავიბადე და ჯარისკაცად მოვკვდებიო.

ზუბეიდე პანუმის ყოფმანს ბოლო სიზმარმა მოუღო---მუსტაფა მინრეოზე თქროს ლანგარზე იჯდა. შვილისკენ გაქცეულ ზუბეიდეს ხმა ჩაესმა, თუ სამხედრო სამხედრო სასწავლებელში გაუშვებ, სულ ასევე სიმაოლეზე იქნება, თუ არა და ძირს დაენარცხებაო. დედამ გადაწყვიტა, რომ მის ვაჟს სამხედრო ასპარეზზე დიდი წარმატება ელოდა და შესაძამის საბუთე ხელი მოაწერა (7, 9, 11-12).

1894 წელს მიიღეს სალონიკის სამხედრო სკოლაში, სადაც განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა მაოემატიკაში. აქ ამ საგნის მასწავლებელმა შესთავაზა მეორე სახელად მიეღო „ქემალი“ (სრულყოფილება, სრულქმნილება) რათა სახელითაც გამორჩეული ყოფილიყო სხვა მუსტაფებისაგან. მასწავლებელმა სახელისა და ცოდნის გარდა მას შესძინა რამდენიმე მეგობარი, რომელიც სიციცხლის ბოლომდე არ მიუტოვებია. 1899 წელს ჩაირიცხა მეომართა კოლეჯში სტამბულში და დამოაკრა 1902 წელს. 1905 წელს 11 იანვარს დამოაკრა მეომართა აკადემია. აკადემიაში მუსტაფა ქემალი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო. კიდევ უფრო გაიზარდა მისი დაინტერესება პოლიტიკით, რისი დასტურიცა მისი აქტიური მონაწილეობა კურსანტთა ფარული გაზეობის გამოცემაში, ამხანაგების რეგულარული ინფორმირება ქვეყანაში არსებული მდგომარეობის თაობაზე. ამ დროს უყალიბდება მას ლიდერის თვისებები. მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 1905 წელს იგი დააპატიმრეს. მართალია მისთვის სასჯელი არ გამოუტანიათ, მაგრამ იმავე წელს, როგორც საეჭვო პირი, შორეულ სირიაში გამწერებეს სტაჟირებისათვის, სადაც მან თითქმის სამი წელი დაჲვო. მას საშუალება მიეცა კარგად გასცნობოდა რეგიონის მდგომარეობას, ვოთარებას ჯარში და ა.შ. იგი შეუერთდა რეფორმისტ ოფიცრების პატარა საიდუმლო რევოლუციურ საზოგადოებას, სახელად----„სამშობლო და თავისუფლება“, მაგრამ პოლიტიკური საქმიანობის ხელსაყრელი მდგომარეობა რუმელიაში იყო, რომელიც ოსმალეთის განვითარებულ ნაწილს წარმოადგენდა. 1907 წელს მან მიიღო კაპიტნის ჩინი, იგი შეუერთდა გაერთიანებისა და პორგესის კომიტეტს. თუმცა, ბოლო წლებში მუდმივი კრიტიკისა და ოპოზიციის ობიექტად იქცა და პოლიცია სდევნიდა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის. 1908 წელს ახალგაზრდა თურქმა

რევოლუციონერებმა ძალაუფლება ჩაიგდეს აბულჭამიდ II-გან. ათაოურქმა დიდი როლი ითამაშა ამ რევოლუციაში. 1910 წელს მან მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში პიკარდის სამხედრო მანევრებში. 1911წ. მცირე დროით მსახურობდა სამხედრო სამინისტროში. მოგვიანებით 1911წ. იგი გადაყვანილ იქნა ოტომანების პროვინციულ ქალაქ ტრაბსლურსგარბში (დღევანდელი ლიბიის ტერიტორია), რათა წინააღმდეგობა გაეწია იტალიური დამცყრობლებისათვის.[2; 218]

რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც იგი ბევრს კითხულობდა განურჩევლად კველა-ფერს, მათ შორის მონტესკიეს „განონთა სულს“, ჯ. მილსის „სოციოლოგიურ ტრაქტატებს“. იგი განსაკუთრებით გატაცებული იყო ისტორიით. მაგრამ მუსტაფა ქემალს საკმარისად არ მიაჩნდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ გატარებული ღრინისძიებები, იგი უფრო დრმა გარდაქმნების მომხრე იყო, რაც არ შედიოდა „ერთიანობისა და პროგრესის“ საზოგადოების მესვეურთა გეგმებში. ამიტომ სალონიკიდან მოშორებით, მას 1908 წელს ტრიპოლიტანიაში აგზავნიან, სადაც ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები მიმდინარეობდა. მიღებული ზომების შედეგად, სამ თვეში მდგომარეობის დაწყნარების შემდეგ, სალონიკში დაბრუნებული მუსტაფა ქემალი დივიზიის შტაბის უფროსად ინიშნება. მაღლე სტამბოლში 1909 წლის 13 აპრილს კონტრევოლუციური ამბოხება მოხდა. მუსტაფა ქემალი ერთადერთ გამოსავლად დედაქალაქზე ლაშქრობას მიიჩნევდა. იგი ლაშქრის შტაბის უფროსი ხდება, მაგრამ რამდენიმე დღეში ამ პოსტზე მაიორ ენვერს ნიშნავენ. სალონიკში დაბრუნების შემდეგ მუსტაფა ქემალი მონაწილეობს სამხედრო მანევრებში და გერმანელ მარშალ ფონ დე გოლცის მადალ შეფასებას იმსახურებს. „ერთიანობისა და პროგრესის“ ყრილობაზე, რომელიც 1909 სექტემბერში ჩატარდა მუსტაფა ქემალმა მოითხოვა, რომ სამხედროები ჩამოსცილებოდნენ პოლიტიკას ან დაეტოვებინაო ჯარის რიგები, რადგან ხელმძღვანელობამ ეს არ გაითვალისწინა, მუსტაფა ქემალი ჩამოსცილდა ერთიანობის და პროგრესის პარტიას და თავისი სამხედრო კარიერა გააგრძელა. იგი დაბრუნებს არმიის შტაბში და სამხედრო მინისტრთან ერთად გააგზავნეს აღმანეთში აჯანყების ჩასახშობათ, შემდეგ კი საფრანგეთში სამხედრო მანევრებზე დასასწრებად. 1911 წელს იგი გადაიყვანეს გენერალურ შტაბში. მმეტობებისადმი მიწერილ წერილში იგი უკმაყოფილებას გამოოქავდა სტამბოლში არსებული ვითარების გამო და აღნიშნავდა „ყველა პირად გამორჩენაზე ფიქრობს, ჯარისა და ქვეყნის გადასარჩენად თავდაოზოგავად უნდა ვიმუშაო.“

1911-12წ. ტრიპოლიტანის ომის დროს მუსტაფა ქემალ მაიორის ჩინით დააჯილდოვეს, როგორც ერთ-ერთი მეთაური, ხემძღვანელობდა იტალიურების წინააღმდეგ ბრძოლას, რისოფისაც ორდენით დაჯილდოვდა. 1913 წელს მუსტაფა ქემალი, თავის მეგობარ ფედჰისტან ერთად, ამთავრებს თრაკიაში სახედრო ოპერაციის გეგმას, მაგრამ გეგმა არ მიიღეს, რის გამოც მალე თურქებმა ადრიანოპოლი დაკარგეს. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მუსტაფა ქემალის მიერ ჩატარებული ოპერაციის მეოხებით იგი დაიბრუნეს. 1913 წელს მუსტაფა ქემალი დაინიშნა სახედრო ატაშედ სოფიაში. შემდეგ იგი ერთდროულად ასრულებდა სამხედრო ატაშეს მოვალეობას ბუქარესტსა და ბელგრადში. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მას ვიცე-პოლკოვნიკის თანამდებობა მიანიჭეს [1, 151-152].

იმ პირთა რიცხვს, რომლებიც არ იყვნენ დარწმუნებული გერმანიის უძლეველობაში, ეპუთ ვნოდა მუსტაფა ქემალი. იგი გამოირჩეოდა მოვლენების რეალისტური შეფასებით და კარგად ხედავდა, თუ სად მოავრდებოდა მოვლენათა რეალური სამყარო და სად იწყებოდა ფანტაზია. სწორედ ასეთმა რეალისტურმა მიღებობამ ფაქტებისა და მოვლენებისადმი მისცა მუსტაფა ქემალს საშუალება თურქეთის ომში დამარცხების შემდეგ, როდესაც გამარჯვებული ქვეყნები თურქეთის ტერიტორიულ დანაწილებას შეუდგნენ, დაეწყო და წარმატებით დაემთავრებინა ბრძოლა სულთანის მთავრობისა და ანტანტის ქვეყნების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო მუსტაფა ქემალი სოფიაში ოსმალეთის სამხედრო ატაშეს თანმდებობაზე იმყოფებოდა. იმ დროს სოფია თურქეთისათვის ერთ-ერთ კველაზე უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ კვანძს წარმოადგენდა, ვინაიდან ბულგართის პოზიცია დაწყებულ ომში გარკვეულ გავლენას მოახდენდა თურქეთის პოლიტიკის განსაზღვრაზე. ასეთ პირობებში ბულგარეთის მომავალი პოზიციის გარკვევაში დიდ როლს თამაშობდა ბულგარეთის თურქელი რაიონებიდან არჩეული პარლამენტის 13 თურქი დეპუტატი. ცამეტივე როდოსლავოს გერმანულ პოზიციებზე იდგა. ბულგარეთის მერყეობა შედარებით დიდხანს გაგრძელდა. 1915 წელს მაისში მისი პოზიცია ჯერ

კიდევ იმდენად იყო გაურკვეველი, რომ მან სამხედრო კონვენციის დადებაზე გერმანიას უარი უოხრა, ოურქეთი კი ჩაება ომში, როდესაც მერყევი იყო, როგორც ბულგარეთის საგარეო-პოლიტიური კურსი, ისე მისი შინაპოლიტიკური მდგომარეობა. ამას არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა მუსტაფა ქემალზე.

მუსტაფა ქემალი მაფიოდ ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ თუქქეთის ომში ჩაბმა ნაჩქარვი გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენდა. მუსტაფა ქემალის ბიოგრაფიის ცნობით, მას ომის დასაწყისშივე ეჭვი ეპარებოდა თუ როგორი იქნებოდა მისი ფინალი ე.ი. დარწმუნებული იყო, რომ ომს გერმანია წააგებდა. ცნობილია, რომ თურქეთის ოფიციალური ისტორია „თარიჟი“ ამტკიცებს იმ აზრს, რომ მუსტაფა ქემალი უკვე მაშინვე ცდილობდა დაერწმუნებინა თურქეთის მმართველი წრეები, რომ მათ არ მიეღოთ ომში მონაწილეობა [1, 219].

მუსტაფა ქემალმა თავის ხელწერა დაატყო გმირობის ლეგენდას | მსოფლიო ომში კანაკალეს-თან და საბჭოთა ჯარები აიძულა ედიარებინათ კანაკალე აღებულად [5].

არიბურნუსთან განლაგრბულ მუსტაფა ქემალის სამხედრო ნაწილები კონტრშეტევით დიდ ზიანს აყენებენ მტერს, ცნობილია მის მიერ გაცემული ბრძანება: „მე ოქვენ შეტევაზე გასვლას კი არა სიკვდილს გიბრძანებთ! სანამ ჩვენ დავიხოცებით სხვა მეომრები დაიკავებენ ჩვენს აღილს!“ [5] ბრძოლებში წარმატებისთვის მუსტაფა ქემალმა არაერთი ჯილდო და პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. ამასთანავე იგი უკმაყოფლიო იყო გერმანელი მარშლის ლიმან ფონ სანდერსის სარდლობით და სოხოვა სმალეოის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელ ენვერ ფაშას, პირადად ჩადგომოდა სათავეში დარდანელის სრუტის დაცვას, მაგრამ ენვერ ფაშა მხოლოდ ინსპექტიორებისათვის ჩადიოდა ხოლმე.

1916 წელს მუსტაფა ქემალი დაინიშნა მე-16 კორპუსის სარდლად. მალე იგი აღმოსავლეთის ფრონტზე გადაჰყავო, ანიჭებენ გენერლის ჩინს და ფაშას ტიტულს. 1916 წლის აგვისტოში ქემალ ფაშას კორპუსი რუსებისგან ათავისუფლებს ქალაქებს მუშს და ბიოლისს, მედგრად იგერიებს მათ შემოსევებს. 1916 წლის დეკემბერი-----1917 წლის იანვარში იგი ასრულებს მეორე არმიის სარდლის მოვალეობას, ამის შემდეგ მეოთხე არმიის სარდლის ჯემალ ფაშას განკარგულებაში გადაჰყავთ პიჯაზში. მუსტაფა ქემალ ფაშამ, სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებლად მიიჩნია პიჯაზში განლაგებული ჯარი სირიის ფრონტის გასამტკიცებლად გადაეყვანა.

კანაკალეს ბრძოლების შემდეგ მუსტაფა ქემალი ედიორნესა და დაირბაკირში გადიყვანეს და 1916 წლის 1 აპრილს გენერალ-ლეიტენანტის წოდება უტომეს. ის შეებრძოლა რუსეთის ჯარს და მუსი და ბიტლისი დაატოვებინა მათ. ის მცირე ხნით იმყოფებოდა დამასკუსსა და კალეპოში, ხოლო 1917 წელს სტამბოლში ჩავიდა. მან ტახტის მემკიდრესთან -----ვაჰდეტინ ეფენდისთან ერთად იმოგზაურა გერმანიაში. ამ მოგზაურობის შემდეგ ის ავად გახდა და სამკურნალოდ გაემგზავრა ვიუნაში კარიისბადში.

მუსტაფა ქემალი დაბრუნდა კალეპოში 1918 წ. 15 აგვისტოს, ამჟამად უკვე როგორც მეშვიდე არმიის მეთაური. იგი წარმატებულად იბრძოდა თავდაცვით ომებში. მუდროსში ზავზე ხელის მოწერიდან ერთ დღეში იგი იღიორიტიმის არმიის მეთურად დაინიშნა. ამ არმიის დაშლის შემდეგ, იგი ჩავიდა სტამბოლში (1918 წ. 13 ნოემბერი) და მუშაობა დაიწყო თავდაცვით სამინისტროში.

მუდროსის ზავის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ოგომანოა არმიის გაკონტროლება, მუსტაფა ქემალი გაემგზავრა სამსუნში (1919 წლის 19 მაისი) როგორც XIX არმიის ინსპექტორი (ზედამხედველი). 1919 წლის 22 ივნისს გამოქვეყნებულ ცირკულარში მან განაცხადა: “ ერის განთავისუფლება მხოლოდ მისსივე სიმტკიცით, გამბედაობით და შეუპოვრობით აღდგება” [5].

1916 წლის აპრილში მას ნიშნავენ კაფასიის არმიის დაჯგუფების შემადგენლობაში შემავალ მეორე არმიის სარდლად, ხოლო 1917 წლის ივლისში, ენვერ ფაშას ხელმძღვალელობით ჩატარებული თაობირის შემდეგ მუსტაფა ქემალი დაინიშნა არმიათა დაჯგუფების „ელვის“ შემადგენლობაში შემავალი მე-7 არმიის სარდლად. მუსტაფა ქემალ ფაშამ მოითხოვა ფრონტზე მყოფი ორი არმიის გაერთიანება და გერმანელის ნაცვლად თურქის, კერძოდ მისი დანიშვნა, რაც გაიზიარა ჯემალ ფაშამ, მაგრამ მას არ დაეთანხმა ენვერ ფაშა. ფალკენჰაიმის უთანხმოების გამო, 1917 წლის ოქტომბერში მუსტაფა ქემალ ფაშა გადადგა. ამის შემდეგ ინგლისელთა შემოტევის შემდეგ თურქეთის ჯარმა უკან დაიხია და იერუსალიმიც დაომო.

1917 წლის დეკემბერში ქემალ ფაშა ახლდა უფლისწულ ვაჰადედინს (მომავალ სულთან მეჰმედ მეჰქვესეს) მისი გერმანიაში ვიზიტის დროს. 1918 წელს ივლისში, როდესაც იგი ოსმალეთის სულთანი გახდა, მუსტაფა ქემალ ფაშა სამკურნალოდ იმყოფებოდა. დაბრუნებისთანავე, 1918 წელს ქემალ ფაშა შეხვდა სულთანს და შესთავაზა თავის თავზე აეღო მთავარსარდლობა, ხოლო მუსტაფა ქემალი დაენიშნა არა მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლად როგორც ენვერ ფაშა, არამედ გენერალის უფროსად. ამ შეხვედრას კი ის შედეგი მოჰყვა, რომ გაუქმდა მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის პოსტი, მაგრამ გენერალის უფროსობა სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ შეითავსა. ქემალ ფაშა კიდევ სამჯერ შეხვდა სულთანს და დარწმუნდა, რომ იგი მნიშვნელოვან საკითხებს ტრიუმვირატეს სხვა წევრებს თალათ ფაშასა და ენვერ ფაშას უთანხმებდა.

მაღლ მუსტაფა ქემალი პალესტინის ფრონტზე მეშვიდე არმიის სარდლად დაინიშნა და სულთანის საპატიო ადიუტანტის წოდება მიიღო. ამ დროისთვის სულთანის კარზე უკვე ფიქრობდნენ ზავის დადებას. 1918წ. ოქტომბერში თალათ ფაშას დიდვეზირობიდან გადადგომის შემდეგ, მუსტაფა ქემალ ფაშა სულთანს გაუგზავნა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დასანიშნი მთავრობის წევრთა სია და თვითონ ითხოვდა სამხედრო მინისტრის პოსტს. მთავრობა შექმნა აჰმედ იზეთ ფაშამ. მის დანიშვნასაც იგი ითხოვდა, მაგრამ სამხედრო მინისტრისა და გენერალის უფროსის პოსტებიც თვითონ შეითავსა. დაზავების შემდეგ ვითანამშრომლებოთ, მისწერა მუსტაფა ქემალ ფაშას. საპასუხო წერილში იგი აღნიშნავდა, რომ სამხედრო მინისტრობას ითხოვდა კრიზისული ბრძოლების გამო, ამიტომ ჩვენი თანამშრომლობა საჭიროდ არ მიმაჩნიაო.

1918 წლის ოქტომბრის დამლევს ქემალ ფაშა საჯარისო დაჯგუფების „ელვის“ სარდლად დაინიშნა. იმავე დღეს ოსმალეთის იმპერიასა და ანგარიშის სახელმწიფოებს შორის მუდროსის საზავო ხელშეკრულება დაიდო. როგორც ათათურქის მეგობარი და თანამებრძოლი ალი ფუალ ფაშა (ჯებესო) იგონებს, მუსტაფა ქემალმა მას განუცხადა: „ამის შემდეგ ჩვენმა ერმა, თვოონ უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები და ჩვენც ეს გზა უნდა გუჩვენოო მას. 1918 წლის ნოემბერში სტამბულში დაბრუნებულ ქემალ ფაშას ანგარიშის სამხედრო გეგმების დანახვაზე უთქვამს: „როგორც მოვლენ, ისე წავლენ“.

ათათურქი და ლატიფე ჰანიმი შეუდლდნენ 1923 წელს. ლატიფე იყო მრავალი ენების მცოდნე, საკუთარ თავში დარწმუნებული, ეპროპული განათლების ქალი რომლის თჯახესაც იზმირში ჰქონდა საკუთრი გემი.

ათათურქი ლატიფას შეხვდა 1922 წლის 8 სექტემბერს, ოკუპირებული იზმირი განთავისუფლების დროს. იზმირში ყოფნის დროს იგი მიწვეული იქნა უსაკლიიღილის რეზიდენციაში, სადაც მას საშუალება ჰქონდა ლატიფეს დაახლოვებოდა. მათი ნაცნობობა ცოტა ხანს გაგრძელდა, რადგანაც ათათურქი 2 ოქტომბერს ანკარაში უნდა დაბრუნებულიყო. ქემალმა თავისი გრძნობები ასე გამოხატა: „არსად არ წახვიდე, დამელოდე“. 1923 წლის 29 იანვარს მან ლატიფეს ოჯახის გან ქორწინებაზე თანხმობა მიიღო. კაზიმ კარაბეკირი ესწრებოდა მათ ქორწილს, ეს არ იყო შემთხვევითობა, რადგანაც თურქული ტრადიციის მიხედვით, სიძე ქორწილში იწვევს თავისი თჯახის საპატივცემულო პირებს. ლატიფეს სახე დაფარული არ ჰქონდა ქორწილის დროს, თუმცა ეს მათ ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა. მათ არ ჰქონიათ თაფლობის თვე, რადგანაც პარლამენტის არჩევნები მოდიოდა. ათათურქმა გაზეობის წარმომადგენლები ქორწილის მეორე დღესვე მიიღო. საჯარო გამოსვლისთვის მოქმედა 2 ოქტემბერისათვის. ანატოლიანეს ტურნე იყო მათი თაფლობის თვე, სადაც მისი ცოლმა თანამედროვე თურქი ქალის როლი წარმოაჩინა. ერთ-ერთმა დამკირვებელმა მაშინ აღნიშნა; **„ეს არ არის თაფლობის თვე, ეს არის ტეფორმების გაძვეთილი“.**

პირველივე დღიდან ლატიფე ქალთა ემანსიპაციის მსვლელობის წევრი გახდა. რომელიც თურქეთში დაიწლო 1920-იან წლებში. ლატიფეს დაუფარავმა სახემ, მნახველებში გაოცება და ადყროვანება გამოიწვია. მას არ ეკეთა ჩადრი, არამედ თავზე ჰქონდა მოხვეული თავსაფარი. ათათურქმა ქალთა უფლებების საკითხი დააყენა არჩევნების დროს, ლაფიტე ლობირებდა ამ უფლებებს.

საბოლოო კონფრონტაცია ანაროლიანებში მოგზაურობის დროს იყო, როდესაც ლატიფემ დაისინა ათათურქს გაპყოლოდა აღმოსავლეთის ქალაქებში, თუმცა სხვა ოფიციალური პირების ცოლები სამსუბური გაჩერდნენ. ათათურქის ინტერესები ამ დროს მიმართული იყო გაერთიერებისაკენ, მაგრამ გაერთიანება მოედნ რიგ სიძნელეებობან იყო დაკავშირებული. ერთულში ათათურქი

და ლატიფე წინააღმდეგობას წააწყდნენ და ათათურქმა მოსოხოვა ლატიფეს ნდობით აჯჭურვილ პირთან-სალიპ ბიზოკის ოანხლებით დაბრუნებულიყო ანგარაში. 1925 წლის 5 აგვისტოს ისინი განქორწილდნენ, მათი განქორწილების მიზეზი საზოგადოებისთვის უცნობია. სასამართლომ 25 წლიანი ვადით აკრძალა მისი ქოფილი ცოლის წერილებისა და დღიურების გამოქვეყნება. თურქეთის ისტორიული ფონდი მის წერილებს ინახავდა 1975 წლამდე. რადგანაც ლატიფეს ოჯახმა მოითხოვა, რომ მისი წერილები არ გახმაურებულიყო.

23 აპრილი მუსტაფა ქემალმა ბავშთა დღედ გამოაცხადა, ხოლო 19 მაისი კი "ახალგაზრდებისა და სპორტის" დღედ. ბავშთა დღე 1920 წელს გაიგივებულ იქნა თურქეთის ეროვნული ანსამბლების გახსნასთან. ბავშთა დღის დაარსებრი იყო ბავშთა დაცვის ინსტიტუტის რეკომენდაცია. თრივე ეს თარიღი დღესაც აღინიშნება. ახალგაზრდებისა და სპორტის დღე არის ეროვნული დღესასწაული. მას ქორწილებიდან საკუთარი შვილები არ ჰყავდა, მას ჰყავდა 7 შვილობილი ქალიშვილი და ერთი შვილობილი ვაჟი. პლიუს თრი ბავშვი-აბდურაკიმი და ისანი, იზრდებიდნენ მისი მფარველობის ქვეშ. მისი შვილობილების სახელები იყო; საბიჭა, რულიე, ზეპრა, აფეტი, ფიკრიე, ულკუ, ნებილე და მუსტაფა.

1916 წელს ათათურქმა 8 წლის აბდურაკიმი თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. იგი აბდურაკიმს შეხვდა ბიტლისში. მისი დაბადების თარიღი და მშობლების ვინაობა უცნობია. მხოლოდ ათათურქის სურათია შემორჩენილი, მუნდირში გამოწყობილი ახალგაზრდა აბდურაკიმის გვერდით. აბდურაკიმის აღზრდა ზუბეიდე ჰანიმს დაეკისრა. აბდურაკიმი აღნიშნავდა რომ, მას არ ახსოვდა თავისი ბიოლოგიური მშობლები. ამან გამოიწვია ეჭვი რომ იგი კავკასიაში მსვლელობის დროს დაობლდა. აბდურაკიმ აღნიშნავდა რომ, მისი ბავშვის მეხსიერაბა ზუბეიდე ჰანიმს ოჯახს უკავშირდება აკარეთში. აკარეთის სახლი აშებენული აიქნა 1913 ათათურქმა მას გარი ტუნკაკი შეურჩია.

1925 წლის 22 სექტემბერს ათათურქმა იშვილა 12 წლის გოგო საბიჭა. იგი იყო იბოლი, რომელსაც ბურსას მატარებდების სადგურში შეხვდა. მან ათათურქს სთხოვა მისოვის განათლება მიეცა. შემდგომში ათათურქმა მართლაც იზრუნა მისი განათლებისთვის. საბიჭა მოგვიანებით რუსეთში იქნა გაგზავნილი განათლების მისაღებად. იგი შემდგომში პირველი პილოტი ქალი გახდა. შემდეგ საბიჭა ზეპრა და რულიე გახდნენ მისი მფარველობის ქვეშ. 1936 წელს ზეპრა საფრანგეთის მატარებელში გარდაიცვალა. საფრანგეთის პოლიციამ, დაასკვნა რომ ეს იყო თვითმკვლელობა.

1925 წლის 25 ოქტომბერს ათათურქი შეხვდა 18 წლის გოგო-აფეტს, რომელიც იყო მისი ახლო მეგობარი ოჯახის შვილი. აფეტის დედის გარდაცვალების შემდეგ მამამისმა სხვა ქალი შეირთო ცოლად. აფეტი თავს ირჩენდა პატარა გოგონების აღზრდით, მაგრამ მას არ ჰქონდა კარგი განათლება. ათათურქმა დააფინანსა მისი უმაღლესი განათლება, ხოლო აფეტი თავს ისევ სხვა ბავშვების აღზრდით ირჩენდა. მოგვიანებით იგი გახდა ათათურქის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ათათურქის სიტყვის დაწერა და ინფორმაციით მომარაგება ევალებოდა.

1935 წელს ათათურქი შეხვდა 3 წლის გოგოს ულკუს. იგი დედამისოთან იზრდებოდა. იგი ერთა-დერთი გოგო იყო რომელიც ათათურქითან დარჩა სიკვდილამდე [6].

ათათურქის თავისუფალ დროს ძირითადად უყვარდა კიოხვა, ცხენით ჯირითი, ჭადრაკი და ცურვა. იგი ასევე დაინტერესებული იყო ცეკვებით, გალსითა და ზეიბეკის ფოლკლორული ცეკვებით. მას ასევე მრუმელიენის ფოლკლორული სიმღერები. ათათურქი თავისუფლად საუბრობდა ფრანგულად და გერმანულად და ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა.

ასევე მას უყვარდა ეროვნული სასმელი-რაკი, რომელსაც დიდი რაოდენობით სვავდა.

ათათურქი აღნიშნავდა: "ბავშვიდან ერთი დამახასიათებელი თვისება მაქს, მე არასოდეს არ მიყვარდა ჩემ დასთან ან მეგობრებთან დროის გატარება. ბავშვობიდან მიყვარდა მარტოობა. კიდევ ერთი თვისება მქონდა ვერ ვიტანდი დედის დარიგებებს, მამის სიკვდილის შემდეგ ჩემი და ასევე სხვა ნათესავებიც ცდილობდნენ რჩევები მოეცათ ჩემთვის. ასეთ ოჯახში ცხოვრების დროს ან უნდა დაემორჩილო სხვების რჩევებს ან იგნორირება უნდა გაუკეთო მათ. მე მიმაჩნია რომ, არც ერთი არ არსი სწორი".

ათათურქის სხვა რევოლუციონერებისგან განსხვავდებოდა წინდახედულებით, კარგი განათლებით და ლიდერობის თვისებით. მისი ლიდერული თვისებები გამომჟღვნდა პოლიტიკაში, სოციალურ და კულტურულ სასიათში. კვლევები ასაბუთებს მის განათლებულობას. მისი ხასიათი

შემდეგ ჩვევებში გადაიზარდა. მისი მიზანი იყო ხალხის გაერთიანება. მთავრობაში მისი მმათველობის დროს არასოდეს არ შეზღუდულა სამოკალაქო წარმომადგენლების როლით, ხოლო ჯარი მისი პრეზიდენტობის დროს პოლიტიკაში არ ერეოდა. რეგიონალური ქვეყნების წარუმატებელი რეფორმები მაგალითად იქნა გამოყენებული რეფორმულური თურქეთის მიერ.

მუსტაფა ქემალი გარდაიცვალა 1938 წელს. დაკრძალულია ანკარაში.

#### ლიტერატურა:

1. მენოქშაშვილი, ა. ---XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსები და დიპლომატები, ობ. 2005.
2. სვანიძე, მ. -----თურქეთის ისტორია, III ნაწილი, ობ. 2005.
3. www. Wikipedia. From Wikipedia , the free enciklopedia, Mustafa Kemal Ataturk.
4. ru. Wikipedia.org/wiki/% 25D0%2590%25D1 ათათურქ, Мустафа Кемаль---Википедия
5. www.google.ge---MUSTAFA KEMAL ATATYRK, FOUNDER AND PREZIDENT OF THE TURKISH REPUBLIC.
6. [http://en.Wikipedia.org/wiki/Mustafa\\_Kemal\\_Ataturk's\\_personal\\_life](http://en.Wikipedia.org/wiki/Mustafa_Kemal_Ataturk's_personal_life)
7. ლორდი კინროსი—ათათურქი ერის მეორედ დაბადება, (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი) ობ. 2011.

მადონა ქებაძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი

#### მუსტაფა ქემალ ათათურქი (ბიოგრაფიული მიმოხილვა) რეზიუმე

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანას განიერი მმართველი ესაჭიროებოდა, უმნიშვნელოვანების პოლიტიკურ დიპლომატიას წარმოადგენს მუსტაფა ქემალ ათათურქის მოღვაწეობა.

ათათურქის ბოლო თვიციალური დოკუმენტში “ნუფუს სუზდანი” არა შეიცავს თარიღს, მარტო წელი 1881 არის დაფიქსირებული. ეს დოკუმენტი დაცულია ათათურქის მუზეუმში –(სისლი) თურქეთის რესპუბლიკამ მის თვიციალურ დაბადების დღედ 1881 წლის 19 მაისი აღიარა .

ათათურქი და ლატიფე ჰანიმი შეუდლდნენ 1923 წელს. ლატიფე იყო მრავალი ენების მცოდნე, საქუთარ თავში დარწმუნებული, ეპროპული განათლების ქალი რომლის თჯახსაც იზმირში ჰქონდა საკუთრი გემი.

მას ქორწილებიდან საკუთარი შვილები არ ჰყავდა, მას ჰყავდა 7 შვილობილი ქალი შვილი და ერთი შვილობილი ვაჟი. პლიუს ორი ბავშვი-აბდურაჰმი და იჰსანი, იზრდებოდნენ მისი მფარველობის ქვეშ.

მუსტაფა ქემალი გარდაიცვალა 1938 წელს.

**Madona Kebadze**

**Mustafa Kemal Ataturk (biography review)**

**Resume**

After the World War, the country was in need of a wise ruler. Mustafa Kemal Ataturk political diplomacy made a great contribution.

Ataturk's last official document "Nufuz Suzdan" is not dated, only the year-1881 is given. Above mention document is kept in Ataturk's museum -(Cisly). Turkish republic officially has announced his date of birth on May 19, 1881.

Ataturk and Latif Hanim got married in 1923. Latif was bilingual, self-confident, European oriented lady, who owned her ship in Izmir.

They did not have their own children, just 7 adopted daughters and a son. As well two children- Abduraham and Ihsani were brought up under their protection.

Mustafa died in 1983.

## ფილოლოგიის როლი ბავშვთა აღზრდაში მე-20 საუკუნის საქართველოს სპეციალურ სკოლებში

მე-20 საუკუნის საქართველოში სხვადასხვა სახის სპეციალური სკოლები იყო. ასეთი იყო უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა ინტერნატი, ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა ინტერნატი, გონიერი გადამოწმენილ ბავშვთა სკოლა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში არსებობდა.

ამ სკოლებში იყვნენ სხვადასხვა დევეპტების მქონე ბავშვები, სადაც მათი სწავლება განსაკუთრებული მეორდებით მიმდინარეობდა. ამ სკოლებში მუშაობდნენ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მასწავლებლები. სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე მათი მუშაობა როგორიცაც სახელფასო ანაზღაურებას უფრო მეტს დებულობდნენ, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები.

ამ სკოლებს ბევრი დადებითი მხარეც პქონდა და ბევრი უარყოფითიც. ნაკლები ყურადღება ექცევდა სწავლების სპეციფიკურ ხერხებსა და მეორდებს, სწავლებაში პატონობრივი ვერბალუზმი. სკოლას სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენისას ნაკლებად ითვალისწინებდა ბავშვთა ფილოლოგიურ თავისებურებებს, არ პყავდათ ექიმი რომელსაც ყოველთვის უნდა შეემოწმებინა ბავშვის ჯანმრთელობა.

ფილოლოგიის როლის უგულებელყოფას ხშირად არასასურველი შედეგები მოჰქონდა, რაც სწრაფად აისახებოდა ბავშვთა ქცევებსა და მოქმედებებზე. დღის წესრიგში დადგა ფილოლოგიის კუთხით მეტი მუშაობის აუცილებლობა.

უსინათლო ბავშვთა სკოლა ინტერნატითი 1993 წელს დაარსდა, რომელშიაც სწავლების პროცესის გაუმჯობესება 1932 წლიდან დაიწყო. ამ სკოლას დაერქვა „თბილისის უსინათლო ბავშვთა საფარისო კო-საქარხენო სასწავლებელი“.

1933-34 სასწავლო წელს სკოლის გამგედ დანიშნული იქნა მელიქიშვილი, რომლის ხელმძღვანელობით პირველად დამუშავდა ქართულ ენაზე ბავშვთა არასრული საშუალო სკოლის პროგრამები. ეს პროგრამები ძირითადად მასობრივი სკოლის პროგრამის მსგავსი იყო, მაგრამ ზოგიერთი მასალა დამატებით იქნა შეტანილი, ზოგიც ამოღებული.

სკოლა თავიდანვე სახელმძღვანელოების ნაკლებობას განიცდიდა. ბრაილის შრიფტით შედგენილი სახელმძღვანელოების გამოცემა ქართულ ენაზე 1953 წლამდე არ მოხერხდა, ამიტომ სკოლა ფართოდ იყენებდა მასალის დაკონსექტების ხერხს.

სკოლაში არსებობდა სახელოსნოები, სადაც აკეთებდნენ დიდაქტიკურ ხელსაწყოებს, მოეწყო პოლიტექნიკური შრომის ოთახი, სადაც გამოფენები იყო უსინათლო ბავშვთა მიერ შესრულებული ნაკეთობებისა.

1932 წლიდან ფართოდ დაინერგა საუბრის, დემონსტრაციის, ილუსტრაციის, ლაბორატორიული მუშაობის მეორდები. 1938 წელს გაიხსნა მეორდური კაბინეტი, რომლის გამგე იყო გ. ნიკოლეიშვილი. ეს კაბინეტი აწოდებდა სკოლებს მეორდურ წერილებს, ადგილზე სწავლობდა

სპეციალური სკოლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას და ეხმარებოდა სკოლის დაფუქტების აღმოფხვრაში.

სკოლაში ნაყოფიერად მუშაობდა ტიფლოპედაგოგიური წრე. სადაც მუშავდებოდა საკითხები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, გეოგრაფიასა და სხვა დისციპლინებში. სკოლა თანდათან ივებოდა საჭირო ინვენტარით. 1940-41 სასწავლო წელს სკოლამ მიიღო 50 კგ. ბრაილის ქადალდი, 24 ცალი ბრაილის ახალი დაფა, უსინათლოთა საწერი ფანქრები. სასწავლო კაბინეტებისა და კლასებისათვის შეძენილ იქნა ინვენტარი, შეკეთდა სასკოლო დგამ-ავეჯი, ფართო ადგილი დაიჭირა ძერწვამ.

სამამულო ომის წლებში უსინათლო ბავშვთა სკოლას ყურადღება არ მოკლებია. 1953 წელს სტამბასთან მოეწყო ბრაილის შრიფტით მტკედავი სპეციალური სტამბა-საამქრო, სადაც დაიბჭედა ბრაილის შრიფტით შედგენილი სახელმძღვანელოები.

1954-55 სასწავლო წელს თბილისი უსინათლო ბავშვთა 8 წლიანი სკოლა გადაკეთდა თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატად.

ამ სკოლადამოავრცელებებს ატესტაციათ ცნობა ხელოსნის თანრიგისა.

საჭართველოში იყო ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატი, რომელიც 1901 წელს გაიხსნა, მაგრამ ძირითადად სრულყოფილი მუშაობა 1921 წლიდან დაიწყო.

1928 წლამდე ამ სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. აუცილებელი იყო სწავლება მშობლიურ ენაზე ყოფილიყო. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა ლოგოპედ-პედაგოგმა ა. კაიშაურმა. იგი ღრმად გაეცნო ყრუ-მუნჯთა სკოლების მუშაობას და შეუდგა სწავლების მოწყობას ქართულ ენაზე. 1928 წლიდან სწავლება მიმდინარეობდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. მეტყველების განვითარებაში გაბატონდა სინთეზური მეთოდი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბავშვებს პირველად დაუყენებდნენ ბგერებს, შემდეგ ახდენდნენ მათ შერწყმას მარცვლებად და სიტყვებად, ბოლოს კი გადადიოდნენ წინადადებების შედგენაზე.

ამ სკოლაში ითანაბით ფუნქციური მოლიანი სიტყვებისა და ფრაზების მეთოდი. ამ მეთოდით ყრუ-მუნჯ ბავშვებს უნდა დაეწყო მეტყველების შესწავლა, ბგერების დაყენებით.

1936-37 სასწავლო წელს სკოლასთან შეიქმნა მეტოდური წრე, სადაც იკითხებოდა მეთოდური ხასიათის მოხსენებები. ყოველწლიურად 2-3 მასწავლებელი იგზავნებოდა მოსკოვსა და ლენინგრადში ყრუ-მუნჯთა სკოლების მუშაობის გასაცნობად, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტთან მოეწყო სურდო პედაგოგთა გადასამზადებელი კურსები, სადაც იკითხებოდა მეტყველების ფსიქოლოგია, ფსიქოპათოლოგია, სურდოლოგია, მეტყველებისა და სმენის ფიზიოლოგია, ფონეტიკა, მიმიკა, ქართული ენისა და მათემატიკის მეთოდიკები.

სკოლაში დიდი მუშაობა ჩატარდა 1937 წლიდან სასწავლო გეგმებისა პროგრამების შედგენაზე. სკოლამ საფუძვლიანად დაამუშავა ქართული ენის, რუსული ენისა და სხვა საგნების პროგრამები. გამოიცა ნასამბაძის და ტ. უგულავას შრომა „ყრუ-მუნჯთა ბავშვთა ბგერების დაყენების მეთოდიკა“.

დიდი ყრუადგება მიექცა შრომითი სწავლების საკითხებს. მუსაობდა ჭრა-კერვის სახელოსნო, ფოტო სახელოსნო.

ყრუ-მუნჯთა სკოლაში ყველაფერი მაინც არ იყო მოწესრიგებული. ბატონობდა ზეპირი მეტყველების სწავლების ფორმა, დიდი როლი ითამაშა ლაბორატორიამ, რომელიც 1938 წ. პროფ. ვ. ნორაკიძის ინიციატივით გაიხსნა სკოლაში.

ეს ლაბორატორია დიდ საქმეს უკეთებდა მასობრივ სკოლებსაც. მოწმდებოდა სკოლაში სმენის დეფექტის მქონე ბავშვები, საოანადო დიაგნოზის დასმის შემდეგ კონსულტაციას უწევდა მასწავლებლებს, მშობლებს და საჭირო შემთხვევაში ასეთ ბავშვებს აგზავნიდა ფსიქონერვოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და სხვა შესაფერის სამკურნალო დაწესებულებებში.

ყრუ-მუნჯთა სკოლაში ბავშვებს ორი საათით უნდა ემუშავათ სკოლის სახელოსნოში, ამით ისინი არასრულ საშუალო განათლებასთან ერთად დებულობდნენ პროფესიულ განათლებასაც. კარგად მუშაობდა ჭრა-კერვის სახელოსნო, ფეხსაცმელების სახელოსნო. თბილისის მსგავსად ქუთაისსა და სიღნაღმი გაიხსნა ყრუ-მუნჯთა სკოლა-ინტერნატები. სკოლა-ინტერნატებში

შეიქმნა „შრომითი სწავლების კლასები“, სადაც მუშაობდნენ ბავშვები. მათი გამომუშავება 150-200 მანეთამდე იყო და სპეციალურ თანრიგსაც დებულობდნენ.

დიდი მუშაობა ტარდებოდა გონიერივად ჩამორჩენილ ბავშვთა ადზრდის საქმეში. ასეთი ბავშვების მონახვა , მათი გამოყოფა და გადაყვანა დამხმარე სკოლებში მეტად როცხლი იყო. ბავშვების შერჩევისათვის ტესტების მეთოდი იყო, რომელიც საუბედუროდ პედოლოგების ხელში მოხვდა. პედოლოგიური ლაბორატორია გაიხსნა ქ.თბილისში. პედოლოგების მავნე მუშაობით მიმდინარეობდა ბავშვთა გადარჩევა. მათი უაზრო და მავნე ტესტების მეშვეობით გონიერივად ჩამორჩენილ ბავშვთა კატეგორიაში მოექცნენ ნორმალური ინტელექტის მქონე ბავშვებიც. პედოლოგები შეიჭრნენ ფსიქოლოგიის , პედაგოგიკისა და დეფექტოლოგების ფუნქციებში და ხელი მოჰკიდეს ბავშვთა დიაგნოსტიკას, თავიანთი ყალბი თეორიებით, ამიტომაც გაიზარდა გონიერივად ჩამორჩენილ ბავშვთა რიცხვი.

გონიერივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახლების გახსნა დაიწყო წინასწარ მოუმზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, არ იყო კვალიფიციური კადრები.

პედოლოგების მიერ ბავშვების უაზრო შერჩევას დიდი ყურადღება მიექცა. მოხდა ნამდვილი შერჩევა , ამიტომაც გონიერივად სრულყოფილი ბავშვები დაუბრუნდნენ მასობრივ სკოლებს. ამ სკოლებში შეტანილ იქნა რიტორიკა, ძერწვა, გაიხსნა ლოგოპედიური კაბინეტი. დიდი ყურადღება ექცევდა შრომით ადზრდას. გოგონები სწავლობდნენ ჭრა-კერვას, ვაჟები\_საგუნდო ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

სასკოლო რეფორმის მიხედვით დღეს დიდი ყურადღება ექცევა ისეთ ბავშვებს, რომლებიც სპეციალურ საგანმანათლებლო მუშაობას მოითხოვენ. მათ ინკლუზიური ბავშვები ეწოდებათ. ამ ბავშვებთან მასწავლებლებს დიდი მუშაობა სჭირდებათ საგანმანათლებლო დამატებითი მომსახურებისათვის, როგორიცაა: სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, გარემოს ადაპტაცია და სხვა. ამ მოსწავლეებისათვის აუცილებელია სასკოლო ოთახში მოქცევის, სასკოლო წესების ცოდნის, მათი შერსრულებისა თუ დარღვევის თანმდევი შედეგების პროგნოზირებული სასწავლო გეგმის წარმოებას. (მსგ)

ინკლუზიური განათლება გულისხმობს განათლებისადმიმგვარმიდგომას, როცა განათლების სისტემა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის ჩართვის ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.

ინკლუზიური ბავშვები ყოველთვის იყვნენ დაიქნებიან. ისინი საზოგადოებისგან მოწყვეტილები იყვნენ. მათი განცალკევებით ან უშალოდ დაკავშირებული იყო მათი პიროვნების, მათი დირსების სელახვასთან, თავს დამცირებულად, დაჩაგრულად გრძნობდნენ, ჩვეულებრივი ბავშვები მათთან ურთიერთობას თაკილობდნენ, ზემოდან დაჟურებდნენ, ჩაგრავდნენ. რეფორმამ ამას კარგად გაართვა თავი და ასეთი ბავშვების ინტეგრირება მოხდა საზოგადოებასთან. ამით არც ინკლუზიური ბავშვები გრძნობდნენ თავს გარიყელად და არც სხვა ბაშვები დასცექრიან მათ ზემოდან. უკვე მათი დაახლოება, ინტეგრირება ხდება. მაგრამ დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ მასწავლებლებს, უზარდებათ ლექციები, ეუფლებიან ახალ მეორებს, სწავლობენ სპეციალურ მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედეგნას.

ასეთი მუშაობის დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თითოეული ბავშვის ფსიქიკური თავისებურებების შესწავლას და მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს მეორები.

აუცილებელია სკოლას პყავდეს ფსიქოლოგი, რომელიც ამ საქმეს სრულყოფილად შეასრულებს.

**ლიტერატურა:**

- 1) პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე. თბ. 1988წ.
- 2) პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე. თბ. 1996წ.
- 3) პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი ნ. ვასაძე. თბ. 2004წ.
- 4) უ. ობოლაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში. თბ. 1961წ.
- 5) სახალხო განათლება და პედაგოგიური მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში. 1921-1961 წწ. (კრებული) თბ. 1962წ.
- 6) უ. ობოლაძე. განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში 1921-1956წწ.
- 7) უ. ობოლაძე. სახალხო განათლება საქართველოში. თბ. 1961წ.

**Guliko Shengelia****The role of psychology in bringing up of children of specialized schools in the 20-th century****Abstract**

At the beginning of the 20-th century the educational system of Georgia was in bad condition. The Russia Empire considered Georgia to be its colony and forbade teaching our native language at schools. That's why 47% of population of Georgia in those days were uneducated.

In addition teachers were in hardship suffering from homeliness, hunger, low earning which caused their frequent strikes.

More over peasants' children weren't allowed to attend classes as fee was extremely high and they couldn't afford to buy expensive textbooks.

Despite this, Georgian intelligence took great afford to make new generation more educated, new schools were opened, new text books were published. However this process was slow but very profitable.

Tbilisi state university was founded at the beginning of the 20-th century. Russia was disabled to stop this educational process.

**Гулизар Шенгелиა****Роль психологии в воспитании детей в специальных школах грузии в XX-е.****Резюме**

В двадцатых годах XX века в Грузии положение дел образования и воспитания было крайне тяжелым. В колониальной Грузии имперское правительство искусственно препятствовало повышению духовной культуры грузинского народа, запрещало обучение в школах на родном языке и внедряло рабскую покорность по отношению к царской России. Это явилось причиной того, что к 20-ым годам 47% грузинского населения было неграмотным.

Уровень обучения в школе был низким, на него соответствующего инвентаря, преследовались квалифицированные преподаватели. Материальное положение учителей было тяжелым, зарплата была низкой, голод и неимение крыши над головой часто вызывали забастовки учителей. В школе не могли учиться крестьянские дети, так как плата за обучение была высокой, не могли покыпать дорогие учебники, что и являлось причиной неграмотности.

Несмотря на это, грузинская интеллигенция прилагала огромные усилия, чтобы дети получили хорошее образование. Открывались школы, печатались учебники и программы, медленно, но вперед-двигалось дело образования.

## ლექსიკოლოგიის ზოგიერთი საკითხის სწავლებისათვის IV კლასში

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრების საკითხები უაღრესად აქტუალურია.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მეტყველების განვითარება, პირველ რიგ ში, ლექსიკოლოგიის საკითხებზე მუშაობის გზით ხორციელდება. ამ მუშაობის ახალი სტრატეგიებისა და მეთოდების ძიებას, პედაგოგიურად, ფსიქოლოგიურად, პრაქტიკულად დადასტურებული რეკომენდაციების გამოყენებას თვორიულ ინტერესთან ერთად უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისათვის.

დაწყებით საფეხურზე, განსაკუთრებით IV კლასში, ლექსიკოლოგიის საკითხების სწავლებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და პროგრამის ძირითადი მოთხოვნები.

ამოსავალი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ დაწყებითი საფეხური (I-IV კლასები) მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ამდენად, ამ შემთხვევაში წამყვანი პრინციპია საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის) შინაარსობრივი ერთიანობა.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები ითვალისწინებს ენის საკითხების სწავლებას ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაწყებით საფეხურზე მშობლიური ენის სწავლება ემსახურება ოვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სწავლების ყველა ძირითადი მიმართულებით: ზეპირი მეტყველება, კიოხვა წერა. ეს პროცესი გულისხმობს მინიმალური ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის ფორმირებას, რაც ბავშვის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს შეესაბამება.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის სტანდარტში ჩამოყალიბებულია წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები, მოცემულია პროგრამის შინაარსი.

ამ საკითხების შესწავლის შემდეგ IV კლასის მოსწავლეები იყენებენ შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა: ა) თუ მოსწავლე სხვადასხვა სიტუაციის (გარემოს აღწერა, ამინდი, ისტორიული ამბების გადმოცემა...) აღწერისას სათანადოდ გამოიყენებს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას;

ბ) მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად ჩართავს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმები, ანტონიმები...);

გ) დააკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით გამოიყენებს მათ და ა.შ.

რაც შეეხება IV კლასის პროგრამის შინაარსს, ნათლად ჩანს, ლექსიკოლოგიური ასპექტი; მდიდრდება ლექსიკური ფონდი, შემოდის საეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია, აქტიურად, შემოქმედებითად გამოიყენება სიტყვათა სემანტიკური კავშირები.

უკრადღება ექცევა სიტყვათა ლექსიკურ კავშირებზე დაკვირვებას (სიტყვათწარმოების საწყის წევებს, ახალ სიტყვათა წარმოქმნას), რომელ სიტყვათა შედგენილობის გაანალიზებას, სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობას.

ამრიგად, ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა და სტანდარტი კარგ საშუალებას იძლევა IV კლასში ლექსიკოლოგიის საკითხებზე მუშაობისათვის.

ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში სრულყოფილად არის წარმოდგენილი ენობრივი მასალა.

ვ. როდონაიას ჯგუფის მიერ შედგენილ IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში ლექსიკოლოგიის საკითხებზე მრავალი სავარჯიშო მოცემული. ასევე, ნ. მაღლაკელიძის ჯგუფის მიერ შედგენილ IV კლასის სახელმძღვანელოში ენობრივი მასალა მჭიდროდ უკავშირდება საკითხავ ტექსტებს. მასში მოცემული განსაზღვრებები, წევები და სავარჯიშოები ხელს უწყობს ცალკეული გრამატიკული კატეგორიების გაცნობას, აგრეთვე ზეპირსა და წერილ მეტყველებაში მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

წინადაღებაზე მუშაობისას ყველაზე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ დაგაკვირვოთ მოსწავლეები ფრაზაზე შინაარსობრივ და ფორმობრივ მხარეზე, იმაზე, თუ როგორ იკვეთება აზრი სიტყვათა წყობაში, დავახელოვნოთ ისინი წინადაღების გამართვაში, წინადაღებისათვის შესაფერისი მნიშვნელობის სიტყვათა შერჩევაში, ამ სიტყვათა გრამატიკული თვალსაზრისით სწორი ფორმით ხმარებაში, წინადაღებაში სიტყვათა მართებულად დალაგებაში.

აუცილებელია იმის დადგენა, თუ როგორ, რა საშუალებები, რა აქტივობები უნდა იქნეს გამოყენებული ფრაზაზე მუშაობის სწორად წარმართვისათვის.

აქტივობები არ არის კლასების მიხედვით მკაცრად გამიჯნული, მასწავლებელი თვითონ ახდენს კოორდინაციას, როდის, რა აქტივობაზე ამუშაოს მოსწავლეები.

ფრაზაზე მუშაობის რამდენიმე სახე განიხილება: ტექსტის (წინადაღების) გამომეტყველებით კითხვა, დეფორმირებული ტექსტის ადდგენა, შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვების (სინონიმების) დაწყვილება, კითხვებზე პასუხის გაცემა, ენის ბუნებრივი გამოთქმების ამოცნობა (მაგ. მიწის ბელტი, ღრუბლის ქულა და სხვ.), სინონიმებს შორის განსხვავების ამოცნობა და ამ სიტყვების წინადაღებაში სწორად განაწილება.

ამათგან განვიხილავთ რამდენიმეს:

ა) შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვები - სინონიმებზე მუშაობა.

ბგერითი შედგენილობით განსხვავებულ სიტყვებს, რომელთაც ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობა აქვთ, სინონიმები ჰქვია.

სინონიმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „თანასახელს“, ე.ი. ერთი და იმავე საგნის მეორე სახელს.

სინონიმები ენის სიმდიდრეა. მრავალგარია მისი ფუნქცია: სინონიმებს დიდი მნიშვნელობას აქვს მეტყველების სიზუსტისა და კულტურისათვის, კონტექსტის შესაფერისი სიტყვის შერჩევისათვის. სინონიმებით სრულყოფილად ხასიათდება საგანი. მათი შერჩევით წინადაღებაში მოუბარი გამოხატავს საგნის, მოვლენის ან მოქმედების შეფასებასაც. სინონიმები განმეორების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ისინი იცავენ ენას უცხო სიტყვებისაგან და ა.შ.

დაწყებითი საფეხურზე IV კლასის სახელმძღვანელოებში საკმაოდ არის წარმოდგენილი შესაბამისი სავარჯიშო მასალა, მაგრამ ცოდნის განმტკიცებისათვის სასურველია მასწავლებლებმა შეადგინოს დამატებითი სავარჯიშოები, მაგალითად:

1. ქვემოთ ჩამოვლილ სიტყვებს მოუძებნეთ შინაარსით მახლობელი სიტყვები (სინონიმები) და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადაღებები:

ონაგარი-	ბალლი-	
ცხელი -	გულადი -	
ახალგაზრდა -	თავაზიანი -	
ლხინი -	ბოროტი -	
ნიმუში: ბოროტი - ავი, უკეთური,		
ბოროტი ადამიანი თავსაც ვნებს და სხვასაც.		
უკეთური საქციელი არავის შერჩება.		
2. ჩასვით მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვები:		
მამაცი ( . . ) ჯარისკაცი		
ბეჭითი ( . . ) მოსწავლე		
მშვენიერი ( . . ) გოგონა		
მშვიდი ( . . ) ბავშვი		
3. გადაიწერეთ, შინაარსით ახლო მდგომ სიტყვებს (სინონიმებს) ქვეშ ხაზი გაუსვით:		
ა) მტერი აოხრებდა და აწიოკებდა ჩვენს ქვეყანას.		
ბ) გოგონები იცინილენ, ბიჭები ხარხარებდნენ.		
გ) ახალგაზრდები მხიარულობდნენ და ხალისობდნენ.		
დ) ბებია ჩუმად ლოცულობდა: ლმერო, არ მოგვაკლო ხვავი და ბარაქა, სიკეო და სიხარული.		
ე) გიორგის პაპა ბორძენი და განსწავლულია.		
4. დააჯგუფეთ სინონიმურ წევილებად შემდეგი სიტყვები: გამრჯე, დაღლილი, მეოაური, აუცილებელი, მრავალი, მახინჯი, ბაასი, ბედი, ამაყი, ოჯახი, მუსაიფი, იღბალი, უზდვავი, გონჯი, გორისი, ჯალაბი, უსიტყვოდ, უჩუმრად, ბეჭითი, დაქანცული, თავკაცი, უმჭველი;		
5. შეადგინეთ სინონიმების რუკა:		
<b>სიტყვები</b>	<b>სინონიმური ცალები</b>	<b>სინონიმური სიტყვები კონტექსტის მიხედვით წინადაღებაში</b>
ბარაქა	დოვლათი	წლევანდელი წელი ბარაქიანი იყო
ოსტატი	...	...
ლხინი	...	...
ჭავიანი	...	...
მშვიდი	...	...

საქმაოდ ეფექტურია სინონიმურ წინადაღებებზე მუშაობა. იგი შესაძლებლობას იძლევა, მოსწავლეებს მივცეთ გრამატიკული ფორმების პრაქტიკულად გამოყენების ჩვევა. ასეთ წინადაღებებზე მუშაობა უკავშირდება გრამატიკის ელემენტარული საკითხების სწავლებას. მოსწავლეებს ვავარჯიშებთ სინონიმების გამოყენებით როული და მარტივი წინადაღებებით აზრის გადმოცემაზე. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან წინადაღების უკეთესი ვარიანტის შექმნაში და ამ გზით სწავლობენ წინადაღების აგებასაც.

სავარჯიშო მასალა დაწყებითი კლასების გრიფირებულ სახელმძღვანელოებში ბევრია, რღონდ ასეთმა ვარჯიშობამ არ უნდა მიღოს ზერელუ, მექანიკური ხასიათი.

ბ) საპირისპირო შინაარსის მქონე სიტყვები - ანტონიმებზე მუშაობა

სინონიმების შესწავლის შემდეგ მოსწავლეობა ყურადღება ექცევა საპირისპირო, ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე სიტყვებზე მუშაობას, რომელსაც ანტონიმი ჰქითა.

ანტონიმებზე ვარჯიში II კლასიდან იწყება, IV კლასში კი აქტიურ სახეს იღებს.

დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში, ანტონიმების უკეთ შესწავლისათვის სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებია შეგანილი.

განვიხილავთ ისეთ სავარჯიშოებს, რომლებიც უფრო მოსახერხებელი და ეფექტურია მოსწავლეთა გონებრივი განვითარებისა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის.

1. ქვემოთ მოცემულ წინადაღებებში მოქმედება და ხაზი გაუსვით აზრობრივად საპირისპირო სიტყვებს:

გადავწყვიტე, მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი.

მაძღარს ართმევ, მშიერს აძლევ, დმერთი როგორ წაგახდენსა.

ძირს დედამიწას ვფიცავარ და მაღლა ზეცაში დმერთსა.

2. მოცემულ სიტყვებს მოუძებნეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიები):

პატარა - თეორი -

ლამაზი - ნაოელი -

გრძელი - დღე -

3. ჩამოთვლილი ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

მტერი - მოყვარე; ბეჭითი - ზარმაცი; დილა - საღამო; მაღლა - დაბლა;

აქ - იქ;

4. ხაზი გაუსვით ანტონიმებს აფორიზმებში:

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკილდების“.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

5. მოუძებნეთ ანტონიმები შემდგებ სიტყვებს:

ლხინი; ტყუილი; გვიან; ცოცხლობს; გამარჯვება; გამხდარი; ცივი; აღმართი

6. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც მათგან აზრობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო გამოთქმების ახსნას მოითხოვს:

იცოდე ბევრი, იღაპარაკე ცოტა.

სწავლა სინათლეა, უსწავლელობა - სიბრუნვე.

როგორც სინონიმები, ასევე ანტონიმები ენის სიმდიდრისა და განვითარების მაჩვენებელია. აძლიერებს გამოსახველობასა და ემთციურობას.

ანტონიმური წყვილების გამოყენება ნაოქვამს უფრო ეფექტურს ხდის.

#### **ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, - 2007
2. ბ. ფოჩხუა - ქართული ენის ლექსიკოლოგია - 1974
3. 6. გორდელაძე და სხვ. - ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი, მასწავლებლის წიგნი, 2009
4. 6. მაღლაკელიძე და სხვ., - ქართული ენა და ლიტერატურა, IV კლასი, 2011
5. 3. როდონაია და სხვ., - ქართული ენა და ლიტერატურა, IV კლასი, 2011

**Ether Bregadze**

#### **Lexical work of teaching in the fourth grade**

##### **Abstract**

Primary level student's vocabulary enrichment issues are extremely important. Primary school pupils in the development of lexical speech work is carried out by means of. In this work of teaching, physiologically, reasonable, confirmed by the use of theoretical issues with practical recommendations has a great importance speech development in children.

Lexical work of teaching at fourth grade considered to be the basic requirements of the national curriculum and program. The primary objectives of the present stage requires an integrated coordinated manners. Grifier books occupy a special place in the new material, because lexicology of the language enriches pupils speaking in general.

**Этер Брегадзе****О некоторых вопросах обучения лексикологии в IV классе****Резюме**

Вопросы обогащения лексического запаса учащихся начальной ступени весьма актуальны. Развитие речи учащихся начальных классов осуществляется путем лексической работы. Для развития речи учащихся, наряду с теоретическими вопросами, большое практическое значение имеет применение на практике новых стратегий и методов, рекомендаций, подтвержденных педагогически и психологически.

При обучении вопросов лексической работы в IV классе необходимо учитывать основные требования учебного плана и программы. Начальная ступень обучения требует представления задач в интегрированном и комбинированном виде.

В словарном материале новых грифированных учебников особое место занимают вопросы лексикологии и фразеологии, что служит развитию речевой культуры учащихся.

## Suggestopädische Formen im DaF - Unterricht

სტატია განხილულია სუბექტოპედიის ფორმები უცხო ენის მეცადინეობაზე. სუბექტოპედია უკავშირდება ბულგარელი ოერაპეგისა და პედაგოგის გეორგ ლოზანოვის სახელს, რომელმაც ექსპერიმენტებით განავითარა სწავლის და დამახსოვრების მომენტები. უნარი. მოცემულია სუბექტოპედიის მოქმედების ძირითადი ვაქტორები.

Die Suggestopädie ("to suggest"+Pädagogik) geht auf die Entwicklungen des bulgarischen Therapeuten und Pädagogen Georgi Lozanov zurück. In Experimenten entwickelte er eine Methode, die gesteigerte Lern - und Gedächtnisleistung versprach. Zwei Elemente spielen dabei eine tragende Rolle, Lernen unter Entspannung und Lernen durch Suggestion bzw. Desuggestion. Als "Superlearning" fand die Methode dann seit den 70er Jahren große Beachtung. Zunächst im Fremdsprachenunterricht angewandt, findet sie heute zunehmend Eingang in den Fachunterricht.

Die Suggestopädie wird heute als Kunstwort definiert, das sich aus dem englischen "to suggest" (anbieten) und "Pädagogik" zusammensetzt. Damit rückt weniger die Suggestion, sondern vielmehr der Angebotsaspekt der suggestopädischen Arbeits - und Unterrichtsmethode in den Mittelpunkt der Aufmerksamkeit. Das "Anbieten" ist heute das Schlüsselwort, das für viele Suggestopäden das Wesen der Methode beschreibt, den der suggestopädische Unterricht macht Schülern und Teilnehmern eine Vierzahl von Lernangeboten, um Lernfreude und das Lernen selbst positiv und effektiv zu gestalten.

### Wirkfaktoren der Suggestopädie

1. **Rhytmisierung** bezieht sich auf den gesamten Unterricht und betrifft den Wechsel von Anspannung und Entspannung, von aktiven und passiven Phasen sowie den Einsatz unterschiedlicher Sozialformen. Rhytmisierung sorgt für Abwechslung der Teilnehmer und damit für erhöhte Konzentrationsfähigkeit.

2. **Multisensorik** - Lernen mit allen Sinnen bedeutet das konsequente Aufbereiten aller Inhalte für alle Lerntypen und die Berücksichtigung der unterschiedlicher Lernstile. Ganzheitliches Lehren bedeutet den ganzen Menschen anzusprechen und einzubeziehen: Kopf, Herz und Bauch. Die Menschen lernen unterschiedlich und daher muss ein Lernstoff für alle Sinne aufbereitet werden.

3. **Gruppenprozess** werden durch den Einsatz wechselnder Sozialformen, durch gemeinsame Aktivitäten und spielerische Methoden gefördert und genutzt. Als Erfolgsfaktoren einer Gruppe kann man zwischen Kommunikation und Kommunion unterscheiden. Die Kommunikation dient dem Austausch, der in Kleingruppen - und Partnerarbeit stattfinden kann, Kommunion wird durch gemeinsames Erleben erzeugt: bei Spielen und Bewegungen, in Entspannung.

4. **Suggestion und Desuggestion** meint die mentale und psychische Vorbereitung und Öffnung der Lerner, den Abbau von Lernbarrieren, die Förderung von Selbstvertrauen und Freude am Lernen. Hierzu tragen auch Entspannungsübungen und eine angenehme Lernatmosphäre bei.

5. **Musik** in der Suggestopädie spielt eine wichtige Rolle, denn sie hat großen Einfluss auf die psychische Verfassung des Menschen. Sie hilft in einem entspannten Zustand zu kommen. Sie kann aber auch energetisieren oder einen Erinnerungsanker an bestimmte Lerninhalte darstellen.

#### **ლიტერატურა:**

1. Grötzebach C.: Spiele und Methoden für ein Training mit Herz und Verstand, Cabal, 2008
2. Zamyat M. Klein: Zauberwelt der Suggestopädie, 2010

**Darejan Dvali-Demetradze**

#### **Suggestopedia in Foreign Language Learning**

##### **Abstract**

Suggestopedia is connected with the name of a Bulgarian therapist and teacher Georgi Lozanov. By means of experiments he worked out a method which develops the skills of learning and remembering. In this method two elements are the most important: learning on the background of discharging and learning by the help of suggestion and desuggestion. This method was paid a great attention from the 70-ies of the last century.

The main methods of suggestopedia are rhythm, multi sensoral learning including all organs of perception, group work, suggestion, desuggestion and music.

The method of suggestopedia helps a language learner by the fact it gives him/her a relaxation and fills him/her with energy.

**Дареджан Двали-Деметрадзе**

#### **Формы сугестопедии при изучении иностранного языка**

##### **Резюме**

Сугестопедия связана с именем болгарского терапевта и педагога Георга Лозанова, который посредством экспериментов разработал метод, развивающий способности изучения и запоминания. В этом методе основную роль играют два элемента: обучение на фоне снятия напряженности и обучение с помощью сугестии или десугестии. Метод сугестопедии в процессе изучения иностранного языка привлек к себе пристальное внимание с 70-х годов прошлого столетия.

Основные факторы действия сугестопедии - ритмичность, мультисенсорное обучение путем включения всех органов чувств, процесс групповой работы, сугестия, десугестия и музыка. Использование метода сугестопедии при изучении иностранного языка помогает обучаемому тем, что снимает у него напряженность и наполняет его энергией.

## მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისათვის საშუალო სკოლაში

მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლით მოსწავლეს უმდიდრდება გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, უვითარდება ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელი ჩვევები, ყალიბდება როგორც განათლებული ადამიანი. მეტყველების განვითარების გეგმაშეწონილად წარმართვა მოითხოვს მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების ცოდნას. არა მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში, არამედ ყველა საგნის მასწავლებელი, ვინაიდან მეტყველების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ დედაენის, არამედ, საერთოდ, სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა ელემენტარული საკითხების დაუფლებაც კი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსწავლეს რამდენად სრულყოფილად ექნება შეთვისებული დედაენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

აზროვნება, მეტყველება და ენა, ერთმანეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული და ჩვეულებრივ სიტყვასმარებაში მათ ზოგჯერ ერთმანეთისაგანაც კი არ ასხვავებენ, მაგრამ აზროვნების, მეტყველებისა და ენის ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მათ ოპ-თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვთ. ამ განსხვავების ცოდნა აუცილებლად საჭიროა.

მეთოდიკურ ლიტერატურაში სათანადო გაგებით არ იხმარება ტერმინების "მეტყველების განვითარება", "ენის განვითარება". ეს ორი ტერმინი სხვადასხვა შინაარსის შემცველია. ენის განვითარების საკითხი - ლინგვისტიკის საკითხია და იგი ამ მეცნიერების სხვა ზოგად პრობლემებთანაა დაკავშირებული. მეტყველების განვითარების საკითხი კი პიროვნებას შეეხება, მის მეტყველებაში ენის კანონების დაცვასა და გამოყენებას გულისხმობს. ამდენად, სწავლების მეთოდიკა მოსწავლეობა მეტყველების განვითარების საკითხებს შეისწავლის და არა ენის განვითარებისას.

წერითი მეტყველების კულტურის დონის გამორკვევა-შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ნაწერის მოცულობა. იყო წლები, როცა საშუალო სკოლის ზედა კლასებში მტკიცნეულად იღვა თხზულების ვრცლად წერის საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობა ამჟამად ნორმალურია.

მთავარია, მოსწავლეები შევაჩვიოთ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობით ხმარებას, აზრის გადმოსაცემად შესაფერისი ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების შერჩევას, ფრაზის დახვეწას, სალიტერატურო ენის ნორმების და სიტუაციების დაცვას, წინადადებაში სიტყვებისა და თხზულებაში წინადადებების ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგებას, მეტყველების სტილზე ზრუნვას.

მეტყველების კულტურის ასამაღლებლად საჭიროა პოეტური და პროზაული ნაწარმოებებიდან ადგილების ზეპირად დასწავლა, ზოგიერთი ნაწარმოებიდან ადგილების გასცენურება

და როლებში წაკითხვა, რაც မოსწავლეებს ადვილად შეათვისებინებს ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს, წინადადების ბუნებრივ კონსტრუქციებს, ეუფლებიან წინადადებათა მართებულად წარმოთქმის ტექნიკას, მოხდენილ მეტყველების სტილს. ლექ्सიკური მარაგის გასამდიდრებლად მნიშვნელოვანია კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა უანრის მასალა. სალექ्सიკონო მუშაობა, როგორც მეტყველების გამდიდრების საშუალება და სავარჯოშოთა ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემა, რომელიც წარმოდგენილია მოხსენებაში.

სწავლების მეთოდის აღმის როლი      Методика обучения      Methodic of teaching

თამარ ლარიბაშვილი, ციური ახვლეციანი

თბილისი, საქართველო

აუცილებელი ტექსტის აღმის როლი  
ფრანგული ენის სწავლებისათვის

ფრანგული ენის შემსწავლელი ფრანგულ სამეტყველო ტექსტს ისმენს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა გარემოში: სასწავლო აუდიტორიაში, რადიოთი, ტელევიზიით, ფილმით, აუდიოჩანაწერით, ფრანგულ სპექტაკლებზე დასწრებისას, საერთაშორისო სხდომებში მონაწილეობისას, მისოვის ნაცნობი ან უცნობი ადამიანების საუბრის მოსმენისას და ა.შ. ყოველ ასეთ შემთხვევაში, უცხოურ ენათა სწავლების ევროპული სტანდარტების ავტორთა აზრით, ფრანგული ენა ხდება ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვისმინოთ მეტყველება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მოსმენილისაგან:

- ზოგადი ხასიათის ინფორმაცია;
- ცალკეული კონკრეტული ცნობები;
- ვრცელი (დაწვრილებითი) ინფორმაცია;
- ინფორმაცია იმის შესახებ, რაც პირდაპირ არ იყო ნათქვამი, მაგრამ გამომდინარეობს მოსმენილიდან, ანუ იმპლიციტურად გამოხატული ინფორმაცია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამეტყველო ტექსტი, ისევე როგორც წერილობითი ფორმით წარმოდგენილი ტექსტი, შესაძლებელია „წავიკითხოთ“ იმ მიზნით, რომ განვსაზღვროთ მისი უანრი, რეგისტრი, გამონათქვამის თემა ზოგადად; ან, ტექსტის მოსმენისას, ადრესატი შეიძლება დაინტერესდეს მხოლოდ განსაზღვრული ტიპის ინფორმაციის გაგებით – თარიღით, დროის პერიოდით, სხვადასხვა სახეობის საკუთარი სახელებით და ა.შ.; ან პირიქით, მას შეიძლება აინტერესებდეს მაუწყებელი ინფორმაციის უმცირესი დეტალები და უნდა გაიგოს ტექსტის შემადგენელი ყველა ელემენტი; დაბოლოს, ზოგიერთ სიტუაციაში, ადრესატმა უნდა შეძლოს გაიგოს არა სიტყვები, არამედ ის, რაც მათ უკან იმაღება – ირონია, ქარაგმა, გადატრული სიტყვა, მუქარა და ა.შ. (Cadre européen commun de référence pour les langues, Activités de réception et stratégies, Conseil de l'Europe, Les Editions Didier, Paris 2005, p. 54).

CECR გვთავაზობს შეფასების სკალას მოსმენილი ტექსტის ზოგადი გაგებისათვის და რიგ დამატებით სკალებს ფრანგოფონების მიერ (სხვადასხვა სახის საჯარო გამოსვლების – საექტაკლების, ლექციების, კონფერენციების, სეპირი განცხადებებისა და ინსტრუქციების, რადიოგადაცემებისა და აუდიოჩანაწერების - მსმენელის როლში) ზეპირმეტყველების გაგების შეფასებისათვის. ეს სკალები წარმოადგენს სხვადასხვა საგამოცდო დავალებათა საფუძველს; მათ უმრავლესობაში ქმედების (აუდიორებისა და წაკითხვის) რეცეფციულ სახეობათა სტრატეგია მსგავსია; მათი წარმატებული განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტის სწორად იდენტიფიცირების უნარს, რომელშიც ხორციელდება კომუნიკაცია. ეს კონტექსტი შეიძლება იყოს ლინგვისტური ან ექსტრალინგვისტური, მაგრამ სწორედ ის გვაძლევს საშუალებას, რომ ჩამოვაყალიბოთ პიპოთება გამონათქვამის შინაარსის შესახებ,

შევამოწმოთ მისი დამაჯერებლობა, შევასწოროთ და, აუცილებლობის შემთხვევაში, წამოვა-  
ყენოთ ახალი პიპოთება (ასე მაგალითად, სადგურში ყოფნისას და ხმამაღლამოლაპარაკე  
რადიოთი განცხადების მოსმენისას, ფრანგული ენის არასაკმაო დონეზე მფლობი ადამიანიც  
ხვდება, რომ საქმე ეხება მატარებლის მოსვლას ან გამგზავრებას და ცდილობს გაიგონოს  
ქალაქის დასახელება ანუ მატარებლის დანიშნულების პუნქტი; ამის შემდეგ – პლატფორმის  
ნომერი, რომლიდანაც ეს მატარებელი მიემგზავრება ან მისი გამგზავრების დრო).

სხვა კომპეტენციათა შორის, CECR გამოყოფს უნარებსა და ჩვევებს, რაც საშუალებას იძ-  
ლევა, რომ შეცნობილ იქნეს შესაბამისი ინდიკატორები და კონტექსტიდან გამოტანილ იქნეს  
ზეპირი და წერილობითი ტექსტის უცნობი ელემენტის შესაძლებელი მნიშვნელობა. სკალა,  
რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ამ უნარებისა და ჩვევების ფორმირების დონე,  
გვთავაზობს შემდეგ კრიტერიუმებს (CECR, გვ. 60):

**A1 – კრიტერიუმები არ არის აღწერილი;**

**A2 – უნარი აქვს გამოიყენოს ყოველდღიური მოკლე გამონათქვამების საერთო აზრი, რომ  
კონტექსტზე დაყრდნობით, გააკეთოს დასკვნა უცნობი სიტყვების შესაძლო მნიშვნელობების  
შესახებ;**

**B1 – უნარი აქვს, კონტექსტის დახმარებით, მოახდინოს უცნობი სიტყვების იდენტიფიცირება  
იმ გამონათქვამებში, რომლებიც მისი ცოდნისა და ინტერესების სფეროს ეხება;**

**უნარი აქვს ამოიცნოს კონტექსტიდან ამოკრეფილი უცნობი სიტყვების აზრი და მიხვდეს  
ერთიანი ფრაზის მნიშვნელობას, როდესაც ეს თემა მისთვის ნაცნობია;**

**B2 – უნარი აქვს გამოიყენოს გაგების სხვადასხვაგვარი სტრატეგია, ეყრდნობა რა საკვან-  
ძო მომენტებსა და გაგების კონტროლს და ეფუძნება რა კონტექსტუალურ ინდიკატორებს.**

**ფრანგული ენის გაკვეთილზე აუდირებული ტექსტების სმენითი აღქმა და გაგება**

**C1 – აქვს უნარი გამოიყენოს კონტექსტუალური, გრამატიკული და ლექსიკური ინდიკატო-  
რები, რათა მათზე დაყრდნობით, გააკეთოს დასკვნები ტექსტის ავტორის ურთიერთობების,  
განწყობისა და განზრახვების შესახებ, ასევე მოახდინოს პროგნოზირება შემდგომი შინაარ-  
სისა;**

**C2 – ისეთივეა როგორც C1.**

აღსანიშნავია, რომ ჩამოვლილ ენობრივ ქმედებათა ცალკეულ სახეობად გამოიყოფა აუ-  
დიოვიზუალური ტიპის აღქმა, რომლის დროსაც ინფორმაცია ერთდროულად აღიქმება სმენი-  
თაც და თვალითაც; მაგალითად, ტექსტის მოსმენისა და მისი წერილობითი ფორმის თვალის  
დევნებისას ერთდროულად; ტელეგადაცემის, ვიდეოფილმის, ფილმის კურებისას (მათ შორის  
სუბტიტრებიანი ფილმისაც) და ა. შ.

ზეპირი ტექსტის აღქმის პროცესი ოთხ ეტაპად იყოფა (CECR, გვ. 74): 1. ბგერებისა და სიტ-  
კების შეცნობა; 2. ტექსტის მთლიანი შეცნობა სიტუაციის შესაბამისად; 3. ტექსტის როგორც  
ლინგვისტური მთლიანობის გაგება; 4. გამონათქვამის აზრის ინტერპრეტაცია კონტექსტში.

აუდიორების სწავლება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თი-  
ოთვეული ამ ეტაპისათვის აუცილებელი უნარებისა და ჩვევების ფორმირება.

1. ბგერების, ასევე სიტყვებისა და სიტყვაშეერთებების (რომელთა შემადგენლობაშიც შედი-  
ან ეს ბგერები) ამოცნობის ჩვევები ფორმირდება სწავლების პირველივე დღეებში, ფრანგუ-  
ლი ენის ფონეტიკური და ფონოლოგიური სისტემების, ფრანგული წინადაღების ლოგიკური  
დანაწევრებისა და ფრანგული ინტონაციის გაცნობის პროცესის დროს. წარმოთქმისა და  
ბგერების სმენითი აღქმის შესწავლა პრაქტიკულად ერთდროულად ხორციელდება. ბგერების,  
სიტყვებისა და სიტყვაშეერთებების სწორად აღქმისა და გამოცნობის რეცეფციულ პროცე-  
სებზე დასაკვირვებლად მიზანშეწონილია საგარჯიშოები ფრანგული და ქართული ენების  
მასალაზე (ფრანგული ენის ქართველ შემსწავლელთათვის; სხვა ეროვნებისათვის – შესა-  
ბამისად მისი მშობლიური ენისა და ფრანგულისა); მასალა უნდა შედგებოდეს ორივე ენაში  
არსებული ინტერნაციონალური სიტყვებისაგან. შემდგომ ეტაპზე შეიძლება შეოვაზებულ  
იქნეს მხოლოდ ერთი კრიტერიუმით განსხვაბებული სიტყვები, მაგ. ერთი ბგერით: [oe] – [ɛ]  
სიტყვებში soeur / serre, peur / père, leur / l'air და ა. შ.

ზეპირმეტყველების სმენითი აღქმის უნარებისა და ჩვევების შესაძენად შეიძლება შეთავაზებულ იქნეს მოსმენილი ტექსტის მიხედვით ფრაზის ორი ნაწილის გაერთიანება:

Reliez les deux parties de la phrase que vous entendez:

- |                  |                           |
|------------------|---------------------------|
| 1. Le matin,     | A. vous déjeunez où?      |
| 2. Maintenant,   | B. vous faites quoi?      |
| 3. A midi,       | C. je suis fatiguée.      |
| 4. L'après-midi, | D. je me lève tôt.        |
| 5. Le soir,      | E. Je ne me dépêche plus. |

(მაგალითები ადგებულია წიგნიდან Michèle Barfety, Patricia Beaujouin, Compréhension Orale).

A2. აუდიოტექსტისა და სიტუაციის შეპირისპირება იძლევა ტექსტის საერთო აზრის ფორმულირების საშუალებას, თუგინგ ტექსტის ცალკეული შემადგენლები ან თუნდაც მოედი ტექსტიც კი უცნობი იყოს მსმენელისათვის. სწორედ ამ ფაქტის შედეგია, რომ მასწავლებელს შეუძლია პირველივე მეცადინების პირველივე წუთებიდანვე ფრანგულად მიმართოს მოსწავლეებს. მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ მისალმების ფორმულებს « Je me présente... Je m'appelle... », ასევე შემაგულიანებელ რეპლიკებს « Présente-toi... Et toi, comment t'appelles-tu? » და ა. შ. ეს მაგალითები პრაქტიკულად უშეცდომოდ ინტერპრეტირდება სიტუაციურ კონტექსტში. სიტუაციური ურთიერთობის ასევე მნიშვნელოვანი ასპექტებია მიმიკა და ჟესტიგულაცია, რაც ასევე ხელს უწყობს გამონათქვამის შინაარსის აღქმას. ასევე ტექსტის სიტუაციური აღქმის ნიმუშია პასუხები ამგვარი ტიპის შეკითხვებზე: Est-ce une annonce dans le métro ou une annonce publicitaire? Est-ce un compliment ou une blâme? პასუხისათვის მნიშვნელოვანია შეკითხვის ხმის ტემპისა და გამოხატული ემოციის სწორი აღქმა და შეფასება.

3. ტექსტის როგორც ლინგვისტური მთლიანობის გაგება ვარაუდობს, რომ ამ ტექსტის ძირითადი ლექსიკურ – გრამატიკული შემადგენლობა ცნობილია მსმენელისათვის და მას შეუძლია საკმაოდ აღექვაზურად აღიქვას ეს ტექსტი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასში არსებობს მისოვების (მსმენელისათვის) უცხო სიტყვები ან გრამატიკული კონსტრუქციები.

4. გამონათქვამის აზრის ინტერპრეტაცია კონტექსტში ვარაუდობს იმ უნარს, რომლის საშუალებითაც ფორმულირდება პიკოთეზა უცხო სიტყვის ან სიტყვაშეერთების მნიშვნელობის შესახებ, ტექსტის გარემოცვიდან გამომდინარე და ასევე იმ უნარსაც, რომლის საშუალებითაც შემოწმდება ამ პიკოთეზის სისტორე.

აუდიორებით სწავლებისას ძალზე ეფექტურია სიმღერის ტექსტის გამოყენებაც; შეიძლება მოსწავლეებს მივცეო რომელიმე სიმღერა texte à trous –ს სახით და შევთავაზოთ გამოტოვებული ადგილების შევსება სიმღერის ტექსტის მოსმენის დროს.

ფრანგული ენის შემსწავლელთათვის საინტერესოა და მათი მოტივაციის ასამაღლებლად დიდად სასარგებლოა ინტერნეტში განლაგებული მრავალრიცხვანი აუდიო და ვიდეორეჟისერსებით მუშაობა. მაგ. საიტი RFI (Radio France Internationale) გვთავაზობს რიგ სავარჯიშოებს აუდიორებისათვის: მოსასმენ ტექსტს, რომელიც წარმოდგენილია აუდიო ან ვიდეოჩანაწერის სახით, თან ახლავს სავარჯიშოთა სერია, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოო აუდიოტექსტი; ახლავს ახსნებიც, რაც ამ სავარჯიშოებზე ავტონომიურ რეჟიმში მუშაობისა და შესრულებული დაგალების სისტორის დამოუკიდებელი შემოწმების საშუალებასაც იძლევა. ასევე TCF – ში (Test de connaissance du français), არსებობს განყოფილება « აუდიოება », სავარჯიშოებითა და ახსნებით, რომლებშიც კონტექსტის დახმარებით ყალიბდება სწორი პასუხები.

ამ საიტის ზოგიერთი განყოფილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მულტიმედიურ რეჟიმში, რადგან აუდიოჩანაწერის გვერდით ფიგურირებს მოსასმენ ტექსტის სრული ტრანსკრიფცია.

ფრანგული ტელევიზია TV5 –ის ინტერნეტ-საიტ პროგრამები ასევე საშუალებას აძლევს ფრანგული ენის ყველა შემსწავლელს იმუშაოს მრავალრიცხვანი და მრავალგვარი აუთენტური აუდიო და ვიდეოჩანაწერებით.

ფრანგული ენის შემსწავლელთაოთვის ასევე მრავალმხრივ საინტერესოა და სასარგებლოა: ინტერნეტის ყოველკირეული პროგრამა *7 jours sur la planète*, საიტი *Le Point du FLE* და მრავალი სხვ.

#### **ლიტერატურა:**

Cadre européen commun de référence pour les langues, Activités de réception et stratégies, Conseil de l'Europe, Les Editions Didier, Paris 2005,

Michèle Barfety, Patricia Beaujouin, Compréhension Orale. Paris, 2006.

Mieux comprendre l'oral: formation des formateurs. Emmanuelle

Carette. GRAPEL – Université Nancy 2. In : Quel oral enseigner, cinquante ans après le Français fondamental ? CLE International, 2008.

**თამარ დარიძაშვილი, ციური ახვლედიანი  
აუდიორებული ტექსტის აღქმის როლი ფრანგული ენის სწავლებაში**

#### **რეზიუმე**

ფრანგული ენის შემსწავლელი ფრანგულ სამეტყველო ტექსტს ისმენს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა გარემოში: სასწავლო აუდიტორიაში, რადიოთი, ტელევიზიონით და ა.შ. ყოველ ასეთ შემთხვევაში, უცხოურ ენათა სწავლების ევროპული სტანდარტების ავტორთა აზრით, ფრანგული ენა ხდება ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვისმინოთ მეტყველება იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მოსმენილისაგან მრავალი სახის ინფორმაცია.

ზეპირი ტექსტის აღქმის პროცესი ოთხ ეტაპად იყოფა: 1. ბეგერებისა და სიტყვების შეცნობა; 2. ტექსტის მთლიანი შეცნობა სიტუაციის შესაბამისად; 3. ტექსტის როგორც ლინგვისტური მთლიანობის გაგება; 4. გამონათქვამის აზრის ინტერპრეტაცია კონტექსტში.

აუდიორების სწავლება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თოვლები ამ ეტაპისათვის აუცილებელი უნარებისა და ჩვევების ფორმირება.

**თამარ გარიბაშვილი, ციური ახვლედიანი**

**Роль восприятия прослушиваемого текста в изучении французского языка**

#### **Резюме**

Изучающий французский язык слышит французскую разговорную речь в разных обстоятельствах: в аудитории, в радио, в телевизоре и т.д. В каждом из этих случаев, по мнению авторов стандартов изучения иностранных языков, французский язык является инструментом, дающим нам возможность выслушать устную речь для того, чтобы выудить оттуда нужную нам информацию.

Процесс восприятия устной речи делится на четыре этапа: 1. Восприятие звуков и слов. 2. Восприятие текста полностью в соответствии с ситуацией. 3. Понятие текста, как лингвистическое целое. 4. Интерпретация смысла текста.

Изучение прослушивания должно осуществляться так, чтобы обеспечивалось формирование нужных навыков для каждого из этих этапов.



## შინაარსი

ირმა ასათიანი	
იანიჩართა კორპუსის ისტორიისათვის.....	13
ქეთევან გაბუნია, გვანცა ჭანტურია მეტყველების ფსიქოლინგვისტური აღქმა.....	19
ქეთევან დოდონაძე ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია.....	23
ეკატერინე გაჩეჩილაძე ფრანგულ ენაში გრამატიკული კატეგორიების გამოყოფის სინტაქტურ-პარადიგმატული საფუძველი.....	27
Darejan Dwali - Demetradse 31	
<b>Suggestopädische Formen im DaF - Unterricht.....</b>	<b>31</b>
თამარ თვალაძე	
სტილისტიკურად მარკირებული ერთეულების კომბინატორიკა მხატვრულ ტექსტში.....	33
თამარ ლომთაძე	
სათაური.....	40
თამარ მამარდაშვილი	
მიმღეობის მაწარმოებლებთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.....	45
ინგა მარგველაშვილი, პაატა ჯაფარიძე	
ლაზური ზმინს მორფოლოგიური სტრუქტურის აღმოსავლური სეგმენტები.....	49
მანანა მიქაძე	
ლოკალურ ბრუნვათა საკითხისათვის ქართულ ენათმეცნიერებაში.....	53
რამაზ სვანაძე	
გერმანული და ქართული ტოქშოუს მონაწილეობა კიოხვითი ქცევა.....	60
ელენე ფილაშვილი	
მწვრივთა ე.წ. შეუძლებელი კომბინაციების შესახებ პიპოტაქსურ კონსტრუქციაში.....	64
ზინაიდა ჩაჩანიძე	
საინფორმაციო ცნობის როგორც ჟანრის „ტექსტად ქცევის“ ფორმულა და მისი ტიპოლოგია.....	69
იზოლდა ჩხობაძე	
იუმორისა და მეტაფორის ლინგვისტური საზღვრები.....	77

ქრისტინე ძაგნიძე ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კოგნიტიური ინტერპრეტაციის შესახებ .....	81
Бибикова Александра Михайловна Пародирование в поэтике коротких пьес Акилле Кампаниле.....	87
დათო დიდიძე იმპლიკიტური რემარკები.....	90
ლელა ემგვერაძე წინადადების სტრუქტურული სქემის სწავლების პროცესში გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ.....	95
ლალი მიქაძე ცისფერყანწელთა ლიტერატურული სალონები ქუთაისში.....	101
ლეილა ქველიძე მოდერნიზმი ისლამში და გენდერული თანასწორობის საკითხი.....	105
ნაზი ხელაია, თამარ გუმბერიძე თანამედროვე ქართული მწერლობის პრობლემები.....	109
მადონა ქებაძე მუსტაფა ქემალ ათათურქი (ბიოგრაფიული მიმოხილვა).....	115
გულიჯო შენგელია ფსიქოლოგის როლი ბავშვთა აღზრდაში მე-20 საუკუნის საქართველოს სპეციალურ სკოლებში.....	124
ეთერ ბრეგაძე ლექსიკოლოგიის ზოგიერთი საკითხის სწავლებისათვის IV კლასში.....	128
Darejan Dwali - Demetradse <b>Suggestopädische Formen im DaF - Unterricht.....</b>	133
მანანა მიქაძე მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისათვის საშუალო სკოლაში.....	135
თამარ დარიბაშვილი, ციური ახვლედიანი აუდიორებული ტექსტის აღქმის როლი ფრანგული ენის სწავლებაში.....	137

## Contents

Irma Asatiani	
About the history of Yeniçeri troops.....	17
Qetevan gabunia, Gvanca Chanturia	
Abstract.....	22
Ketevan Dogonadze	
The Vertical structure of the Text and Reference as a Metacategory.....	26
Ekaterine Gachechiladze	
Syntagmatic-paradigmatic relations as a basis of defining grammatical categories in French.....	29
Darejan Dvali-Demetradze	
Suggestopedia in Foreign Language Learning.....	32
Tamar Tvaladze	
The combinatorial analysis of stylistically marked units in text.....	39
Tamar Mamardashvili	
Some issues connected with the participle formation.....	48
Inga margvelashvili, Paata jafaridze	
Oriental Segments of the Morphological Structure of the Verb in Lazian Language.....	52
Manana Mikadze	
Question of local cases in georgian linguistic.....	59
Ramaz Svanidze	
Frageverhalten der deutschen und georgischen Talkshowteilnehmer.....	63
Elene Pilashvili	
About the so-called impossible combinations of scrives in hypotaxical construction .....	68
Zinaida Chachanidze	
The formula of “turning” informational note as a genre into text and its typology.....	75
Izolda Chkhobadze	
satauri.....	80
Qristine Dzagnidze	
Abstract.....	86
Lela Edzgveradze	
About practical aspects of sentence analyzing .....	100
Lali Mikadze	
From the history of home salons in Kutaisi.....	104

---

Leila Kvelidze	
The Problems of Gender Equality and Reformation of Islam.....	107
Nazi Khelaia, Tamar Gumberidze	
Issues Regarding PThe Contemporary Georgian Script.....	113
Madona Kebadze	
Mustafa Kemal Ataturk (biography review) .....	123
Guliko Shengelia	
The role of psychology in bringing up of children of specialized schools in the 20-th century.....	127
Ether Bregadze	
Lexical work of teaching in the fourth grade.....	131
Darejan Dvali-Demetradze	
Suggestopedia in Foreign Language Learning.....	134

## Содержание

<b>Ирма Асатиани</b>	
Из истории корпуса янычар.....	17
<b>Кетеван Догонадзе</b>	
Вертикальная Структура Текста и Референция как Метакатегория.....	26
<b>Екатерине Гачечиладзе</b>	
Синтагматико-парадигматическая основа грамматических категорий во французском языке.....	30
<b>Дареджан Двали-Деметрадзе</b>	
Формы сугестопедии при изучении иностранного языка.....	32
<b>Тамара Тваладзе</b>	
Комбинаторика стилистически маркированных единиц в художественном тексте.....	39
<b>Тамар Мамардашвили</b>	
Несколько вопросов о средствах, производящих причастия.....	48
<b>Инга Маргвелавшили, Паата Джрафидзе</b>	
Восточные сегменты морфологической структуры глагола Лазского языка .....	52
<b>Елене Пилашвили</b>	
Так называемые невозможные комбинации строя гипотаксичной конструкции.....	68
<b>Зинаид а Чачанидзе</b>	
Формула «превращения» информационной заметки как жанра в текст и ее типология .....	75
<b>Кристине Дзагнидзе</b>	
Когнитивная интерпретация фразеологических единиц.....	86
<b>Лела Едзгверадзе</b>	
О практических аспектах использования структурных схем предложения.....	100
<b>Леила Квелидзе</b>	
Модернизм в исламе и проблемы женской эмансипации.....	108
<b>Нази Хелая, Тамар Гумберидзе</b>	
Проблемы современной грузинской литературе.....	114

**Гулизар Шенгелия****Роль психологии в воспитании детей в специальных школах грузии в XX-е.....127****Этер Брегадзе****О некоторых вопросах обучения лексикологии в IV классе.....132****Дареджан Двали-Деметрадзе****Формы сугестопедии при изучении иностранного языка.....134****Тамар Гарибашвили, Циури Ахвlediani****Роль восприятия прослушиваемого текста в изучении французского языка.....140**